

# ლიბანის სეოზა

როინ მაღაყმაძე



როინ მალაყმაკა

# ლიგანის ხეობა

(ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა)


საქართველოს მეცნიერებათა  
აქადემიის წევრი

როინ მალაყმაკა

07.02.08

გამომცემლობა არტანუჯი

თბილისი





ნაშრომში ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ჭრილში შესწავლილია ლიგანის ხეობის წარსული და თანამედროვე მდგომარეობა, რომლის ნაწილი დღეს მოქცეულია თურქეთის ფარგლებში. გარკვეულია ხეობის სახელწოდება და ტერიტორიული საზღვრები. გაშუქებულია ხეობის წარსული ოსმალთა ბატონობამდე, ბატონობის პერიოდში და მისი დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ. დახასიათებულია მეურნეობის დარგები, მატერიალური და სულიერი კულტურა, ხეობაში გავრცელებული გვარ-სახელები. ნაშრომის ეთნოგრაფიული ნაწილი აგებულია ძირითადად ავტორის მიერ მოპოვებულ საველე მასალებზე.


ნიგნში წარმოჩენილია ლიგანის ხეობის როლი ჭოროხის ხეობისა და მთლიანად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ნაშრომი ლიგანის ხეობის მაგალითზე ქართული ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის პირველი ცდაა. იგი საჭირო ინფორმაციას მიაწვდის ყველას, ვინც დაინტერესებულია არა მარტო საკუთრივ ლიგანის ხეობის, არამედ საერთოდ ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს წარსულის შესწავლით.

**რედაქტორი** ნოდარ კახიძე  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**რეცენზენტები:** თამაზ ფუტყარაძე  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ირაკლი ბარამიძე**  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი





რედაქტორისაგან ..... 5

შესავალი ..... 9

თავი პირველი.

ლიგანის ხეობის ისტორიული დახასიათება ..... 25

1. ლიგანის ხეობა ნერილობითი წყაროებისა და ისტორიული ლიტერატურის მონაცემების შუქზე ..... 25
2. ლიგანის ხეობის სახელწოდებისათვის ..... 29
3. ლიგანის ხეობა ოსმალთა ბატონობის დროს ..... 32
4. ლიგანის ხეობა დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ 1878-1921 წლები ..... 39
5. ლიგანის ხეობის თანამედროვე მდგომარეობა ..... 50

თავი მეორე.

ლიგანის ხეობის ეთნოლოგიური დახასიათება ..... 56

- სამეურნეო ყოფა ..... 56
1. მემინდვრეობა ..... 56
  2. მევენახეობა-მელვინეობა ..... 90
  3. მეხილეობა ..... 95
  4. მესაქონლეობა ..... 98
  5. მეფუტკრეობა ..... 103
  6. ხელოსნობა და შინამრეწველობა ..... 106
  7. ნავმშენებლობა და ნაოსნობა ლიგანის ხეობაში ..... 112

|  |            |
|--|------------|
| <b>მათერიალური და სულიერი კულტურა .....</b>                | <b>120</b> |
| <b>მათერიალური კულტურა .....</b>                           | <b>120</b> |
| 1. ისტორიისა და მატერიალური კულტურის ძეგლები .....         | 120        |
| 2. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი .....              | 126        |
| 3. დასახლების ფორმები .....                                | 129        |
| 4. ტანსაცმელი და ჩაცმულობა .....                           | 131        |
| 5. საკვები პროდუქტების დამზადება და ხალხური სამზარეულო ... | 133        |
| <b>სულიერი კულტურა.....</b>                                | <b>136</b> |
| 1. ხალხური დღესასწაულები .....                             | 136        |
| 2. ხალხური გართობა-თამაშობანი .....                        | 144        |
| <br>   |            |
| <b>თავი მესამე.</b>  |            |
| <b>ლიბანის ხოვაში გავრცელებული გვარ-სახელები .....</b>     | <b>149</b> |
| <br>   |            |
| ძირითადი დასკვნები .....                                   | 158        |
| დანართი .....  | 164        |
| შემოკლებანი .....  | 166        |
| რეზიუმე (ინგლ.) .....                                      | 167        |
| რეზიუმე (რუს.) .....                                       | 183        |
| რეზიუმე (თურქ.) .....                                      | 206        |
| პირთა საძიებელი .....                                      | 223        |
| გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი .....                         | 231        |

ქართული ეთნოლოგიური და სხვა დარგის მეცნიერება დიდი ხნის მანძილზე მოკლებული იყო იმ ქართველი მოსახლეობის მეცნიერულ შესწავლას, რომელიც ისტორიული ავბუდითობის გამო დღემდე მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში.

პირველი ნაბიჯები ამ მხრივ ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის პერიოდში გადაიდგა, როდესაც ქართველებით დასახლებულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პროვინციებში (აჭარა, შავშეთი, ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი) იმოგზაურეს დიმიტრი ბაქრაძემ 1873 წელს, გიორგი ყაზბეგმა 1874 წელს, ხოლო ოსმალთა ბატონობისაგან გათავისუფლების შემდეგ ნიკო მარმა და ექვთიმე თაყაიშვილმა. აღსანიშნავია ქოროხის მხარეში ზაქარია ჭიჭინაძის მოგზაურობის მიზნები, ამოცანები და შედეგები. კიდევ სხვა ქართველ და უცხოელ ავტორთა დასახელებაც შეიძლებოდა, მაგრამ ჩამოთვლილ მოგზაურ-მკვლევართა ღვაწლიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რა დიდ დაინტერესებას იჩენდნენ ქართველი მონიწავე ინტელიგენციის წარმომადგენლები თურქეთის მიერ მიტაცებულ და შემდეგ ახლად გათავისუფლებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ თანამოძმეთა, ანუ ჩვენებურთა ისტორიის, ყოფის, კულტურის შესწავლისათვის.

შემდგომ გარკვეული დროით, ობიექტური მიზეზების გამო, ერთგვარი ვაკუუმი შეიქმნა თურქეთში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანთა მონახულებასა და მათი ყოფა-ცხოვრების შესწავლაში. მნიშვნელოვანი ნაბიჯი ამ მხრივ მოგვიანებით, XX საუკუნის 90-იან წლებში გადაიდგა სარფის სასაზღვრო გზის გახსნისა და საქართველო-თურქეთს შორის დადებული მრავალმხრივი, მათ შორის კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე. მხედველობაში გვაქვს ქალბატონ შუშანა ფუტკარაძის სადოქტორო დისერტაცია, რომელიც ჩვენებურთა, ანუ თურქეთში მცხოვრებ ქართველთა მეტყველების შესწავლას ეძღვნება. ამ შედეგებზე დაინერა მისი სქელტანიანი მონოგრაფია „ჩვენებურების ქართული.“ შავშეთ-იმერხევის ტოპონიმი კი შეისწავლა ნუგზარ ცეცხლაძემ და მას საკანდიდატო დისერტაცია უძღვნა (იგი 2000 წელს

ცალკე ნიგნადაც გამოიცა. მასში უშუალოდ ავტორის მიერ მოძიებული მასალებია შესული).

აღსანიშნავია ქართველ არქეოლოგთა (დავით მუსხელიშვილი, ოთარ ჯაფარიძე, დავით ხახუტაიშვილი, ამირან კახიძე, გურამ გრიგოლია, შოთა მამულაძე, გურამ ლორთქიფანიძე და სხვ.) ღვაწლი, რომლებმაც ორგზის იმოგზაურეს თურქეთში ქართველებით დასახლებულ და სხვა კუთხეებში ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლების დასაზვერად და გასაცნობად.

შავშეთ-იმერხევის ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, დიალექტის ლინგვისტური შესწავლის მიზნით რამდენიმე ექსპედიცია გამართა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო ცენტრმა (ხელმძღვანელი მ. ფაღავა).

წმინდა ეთნოგრაფიული მიზნით თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველები მონოგრაფიულად დღემდე შესწავლილი არ ყოფილა.

ამ მხრივ პირველია ახალგაზრდა პერსპექტიული მკვლევარი როინ მალაყმაძე, რომელმაც ჩემი მეცნიერული ხელმძღვანელობით მოამზადა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ლიგანის ხეობა“. დისერტაცია ეხება ორად გაყოფილი ძველი ქართული ხეობის – ლიგანის, ანუ უძველესი ნიგალის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შესწავლას. იგი თურქულ ოფიციალურ დოკუმენტებში ლიგანად იწოდება.

ნაშრომს, რომელიც ნიგნად ქვეყნდება, საფუძვლად უდევს 1998-2000 წლებში ხეობაში უშუალოდ ავტორის მიერ შეკრებილი მასალები, რასაც წინ უძღოდა ხეობაზე არსებული ნყაროების, საარქივოსტატიისტიკური, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სხვა სახის ლიტერატურის მოძიება-დამუშავება.

რ. მალაყმაძეს მეტად რთულ პირობებში მოუხდა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი მასალების შეკრება ხეობის საზღვარგარეთულ ნაწილში, რომელიც დღეს ართვინის ვილაიეთის ბორჩხის რაიონში შედის. ავტორის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მან საქმიანი ურთიერთობა და კონტაქტები დაამყარა ლიგანის ხეობის საზღვარგარეთულ ნაწილში მცხოვრებ ქართველებთან (ისტორიული



ზედა მარადიდის გამოკლებით, სადაც მას მუშაობის ნებართვაზე უარი ეთქვა), რომელთა ნყალობითა და დახმარებით მოახერხა სადისერტაციო მასალების მოძიება. ამავე დროს მან შეძლო საჭირო კონტაქტები დაემყარებინა ართვინის გუბერნატორთანაც.

რ. მალაყმაძის ნაშრომი ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის პირველი წარმატებული ცდაა. მან ლიგანი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მთლიანობაში შეისწავლა, რითაც ორად გაყოფილი ხეობა კვლევის თვალსაზრისით გააერთიანა.

მონოგრაფიაში ხეობა შესწავლილია როგორც ვერტიკალურ ჭრილში, ანუ ცალკეული ისტორიული პერიოდების მიხედვით, ასევე პორიზონტალურ განზომილებაში. ავტორმა შეძლო ფეხით შემოეცლო ორად გაყოფილი ხეობის, განსაკუთრებით მისი საზღვარგარეთული ნაწილის თითქმის ყველა სოფელი, უბანი და ამ გზით საინტერესო მასალები მოეძია.

ნაშრომში კარგადაა ნაჩვენები ლიგანის ადგილი და როლი ჭოროხის ხეობასა და მთლიანად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

რ. მალაყმაძემ ქართულ ეთნოგრაფიულ (ეთნოლოგიურ) ლიტერატურაში მეცნიერულ მიმოქცევაში პირველად შემოიტანა ხეობის საზღვარგარეთული ნაწილის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის, მატერიალური და სულიერი კულტურის ამსახველი ეთნოგრაფიული მასალა, აგრეთვე ცნობები ადგილთა სახელებზე, გვარ-სახელებზე, რომლებმაც უცხოური რეჟიმის პირობებში დღემდე შემოინახა ძველი ქართული სახელწოდებანი. ავტორმა აღწერა ბევრი ისეთი ძირძველი ქართული ტრადიცია, ნეს-ჩვეულებები, დღეობა-დღესასწაულები, ტერმინოლოგია, რომლებშიც ქართული არქაული ძირებია დაცული.

რ. მალაყმაძის ნაშრომი ქართული ეთნოგრაფიული (ეთნოლოგიური) მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია. იგი ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს მკვლევარებს, რომლებიც ლიგანის ხეობის და მთლიანად ჭოროხის მხარის, მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძირძველი ქართული კუთხეების ისტორიული და ეთნოგრაფიული წარსულის შესწავლით არიან დაინტერესებულნი.



ნაშრომს მეტ მეცნიერულ ღირებულებას მატებს ავტორის მიერ გადაღებული ფოტოილუსტრაციები.

მონოგრაფიის გულდასმით გაცნობა და მისი ანალიზი გვარწმუნებს, რომ სახეზე გვაქვს მეტად მნიშვნელოვანი, საჭირო და სასარგებლო გამოკვლევა, რომელიც ისტორიული ლიგანის ხეობის მაგალითზე ახალ განაცხადს აკეთებს თურქეთის სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეული ძირძველი ქართველი მოსახლეობის ისტორიულ-ეთნოლოგიურ შესწავლაში. მოველით, რომ მკვლევარი შემდგომშიც გააგრძელებს ამ მიმართულებით მეცნიერულ კვლევადიებას. წიგნს „ლიგანის ხეობა“ დიდი ინტერესით შეხედებიათ მკითხველი საზოგადოება, მათ შორის ლიგანის ხეობაში და საერთოდ ქოროხის მხარეში მცხოვრები ქართველები.

ლიგანის ხეობა ისტორიული, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური თვალსაზრისით დღემდე საგანგებოდ შესწავლილი არ არის. ლიგანი ჯერ კლარჯეთის ნაწილად, შემდეგ კი ცალკეც მოიხსენიება<sup>1</sup>. გვიანფეოდალურ ხანაში სამცხე-საათაბაგოს შემადგენელი ნაწილია. ხეობა ყოველთვის აქტიურ და უწყვეტ როლს თამაშობდა ჭოროხის მხარის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ლიგანის ხეობა ისტორიული ბედუკულმართობის გამო დღეს ორ ნაწილადაა გაყოფილი. ხეობის დიდი ნაწილი ზემო მარადიდის, ართვინისა და მისი შემოგარენის ჩათვლით 1921 წლიდან მოქცეულია თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრებში, მეორე ნაწილი ქვემო მარადიდისა და კორნათის სახით საქართველოს ფარგლებში დარჩა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით შედის ხელვაჩაურის (ყოფილი ბათუმის) რაიონში.

ამდენად, წინამდებარე ნაშრომი ლიგანის ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის პირველი ცდაა. გამოკვლევა დაფუძნებულია როგორც ძველ ქართულ, უცხოურ წერილობით წყაროებსა და ლიტერატურის მონაცემებზე, ასევე საველე ეთნოგრაფიულ მასალებზე, რომლებიც 1998-2000 წლებში ჩვენ მიერ იქნა მოძიებული ლიგანის ხეობის ორივე ნაწილში. ხეობის საზღვარგარეთულ ნაწილში ეთნოგრაფიული მასალების შეკრებას მთელი რიგი დაბრკოლებები ახლდა, მაგრამ ძირითადად მიზანი მაინც მიღწეულია.

1998 წელს ჩვენს მუშაობას უმთავრესად დაზვერვითი ხასიათი ჰქონდა, რადგან სპეციალური ნებართვის აღება არ მოხერხდა. მხოლოდ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმში თურქეთის გენერალური საკონსულოს შუამდგომლობით თურქეთის კულტურის სამინისტროსა და ართვინის ვილაიეთის გუბერნატორის თანხმობით გახდა შესაძლებელი ეთნო-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1983, გვ. 63.



გრაფიული მასალების შედარებით თავისუფალი შეკრება. პარალელურად ვახდენდით ვიდეო და ფოტოგადაღებებს.

ლიგანის ხეობა არა მარტო ისტორიული, არამედ ფიზიკურ-გეოგრაფიული ნიშნითაც გამოირჩეულ ადგილს იმკვიდრებს საქართველოს ხეობათა ისტორიაში. როგორც ცნობილია, ხეობებად, ანუ, ძველი ქართული ტერმინოლოგიით, ხევებად დაყოფა, ხეობებად ცხოვრების მონყობა საქართველოსათვის ისტორიულად დამახასიათებელი მოვლენაა, რაც შემდგომ გარკვეულწილად, საფუძვლად დაედო ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფა-დანაწილებას. ივ. ჯავახიშვილის დახასიათებით, ძველად სახელმწიფო მიწა-წყალს ქვეყანა ერქვა და მასზე მცირე საგამგეო ერთეულად ხევი ითვლებოდა. სწორედ ხევების გაერთიანების საფუძველზე შეიქმნა ქვეყანა, რომლითაც ძველად სახელმწიფო მიწა-წყალი აღინიშნებოდა<sup>2</sup>. ნ. ბერძენიშვილის თქმით, „ქვეყანა“ ხევების გაერთიანების შედეგად წარმოიქმნა<sup>3</sup>. მან, ამავე დროს, ხევის თუ ცალკეული „ქვეყნების“ შესწავლის აუცილებლობაც დააყენა. მისი აზრით, ხეობების შესწავლისას მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმის გარკვევას, თუ რას წარმოადგენდა ესა თუ ის ხევი (ქვეყანა), რა გვარის ან გვართა თუ ტომის საცხოვრისი იყო იგი, როდის გარდაიქმნა ხევები (ხეობები) სახელისუფლოდ თუ საერისთავოდ და რა კავშირში იმყოფებოდა ესა თუ ის ხევი მეზობელ ხევებთან თუ ქვეყნებთან<sup>4</sup>.

საქართველოს ხეობები თავიანთი ფიზიკურ-გეოგრაფიული თუ ბუნებრივ-სამეურნეო ცხოვრების წესით ერთმანეთისაგან კიდევაც განსხვავდებიან და მსგავსებასაც ავლენენ. ლიგანის ხეობა, როგორც ითქვა, ამ მხრივაც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

ლიგანის ხეობის გეოგრაფიულ და ბუნებრივ-სამეურნეო დახასიათებას პირველად ვახუშტიმ მიაქცია ყურადღება. იგი წერდა: „ახლორებენ მთანი თოვლიანი და აგარაკნი მშვენიერებით აღჴმულნი,

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნიგნი II, ნაკვეთი I, ტფ., 1928, გვ. 10.

<sup>3</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, თბ., 1964, გვ. 361.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 341.



ჟამისა და ნახევარ ჟამის სავალთა, ნყაროებითა<sup>5</sup>. მისივე აღწერით, ხეობაში „მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებდა“. მოჰყავდათ ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთისხილი, ბრონეული, ლელვი. დანიანურებული იყო მევენახეობა და მეხილეობა. თუმცა მთაგორიანობის გამო გამოსაყენებელი მიწის სიმცირე საგრძნობი იყო, რაც იწვევდა სხვადასხვა კულტურის მოვლა-მოყვანის მასშტაბების შემცირებას<sup>6</sup>. აღნიშნული დახასიათება ხეობის შიგნით ვერტიკალური ზონალობის საინტერესო სურათსაც იძლევა, რაზედაც ვახუშტი ყურადღებას ამახვილებდა<sup>7</sup>.

ამ დახასიათებებით ჩანს, რომ მთაგორიანობისა და მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობის მიუხედავად, ლიგანის ხეობა მეურნეობრივი თვალსაზრისით მაინც განვითარებულია. ეთნოგრაფიული შესწავლითაც ირკვევა, რომ აქ ისტორიულად იყო დანიანურებული მიწათმოქმედება, მევენახეობა, მეხილეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, ხელოსნობა. როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ვერტიკალურმა ზონალობამ თავისი დაღი დაასვა არა მარტო მეურნეობის ჩამოთვლილი დარგების განვითარებას, არამედ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა დაგეგმარება-განვითარებასაც, საერთოდ, მატერიალური და სულიერი კულტურის ელემენტების ჩამოყალიბებას.

ხეობების ამ თვალსაზრისით შესწავლას დიდი ადგილი ეთმობა ქართველ ისტორიკოსთა (ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი და სხვ.), ეთნოგრაფთა (გ. ჩიტაია, ს. მაკალათია, მ. გუგუშიძე, ნ. კახიძე და ა. შ.), ისტორიული გეოგრაფიისა და სხვა დარგის მეცნიერთა ნაშრომებში.

ხეობა განიხილება, როგორც კონკრეტული ბუნებრივი გარემო, რომელშიც ადამიანი ისტორიულად ეწევა სამეურნეო ცხოვრებას და ყალიბდება მისი სამეურნეო ყოფა. ხეობათა ისტორიულ განვითარე-

<sup>5</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 135.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> იქვე.

ბაზე ერთ-ერთ განმსაზღვრელ როლს თამაშობს სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის ფაქტორები.<sup>8</sup>

ზემოთ დასახელებული პრობლემებიდან გამომდინარე, ისტორიული და ეთნოგრაფიული მონაცემების ფონზე ნაშრომში შესწავლილია ლიგანის ხეობის სამეურნეო ყოფა (მემინდვრეობა, მევენახეობა-მეხილეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა), ხელოსნობა და შინამრეწველობა (მჭედლობა, ხის დამუშავება, ნავმშენებლობა, კერამიკული წარმოება, ფეიქრობა), მატერიალური კულტურა (საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, დასახლების ფორმები, ტანსაცმელი და ჩაცმულობა, ხალხური სამზარეულო), სულიერი კულტურის საკითხები (ხალხური დღესასწაულები, გართობა-თამაშობანი და ა. შ.). დაკვირვებებისა და შესწავლის სფეროში მოექცა მეურნეობის ცალკეულ დარგებში შემუშავებული ემპირიული სანარმოო ცოდნა-ჩვევები, მატერიალური და სულიერი კულტურის ამსახველი მომენტები.

ნაშრომი ძირითადად დაფუძნებულია უშუალოდ ჩვენ მიერ მოპოვებულ ეთნოგრაფიულ მასალებზე, რომლებიც, როგორც აღინიშნა, შეიკრიბა ლიგანის ხეობის ორივე ნაწილის სოფლებში. მხედველობაშია ხეობის ძველი ისტორიული საზღვრები. საქართველოს საზღვრებში შემავალი სოფლებია: ქვემო მარადიდი, მირვეთი, კირნათი, გვარა, მაჭახლისპირი. მარადიდი, კირნათი და გვარა ამჟამად კირნათის თემის ტერიტორიაში შედის, მირვეთი და მაჭახლისპირი კი აჭარისწყლის თემის ტერიტორიაშია. აქვეა სასაზღვრო ზონის სოფელი ოღლაური, რომლის მოსახლეობაც (18 კომლი) 1945 წლის ზაფხულში აჭარის სხვა რაიონებში იქნა ჩასახლებული. თურქეთის სახელმწიფო საზღვრებში მოქცეული ლიგანის ხეობიდან მასალები შეიკრიბა შემდეგ სოფლებში: ზემო მარადიდი, ხება, ქლასკური, სანათისი, პეტრული, ბაშქოი და ა. შ. საველე-ეთნოგრაფიული მასალების შეკრებისას ვხელმძღვანელობდით კომპლექსურ-

<sup>8</sup> მ. გუგუშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1961, გვ. 147; ნ. კახიძე, მაჭახლის ხეობა, ბათუმი, 1974, გვ. 5.



ინტენსიური მეთოდის მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელმა გ. ჩიტაიამ შეიმუშავა<sup>9</sup>.

საველე-ეთნოგრაფიული მასალების გარდა ნაშრომში გამოყენებულია ისტორიული და ეთნოგრაფიული ლიტერატურის, ქართული და უცხოური პრესის მონაცემები, აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დაცული მასალები, სხვადასხვა წერილობითი წყაროები. დღეისათვის წერილობითი წყაროს მნიშვნელობას იძენს მოგზაურთა ჩანაწერები. უძველესი წერილობითი ცნობები ხეობაზე გვხვდება „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში, სადაც ლიგანის ხეობა ნიგალის ხევის სახელწოდებით იხსენიება<sup>10</sup>.

შუა საუკუნეების ქართულ წერილობითი წყაროებიდან აღსანიშნავია XII-XVII საუკუნეებში შედგენილი „ტბეთის სულთა მატიანე“, რომელიც საინტერესო ცნობებს შეიცავს ხეობის ისტორიული გეოგრაფიის, საგვარეულოთა ისტორიისა და ონომასტიკის შესახებ. ამ მონაცემებით ჩვენ საშუალება გვქვდა აღვადგინოთ ლიგანის ხეობის საზღვარგარეთულ ნაწილში მოქცეული ზოგიერთი უძველესი სოფლის თავდაპირველი სახელწოდება, აგრეთვე გვარ-სახელები<sup>11</sup>.

ლიგანის ხეობის შესახებ მეტად მნიშვნელოვანია ვახუშტი ბატონიშვილის ცნობები. პირველად სწორედ მან მოგვცა ხეობის საინტერესო მეცნიერული დახასიათება<sup>12</sup>. ლიგანის ხეობა წერილობით წყაროებში სხვადასხვა სახელწოდებით იხსენიება (ნიგალი, ლიგანი, ლივანა). ჩვენ ლიგანის სახელწოდებას ვხმარობთ, როგორც მას ვახუშტი მოიხსენიებდა.

<sup>9</sup> გ. ჩიტაია, ქართული ეთნოლოგია, მიმომხილველი, ტ. I, ტფ., 1926; მისივე ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა (წინასწარი ანგარიში), მიმომხილველი, ტ. I, თბ., 1949.

<sup>10</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი შეადგინა, გამოკვლევები და შენიშვნები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. I, თბ., 1955, გვ. 38, 351, 377, 378.

<sup>11</sup> ტბეთის სულთა მატიანე, გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1977.

<sup>12</sup> ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 135.

ლიგანის შესახებ არსებული წერილობითი წყაროებიდან ცალკე უნდა გამოვყოთ გ. ყაზბეგის ცნობები. იგი პირველი იყო, ვინც 1874 წელს ფეხით შემოიარა ოსმალთაგან მიტაცებული ზემო აჭარა, ჭოროხის მხარის სხვა ისტორიული რაიონები. თავის ნაშრომში ავტორმა ზემო აჭარის, შავშეთ-იმერხევის, არტანუჯისა და ლაზეთის აღწერილობაც მოგვცა<sup>13</sup>.

ლიგანის ხეობა მრავალმხრივადაა დახასიათებული დ. ბაქრაძის ნაშრომში „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“<sup>14</sup>.

აღსანიშნავია, რომ დედასაქართველოსთან აჭარისა და ლიგანის ხეობის დაბრუნების შემდეგდროინდელ მოგზაურ-მკვლევართაგან ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების სიუხვით გამოირჩევა ზ. ჭიჭინაძის ნაშრომები. მან უდიდესი ამაგი დასდო არა მარტო ლიგანის ხეობის, არამედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეების შესწავლას, პირადად გაეცნო მოსახლეობას და მათგან შეკრიბა ძვირფასი ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები. პირველ რიგში იგი დიდ დაინტერესებას იჩენდა მოსახლეობის ისტორიული წარსულისადმი. მისი შრომები შეიცავს მდიდარ ონომასტიკურ მონაცემებს, რომლებიც ძირძველი ქართული წარმომავლობისაა. ამ სახის ტოპონიმები და გვარ-სახელების დიდი ნაწილი დღეს თურქულით შეიცვალა. ზ. ჭიჭინაძის ცნობები ამ მხრივაც განსაკუთრებულ შეფასებას იმსახურებს. ჩამოთვლილ საკითხებს მისი მრავალი საგაზეთო სტატია და ცალკეული ნაშრომები ეძღვნება<sup>15</sup>.

<sup>13</sup> გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995, გვ. 98-116.

<sup>14</sup> დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987, გვ. 40-42.

<sup>15</sup> ზ. ჭიჭინაძე, მარადიდში სახალხო სკოლების გამართვის შესახებ, გაზ. „ივერია“, 1893, 126; მისივე: წერილი ლივანადან, დევსქელის ხეობის სოფლებში ჯამეების არსებობის შესახებ, გაზ. „ივერია“, 1893, 166; წერილი მურღულიდან, გაზ. „ივერია“, 1893, 171-172; ლივანის გათათრება, გაზ. „ევალი“, 1895, 139; ართვინის კლარჯეთამდის გათათრება, ტფ., 1897; საქართველოს დაკარგული სოფლები და ქართველთ კათოლიკენი, ტფ., 1904; ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში, ტფ., 1913; ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსლიმან



ლიგანის ხეობაზე ასევე მრავალმხრივ ცნობებს შეიცავს ივ. ჯაიანის პუბლიცისტური წერილები, რომლებიც XIX ს. 90-იან წლებში იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიაში“. წერილები ცალკე ნიგნადაც გამოქვეყნდა<sup>16</sup>. იგი ბორჩხაში მსახურობდა. დიდი ინტერესით აკვირდებოდა და სწავლობდა იქაურთა ყოფასა და კულტურას, ისტორიას, ეკონომიკურ მდგომარეობას.

ლიგანის ხეობის ისტორიული წარსულის შესასწავლად ფასდაუდებელია ე. თაყაიშვილის ნაშრომები, რომელთა შორის, პირველ რიგში, „სამუსლიმანო საქართველო“<sup>17</sup> უნდა დავასახელოთ. ნაშრომში მიმოხილულია ლიგანის ხეობის ტერიტორიული საზღვრები, სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობა, მდ. ქოროხის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი და სხვა.

საკვლევო რეგიონის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვანდის ი. გოგებაშვილი თავის პუბლიცისტურ ნაშრომში „საქართველო და მისი ნანილები.“<sup>18</sup>

ლიგანის ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის საქმეში აღსანიშნავია აჭარის სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელთა წვლილი. ამავე მუზეუმის ფონდში დაცულია შ. აბაშიძის, თ. ჩიქოვანისა და ჭ. ნიკოლაშვილის ხელნაწერები, რომელშიც განხილულია ხეობის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის სხვადასხვა ასპექტი.<sup>19</sup>

ქართველთა საქართველოსი, ტფ., 1911; მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1913; ქართველთა გამაჰმადიანება ანუ ქართველთა გათათრება, თბ., 1910 და სხვა.

<sup>16</sup> ივ. ჯაიანი, წერილები შავშეთიდან (პუბლიცისტური მემკვიდრეობა), თბ., 1991.

<sup>17</sup> ე. თაყაიშვილი, სამუსლიმანო საქართველო – ემიგრანტული ლიტერატურა, დაბრუნება, I, გ. შარაძის საერთო რედაქციით, თბ., 1991, გვ. 197-228.

<sup>18</sup> ი. გოგებაშვილი, საგანძური (პუბლიცისტური წერილები), თბ., 1982, გვ. 292-294.

<sup>19</sup> შ. აბაშიძე, მარადიდისა და მაჭახლის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალები, აჭარის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, 1948, 355: თ. ჩიქოვანი,

ლიგანის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლები (ქვის თალიანი ხიდები) დახასიათებულია ნ. კვეზერელი-კოპაძის ნაშრომში მას ძველ ქართულ და რუსულ წერილობით წყაროებში დაცული ცნობების საფუძველზე აღწერილი აქვს დევსქელის, მურლულის, ქლასკურის, ჩხალის, ბელღევანის ქვის თალიანი ხიდები<sup>20</sup>.

ლიგანის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხებია განხილული ი. სიხარულიძის ნაშრომებში. მათში დახასიათებულია ხეობის ტერიტორიული გავრცელების საზღვრები, ტოპონიმიკური მონაცემები, მატერიალური კულტურის ძეგლები, მცხოვრებთა რაოდენობა.<sup>21</sup>

უახლოეს პერიოდში ისტორიული საქართველოს ძირძველი მხარეებისა და მათ შორის ლიგანის ხეობის საზღვარგარეთული ნაწილის სოფლებში ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების შეგროვებას დიდი წვლილი დასდო პროფ. შ. ფუტკარაძემ.<sup>22</sup> ამ მასალების ნაწილი გამოყენებულია წინამდებარე ნაშრომშიც.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ლიგანის ხეობის ყოფისა და კულტურის სხვადასხვა საკითხებზე საინტერესო ცნობებია დაცული XIX ს. მეორე ნახევრის ქართულ გაზეთებსა („დროება“, „კვალი“, „ივერია“)<sup>23</sup> და ჟურნალებში („მეურნე“).<sup>24</sup>

გაზეთ „დროების“ 1879 წლის ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილია ს. ბავრელის წერილი, რომელშიც მოკლედ აღწერილია ქ. ართვინი,

---

ჭ. ნიკოლაშვილი, ჭოროხზე ნაოსნობის ისტორიიდან, აჭარის სახ. მუზეუმის შრომები, ტ. III, ბათუმი, 1958, გვ. 69-85.

<sup>20</sup> ნ. კვეზერელი-კოპაძე, საქართველოს ძველი ხიდები, თბ., 1972, გვ. 122, 129, 133, 138.

<sup>21</sup> ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, ნიგნი I, ბათუმი, 1958; მისივე, ნიგალი, ბათუმი, 1985.

<sup>22</sup> შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993, გვ. 296-332.

<sup>23</sup> გაზ. „დროება“, 79, 257:1884, 260: გაზ. „ივერია“, 1886, 52; 194, 234; გაზ. „კვალი“, 1896, 44.

<sup>24</sup> ბ. კოვალევსკი, მებაღეობა ართვინის ოლქში, ჟურ. „მეურნე“, 1888, 38; 1895, 4, 6.



მდინარე ჭოროხზე ნაოსნობა, მატერიალური კულტურის ძეგლები.<sup>25</sup> ამავე გაზეთში დაბეჭდილია გ. ნერეთელის ნერილი, რომელიც შეეხება ლიგანის მახრასში 1879 წლის არეულობას და მის გამომწვევ მიზეზებს.<sup>26</sup>

ლიგანის ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულის სხვადასხვა მხარეს ეხება პ. უმიკაშვილი. იგი მიმოიხილავს ართვინის დასახლებას, მოსახლეობას, ვაჭრობის საკითხებს.<sup>27</sup>

ლიგანის ხეობის ისტორიულ წარსულზე არაერთი მნიშვნელოვანი ცნობაა დაცული თურქულ, რუსულ და სომხურ ნერილობით წყაროებში. თურქ ავტორთაგან საყურადღებოა XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსის იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები, სადაც ლიგანი დივანად არის მოხსენიებული.<sup>28</sup> ლიგანის ხეობა ლივანედ და მცირე ლივანად მოიხსენიება ამავე პერიოდის მეორე თურქი ისტორიკოსის ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნში.<sup>29</sup>

საინტერესო ცნობებს ვკითხულობთ უახლოესი პერიოდის თურქულ ლიტერატურაშიც. ერთ-ერთი მათგანია ოზან მიქაილ ბახჩეჯის წიგნი ართვინის ისტორიის შესახებ.<sup>30</sup>

თანამედროვე ართვინის ვილაიეთის ისტორია, ტოპონიმიკა (რომელთა შორის დიდა ქართული ტოპონიმების ხვედრითი წილი) და სულიერი კულტურის სხვადასხვა საკითხი განხილულია ფ. თორუნის ნაშრომში.<sup>31</sup> ართვინის, ბორჩხის, მურღულის ხეობების ისტორიის, გეოგრაფიული პირობების, მატერიალური კულტურის ძეგლთა მოკ-

<sup>25</sup> ს. ბაგრატი, არტაანიდან ართვინამდე, გაზ. „დროება“, 1879, 29.

<sup>26</sup> გ. ნერეთელი, არეულობის მიზეზები აჭარასა და ლივანაში გურიელის ჯარის შესვლის გამო, გაზ. „დროება“, 1879, 24.


<sup>27</sup> პ. უმიკაშვილი, ოსმალის საქართველო, გაზ. „ივერია“, 1877, 21.

<sup>28</sup> იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართულად თარგმნა და გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიაშ, თბ., 1964, გვ. 102.

<sup>29</sup> ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, თარგმნა თურქულიდან, კომენტარები და გამოკვლევები დაურთო გ. ფუთურიძემ, ტ. 1, თბ., 1971, გვ. 2.

<sup>30</sup> M. Bahçeci, Artvin tarihi olçulari, Bursa, 1999.

<sup>31</sup> F. Torun, Artvin. izmiti, 1998.





ლე აღწერილობას შესაბამისი ფოტოილუსტრაციებით ვპოულობთ ართვინის ვილაიეთისადმი მიძღვნილ ნაშრომში.<sup>32</sup> ისტორიული ნარსულის, გეოგრაფიის, ტანსაცმლისა და ჩაცმულობის, ხალხური დღესასწაულებისა და ნეს-ჩვეულებების, მუსიკალური კულტურის შესახებ ცნობებს იძლევა მეორე თურქი ავტორი ე. აიზი.<sup>33</sup>

XX საუკუნის 90-იან წლებში მურლულის ხეობის სოფლებში იმოგზაურა ქ. ერზრუმის ათათურქის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ თანამშრომელმა ს. კოდაიმ. მან გამოაქვეყნა საინტერესო ნაშრომი, სადაც მოცემულია მურლულის ხეობის გეოგრაფიული დახასიათება, მოსახლეობა, მეურნეობა.<sup>34</sup>

ლიგანის ხეობის ისტორიის, ხალხური დღესასწაულების, მატერიალური კულტურის ძეგლების, სულიერი კულტურის ამა თუ იმ მხარეს ასახავს სხვა თურქულ ჟურნალებში დაბეჭდილი პუბლიკაციებიც.<sup>35</sup>

ადრინდელი უცხოური წერილობითი წყაროებიდან ლიგანის შესახებ ცნობებს ვხდებით VII საუკუნის „სომხურ გეოგრაფიაში“.<sup>36</sup>

ლიგანისა და მურლულის ხეობების გეოგრაფიულ პირობებზე, ხელოსნობაზე, ნავმშენებლობასა და ნაოსნობაზე ასევე საინტერესო მასალებია მოტანილი ჟან მურიეს ნაშრომში „ბათუმი და ჭოროხის აუზი“<sup>37</sup> და ტრაპიზონში ინგლისელი კონსულის ჯიფორდ პალგრევის 1967-1968 და 1872 წლების ანგარიშებში. ლაზისტანის სხვა კუთხეებთან ერთად იგი მოკლედ აღწერს ლიგანის ხეობის ეკონომიკურ მდგომარეობას, ხეობის სავაჭრო-ადმინისტრაციულ ცენტრებს.<sup>38</sup>

<sup>32</sup> Artvin, Ankara, 2000.

<sup>33</sup> E. Ayaz, Artvin ili halk oyunlari. Istanbul, 1998.

<sup>34</sup> S. Koday, Murğul çayı havzasinin Geografyasi, Erzurum, 2000.

<sup>35</sup> K. Koroğly, Kafkasöre Yolculuk, – ჟურ. Livane, Istanbul, 1997, 5. გვ. 4; მისივე, Borçka vadisi ve köprüleri. Istanbul, 1998, 11-12, გვ. 10.

<sup>36</sup> ი. სიხარულიძე, ნიგალი, ბათუმი, 1985, გვ. 76.

<sup>37</sup> ჟან მურიე, ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათუმი, 1962, გვ. 13-45.

<sup>38</sup> Отчет консула В. Джифорда Пальгрева за 1867-68 гг. – Материалы для описания Азиатской Турции и Батумской области – ИКОИРГО, Т. XII, 2. 1882-1883; მისივე, Отчет консула Пальгрева за лето 1872 года о береге Лазистана. - ИКОИРГО, Т. VII,

ლივანის ხეობის შესახებ მდიდარი ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სხვა სახის მასალები გვხვდება რუს მოგზაურ-მკვლევართა ნაშრომებში, რომლებმაც სხვადასხვა დროს იმოგზაურეს ჭოროხის მხარეში. ამათგან განსაკუთრებით გამორჩეულია ე. ვეიდენბაუმის,<sup>39</sup> ა. ფრენკელისა და ვ. ლისოვსკის<sup>40</sup> გამოკვლევები.

ლაზისტანის სანჯაყში შემავალი ყაზების და მათ შორის ლივანის ყაზის მოსახლეობის რაოდენობაზე, ეთნიკურ შემადგენლობაზე მნიშვნელოვან სტატისტიკურ მონაცემებს შეიცავს 1873 წელს გამოქვეყნებული სტატია „შენიშვნები ბათუმზე“.<sup>41</sup> ხეობის მოსახლეობის სამეურნეო ყოფას შესანიშნავად აგვიწერს ნ. ნორკინი.<sup>42</sup> ასევე საინტერესოა ართვინის სასნაელებლის ზედამხედველის მიერ შედგენილი ნაშრომი „ართვინი და ართვინის ოლქი“ (რუსულ ენაზე),<sup>43</sup> რუსი ოფიცრის პ. იურჩენკოს მოგზაურობის ჩანაწერებში.<sup>44</sup>

ქალაქ ართვინში დანყბითი სკოლის გახსნასთან დაკავშირებულ პრობლემებზე საუბარი გაზეთში „Новое обозрение“.<sup>45</sup>

ქალაქ ბორჩხასა და ართვინის დასახლების სტრუქტურის, მოსახლეობის საქმიანობისა და ვაჭრობის შესახებ საყურადღებო მონაცემებს ვხვდებით აგრეთვე სხვა რუსულ გაზეთებში.<sup>46</sup>

2. 1882-1883, с. 56-57; ვ. პალგრევი, აზიის თურქეთისა და ბათუმის ოლქის აღწერის მასალები, თარგმანი რ. სურმანიძისა, 1972, აჭარის სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა ფონდი, 588.

<sup>39</sup> Е. Вейденбаум, Кавказские этюды, Тифл., 1901, с. 116-135.

<sup>40</sup> А. Френкель, Очерки Чурук-су и Батума, Тифл., 1879, с. 95-129; В. Я. Лисовский, Чорохский край, Тифл., 1887.

<sup>41</sup> Заметка о Батуми, ИКОИРГО, Т. II, 1873, 3. с.103-114.

<sup>42</sup> Н. Норкин, Артвин и его окрестности, „Русские субтропики“, Тифл., 1912, 5. С. 257-265.

<sup>43</sup> Н. Е. Сольнышкин, Артвин и Артавинский округ, Тифл., 1912.

<sup>44</sup> П. Юрченко, Заметки о поездке по ущельям рек чорох-су до Артвина и Мургулис-су до Нижней Кури в Батумской области, г.з. „Кавказ“, 1881, 206, 215, 216, 217, 220, 222, 224, 231, 232.

<sup>45</sup> „Новое обозрение“ – 1895, 441.

<sup>46</sup> От Батума до Артвина, г.з. „Кавказ“, 1884, 228; Справочник Литературный сборник, Тифл., 1903, Ч. I, Отд. 111, с. 27-30.



ამრიგად, ლიგანის ხეობამ ისე როგორც საერთოდ ჭოროხის მხარემ, უძველესი დროიდანვე მიიპყრო ქართველ და უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა ყურადღება. ისინი მეტ-ნაკლები სისრულით აშუქებდნენ ხეობის ისტორიის, ყოფისა და კულტურის საკითხებს. ეს მონაცემები ჩვენ მიერ 1998-2000 წლებში შეკრებილ საველე-ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად მნიშვნელოვნად ავსებს საკვლევი ხეობისა და მთლიანად ჭოროხის მხარის ქართველი მოსახლეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულის ისტორიას.

ჩამოთვლილი წერილობითი წყაროების, ისტორიული, ეთნოგრაფიული და სხვა ლიტერატურის, ძირითადად კი საველე-ეთნოგრაფიული მასალების ანალიზის საფუძველზე, წინამდებარე ნაშრომი ლიგანის ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის პირველი ცდაა. ამ თვალსაზრისით დღემდე თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში მოქცეული არც ერთი ქართული კუთხე, ხეობა შესწავლილი არ არის.


ლიგანის ხეობა მდებარეობს მდ. ჭოროხის ქვემო დინებაში. ლიგანის ხეობაზე გადიოდა სახმელეთო და ჭოროხის სამდინარო გზები, რომლითაც ანტიკურ ხანაში და უფრო ადრე ისტორიული შავშეთ-ტაო-კლარჯეთის მხარეები შავიზღვისპირა რაიონებს უკავშირდებოდა.

პირველი წერილობითი ცნობა ლიგანის ხეობის გეოგრაფიული საზღვრების შესახებ გვხვდება ვახუშტის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. მისი დახასიათებით ლიგანის ხეობა ისტორიულად მოიცავდა ჭოროხის ხეობის იმიერსა და ამიერს ართვინის სანახებიდან ერგემდე<sup>47</sup>.

ლიგანის საზღვრებს ეხება ინგლისის კონსული ტრაპიზონში ჯიფორდ პალგრევი. მისი თქმით, ლივანა ტრაპიზონის ვილაიეთის ერთი საუკეთესო, მდიდარი და ნაყოფიერი რაიონი იყო, რომელიც ჭოროხის ორივე მხარის ჩათვლით გადაჭიმული იყო სიგრძით 80 და სიგანით 35

<sup>47</sup> ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 136.

# ლივანი (ნივალთი) Livane



## პირობითი ნიშნები (BAZI İŞARETLER)

- ☐ ნაწმარითული სამლოცველო (Tapınaklar)
- Ⓜ ციხე (Kale)
- ☾ ჰესოალიანი ხედი (Köprü)
- დასასტუმრებელი პუნქტი (Yerleşim alanı)



მიღზე. მის საეაჭრო და ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა ლივანა ანუ ართვინი.<sup>48</sup>

გ. ყაზბეგი, რომელმაც ჭოროხის მხარეში ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის დროს (1874 წელი) იმოგზაურა, წერდა, რომ ლივანა ინყებოდა მდ. ჩაირსუდან, რომელიც ჭოროხს მარცხნიდან ერთვოდა ბორჩხასთან და მას ლაზეთისაგან ყოფდა<sup>49</sup>. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ლივანა მარადიდიდან ინყებოდა და კლარჯეთამდე აღწევდა<sup>50</sup>.

ხეობის ტერიტორიული საზღვრების გამიჯვნასთან დაკავშირებით საყურადღებოა ე. თაყაიშვილის აზრი. მისი დახასიათებით. ლივანი განცალკევებული ხევი არ ყოფილა. იგი მოიცავდა დაახლოებით ყოფილი ართვინის ოლქის ტერიტორიას მდინარე ჭოროხის ორივე ნაპირით სოფელ ერგემდე.<sup>51</sup> ცოტათი ადრე ლივანის შესახებ თავისი აზრი გამოთქვა დ. ბაქრაძემ. იგი წერდა: „ლივანის სახელით ცნობილია ხეობა მდინარეების ჭოროხისა და აჭარისწყლის შესართავიდან ისპირის საზღვრამდე“.<sup>52</sup> როგორც ჩანს, ამ მონაცემებით სარგებლობდა ზ. ჭიჭინაძე, როდესაც წერდა: „ლივანი ძველად ინყებოდა აჭარისწყლის შესართავიდან და ართვინამდე მიემართებოდა“.<sup>53</sup>

ი. სიხარულიძე ლივანს თითქმის მთლიანად ჭოროხის ქვემო დინების ნაწილად განიხილავს და დ. ბაქრაძის ცნობაზე დაყრდნობით. ლივანის ხეობის ჩრდილოეთ-დასავლეთის უკიდურეს საზღვრად მდ. ჭოროხისა და აჭარისწყლის შესართავს ასახელებს.<sup>54</sup>

<sup>48</sup> ე. ჯ. პალგრევი, აზიის თურქეთისა და ბათუმის ოლქის აღწერის მასალები, თარგმანი რ. სურმანიძისა, 1972, აჭარის სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა ფონდი, 588, გვ. 10.

<sup>49</sup> გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 121.

<sup>50</sup> ზ. ჭიჭინაძე, მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1913, გვ. 140.

<sup>51</sup> ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.

<sup>52</sup> დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

<sup>53</sup> ზ. ჭიჭინაძე, ქართველთა გამაჰმადიანება ანუ ქართველთა გათათრება, თბ., 1910, გვ. 5.

<sup>54</sup> ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმოვთა, ნიგნი I, ბათუმი, 1958, გვ. 29.



ლიგანის ხეობის სხვადასხვა მიმართებით დახასიათებას იძლევა პ. ინგოროყვა, იგი ხეობის ტერიტორიულ საზღვრებსაც ეხება და წერს, რომ თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით ხეობა მოიცავს თურქეთის სახელმწიფოში მოქცეული ბორჩხის რაიონის აღმოსავლეთ და ართვინის რაიონის დასავლეთ ნაწილს. ამავე დროს, პ. ინგოროყვა ლიგანის ხეობას მთლიანად თურქეთის საზღვრებში განიხილავს<sup>55</sup>, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. მისი ნაწილი, ქვემო მარადიდისა და სხვა სოფლების ჩათვლით, 1921 წლიდან კვლავ საქართველოში დარჩა და ამჟამინდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ხელვაჩაურის რაიონში შედის.

როგორც ვნახეთ, ისტორიულ წყაროებსა და მოგზაურ-მკვლევართა ჩანაწერებში დაცული ცნობები ლიგანის ხეობის ტერიტორიული საზღვრების შესახებ, ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთს ემთხვევა. ამ ცნობების ანალიზის მიხედვით მართლაც ირკვევა, რომ ლიგანის ხეობა, რომელიც გეოგრაფიულად მდებარეობდა ჭოროხის ხეობის ქვემონელზე, მოიცავდა განსაზღვრულ ტერიტორიას მდინარის ორივე მხარეზე, ართვინის სანახებიდან, ვიდრე სოფელ ერგემდე. თუმცა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, განსხვავებულ ცნობებს შეიცავს დ. ბაქრაძის, ზ. ჭიჭინაძისა და მასზე დაყრდნობით ი. სიხარულიძის ცნობები, რომლითაც ლიგანის ხეობის საზღვარი ჩრდილო-დასავლეთით ჭოროხისა და აჭარისწყლის მდინარეთა შესართავამდე (სოფ. აჭარისწყალთან) აღწევდა, რაც ეთნოგრაფიული მონაცემებითაც დასტურდება.

ლიგანის ხეობა, ისე როგორც ჭოროხის აუზში შემავალი სხვა სოფლები, მთიან ხეობათა რიცხვს განეკუთვნება. ამაზე მკვეთრი გავლენა სწორედ ბუნებრივ-გეოგრაფიულმა პირობებმა იქონია. მისი ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მთებს უკავია, რომლის შემადგენლობაში შედის მრავალი მეზოფორმული ხეობებით დასერილი მთათა სისტემები, რომლებიც დახრილობის გამო ციცაბო ფერდობებით ხასიათდებიან.

<sup>55</sup> პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 300.

ხეობის უდიდესი მდინარეა ჭოროხი. მდინარის სიგრძე 438 კილომეტრია, აქედან საქართველოს საზღვრებში 21 კმ. მოედინება<sup>56</sup>.

მდინარე ჭოროხი ლიგანის ხეობის ტერიტორიაზე შეიცავს მნიშვნელოვან ენერგეტიკულ რესურსებს. 1999 წელს ჭოროხის ამ მონაკვეთზე ჩაეყარა საფუძველი ართვინის, ბორჩხისა და ხებას ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას. ამათგან მსოფლიოში არსებულ კაშხლებთან შედარებით ერთ-ერთი უდიდესი იქნება დერინერის კაშხალი ქ. ართვინთან. კაშხლის სიმაღლე 247 მ-ია<sup>57</sup>. მასზე აგებული დერინერის ჰიდროელექტროსადგური მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს თურქეთის რესპუბლიკის ენერგეტიკის განვითარებაში.

ხეობაში ძირითადად ჭარბობს მთის ნიადაგები. თიხნარი მიწით გამოირჩევა ბორჩხის მხარე, რამაც ხელი შეუწყო მეთუნეობის წარმოშობა-განვითარებას.

ხეობა მდიდარია ნიალისუღლით. აქ გვხვდება სხვადასხვა სახის მადნეული: ტყვია, ვერცხლი, თუთია (ცინკი), ოქროს ქვიშრობი (სოფ. ცრიასა და ბერთას წყლის სანაპიროზე)<sup>58</sup>. რეგიონი განსაკუთრებით გამოირჩევა სპილენძის მადნების სიუხვით, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ჭოროხის აუზში სპილენძ-ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიული წარმოების ჩასახვა-განვითარებას<sup>59</sup>. ხეობა გამოირჩევა

<sup>56</sup> ნ. ნიქარაძე, ნ. ჯიბუტი, აჭარის ასსრ. ბათუმი, 1957, გვ. 43.

<sup>57</sup> I. Adiloğlu, Artvin ilinde hidroelektrik enerji potansiyeli – ჟურ. Atabari, 1, 1997, გვ. 9; Artvin, Ankara, 2000, გვ. 35

<sup>58</sup> ჟურ. „მეურნე“, 1895, 4, 6.

<sup>59</sup> Л. Ф. Бацевич, Геологическое описание Батумского и Артавинского округов; – Материалы для геологии Кавказа, Серия I. Кн. 12. Тифл., 1887, с. 96-106; Минеральные ресурсы ССР Грузия, Тифл., 1933, с. 543-549; А. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, – ИГАИМК. Вып. 120. М-Л; 1935, с. 44-46; Г. А. Мелкишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 153. ნ. კახიძე, სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან ჭოროხის აუზში და მოსახლეობის სანარმოო და საზოგადოებრივი ყოფის ზოგიერთი საკითხი, – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, XVI, თბ., 1987; მ. სიორიძე, სამთო-მეტალურგიული მრეწველობა სამხრეთ-დასავლეთ საქარ-



აგრეთვე მინერალური სამკურნალო წყლებით, რომელთაგან მნიშვნელოვანია ოთინჯოს აბანო. აბანო სასარგებლო რეკონსტრუქციით დაავადებულთათვის<sup>60</sup>. მისი აღმოჩენა თამარ მეფის სახელს უკავშირდება. ოსმალთა მფლობელობის დროს ეს აბანო ჩაუქოლავთ, შემდეგ ახმედ ხალვაშს აღუდგენია<sup>61</sup> და დღესაც მოქმედებს. ცხელი სამკურნალო მინერალური წყალი არსებობდა ქ. ართვინთან ახლოს და მჟავე წყალი სოფ. ზემო მარადიდში<sup>62</sup>.

ამრიგად, გეოგრაფიულად ლიგანი მთიან ხეობათა რიცხვს განეკუთვნება. მისთვის დამახასიათებელია მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა, რაც თავისებურ ზეგავლენას ახდენდა მოსახლეობის განსახლებაზე, მეურნეობის დარგების განვითარებაზე, მცენარეული საფარის მრავალფეროვნებაზე.

თველოში და უცხოური კაპიტალი (1878-1912 წწ.), აჭარის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, VII, ბათუმი, 1987.

<sup>60</sup> გაზ. „დროება“, 1884, 167.

<sup>61</sup> ივ. ჯაიანი, ნერილები შავშეთიდან, თბ., 1991, გვ. 15.

<sup>62</sup> გაზ. „დროება“, 1884, 167.



## ლიგანის ხეობის ისტორიული დახასიათება

### § 1. ლიგანის ხეობა წერილობითი წყაროებისა და ისტორიული ლიტერატურის მონაცემების ფონზე

ლიგანის ხეობა ისტორიულად შედიოდა კლარჯეთის პროვინციაში, რომელიც შავშეთ-იმერხევთან ერთად თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით განსაკუთრებულ როლს ასრულებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, ქოროხის აუზის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ლიგანი წარმოადგენდა ევროპულ და აზიურ ცივილიზაციათა ურთიერთობის ერთ-ერთ მთავარ რგოლს. ხეობაზე გამავალი გზით ისტორიული ტაო-კლარჯეთის ცალკეული კუთხეები უკავშირდებოდნენ აჭარას, შავიზღვისპირეთსა და კოლხური სამყაროს სხვა რაიონებს. სწორედ ტაო-კლარჯეთში, რომლის ორგანული ნაწილი ლიგანის ხეობაც იყო, დაირწა ქართული განათლებისა და კულტურის, საქართველოს გაერთიანების, ბაგრატიონთა საგვარეულო დინასტიისა და ერის კონსოლიდაციის აკვანი.

ამის გამო ლიგანის ხეობა უძველესი დროიდანვე იქცეოდა ქართველ და უცხოელ მოგზაურ მკვლევართა ყურადღებას. სწორედ მათმა ნაშრომებმა შემოგვინახა მრავალმხრივ საინტერესო ცნობები ლიგანის სახელოვან ისტორიულ წარსულზე.

ლიგანის ხეობაში ქრისტიანობის ქადაგება ანდრია პირველწოდებულის სახელს უკავშირდება, რის შესახებაც საინტერესო ცნობებია დაცული „ქართლის ცხოვრების“ იმ ნაწილში, რომელიც ანდრია პირველწოდებულს შეეხება. ანდრია ჯერ ეგრისში მოვიდა ქრისტიანობის გასავრცელებლად, აქედან აჭარისა და ნიგალის გავლით კლარჯეთსა და არტაან-კოლაში გადავიდა. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: ანდრია პირველწოდებული „შევიდა ქვეყანასა ქართლისასა, ნიგლას, კლარჯეთსა და არტაან კოლას, სადა

იგი დაყო უამი ფრიად მრავალნი<sup>1</sup>. აქედან ისიც ირკვევა, რომ ამ პერიოდში ლიგანი ქართლის სამეფოს ნაწილი იყო.

ხეობის შესახებ მეტად საყურადღებო მასალებია დაცული იმ ქართულ წერილობით წყაროებში, რომლებიც საქართველოში მურვან ყრუს გამანადგურებელ შემოსევებს ასახავს. გიორგი მერჩულეს ცნობით, მურვან ყრუს მიერ გავერანებულ მხარეებს ეკუთვნოდა: კლარჯეთი, ტაონი, შავშეთი და „ყოველნი მახლობელნი ქვეყანანი“. პ. ინგოროყვა თვლის, რომ მახლობელ ქვეყნებში სპერი და ლიგანის ხეობა უნდა იგულისხმებოდეს, რომლებიც ჭოროხის აუზში მდებარეობდნენ და ამასთან ერთად, ესაზღვრებოდა კლარჯეთს, ტაოს, შავშეთ-იმერხევის ისტორიულ პროვინციებს<sup>2</sup>.

ლიგანი მურვან ყრუს შემოსევის დროს უშუალოდ წარმოადგენდა თარემის ასპარეზს, რის შესახებაც ქართულ საისტორიო მატრიანებში გვაქვს მითითება. აქ მოხსენიებულია ის გზა, რომელიც მტერმა გაიარა. დასავლეთ საქართველოდან გამობრუნებულმა არაბთა მთავარმა ძალებმა მურვან ყრუს ხელმძღვანელობით „შემოვლო გზა გურიისა და განვლეს სპერიისა“<sup>3</sup>. როგორც, ჩანს, ლაშქარმა გურიიდან ჭოროხის ხეობით, ე. ი. ლიგანის ხეობის გავლით შეაღწია შავშეთ-კლარჯეთში. მემატრიანეს თქმით, არაბთა სამხედრო ლაშქრობის შედეგად ეს რეგიონები ისე განადგურებულა, რომ: „არლარა იპოვებოდა ნაშენები, არც საჭამადი კაცთა და პირუტყვთა ყოვლადვე“<sup>4</sup>.

მამის სიკვდილის შემდეგ საქართველოს განთავისუფლების მოსურნე არაბებისაგან დევნილი აშოტ პირველი იძულებული გახდა ქართლს გასცლოდა და მურვან ყრუსგან აოხრებულ სამხრეთ საქართველოში შეეფარებინა თავი. მან ეს მხარე ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობის ახალ, მძლავრ ცენტრად გა-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება. ტექსტი ყველა ძირითადი ხელნაწერების მიხედვით დაადგინა ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. I, თბ., 1955, გვ. 38.

<sup>2</sup> პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 332.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 238.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 239.

დააქცია. აშოტმა გააერთიანა ქართული „ქვეყნები“ და საფუძველი ჩაუყარა „ქართველთა სამეფოს“, რომელმაც ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა და რომლის ორგანული ნაწილი ლიგანის ხეობაც იყო.

სამსუხაროდ, აშოტ პირველის მკვლელობაში ლიგანელთა ხელიც ფიგურირებდა. ამის შესახებ პ. ინგოროყვა წერდა: „826 წლის 26 იანვარს აშოტ პირველი მოკლულ იქნა ღალატით ნიგალის ხეველთა ერთი ჯგუფის მიერ, რომელიც მოსყიდულნი ყოფილან არაბებისაგან.“<sup>5</sup>

არაბებს, აშოტ პირველის სიკვდილის შემდეგ, მოუხერხებიათ ლიგანის ხეობასა და რიგ სხვა პროვინციებზე ბატონობის აღდგენა<sup>6</sup>. მემატიანის ცნობით: „იყუნეს ხარკის მიმცემელ სარკინოზთა ყოველნი ხევნი, შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალისანი“<sup>7</sup>.

მონღოლთა ბატონობის პერიოდში ლიგანის ხეობა სარგის ჯაყელისა და მისივე ძის ბექას ბატონობის ხანაში ხასინჯუდ გამოცხადებულ სამცხე-საათაბაგოში შედიოდა. ბექას ხელისუფლების დროს მემატიანეს მოთხრობილი აქვს რუმის თურქმანთა ტომების შემოსევის ამბავი ვინმე აზატ მოსეს მეთაურობით. მტრებს უსარგებლიათ მოულოდნელი თავდასხმის უპირატესობით და საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, მურლულისა და ლიგანის ხეობის ჩათვლით, აუკლიათ და გაუძარცვათ. მემატიანეს სიტყვით: „ვაშლოვანთ წარსულნი თურქნი შთავიდეს მურლულსა და ნიგალის ხევს“. მათი ალაგმვა კი ზოგან „უვალთა ადგილთა მოხერხდა“<sup>8</sup>.

ლიგანის ხეობის ისტორიულ წარსულზე საინტერესო მასალებს გვანდის XII-XVII საუკუნეების ქართული ხელნაწერი ძეგლი „ტბეთის სულთა მათიანე“. მათიანეში მოხსენიებულია ბევრი ისეთი გვარი, რომელთა ნაწილი ლიგანის ხეობის სხვადასხვა სოფელში დღემდე

<sup>5</sup> პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 251.

<sup>6</sup> დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1980, გვ. 76.

<sup>7</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 378.

<sup>8</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1982, გვ. 141.

შემორჩა. ასეთებია: კახაბერიძე, რასტაკანიძე, ჭანიძე, გორგოშაძე, ნითელაძე (მატიანისეული „ნითელაეთ“)<sup>9</sup>. ჩამოთვლილი გვარები ლიგანის ხეობის გარეთაც სახლობენ.

მატიანისეული გვარი შუშანისძე უნდა დადებოდა საფუძვლად ლიგანის ხეობის სოფ. კირნათის ერთ-ერთ უბნის შუშანეთის სახელწოდებას<sup>10</sup>.

მატიანეში ლიგანის ხეობაში შემავალი სოფლის სახელწოდებებიც გვხვდება, კომლებიც გვარ-სახელებთან ერთად და ცალკეც იკითხება შემწირველთა სადაურობის მანიშნებელ ტექსტში. მაგ., მატიანეში, მაგ. ვკითხულობთ: კილნათელი თათანასძე, მიქაელ ოლლაურელი, ვინმე ხებელი<sup>11</sup>. ამ სახელებში „კილნათელი“, „ოლლაურელი“, „ხებელი“ იგულისხმება დღევანდელი სოფლები კირნათი, ოლლაური, ხება. იგი ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებშია მოქცეული და ბორჩხის რაიონს ეკუთვნის.

ლიგანის ხეობა სომხურ წყაროებშიც იხსენიება და იგი, ისე როგორც აჭარა, შავშეთი, ტაოს, ანუ ტაიკის შემადგენლობაშია დასახელებული, როგორც დიდი სომხეთის ნაწილი. სინამდვილეში, როგორც დ. ბაქრაძე შენიშნავდა, ქართულ ტაოს სომხური ტაიკი მოგვიანებით ეწოდა, როდესაც სომხები ჭოროხის აუზში გაბატონდნენ<sup>12</sup>.

VII საუკუნის სომხურ გეოგრაფიაშიც ნიგალი, როგორც დასახლებული პუნქტი, ნიგლას ფორმით იკითხება და კლარჯეთის ერთ ნაწილს შეადგენდა<sup>13</sup>.

ლიგანის ხეობის მრავალმხრივი დახასიათებაა მოცემული დ. ბაქრაძის ნაშრომში „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და

<sup>9</sup> ტბეთის სულთა მატიანე, გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1977, გვ. 92, 94, 100, 108, 134.

<sup>10</sup> რ. მალაყმაძე, ძველი გვარ-სახელები ლიგანის ხეობაში, ჟურ. ლიტერატურული აჭარა, 1998, 12, გვ. 110.

<sup>11</sup> ტბეთის სულთა მატიანე, თბ., 1977, გვ. 64, 82, 102.

<sup>12</sup> დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, ტფ., 1887, გვ. 263, 264.

<sup>13</sup> ი. სიხარულიძე, ნიგალი, ბათუმი, 1985, გვ. 76.



აჭარაში". დ. ბაქრაძის ცნობებითაც, ლიგანი ყველაზე ნაყოფიერი მხარე იყო მთელ ლაზისტანის სანჯაყში. აქ მოჰყავდათ საუკეთესო სელი, რომელიც ლივანური სელის სახელწოდებით იყო ცნობილი და აბრეშუმში. იგი ხარისხით სჯობდა ბათუმურ აბრეშუმს, განთქმული ყოფილა ლივანური ზეთისხილიც, რომელიც გასაყიდად გაჰქონდათ თბილისსა და ახალციხეში<sup>14</sup>. ასევე დავიმონშებთ ჯიფორდ პალგრევის ცნობას, რომლის მიხედვით სელისა და შალის ქსოვილები დიდი რაოდენობით მზადდებოდა ბორჩხაში, მარადიდსა და ნითურეთში. ქსოვილის ნაჭერი 50 პიასტრი ღირდა. ევროპაში იგზავნებოდა ბორჩხაში გამოყვანილი აბრეშუმის პარკი<sup>15</sup>.

ამრიგად, ლიგანის ხეობა უძველესი დროიდან იხსენიება ძველ ქართულ წერილობით წყაროებში და ამ წყაროებში დაცული მონაცემების საფუძველზე შექმნილ ისტორიულ ლიტერატურაში.

## § 2. ლიგანის ხეობის სახელწოდებისათვის

ლიგანის ხეობა წერილობით წყაროებში სხვადასხვა სახელით იხსენიება. ლიგანი არ არის ამ ხეობის თავდაპირველი სახელწოდება. ძველად იგი იწოდებოდა როგორც ნიგალი. ამავე სახელით ცნობილია აგრეთვე სოფელი მდინარე ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე.

"ქართლის ცხოვრების" იმ ნაწილში, რომელიც ანდრია პირველ-წოდებულს შეეხება, ლიგანი „ნიგლას“ ფორმით გვხვდება. მასში ნათქვამია: ანდრია პირველწოდებული „შევიდა ქვეყანასა ქართლისასა, ნიგლას, კლარჯეთს და არტაან-კოლას“.<sup>16</sup>

<sup>14</sup> დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987, გვ. 25.

<sup>15</sup> ვ. ჯ. პალგრევი, აზიის თურქეთისა და ბათუმის ოლქის აღწერის მასალები, თარგმანი რ. სურმანიძისა, 1972; აჭარის სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა ფონდი, 588, გვ. 49.

<sup>16</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი ყველა ძირითადი ხელნაწერების მიხედვით დაადგინა ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. I, თბ., 1955, გვ. 38.

ნიგალის ხევი სუმბატ დავითის ძის (XI საუკუნე) ქრონიკებშიც მოიხსენიება. მასში ნათქვამია: „აშოტი წამოემართა და მოინია ხევსა ნიგალისასა“<sup>17</sup>. ამავე ფორმით იხსენიება ხეობა, აგრეთვე სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა სამწყსოების აღწერილობაში (XVI ს. დამდეგი),<sup>18</sup> სულხან-საბა ორბელიანის ნაშრომში „მოგზაურობა ევროპაში“,<sup>19</sup> ვახუშტისთან<sup>20</sup> და სხვა. ხეობა ნიგალის სახელწოდებითაა დატანილი ალ. ჯავახიშვილისა და ბათუმის ოლქის რუკებზე. ასეა ჩანერილი იგი სომხურ გეოგრაფიაშიც<sup>21</sup>.

ოსმალთა ბატონობის დროინდელი და მოგვიანო პერიოდის წერილობითი ცნობებით ნიგალი (ლიგანი) ლივანად იწოდება.

ლიგანი ლივანის ფორმით დღესაც საყოველთაოდაა დამკვიდრებული. აქვე საჭიროდ ვთვლით კიდევ ერთ ცნობაზე გავამახვილოთ ყურადღება. XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი თავის ისტორიაში, რომელიც შეეხება ვეზირ აჰმედ ფაშას 1549 წლის საღვთო ლაშქრობას, ლიგანს მოიხსენიებს „დივანას“ სახელწოდებით<sup>22</sup>. ამასთან დაკავშირებით, ნ. ბერძენიშვილი შენიშნვდა: „იბრაჰიმ ფეჩევის მიერ მოხსენიებული „დივანა“ სინამდვილეში ლივანა უნდა იყოს“<sup>22</sup>.

ეთნოგრაფიული მონაცემებით ჩანს, რომ ლივანა ქალაქ ართვინისა და მისი მხარის ძველი, თავდაპირველი სახელი უნდა ყოფილიყო<sup>23</sup>. ართვინის ყალესაც, ანუ ციხეს, ადგილობრივი მოსახლეობა

<sup>17</sup> ქართლის ცხოვრება (ტექსტი ყველა ძირითადი ხელნაწერების მიხედვით დაადგინა ს. ყაუხჩიშვილმა), ტ. I, თბ., 1955, გვ. 38, გვ. 377.

<sup>18</sup> ი. სიხარულიძე, ნიგალი, ბათუმი, 1985, გვ. 76.

<sup>19</sup> „ქართული პროზა“, ტ. V, თბ., 1983, გვ. 295.

<sup>20</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 135.

<sup>21</sup> ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

<sup>22</sup> იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი თარგმნა და გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1964, გვ. 102.

<sup>23</sup> იხ. იბრაჰიმ ფეჩევის წიგნზე დართული ს. ჯიქიას კომენტარები, გვ. 104.

<sup>24</sup> რ. მალაყმაძე, ლივანის ხეობის ისტორიიდან, ლიტერატურული აჭარა, ბათუმი, 1999, 6, გვ. 110.

ლივანას ყალეს ეძახის. საინტერესოა ზ. ჭიჭინაძის მიერ ჩანერილი ადგილების სახელწოდება – ლივანას ძირი და ლივანას დაბა<sup>24</sup>. სავარაუდოა, რომ ეს სახელწოდება იმ ნავსაყუდელის სახელი უნდა ყოფილიყო, რომელიც მდინარე ჭოროხზე ართვინთან ახლოს მდებარეობდა<sup>25</sup>.

XVII საუკუნის მეორე თურქი ისტორიკოსი ევლია ჩელები ჩილდირის ვილაიეთში შემავალ ცამეტ სანჯაყს შორის ორ ლივანას ასახელებს (ლივანა და მცირე ლივანა), როგორც ცალკე დამოუკიდებელ ერთეულებს<sup>26</sup>.

ისმება კითხვა, რომელი ნაწილი იყო „ლივანა“ და რომელი „მცირე ლივანა“? შესაძლოა, რომ ლივანა დღევანდელი ლივანის ხეობის სახელი ყოფილიყო, ხოლო „მცირე ლივანა“ საკუთრივ ართვინისა. საყურადღებოა ისიც, რომ ევლია ჩელები თავის ნიგნში ართვინს არ ასახელებს. იგი ლაზისტანის სანჯაყში შემავალ 13 სანჯაყს შორის ჭოროხის მხარეში ჩამოთვლის მხოლოდ არტანუჯის, შავშეთისა და მაჭახლის სანჯაყებს<sup>27</sup>.

ექვთიმე თაყაიშვილი ლივანას შეცდომით დღევანდელ სოფელ ჩიხორის ერთ-ერთი უბნის (მეშლეს) ლივანის სახელთან აიგივებდა<sup>28</sup>.

ამრიგად, წერილობითი წყაროებისა და ლიტერატურის მონაცემებით ისტორიული ლივანის ხეობა სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიება: ნიგალი, ლივანი, დივანა, ლივანა. პირველი ორი ქართულ წყაროებში იხსენიება, დანარჩენი ორი – თურქულში.

<sup>24</sup> ზ. ჭიჭინაძე, ქართველთა გამაჰმადიანება ანუ ქართველთა გაათათრება. თბ., 1915, გვ. 35.

<sup>25</sup> შდრ: „ლიმენა ელლენებრივ ნავსაყუდელი“, სულხან-საბა ორბელიანი (თხზულებანი, ტ. IV, ნიგნი I, თბ., 1965, გვ. 421); ლიმენა ნავსაყუდელი, ჩუბინიშვილი ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 21.

<sup>26</sup> ევლია ჩელების მოგზაურობის ნიგნი, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევები დაურთო გ. ფუთურიძემ, ტ. I, თბ., 1971, გვ. 299.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 299-300.

<sup>28</sup> ე. თაყაიშვილი, სამუსლიმანო საქართველო, ემიგრანტული ლიტერატურა, დაბრუნება, გ. შარაძის საერთო რედაქციით, თბ., 1991, გვ. 198.

### § 3. ლიგანის ხეობა ოსმალთა ბატონობის დროს



ბიზანტიის დაპყრობის შემდეგ საქართველოს სამხრეთ კალთებთან მოახლოებულმა ოსმალებმა პირველი სადაზვერვო ლაშქრობები სამცხე-საათაბაგოზე XV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში წამოიწყეს. ლიგანის ხეობა ამ პერიოდში სამცხე-საათაბაგოს შემადგენელი ნაწილი იყო. აქაური მოსახლეობა ათაბაგების ხელმძღვანელობით, მთელ ქართველ ხალხთან ერთად გმირულად იბრძოდა მოძალადე მტრის წინააღმდეგ.

ოსმალთა იმპერიის დაპყრობითი პოლიტიკა განსაკუთრებით ძლიერდება XVI ს. დასაწყისიდან. მათ წინააღმდეგ ბრძოლებში, სხვა ქართველ მეომრებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდნენ მურღულის, მაჭახლის, მარადიდის, ლიგანის ხეობისა და სხვა სოფლების მოსახლეობა. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, 1500 წელს ბათუმთან მომხდარ დიდ ბრძოლაში ქართველთა ჯარის შემადგენლობაში შედიოდნენ ლიგანელები, აგრეთვე აჭარლები და გურულები. მათ ქაიხოსრო ათაბაგი მეთაურობდა. ბრძოლაში ქაიხოსრო დაიღუპა, მაგრამ ოსმალებმა ვერ მოახერხეს ბათუმის აღება<sup>29</sup>. ლიგანის ხეველნი 1515-1516 წლებშიც იბრძოდნენ ბათუმის შესანარჩუნებლად. მურღულელებს თავი უსახელებიათ 1517 წელსაც კახაბერთან გამართულ ბრძოლაში. მურღულელი მეომრების თავდადებასა და ერთგულებას დიდად გაუკვირვებია ყვარყვარე III ათაბაგი. ამიტომაც ათაბაგმა 1518 წლიდან ისინი ბატონყმობისაგან გაათავისუფლა და იქაური ადგილები მათ პირად საკუთრებაში დაურიგა<sup>30</sup>.

1519 წელს ოსმალები კვლავ გამოჩნდნენ ბათუმთან. ამ დროს ბრძოლაში ლიგანელებს მაჭახლელ, აჭარელ, შავშეთ-იმერხეველ მეომრებთან ერთად უბრძოლიათ. ქართველთა ჯარს, რომელიც 25000 კაცს შეადგენდა, კახაბერი მეთაურობდა. ზღვაში ნაევბით მომავალი ოსმალების გამოჩენის დროს კახაბერი წარსდგა ქართველების წინაშე

<sup>29</sup> ზ. ჭიჭინაძე, ოსმალების ყოფილი საქართველო და ქართველ მაჰმადიანთა ისტორიის კონსპექტები, ტფ., 1927, გვ. 4.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 6.





და ასეთი გამამხნეველები სიტყვებით მიმართა ჯარს: „ქართველებო, იცოდეთ, რომ ეს ადგილები და ქალაქი ბათუმიც ჩვენი წინაპარი ქართველებისა იყო და არა სხვების. ქართველნი არავის დაუთმობენ ერთ მტკაველ მინას. თითო გოჯ მინაში ჩვენი წინაპრებისაგან თითო ჩაფი სისხლია ჩალერილი და ისეა იგი დაცული და შენახული.“

ამის პასუხად მარადიდლებმა და მაჭახლელებმა შესძახეს:

„კახაბერ ბატონო! დედა შეერთოს ცოლად, ვინც, ოსმალოებს ან სხვებს მტკაველ მინას დაუთმობს. ჩვენც ისევე ვიქმნთ და ჩვენს მტრებს ოსმალებს კი აქ არ შემოვუშვებთ“. მეთაური აღფრთოვანებული ამ სიტყვებით და შეუქია ისინი<sup>31</sup>. ქართველთა ჯარმა მტერს შეუტია და სასტიკად დაამარცხა.

მძიმე და ხანგრძლივი იყო ოსმალთა შემოსევების წინააღმდეგ ბრძოლა. მტრის მრავალრიცხოვნებით გამოწვეულმა უპირატესობამ თავისი გაიტანა და ლაზისტანის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა ლიგანის ხეობაშიც შემოაღწიეს. ისინი თანდათანობით ფეხს იკიდებდნენ და ეუფლებოდნენ ხეობას. ამის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსის იბრაჰიმ ფეჩევის ისტორიაში, რომელიც ეხება მეორე ვეზირის აჰმედ ფაშის 1549 წლის საღვთო ლაშქრობას. ფეჩევი წერს: „ლიგანად წოდებულ მხარეში შესვლის შედეგად ურიცხვი შავარდენის თვალებიანი და კაკაბივით მოგოგმანე ჭაბუკები და ქალწულები მუსლიმან გმირთა ხელში ჩავარდნენ.“<sup>32</sup> ამ ლაშქრობისას სხვა კუთხეებთან (თორთუმი, თალხისი...) ერთად ლიგანის ხეობაც მინასთან გაუსწორებიათ. დამორჩილებული მხარეები თორთუმი, თალხისი, ახჩა-ყალა, დივანა ერთ სანჯაყად გამოცხადდა და ერთ-ერთ ემირს ებოძა.<sup>33</sup> აჰმედ ფაშას 1549 წლის ლაშქრობა ლიგანის ხეობის დაპყრობის თარიღად უნდა მივიჩნიოთ.

<sup>31</sup> ზ. ჭიჭინაძე, ოსმალეთის ყოფილი საქართველო და ქართველ მაჰმადიანთა ისტორიის კონსპექტები, ტფ., 1927, გვ. 7.

<sup>32</sup> იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართულად თარგმნა და გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, თბ., 1984, გვ. 102.

<sup>33</sup> იქვე, გვ. 103.

XVII საუკუნის მეორე თურქი ისტორიკოსის ევლია ჩელების მონაცემებით, ჩილდირის ვილაიეთში შემავალ 13 სანჯაყის (აჭარა, მაჭახელი, შავშეთი, არტანუჯი, დიდი არტაანი, ჭაჭარაქი, ფანაკი, ფერთექრეკი, ოლთის, ხერთვისი, ფოცხოვი) გვერდით არსებობდა ლიგანის ორი სანჯაყი – ლივანა და მცირე ლივანა<sup>34</sup>. როგორც ჩანს, მაშინ სანჯაყებად მცირე ტერიტორიული ერთეულებიც ცხადდებოდა.

ოსმალები დაპყრობილ ტერიტორიაზე სასტიკი რეჟიმის დამყარებას შეუდგნენ. მათი პოლიტიკა იქითკენ იყო მიმართული, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში აღმოეფხვრათ ქართული ზნე-ჩვეულებანი, რელიგია, მათთვის დაევიწყებინათ მშობლიური ქართული ენა.

სხვადასხვა დროს მომხდარა თითოეული მხარის, სოფლის გამაჰმადიანება.

გამაჰმადიანების პროცესს აქტიური ნინააღმდეგობა გაუწია სოფ. მარადიდის მოსახლეობამ. გადმოცემით, აქ ერთ დღეს ოთხას კაცს მოჰკვეთეს თავი. სხვა ცნობით, ოსმალებმა ამ სოფლის მცხოვრებლები ჭოროხის ნაპირზე მიიყვანეს და განუცხადეს: ვინც თავის რჯულზე ხელს აიღებს, მდინარეში შევიდეს, თუ მეორე მხარეს გაცურავს, მას ქრისტიანად დავტოვებთ. ამ დროს მდინარე ადიდებული ყოფილა და ყველანი დაილუპნენ. სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით შ. მეგრელიძე წერს, რომ ამის შემდეგ სოფელ მარადიდში მცხოვრები 50 კომლიდან ხუთი კომლი გადარჩენილა<sup>35</sup>. მიუხედავად ამისა, მარადიდლები იოლადა მაინც არ თმობდნენ ქრისტიანობას. მათ ეკლესიაში მღვდელიც ჰყოლიათ, გვარად კეკიძე. სოფლის წარჩინებული გვარის ხალვაშების წარმომადგენლების თხოვნით, ოსმალოს ფაშას მღვდლისათვის ნება დაურთავს, რომ ეკლესიისათვის პატრონობა გაენია, თუმცა აქ ფარულ ქრისტიანთა რიცხვი დიდი ყოფილა. ისინი ჩუმად დაიარებოდნენ მღვდელთან და ლოცულობდნენ.

<sup>34</sup> ევლია ჩელების მოგზაურობის ნიგნი. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევები დაურთო გ. ფუთურიძემ, ტ. I, თბ., 1971, გვ. 299.

<sup>35</sup> შ. მეგრელიძე, აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათუმი, 1956, გვ. 11.

როდესაც ფაშამ ეს ამბავი ხოჯის წყალობით გაიგო, მღვდელი შეაპყრობინა, ეკლესია დაანგრევინა და საძირკველზე ხის ჯამე ააგებინა.<sup>36</sup>

ლიგანის ხეობის მოსახლეობა ძალად გამუსლიმანების შემდეგაც დიდხანს ინახავდა მამაპაპურ სარწმუნოებას და 1840 წლამდე საიდუმლოდ ასრულებდა ქრისტიანულ წესებს. ლოცულობდნენ ეკლესიის ნანგრევებთან, აგრეთვე ოჯახებში, ტყეებში, გამოქვაბულში. მაგალითად, სოფელ შუშანეთში (სოფელ კირნათის დასახლებული პუნქტი) უკანასკნელ წლებამდე შემორჩენილი იყო ნაგებობასაყდარი, რომელსაც საიდუმლო სამლოცველოდ იყენებდნენ.<sup>37</sup>

ლიგანის ხეობის და საერთოდ, სამხრეთ საქართველოს მოსახლეობას არჩევანის უფლება ეძლეოდა გადასულიყო კათოლიკურ სარწმუნოებაზე. ამით ოსმალებს სურდათ, შეესუსტებინათ მართლმადიდებლობა, რომელიც საქართველოს რუსეთთან აკავშირებდა. მაჰმადიანობისაგან თავის დაღწევის მიზნით ლიგანის ხეობის ქართველი მოსახლეობის ნაწილი კათოლიკობას ლებულობდა.

თავდაპირველად კათოლიკობა ართვინის ქართველობას მიუღია. ქ. ართვინში ოთხი კათოლიკური ეკლესია მოქმედებდა. ამათგან ყველაზე ძველი კორძულის ეკლესია იყო.<sup>38</sup> კათოლიკობა აქედან გავრცელებულა ჩხალის ხეობაში. თუმცა ოსმალები ჩხალის კათოლიკებს მაინც სდევნიდნენ, ამიტომაც ისინი იძულებული გამხდარან ქ. ართვინსა და სხვა მხარეებში გადასულიყვნენ საცხოვრებლად. მოსახლეობაც მაჰმადიანობასთან შედარებით კათოლიკობას ანიჭებდა უპირტესობას, რითაც სურდა ქართველობისა და ძველი სარწმუნოების დაცვა. თუმცა, როგორც ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავდა, კათოლიკე ქართველებში ბევრს ქართული ენა დავინწყებული ჰქონდა.<sup>39</sup>

<sup>36</sup> ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ.110-111.

<sup>37</sup> ზ. ახვლედიანი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი, 1978, გვ.15.

<sup>38</sup> ზ. ჭიჭინაძე, საქართველოს დაკარგული სოფლები და ქართველი კათოლიკენი, თბ., 1904, გვ. 12; გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995, გვ.111.

<sup>39</sup> ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ.12.

ოსმალთა მმართველობის მთელ მანძილზე ადგილობრივი მოსახლეობა აჯანყების გზით ცდილობდა თავისუფლების მოპოვებას. XVI საუკუნის 80-წლებში ჩილდირის ბეგლარბეგ მანუჩარ II ათაბაგის მეთაურობით მოხდა აჯანყება ოსმალების წინააღმდეგ, რის შედეგადაც მოხერხდა ახალციხისა და მისი სანახების დროებით განთავისუფლება.<sup>40</sup> ზ. ჭიჭინაძის ცნობას თუ ვირნმუნებთ, მანუჩარ II ამ ბრძოლაში მხარს უჭერდა ლიგანის, შავშეთის, მაჭახლის, ახალქალაქისა და ფოცხოვის მოსახლეობა<sup>41</sup>.

აჯანყებები მომდევნო ხანებშიც გრძელდებოდა. 1659 წელს აჯანყებულა მურღულის მოსახლეობა, რომლის მიზეზი ყოფილა ოსმალთა მცდელობა ჯარში გაენვიათ ადგილობრივი მოსახლეობა<sup>42</sup>. ლიგანელთა მორიგ გამოსვლას მარადიდლების მეთაურობით ადგილი ჰქონდა 1685 წელსაც, რომელიც მიმართული იყო ოსმალთა საგადასახადო სისტემის წინააღმდეგ. ხელისუფლება იძულებული გახდა ანგარიში გაენია აჯანყებულებისათვის. შეიქმნა სპეციალური კომისია აჯანყების გამომწვევი მიზეზების შესასწავლად და შესაბამისი ზომების მისაღებად. აჯანყებულთა მოთხოვნები დაკმაყოფილდა.<sup>43</sup>

ოსმალთა ხელისუფლება კარგად ხედავდა მოახლოებულ საშიშროებას და იძულებული გახდა მასობრივი მღელვარების აღკვეთისა და დასჯის მიზნით სასტიკი რეპრესიები წამოეწყო. იგი ახორციელებდა აჭარიდან და ლიგანიდან მოსახლეობის ერთი ნაწილის აყრას და სხვაგან გასახლებას. სიკვდილით სჯიდნენ მრავალ ქართველ პატრიოტს. 1640-1660 წლებში ლიგანის ხეობიდან, აგრეთვე ჩაქვიდან, ქობულეთიდან და სხვა მხარეებიდან ოსმალებს ოსმალეთში დიდძალი მოსახლეობა გაუსახლებიათ. მცხოვრებთა დიდი ნაწილი ლიგანისა და

<sup>40</sup> მ. სვანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 160.

<sup>41</sup> ზ. ჭიჭინაძის გამოუქვეყნებელი ხელნაწერების ფოტოასლები, აჭარის სახ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, 196. გვ. 127.

<sup>42</sup> იქვე, გვ. 13.

<sup>43</sup> იქვე, გვ. 16.



მაჭახლის ხეობიდან 1698 წელსაც გაუსახლებიათ.<sup>44</sup> ოსმალთა მიზანი იყო დაესუსტებინათ და საბოლოოდ დაემორჩილებინათ ადგილობრივი მოსახლეობა. მაგრამ მათ სანადელს დიდხანს ვერ მიაღწიეს. ქართველმა მოსახლეობამ გამუსლიმების მიუხედავად, ასევე დიდხანს დაიცვა ძირძველი ქართული ტრადიციები, ნეს-ჩვეულებები, მშობლიური ქართული ენა. დ. ბაქრაძე ამის შესახებ მოგვიანებით (1870-იანი წლები) წერდა: „ქართულად მთელს ლივანაში ლაპარაკობენ, თუმცა არც ისე წმინდად. ქართული ყველაზე მეტად გავრცელებულია სოფლის მოსახლეობაში ბათუმიდან ართვინამდე. იმის იქით კი თურქული და სომხური ჭარბობს“<sup>45</sup>. აღნიშნულ პერიოდში ამასვე წერდა გ. ყაზბეგი: „ჭოროხის სანაპიროს მცხოვრებნი სუფთა ქართულით ლაპარაკობენ. ისინი ლამაზი ტიპითა და კარგი გონებრივი თვისებებით გამოირჩევიან. ეს ქვეყანა ოდითგანვე ქართული რასის აკვანს წარმოადგენდა და ახლა ბედის უკუღმართობის მიუხედავად, შეინარჩუნეს თავისი ძველი ღირსებები“<sup>46</sup>.

დაპყრობილ ქართულ ტერიტორიაზე ოსმალებმა მთელი რიგი ცვლილებები გაატარეს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის თვალსაზრისით. მათ ხელში მოქცეული ტერიტორია ვილაიეთებად, საკაიმაკამოებად, კაზებად და ნაჰიებად დაიყო<sup>47</sup>.

ლივანის ხეობა მაჭახლის, აჭარის, ლაზეთის, ქობულეთის მხარეებთან ერთად ლაზისტანის საფაშოში შეიყვანეს. ეს უკანასკნელი კი ტრაპიზონის ვილაიეთში შედიოდა. ლაზისტანის საფაშო XIX საუკუნის 70-იან წლებში სამ საკაიმაკამოდ იყოფოდა. აქედან მესამე ლივანის იყო. იგი აერთიანებდა მაჭახლისა და ლივანის

<sup>44</sup> ზ. ჭიჭინაძე, საქართველოს დაკარგული სოფლები და ქართველი კათოლიკენი, თბ., 1904, გვ. 20.

<sup>45</sup> დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987, გვ. 41.

<sup>46</sup> გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

<sup>47</sup> F. Torun, Artvin, Adapazari, 1998, გვ. 16.

კაზებს,<sup>48</sup> ანუ მაზრებს, რომლებიც ნაპიებად (თემებად) იყოფოდა. მაჭახლისა და ლივანის ცალკე ნაპიებიც არსებობდა, რომლებსაც მუდირი განაგებდა. ჯ. პალგრევის ცნობით, ლივანის საკაიმაკამო შეადგენდა 118 სოფელს 72,320 მცხოვრებით. მათ შორის 66,968 მაჰმადიანი იყო, 5,352 – არამაჰმადიანი. ლაზისტანის სანჯაყში ლივანა ყველაზე მჭიდროდ დასახლებული კუთხე იყო. ერთ კვ.მილზე საშუალოდ 80 კაცი მოდიოდა.<sup>49</sup>

ლივანის ნაპიეში შედიოდა ჭოროხის ხეობა ფერთექრევიდან ბორჩხამდე, არტანუჯის ხეობის ნაწილი. მდ. იმერხევისწყლის ქვემო ნელი და პარხალის ხეობა.<sup>50</sup>

ლივანის ყაზაში შემავალი მაჭახლის ნაპიეს შეადგენდა ადრეული ხანის მიჭიხიანის პროვინცია, მასში შედიოდა აგრეთვე ძველი ლივანის ხევის რამდენიმე სოფელი (კირნათი, გვარა, მაჭახლისპირი)<sup>51</sup>.

ლივანის ხეობის ჩრდილოეთ ნაწილი კი (ბორჩხის ქედისა და ჭოროხ-აჭარისწყლის შესართავს შორის მდებარე ტერიტორია), კერძოდ, ბორჩხა, არჩვეთი, ზემო მარადიდი, ქვემო მარადიდი, მირვეთი და სხვა გონიოს ნაპიეში შედიოდა.<sup>52</sup> გონიოს ნაპიეს მუდირის რეზიდენციაც მარადიდში იყო.<sup>53</sup>

როგორც ცნობილია, 1828-1829 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ მიტაცებული ტერიტორიის ნაწილი (ახალციხე-ახალქალაქი) საქართველოს დაუბრუნდა. მაგრამ ლივანის ხეობა ისე, როგორც მთელი ჭოროხის მხარე და სხვა კუთხეები, მათ შორის აჭარა, ლაზეთი, კვლავ ოსმალეთის მფლობელობაში რჩებოდა. მათი დაბრუნების

<sup>48</sup> ვ. ჯ. პალგრევი, აზიის თურქეთისა და ბათუმის ოლქის აღწერის მასალები, თარგმანი რ. სურმანიძისა, 1972, აჭარის სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა ფონდი, 588, გვ. 7.

<sup>49</sup> Отчет Пальгрева за 1867-1868 годы, ИКОИРГО, Т. VII, 2, 1882-1883, с. 64.

<sup>50</sup> ზ. ცინცაძე, ჭოროხის აუზის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, IX. თბ., 1980, გვ. 69.

<sup>51</sup> იქვე, გვ. 72.

<sup>52</sup> გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

<sup>53</sup> А. Френкель, Очерки Чурук-су и Батума, Тифл., 1879, с. 6-8.

საკითხი რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად მოხერხდა.

ბათუმის ალების შემდეგ 30 აგვისტოს ართვინის, შავშეთისა და მაჭახლის დეპუტაცია, გენერალ კომაროვთან ერთად ბათუმში ჩავიდა. წარმომადგენლები 31 აგვისტოს კავკასიის მთავარსარდლის მოადგილეს გენერალ სვიატოპოლკ-მირსკის შეხვდნენ. მარადიდიდან ამ დელეგაციაში მონაწილეობდა ცნობილი პიროვნება, ქართული ორიენტაციის მომხრე, მარადიდის მაშინდელი მმართველი ახმედ ეფენდი ხალვაში.<sup>54</sup>

ამრიგად, რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად ლიგანის ხეობა დედასამშობლოს დაუბრუნდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული მიწების დიდ ნაწილთან ერთად. მართალია, ამის შემდეგაც ოსმალეთს რჩებოდა სამცხე-საათაბაგოს მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ აღნიშნული ტერიტორიების დაბრუნებას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა.

#### § 4. ლიგანის ხეობა დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ (1878-1921)

ომის წარმატებით დამთავრებასა და მიტაცებული ტერიტორიების დედასამშობლოსთან დაბრუნებას აღფრთოვანებით შეხვდა მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა. ერთიან ქართულ ოჯახს დაუბრუნდა აჭარა, ჭოროხის მხარე, ლაზეთი, რომელიც შემდეგ ბათუმის ოლქში გაერთიანდა ბათუმისა და ართვინის ოლქების სახით. ლიგანის ხეობა ართვინის ოლქში შედიოდა.

1883 წლის 27 ივნისს ბათუმის ოლქი გაუქმდა და იწოდებოდა ბათუმისა და ართვინის ოლქებად. ოლქები უბნებად, უბნები უმცირეს ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებად სასოფლო საზოგადოებებად დაიყო. ისტორიული ლიგანის ხეობა კი ადმინისტრაციულად

<sup>54</sup> А. Френкель, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.



ტრაციულად ორ ნაწილად გაიყო. ერთი ნაწილი ქლასკურის, მარადიდის, ბელლევანის, ბორჩხის, დევსქელის სასოფლო საზოგადოებების სახით ბათუმის ოლქში შედიოდა, ხოლო მეორე ნაწილი – ქართლას, ხატილას, სვეტიბარის, ხოდის, ძანსულის, სასოფლო საზოგადოებები – ართვინის ოლქში გაერთიანდა<sup>55</sup>.

1877–1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ დედასამშობლოსთან დაბრუნებულმა ლიგანის ხეობის მოსახლეობამ და სხვა შემოერთებულმა რაიონებმა დიდი უბედურება განიცადა მუჰაჯირობის შედეგად, რაც განპირობებული იყო მთელი რიგი ობიექტური თუ სუბიექტური, ეკონომიკური, რელიგიური თუ სხვა მიზეზებით<sup>56</sup>.

ადგილობრივი მოსახლეობისათვის აუტანელი იყო საგადასახადო სისტემა, სამხედრო ბეგარა და სხვა. ბათუმის ოლქის მოსახლეობას განსაკუთრებით მძიმე ტვირთად დაანვა რუსული საბაჟო სისტემა. დ. კლდიაშვილი წერდა: „ქალაქის გარშემო სადარაჯოები იყო, ყოველი გამკლელ-გამომკლელი იჩხრიკებოდა, ყოველ გატანილ საქონელზე რაც უნდა მცირე ყოფილიყო, ბაჟი უნდა გადაეხადა. დაზვერვა, გასინჯვა ბარგისა ხშირად იწვევდა დიდ უსიამოვნებას და შევიწროებას<sup>57</sup>“.

ასეთი ხელოვნურად შექმნილი ბარიერები ქმნიდა მასობრივი არეულობისა და გამოსვლების საბაზს, რაც ხელს უწყობდა მოსახლეობის მუჰაჯირად ლტოლვას ოსმალეთში. ამის საუკეთესო გამოხატულებაა 1879 წლის მღელვარება აჭარასა და ლიგანის ხეობაში. გ. წერეთელი ლიგანის ხეობაში არეულობის გამომწვევი

<sup>55</sup> ზ. ცინცაძე, ჭოროხის აუზის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, IX, თბ., 1980, გვ. 95, 99; ი. ბარამიძე, საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი, 1999, გვ. 115-127.

<sup>56</sup> მუჰაჯირობის შესახებ იხილეთ: შ. მეგრელიძე, აჭარის წარსულიდან, თბ., 1964; ხ. ახვლედიანი, წარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი, 1978, გვ. 186-195; ნ. კახიძე, მუჰაჯირობა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნული ტრაგედია, „საისტორიო მაცნე“, 13, ბათუმი, 2004.

<sup>57</sup> დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი, 1984, გვ. 34.



მიზეზების შესახებ წერდა: „ართინის მაზრაში არეულობა პირველად იმისგან მოხდა, რომ მურლულის საზოგადოებაში გურიის დრუჟინის კამანდას ნება არ მისცეს სოფელ ნაქალაქევს და ბაშქოში დაბინავებულიყო“<sup>58</sup>. ბუნებრივია, ასეთი რთული სიტუაცია ქმნიდა მუჰაჯირობის წინაპირობას, მოსახლეობა იძულებული იყო მიეტოვებინა მშობლიური მიწა-წყალი და ოსმალეთში გახიზნულიყო.

ამ პერიოდში ოსმალთა აგენტები ყოველწლიურად ცდილობდნენ მუჰაჯირობის პროვოცირებას, რასაც ხელს უწყობდა რუსი მოხელეების მოქმედებაც.

სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება ზუსტი ცნობები გადასახლებულთა რაოდენობაზე, მაგრამ არსებულითაც ნათელი ეფინება მუჰაჯირობის მასშტაბებსა და მიმდინარეობას.

მურლულის ხეობაში რუსთა ჯარის შესვლისა და მათი თვითნებობით გამოწვეული უკმაყოფილების გამო 1879 წელს გასახლებულა მოსახლეობის დიდი ნაწილი<sup>59</sup>. მუჰაჯირთა მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო. წამსვლელთა ნაწილი ვერ იტანდა მგზავრობას და გზაშივე იღუპებოდა. ადგილზე ჩასულებს რთულ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება. ზოგი შიმშილისა და სიცივისაგან კვდებოდა. სურსათისათვის თავიანთ მამულში აგზავნიდნენ სანდო პირებს, საიდანაც მიჰქონდათ შეკრებილი დახმარება ფულისა და ნატურის სახით. ივ. ჯაიანი, რომელიც თავად იყო ამ პროცესის მნახველი, წერდა: „დღე არ იქნება, რომ იქედან მომსვლელი ხუთი-ექვსი კაცი არ მოადგეს აქაურ მცხოვრებს კარზე პურის, სიმინდის, კაკლის და ლობიოს სათხოვნელად“<sup>60</sup>.

გადასახლებულთა გარკვეული ნაწილი ოფიციალური ნებართვის გარეშე უკან ბრუნდებოდა. ზ. ჭიჭინაძე წერდა: „ზოგი თავის სახლში შევიდა, ზოგი სხვაგან, მაგრამ მურლული მაინც ცარიელი იყო, რადგანაც, რაც აქედან მუჰაჯირად წავიდა, იმის მეთაფი არ

<sup>58</sup> გ. წერეთელი, არეულობის მიზეზი აჭარა ლივანაში, გაზ. „დროება“, 1879, 24, გვ. 2.

<sup>59</sup> ზ. ჭიჭინაძე, წერილი მურლულიდან, გაზ. „ივერია“, 1893, 171.

<sup>60</sup> ივ. ჯაიანი, წერილები შავშეთიდან, თბ., 1991, გვ. 63.

გადმოსახლდა, უმეტესი ნაწილი განყდა თურმე შიმშილისა და ავადმყოფობისაგან<sup>61</sup>. მუჰაჯირობის პროცესი შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა. იგი განსაკუთრებით მძაფრად განიცადა მურღულის ხეობის მოსახლეობამ. მმართველ წრეებს არაფრად მიაჩნდათ მოსახლეობის აყრა-გადასახლება. პირიქით, ისინი ამ პროცესს ხშირად ხელსაც უწყობდნენ. ასეთ მოქმედებად უნდა მივიჩნიოთ ხელისუფლების ცდები მურღულის ხეობაში მალაკანების გადმოსახლებისა<sup>62</sup>, რაც გახდა აქაური მოსახლეობის სხვაგან გახიზვნის საბაბი. არსებული ცნობების საფუძველზე ირკვევა, რომ გადასახლების დღიდან 1881 წლამდე მურღულის ხეობის 32 სოფლიდან მხოლოდ სამ სოფელში დარჩა მოსახლეობა. დანარჩენი 10 000 მცხოვრებიდან 4000 სული ნავიდა<sup>63</sup>.

დიდი გაჭირვება განიცადეს 1880 წელს გადასახლებულმა ლიგანელ-მარადიდლებმა. მუჰაჯირობამ შედარებით ფართო ხასიათი მიიღო 90-იან წლებში. ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით, რომელიც დედე ალა ნიჟარაძისაგან ჩაუწერია, ირკვევა რომ 1890 წელს ლიგანის ხეობიდან, მურღულიდან, ჩხალის ხეობიდან, ქ. ართვინიდან ათასობით სული გადასახლდა<sup>64</sup>. ამავე ცნობებით ჩანს, რომ 1892 წელს ლიგანის ხეობის 46 სოფლიდან 1000 კომლზე მეტი ნასულა, მაგრამ ბევრი უკანვე დაბრუნებულა<sup>65</sup>. მუჰაჯირთა დანატოვარ მიწებზე მურღულის ხეობაში ხშირად აჭარიდან და იმერეთიდან ჩასულები სახლდებოდნენ, რასაც კეთილგანწყობილებით ხვდებოდა ადგილზე დარჩენილი მოსახლეობა<sup>66</sup>.

<sup>61</sup> ზ. ჭიჭინაძე, წერილი მურღულიდან, გაზ. „ივერია“, 1893, 172.

<sup>62</sup> ივ. ჯაიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

<sup>63</sup> П. Юрченко, Заметки о поездке по ущельям рек Чорох-су до Агвина и Мургули-су до Нижней Куры в Батумской области, გაზ. „Кавказ“, 1881, № 206.

<sup>64</sup> ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში, ტფ., 1912, გვ. 62.

<sup>65</sup> იქვე, გვ. 133-135.

<sup>66</sup> ზ. ჭიჭინაძე, წერილი მურღულიდან, გაზ. „ივერია“, 1893, 172.



ივ. ჯაიანის ცნობებით, ოსმალეთის მმართველობის პერიოდში სოფელ ბორჩხაში 137 კომლი აღირიცხებოდა, რაც 1894 წლისათვის 22-მდე შემცირდა. სხვები ოსმალეთში გადასახლდნენ<sup>67</sup>.

გადასახლებულთა რაოდენობის დადგენისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ არსებული ცნობები ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს არ ემყარება. ეს ცნობები მთხრობელთა გადმოცემებსა და ზეპირი ინფორმაციის საფუძველზეა შედგენილი. ამდენად, ისინი, შეიძლება ზუსტი არ იყოს.

მონინავე ქართველი საზოგადოების ნაწილს კარგად ესმოდა ის დიდი საფრთხე, რასაც მუჰაჯირობა უქადდა განთავისუფლებული მხარის მოსახლეობას. ამიტომ ისინი გასახლების წინააღმდეგი იყვნენ. ამ საქმეში ლიგანის ხეობაში დიდი როლი ითამაშა მარადიდის უფროსმა ახმედ ხალვაშმა<sup>68</sup>. მასთან ერთად გასახლების წინააღმდეგ გამოდიოდა სოფ. დამპალის საზოგადოების მუხტარი გენჯალა ბოლქვაძე. მან დიდი მუშაობა გასწია მოსახლეობის ადგილზე დასარჩენად, რისთვისაც მას ბევრიც გადაემტერა. 1894 წ. 4 ივნისს იგი სოფ. ქართლადან მომავალი ვერაგულად მოკლეს<sup>69</sup>.

ჩვენ მიერ შეკრებილი მასალების მიხედვით ლიგანის ხეობის სოფლებიდან მუჰაჯირად წასულთა უმეტესობა დასახლებულა ბურსაში, ინეგოლში, ადაბაზარში, იზმითში და სხვა ქალაქებში. მათი შთამომავლობა დღეს თურქეთის სხვადასხვა ქალაქსა და სოფელშია გაფანტული, რომელთაც კარგად ახსოვთ თავიანთი წარმომავლობა და თავდაპირველ საცხოვრისზეც გატაცებით საუბრობენ.

1877-1878 წწ. ომის შემდეგ შედარებით სიმშვიდე ჩამოვარდა და შედეგმაც არ დააყოვნა. რამდენადმე გამოცოცხლდა საქალაქო ცხოვრება, დანინაურდა სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, ფართოდ გაიშალა სამშენებლო საქმიანობა. გაჰყავდათ გზები, შენდებოდა ხიდები და ა. შ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ბუნებრივი

<sup>67</sup> ივ. ჯაიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.  
<sup>68</sup> ზ. ჭიჭინაძე, დასახ. საგაზეთო სტატია.  
<sup>69</sup> ივ. ჯაიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

რესურსების გამოვლენა-შესწავლას. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მურღულის ხეობაში სოფ. დანსულის სპილენძით მდიდარი საბადო, ა. ნულაძის დახასიათებით იგი „მთელ კავკასიაში იპყრობდა ყურადღებას“<sup>70</sup>. ლიგანის ხეობაში სპილენძის სამთამადნო ცენტრებს წარმოადგენდა ართვინის ზემოთ ხოლდურსუს ხეობაში მდებარე ხოდის<sup>71</sup>, აგრეთვე სოფელ კვარცხანის საბადოები. საფუძველი ჩაეყარა სამთამადნო წარმოებას. თავდაპირველად ადგილზე მადნის გადამამუშავებელი ქარხანა არ არსებობდა. მოპოვებული მადანი ჭოროხის სამდინარო და სახმელეთო გზით ერგეში ჩაჰქონდათ, სადაც 1889-1890 წლებიდან მოქმედებდა სპილენძის სადნობი ქარხანა<sup>72</sup>. მომდევნო წლებში სპილენძის სადნობი ქარხნები უშუალოდ მადნის მოპოვების ახლოს – ხოდში, დანსულსა და კვარცხანაში აიგო. 1910 წლისათვის დანსულში ყოველთვიურად აღნობდნენ 1200 ფუთ სპილენძის ზოდს, რომელსაც ბათუმ-ართვინის საავტომობილო გზის გაყვანამდე ბათუმში აგზავნიდნენ, აქედან კი რუსეთში<sup>73</sup>. ა. ნულაძის ცნობით, სპილენძით დანსული კვებავდა პუტილოვის ცნობილ ქარხანას რუსეთში<sup>74</sup>.

ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი სამთამადნო წარმოებაში იყო დასაქმებული. აქვე სამუშაოზე მოეშურებოდნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან. 1000 მუშა შრომობდა კვარცხანის საბადოებზე. მათ შორის იყვნენ აჭარიდან, შავშეთიდან, ლაზეთიდან ჩასულები. აქ უცხოელი წარმოშობის მუშებიც საქმიანობდნენ<sup>75</sup>. სამთამადნო წარმოების განვითარებით

<sup>70</sup> ა. ნულაძე, ს. დანსული, გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915, 7.

<sup>71</sup> Л. Ф. Башенич, Геологическое описание Батумского и Артвинского округов, Материалы для геологии Кавказа, Серия, I, Тифл., 1887, с. 102.

<sup>72</sup> Н. В. Церетели, Очерк торгово-промышленного развития Г. Батуми, Батуми и его окрестности, Батуми, 1906, с. 435.

<sup>73</sup> ნ. კახიძე, სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან ჭოროხის აუზში და მოსახლეობის სანარმოო და საზოგადოებრივი ყოფის ზოგიერთი საკითხი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, XIV. თბ., 1987, გვ. 36.

<sup>74</sup> ა. ნულაძე, დასახ. საგაზეთო სტატია.

<sup>75</sup> იქვე, გაზ. „ახალი კვალი“, 1916, 2 მაისი.

გამონვეულმა მოსახლეობისა და სავაჭრო ურთიერთობის ზრდამ დააჩქარა ისეთი ქალაქური ტიპის დასახლებების წარმოქმნა, როგორცაა ბორჩხა, ძანსული, მურლული. მარტო ძანსულში ა. ნულაძის ცნობით, ომის წინა ხანებში არსებული 10-15 კომლის ნაცვლად 1916 წლისათვის 3000 მცხოვრები იყო. პირველი მსოფლიო ომის ბოლო წლებში სამთამადნო წარმოება დაეცა<sup>76</sup>.

ომის შემდგომ გამოცოცხლდა ართვინის საქალაქო ცხოვრებაც. თუმცა მოსახლეობის უმრავლესობას არაქართველები შეადგენდნენ. მათი რიცხვი 500 კომლს ითვლიდა. 1879 წლის მონაცემებით მოსახლეობის საერთო რაოდენობა ართვინში 2000 კაცს შეადგენდა<sup>77</sup>.

ართვინი ლიგანის ხეობაში ერთ-ერთ ძირითად სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. ქალაქში ადრიდანვე სავაჭროდ დადიოდა იმერხევის მოსახლეობა<sup>78</sup>. აქ თავს იყრიდნენ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოეთიდან მოსული ვაჭრები. ართვინში უცხოელთა სავაჭრო კომპანიებიც მოქმედებდა. შესყიდვის ძირითადი საგანი იყო ყარსიდან და შავშეთიდან შემოტანილი ხორბალი, ადგილობრივი ლივანური წარმოების სელი, აბრეშუმი, ზეთისხილი და სხვა.

ართვინში XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისისათვის გაიხსნა სკოლა. იგი თავდაპირველად ორკლასიანი სასწავლებელი იყო<sup>79</sup>.

სამწუხაროდ, ართვინის სკოლის დაარსება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გვერდის ავლით, უშუალოდ კავკასიის განათლების უწყების ნებართვით მოხდა. როგორც ჩანს, სკოლაში ეროვნულ ენაზე სწავლება იზღუდებოდა.

დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ ლიგანის ხეობაში გამოცოცხლებას იწყებს კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრება. დღის წესრიგში დადგა ქართულ ენაზე წერა-კითხვის გავრცელება,

<sup>76</sup> ა. ნულაძე, დასახ. საგაზეთო სტატია.

<sup>77</sup> გაზ. „დროება“, 1879, 257.

<sup>78</sup> დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1980, გვ. 205.

<sup>79</sup> გაზ. „Новое обозрение“, 1895, 441.



რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვით ახმედ ხალვაშს, ივ. ჯავახიშვილს, უკანასკნელი გარკვეული წლების განმავლობაში ბორჩხაში მსახურობდა და თავად ასწავლიდა იქაურ ბავშვებს ქართულ წერა-კითხვას. ამ მხრივ დიდია ზ. ჭიჭინაძის როლიც<sup>80</sup>. მან ფეხით შემოიარა ლიგანის ხეობის სოფლები და საფუძველი ჩაუყარა ქართული წერა-კითხვისა და ქართული წიგნის გავრცელების საქმეს<sup>81</sup>. ზ. ჭიჭინაძე ლიგანის ხეობის შესახებ გულისტკივილით წერდა: „მთელს ამ ხეობაში წერა-კითხვის მცოდნე კაცი სრულად არ შეგხვდება. ამათში მოღებისა და ხოჯების გარდა წერა-კითხვა არავინ იცის, არც ოსმალური და არც ქართული. ამათი სამშობლო ენა ქართული არის. ბავშვები ძლიერ ცქვიტნი და მალხაზნი არიან. ამათ რომ პატრონი ჰყავდეთ, მაშინ ერთი თვის განმავლობაში ესენი ქართულ ანბანს კარგად დაისწავლიან. სოფელში იხვეწებიან, რომ ეგებ მოხვიდეთ და გვასწავლოთ“<sup>82</sup>. იგი გამოთქვამდა იმედს, რომ ქართული სკოლის გახსნა და ქართულ ენაზე სწავლების შემოღება წინ წასწევდა მათ კულტურულ ცხოვრებას.

იქაური ბავშვები ქართულ სიტყვებს თურქული ასოებით წერდნენ და ისე სწავლობდნენ. ს. ბაერელის შეკითხვაზე: „თუ იცით ქართული წერა-კითხვა“, მარადიდელმა მენაევმა, ვინმე ოსმანმა, ასე უპასუხა: „-კი ბატონო, მუსლიმანჯა ვიცი, გურჯიჯა არა. ჩვენ იმისთანა ქითაბები გვაქვს, რომ იმაში სწერია გურჯიჯა სიტყვები თურქული იაზებით“<sup>83</sup> ანუ ასოებით. ამისათვის აუცილებელი იყო ქართული სკოლის გახსნა, ასეთი სკოლა მართლაც გაიხსნა ახმედ ხალვაშის თაოსნობით.

<sup>80</sup> ზ. ჭიჭინაძე, მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1913, გვ. 148; მისივე, მოხსენება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობისადმი შედგენილი და იმერხევეში ქართული წიგნების გავრცელებისათვის გასამგზავრებლად დახმარების აღმოჩენის შესახებ, საისტორიო მოამბე, თბ., 1960, 11-12, გვ. 683.

<sup>81</sup> აღ. რამიშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, საისტორიო მოამბე, თბ., 1960, 11-12 გვ. 55.

<sup>82</sup> ზ. ჭიჭინაძე, მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1913, გვ. 148.

<sup>83</sup> ს. ბაერელი, ნავით მოგზაურობა ქოროზზე, გაზ. „ივერია“, 1879, 2.



ახმედ ხალვაშმა, მოსახლეობის სურვილის შესაბამისად, განცხადებით მიმართა ქუთაისის გუბერნატორს მარადიდში სკოლის გახსნის თაობაზე, რაც კიდევაც განხორციელდა 1884 წელს. ეს იყო პირველი ქართული დაწყებითი სკოლა, რომელშიც ქართულ ენასათან ერთად რუსულსაც ასწავლიდნენ<sup>84</sup>.

1886 წელს გაზეთი „ივერია“ მკითხველს აუწყებდა: „მარადიდში უკვე დაარსდა სკოლა ქუთაისის საერო სასწავლებლის დირექციის მიერ. ამ სკოლაში მასწავლებლად დაინიშნა პეტროვი<sup>85</sup>“. სამწუხაროდ, ამ სკოლას დიდხანს არ უარსებია. ახმედ ხალვაშის გარდაცვალების შემდეგ მოსწავლეთა რიცხვმა თანდათანობით იკლო, რადგან მასწავლებელი რუსი იყო და არ იცოდა ქართული ენა, ბავშვებს კი მისი არაფერი გაეგებოდათ. ამასთან ერთად, იგი ხშირად თვრებოდა და სასტიკად სცემდა მოწაფეებს. ასეთი ურიგო მასწავლებლის ყოფაქცევამ ხელი შეუწყო სკოლის დახურვას.

მარადიდელი ახალგაზრდების სწავლა-განათლების მიღებით დაინტერესებული ყოფილა აგრეთვე ახმედის ვაჟი შარუნ ეფენდ ხალვაში. მას მამის სიკვდილის შემდეგ საკუთარი სახსრებით სკოლაში ქართული ენის მასწავლებელი მოუწვევია, მაგრამ წინა რუსი მასწავლებლის არასახარბიელო ქცევით უკმაყოფილო მოსახლეობას ხალვაშების გვარის გარდა ბავშვები არ მოუყვანიათ<sup>86</sup>.

90-იან წლებში კვლავ დაისვა საკითხი მარადიდში სკოლის აღდგენის თაობაზე. ამის შესახებ გაზეთი „კვალი“ იტყობინებოდა: „დღეს აქ ძლიერ საჭიროა სკოლის გახსნა. თვით ადგილობრივმა მცხოვრებლებმაც შეიგნეს წერა-კითხვის აუცილებლობის საჭიროება, მაგრამ ვინ არის იმისთანა, რომ ეს ითავოს. შარშან აქაურმა საზოგადოებამ გადაწყვიტა თხოვნის მიცემა გუბერნატორთან სკოლის გახსნაზე. თხოვნა კიდევ გაიგზავნა, მაგრამ ჯერჯერობით პასუხი არ მოსულა“<sup>87</sup>.

<sup>84</sup> ზ. ქიქინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 150; გაზ. „დროება“, 1884, 2.

<sup>85</sup> გაზ. „ივერია“, 1886, 52.

<sup>86</sup> ზ. ქიქინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 153, 155.

<sup>87</sup> გაზ. „კვალი“, 1896, 44.



როგორც ვნახეთ, ლიგანის ხეობის ქართველი მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩენდა საგანმანათლებლო ცხოვრებისადმი. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ოსმალური რეჟიმის მიუხედავად ქართული სალაპარაკო ენა მაინც იჩენდა სიცოცხლისუნარიანობას, მოსახლეობამ ძირითადად შეინარჩუნა ქართული ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, რაც მთავარია, მშობლიური ქართული ენა. ამ საქმეში დიდი იყო ქალის როლი.

ლიგანის ხეობის ცხოვრებას მძიმე დალი დაასვა პირველმა მსოფლიო ომმა. ხეობა ომის ასპარეზად იქცა. განსაკუთრებით რთული ვითარება შეიქმნა მას შემდეგ, როდესაც გერმანიის ნაქეზებით ომში ჩაება თურქეთი.

ომის სანჯის ეტაპზე თურქეთის არმიის საბრძოლო გეგმა ითვალისწინებდა ართვინის ოლქში ძირითადი კომუნიკაციების - სპილენძით მდიდარი რაიონების, აგრეთვე ბათუმთან, ართვინთან, არტაანთან და ყარსთან დამაკავშირებელი გზების ხელში ჩაგდებას. ამ მიზნით 1914 წ. 30 ოქტომბერს თურქეთის არმიამ არხავესა და ხოფას მხრიდან, ჩხალისა და მურლულის ხეობებით შეტევა დაიწყო ართვინის მიმართულებით. ბრძოლის ობიექტად იქცა მურლულის ხეობაში მდებარე ჭინკათხევ-დანსულის სპილენძის სადნობი ქარხანა. უკვე 1 ნოემბრისათვის 500 თურქი მებრძოლი მიადგა ქარხნის ტერიტორიას. აქ განლაგებული რუსთა ჯარის ნაწილები საკმარისი არ იყო თავდაცვის მოსაგერიებლად, რის გამოც ართვინის ოლქის უფროსის პოლკოვნიკ ლავროვის ხელმძღვანელობით ქარხნის მუშა მოსამსახურეების და ადგილობრივ მკვიდრთაგან ჩამოყალიბდა მოხალისეთა რაზმი. ისინი 3 ნოემბრამდე, ბათუმიდან დამხმარე რაზმის მოსვლამდე, იგერიებდნენ იერიშებს<sup>88</sup>. ასევე წარუმატებლად დამთავრდა „ჩივთუ ქოფრის“ მიდამოებში წარმოებული თურქთა 1000-კაციანი რაზმის შეტევა ბორჩხის მიმართულებით.<sup>89</sup>

<sup>88</sup> გაზ. „Закавказская речь“, 1914, 272.

<sup>89</sup> მ. სიორიძე, ბათუმის ოლქი პირველი მსოფლიო ომის დროს, ხელნაწერი, 2000, გვ. 12 (ინახება ავტორთან).





3 ნოემბერს ბათუმიდან ბორჩხაში საგანგებოდ ჩავიდა ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორი გენერალ-მაიორი ელშინი. მისი ბრძანებით 4 ნოემბერს რუსთა არმიას უნდა წამოენყო კონტრშეტევა ორი მხრიდან – სპილენძის სადნობი ქარხნებიდან და სოფელ ქურადან. მაგრამ თურქებმა რუსთა არმიას შეტევის დაწყება დაასწრეს და შეძლეს ქარხნის ირგვლივ მდებარე სიმაღლეების ხელში ჩაგდება. ასეთ პირობებში რუსეთის სარდლობა იძულებული გახდა თავდაცვით ბრძოლებზე გადასულიყო. სალამოს დიდი ზარალის ფასად ქარხნის ტერიტორია რუსებმა დატოვეს.

თურქთა გაძლიერებული შენაერთების კონტრშეტევის საფრთხემ ართვინში, არტანუჯსა და ორჯოხში გამაგრებული რუსთა არმია აიძულა ბორჩხისაკენ დაეხია. გენ. ელშინის დავალებით ამ ნაწილებს ნაბრძანები ჰქონდათ აეფეთქებინათ მდ. ჭოროხზე არსებული ხიდი ქალაქ ართვინთან<sup>90</sup>.

თურქებმა ჭარბი ძალებით მოახერხეს სოფ. ბორჩხის, ქ. ართვინისა და არტანუჯის აღება. ოკუპირებულ ტერიტორიაზე დამპყრობლები მკაცრ ასიმილაციურულ პოლიტიკას ახორციელებდნენ. განსაკუთრებით ავინრობდნენ სომეხ მოსახლეობას. გადმოცემით, თურქები სომხებს ართვინის ციხიდან მდინარე ჭოროხში ცოცხლად ყრიდნენ.

თუმცა თურქთა მმართველობა ხანმოკლე აღმოჩნდა. სარიყამიშთან დამარცხების შემდეგ სწრაფად დაიწყეს უკან დახევა. უკან დახეული ნაწილები წეავდნენ სოფლებს, იტაცებდნენ საქონელს, ქონებას, ძალად მიერეკებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ამის შესახებ გაზეთი „თანამედროვე აზრი“ წერდა: „ყველაზე მეტად განადგურდა მდ. ჭოროხის პირით მდებარე სოფლები აჭარისწყლიდან ართვინამდე. აქ მცხოვრები თითქმის აღარ არიან. ვინც ცოცხალი დარჩა, ოსმალებმა ტყვედ წაასხეს“<sup>91</sup>.

რუსეთის არმიის წარმატებული შეტევით 1915 წ. თებერვლის შუა რიცხვებში განთავისუფლებულ იქნა ბორჩხა, ხოლო მარტის დამდეგს

<sup>90</sup> მ. სიორიძე, ბათუმის ოლქი პირველი მსოფლიო ომის დროს, ხელნაწერი, 2000, გვ. 20.

<sup>91</sup> გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915, 32.



ძანსულის სპილენძის სადნობი ქარხანა. თურქები განდევნილ იქნენ მურღულის ხეობიდან. ამის შემდეგ ბორჩხისა და არტაანის რაზმების წინაშე დაისახა გეგმა, რომლის მიხედვითაც ორმხრივი დარტყმით უნდა გაეთავისუფლებინათ თურქების მიერ კარგად გამაგრებული ართვინი. 16 მარტის კონტრშეტევის შედეგად რუსთა არმიამ ქ. ართვინიც დაიკავა<sup>92</sup>. მალე თურქებისაგან სრულიად გაიწმინდა ლიგანის ხეობა და მთელი ბათუმის ოლქი.

პირველმა მსოფლიო ომმა მძიმე შედეგები მოუტანა ლიგანის ხეობას, მთელ ჭოროხის მხარეს. მან დიდად შეაფერხა საზოგადოებრივი ცხოვრება.

მძიმე აღმოჩნდა პოლიტიკური შედეგიც. ყარსის ხელშეკრულების საფუძველზე არდაგანის ოლქთან და სხვა რაიონებთან ერთად თურქეთს გადაეცა ლიგანის ხეობის ზემო ნაწილი<sup>93</sup> (ბელლევანის, ჩხალის, მურღულის, ქლასკურის, დევსქელისა და სხვა ხეობები). ხეობის ქვემო ნაწილი კი საქართველოს საზღვრებში დარჩა და სოფლებით: კირნათი, ქვემო მარადიდი, გვარა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით კირნათის თემში, ხოლო მასზე მიწერილი მირვეთი და მაჭახლისპირი აჭარისწყლის სასოფლო თემში შევიდა.

### § 5. ლიგანის ხეობის თანამედროვე მდგომარეობა

1921 წლიდან ლიგანის ხეობის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. ისტორიული ბედუკულმართობის გამო ორ ნაწილად გაყოფილ ხეობაში ერთმანეთისაგან განსხვავებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა. საქართველოს ფარგლებში მოქცეული სოფლები საქართველოს დამოუკიდებლობამდე საბჭოური ცხოვრების

<sup>92</sup> მ. სიორიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.  
<sup>93</sup> ე. თაყაიშვილი, სამუსლიმანო საქართველო, დაბრუნება, გ. შარაძის საერთო რედაქციით, თბ., 1991, გვ. 226; ლ. თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბ., 1991, გვ. 197.



ნესს ეზიარა. ხეობის ზედა ნაწილი კვლავ თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში აღმოჩნდა და დღემდე უცხოური ცხოვრების ნესს ემორჩილება.

თავდაპირველად ლიგანის ხეობის საზღვარგარეთული ნაწილი 1921 წლის 7 ივნისიდან ართვინის სანჯაყში გაერთიანდა. მმართველობის შემდგომი ცენტრალიზაციის მიზნით 1924 წელს თურქეთში ახალი ლონისძიებები გატარდა, რომლის ძალითაც სანჯაყის ნაცვლად შეიქმნა ჭოროხის ვილაიეთი, რომელიც საკუთრივ ლიგანის ხეობასთან ერთად მოიცავდა ისტორიული ქართული მინა-წყლის მნიშვნელოვან ნაწილს: ტაო-კლარჯეთს, შავშეთ-იმერხევს, ზედა მაჭახელსა და სხვა კუთხეებს. 1936 წელს ჭოროხის ვილაიეთის ცენტრად ქ. ართვინი გამოცხადდა. 1956 წელს მას ართვინის ვილაიეთი ეწოდა<sup>94</sup>. თანამედროვე თურქეთის სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფით ვილაიეთი იყოფა ილჩეებად (რაიონი) და სასოფლო საზოგადოებებად.

საზღვარგარეთული ლიგანის ხეობის ტერიტორია მოიცავს ართვინის, ბორჩხისა და მურღულის რაიონებში შემავალ 53 სოფელს. ვილაიეთის მთელი მოსახლეობა 1990 წლის აღწერით აერთიანებდა 8 რაიონსა და 133 სოფელს, რომლის მოსახლეობა შეადგენდა 203 830 კაცს. მათ შორის სოფლებში ცხოვრობდა 146 736 კაცი. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე ერთ კვ. კმ-ზე შედგენს 35 კაცს<sup>95</sup> (დანვ. იხ. ცხრილი I-II-III).

ართვინის ვილაიეთის მოსახლეობა არაერთგვაროვანია. მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენს მუსლიმური სარწმუნოების მატარებელი ქართველობა. მათთან ერთად ცხოვრობენ სომხები, ბერძნები და თურქები, რომლებიც ძირითადად ქ. ართვინსა და მის გარეუბნებში სახლობენ.

<sup>94</sup> F. Torun. Artvin, Izmit, 1998, გვ. 25.

<sup>95</sup> ცნობები აღებულია ჩვენ მიერ ართვინის ვილაიეთის კულტურის უწყებაში 2000 წლის სამეცნიერო მივლინების დროს (იხ. ლიგანის ხეობაში სამეცნიერო მივლინების დღიურები, 2000).



ქართველი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დღემდე შეინარჩუნა ქართული სალაპარაკო ენა, ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები, ქართული ცნობიერება და საკუთარ თავს სიამაყით ეძახის გურჯს, ე. ი. ქართველს. ცალკეული შემთხვევების მიუხედავად, ისინი ცდილობენ არ შეერიონ სხვა ეროვნებებს. ამიტომაც მუსლიმ ქართველებში ქალის თხოვა-გათხოვება ნათესაობის, გვარის შიგნით ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ოღონდ დედის ხაზით არ უნდა იყვნენ ნათესავეები. მათ მეხსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხლობს მამა-პაპათა უძველესი გადმოცემები საქართველოზე, თავიანთ წარმომავლობაზე. ბევრმა მათგანმა დღემდე შეინარჩუნა ქართული გვარ-სახელები.<sup>96</sup> ქართული ტრადიციების შენარჩუნების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველო-თურქეთის საზღვრის გახსნამ, რომელმაც ისინი კიდევ უფრო დაახლოვა დედასაქართველოს, ახლობლებსა და ნათესავეებს.

ქართული ენის გავრცელების დღევანდელი მდგომარეობა ლიგანის საზღვარგარეთულ ნაწილში, კერძოდ, ბორჩხის, მურღულისა და ართვინის რაიონებში, შემდეგ სურათს გვაძლევს: მდინარე ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ჩხალისა და ბელღევანის ხეობების ადგილობრივ მცხოვრებთა რიცხვს ძირითადად ლაზურ ენაზე მოლაპარაკენი შეადგენენ. თუმცა, მათმა გარკვეულმა ნაწილმა იცის ქართული ენაც. ხოლო მდ. ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე (ქ. ბორჩხა, დევსქელი, ქლასკური, ზემო მარადიდი) მცხოვრებთა შორის ყველაზე კარგადაა დაცული ქართული ენა. ისინი ოჯახებში უმთავრესად ქართულ ენაზე ლაპარაკობენ. ბევრმა მათგანმა ბოლო წლებში ქართული წერა-კითხვაც შეისწავლა. ამის გამო ამ მხარის სოფლებს დღეს გურჯების სოფელს უწოდებენ. მურღულის მხარეც უმთავრესად დასახლებულია ქართულენოვანი მოსახლეობით. მიუხედავად ამისა, მშობლიურ ენაზე უმეტესად სოფლის მოსახლეობა ლაპარაკობს.

<sup>96</sup> R. Malakmadze, Livane Bölgesindeki Cürcü Ad ve Soyadları, თურ. Gvneburi, 2000, 38, გვ. 35.



საკუთრივ ართვინში ქართული ენის გავრცელების არეალი რამდენადმე შემცირებულია. ქართული აქ თითქმის არავინ იცის. მან თავი მხოლოდ სოფლებში ქართლასა და ომანაში შემოინახა. ქართულად ლაპარაკობს აგრეთვე ქ. ართვინში ლიგანისა და იმერხევის სოფლებიდან გადასახლებული მუსლიმი ქართველობა.

ლიგანის ხეობის საზღვარგარეთული ნანილის მოსახლეობის უმრავლესობა სოფლად ცხოვრობს და სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული. აქ მისდევენ მემინდვრეობას, მესაქონლეობას, მევენახეობა-მეხილეობას, მეფუტკრეობას, შინამრენველობას. დღეისათვის მემინდვრეობის ხვედრითი წილი მეტად შემცირებულია, რაც თურქეთის სხვადასხვა რეგიონიდან პურის ფქვილის შემოტანითა და სხვა ფაქტორებითაა გამოწვეული. სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთები სათიბ-საძოვრებად, ხილისა და თამბაქოს პლანტაციებადაა გადაქცეული. ყველაზე კარგი ხარისხის თამბაქო დევსქელის ხეობაში მოჰყავთ.

მთელ ართვინის ვილაიეთში განთქმული იყო და არის ლიგანის ხეობის სოფლებში წარმოებული თაფლი. თაფლსა და სანთელს უმთავრესად სავაჭრო დანიშნულება აქვს. ამის შესახებ ადრე ყურადღებას ამახვილებდა დ. ბაქრაძე. მისი ცნობით, აქაური სანთელი ოდესასა და კონსტანტინეპოლში გაჰქონდათ გასაყიდად<sup>97</sup>.

ამ 'ძვირფასი პროდუქტებით მიღებული სარფიანი მოგების გამო მხარის მოსახლეობა დიდადაა დაინტერესებული განავითარონ მეფუტკრეობა.

მოსახლეობის ნანილი სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობას ეწევა ქალაქებში. ლიგანის ხეობა დღემდე რჩება სამთამადნო წარმოების ერთ-ერთ მთავარ კერად, რომელიც აქ უძველესი დროიდან არსებობს და ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ვითარდებოდა.

სამთამადნო წარმოების მთავარი ცენტრია მურლულის ხეობის სოფელი ძანსული. ქვედა ძანსულში XX საუკუნის 70-იან წლებამდე

<sup>97</sup> დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987, გვ. 25.



მუშაობდა სპილენძის სადნობი საწარმო. ზედა დანსულის მადანს საბაგირო გზით აწვდიდნენ ქარხანას, სადაც ხდებოდა სპილენძის მიღება. მეორე მხრივ, ქარხნის მუშაობამ გამოიწვია ხეობის წყლისა და ბუნებრივი გარემოს დაბინძურება, რამაც ხელი შეუწყო ტრადიციული და ტექნიკური კულტურების მოვლა-მოყვანის მასშტაბების შემცირებას. ეკოლოგიური დარღვევების აღმოსაფხვრელად ზედა დანსულში 1972 წელს აიგო ახალი ტიპის, თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი საწარმო, რომელიც თვეში 280 ტონა მადანს ამუშავებდა.

ზედა დანსულის საწარმოში ბოლო წლებამდე მუშაობდა 900 კაცი, რომელთა შორის საკუთრივ მურღულელთა გვერდით მუშაობენ ლიგანის ხეობის და ართვინის ვილაიეთის სხვადასხვა სოფლიდან ჩამოსულნი. მათი თვიური გამომუშავება დაახლოებით 700-1000 ამერიკული დოლარის ეკვივალენტურ თანხას შეადგენს თურქულ ლირაში. ამასთან ერთად, ქვედა დანსულში არსებული ძველი სპილენძის სადნობი საწარმოს მიერ მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად სახელმწიფო მოსახლეობას ყოველწლიურად გარკვეულ ფულად კომპენსაციასაც უხდის, ამიტომაც მურღულის ხეობის მოსახლეობა ყველაზე შეძლებულად ითვლება მთელ ართვინის ვილაიეთში.

ლიგანის ხეობის სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სეზონურ მუშაობას ეწევა, რაც მათი ოჯახისათვის ფულადი და ნატურალური შემოსავლის დამატებითი წყაროა.

მდ. ჭოროხზე მარადიდთან, ბორჩხასა და ართვინთან ახლოს (დერიხერის) ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობამაც აქაურ მოსახლეობას ახალი სამუშაოები შეუქმნა.

საქართველოში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გამო სარფის კარის გახსნის შემდეგ დაიწყო სეზონურ სამუშაოზე მოსახლეობის ერთი ნაწილის გადინება თურქეთის სხვადასხვა რაიონში. ლიგანის ხეობის ქალაქებში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ოფიციალურად შეიქმნა სპეციალური სავაჭრო ადგილები ე. წ. „რუსის ბაზრები“, სადაც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან - აჭარიდან, იმერეთიდან, კახეთიდან, თბილისიდან



ჩასულები ენევიან ვაჭრობას. მათი ნაწილი დასაქმებულია ხე-ტყის დამზადებაზე, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების მშენებლობაზე. ამ ფაქტს მხარის ქართველი მოსახლეობისათვის ეკონომიკურთან ერთად სხვა მნიშვნელობაც აქვს. მათი წყალობით ლიგანის ხეობის ბევრმა მკვიდრმა აღიდგინა ერთ დროს მივიწყებული ნათესაობა, ურთიერთობაში მოიმარჯვა ქართული ენა, შეინაწვლა ქართული წერა-კითხვა.

ამრიგად, სარფის კარის გახსნით თურქეთში მცხოვრებ ქართველთა გამოღვიძების პერიოდი დადგა. მეგობრული ხიდი აღდგა. დღის წესრიგში დგება ქართული სათვისტომოების გახსნა და ქართული წერა-კითხვის შემოღება. ორმხრივი თანამშრომლობის ინტერესები მეცნიერებისა და კულტურის დარგში მოითხოვს აქაური დანტერესებული ახალგაზრდობის ჩარიცხვას საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. მათ შორის, პირველ რიგში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ამგვარი ღონისძიებების გატარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჩვენებურებთან მრავალმხრივი კავშირურთიერთობების დამყარებასა და განვითარებას.

ლიგანის ხეობის ეთნოლოგიური დასასიათება

სამეურნეო ყოფა

§ 1. მემინდვრობა

ახოს ალება. ეთნოგრაფიული<sup>1</sup>, არქეოლოგიური<sup>2</sup> და სხვა ლიტერატურის მონაცემებით<sup>3</sup> ირკვევა, რომ ლიგანის ხეობა იმ არეალში ექცევა, სადაც მინათმოქმედება უძველეს პერიოდში ჩაისახა და მეტად თავისებურ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში განვითარდა. მასზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ხეობისათვის დამახასიათებელმა მკვეთრად გამოხატულმა ვერტიკალურმა ზონალობამ, რასაც პირველად ვახუშტი ბატონიშვილმა მიაქცია ყურადღება. ლიგანის მაგალითზე იგი წერდა: „ახლოებენ მთანი მაღალნი და აგარაკნი, მშვენიერებით აღმკულნი, ჟამისა და ნახევარჟამის სავალთა, წყაროებითა, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი და ყოვლითა ნაყოფიერებით აღვსილნი“<sup>4</sup>. ვერტიკალური ზონალობის გავლენა სამეურნეო ცხოვრებაზე საერთო მოვლენა იყო საქართველოს მთიანი ხეობებისათვის, რამაც გარკვეული გავლენა იქონია მთური ტიპის მინათმოქმედების, მესაქონლეობისა და მეურნეობის

<sup>1</sup> რ. მალაყმაძე, ლიგანის ხეობაში მივლინების დღიურები, რვეული I, II, III, IV, V, 1999-2000.

<sup>2</sup> ო. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991, გვ. 211; ა. კახიძე, შ. მამულაძე, ჭოროხის აუზი კოლხური კულტურის უძველესი კერა, ბათუმი, 2000, გვ. 36; კ. ბიტელი, ართვინში აღმოჩენილი ბრინჯაოსაგან გაკეთებული არქეოლოგიური ნაშთები, ენიმკის მოამბე, თბ., 1938, გვ. 258.

<sup>3</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოს საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 133, 135; დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987, გვ. 40-42; ივ. ჯაიანი, წერილები შავშეთიდან, თბ., 1991, გვ. 44, 75, 76; შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993, გვ. 298, 311, 331.

<sup>4</sup> ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.





სხვა დარგებზე, საერთოდ, მთური ტიპის ცხოვრების წესის ჩამოყალიბებაზე. ყველაზე მეტად ეს თავისებურება მინათმოქმედება-მემინდვრეობის მაგალითზე ვლინდება, რომელიც მესაქონლეობასთან ერთად სიმბიოზური ფორმით ვითარდებოდა.

მემინდვრეობა თავისი ხასიათით, როგორც ცნობილია, შრომატევად სამუშაოთა რთულ კომპლექსს მოიცავს და დაკავშირებულია ისეთ შრომით პროცესებთან, როგორიცაა: ახოს ალება, ნიადაგის განოყიერება, ხვნა-თესვა, მორწყვა, ნათესების დამუშავება, მოსავლის ალება-დაბინავება და ა. შ. ეს პროცესები საერთოდ დამახასიათებელი მოვლენაა საქართველოს თითოეული კუთხისათვის და მათ შორის საკვლევი რეგიონისათვის.

სულხან-საბას განმარტებით, ახო არის „საყანური გაკაფული“<sup>5</sup> ადგილი. გ. ჩიტაიას დახასიათებით „ახოს ალების სისტემა საკმარისად რთული მეურნეობაა, რამდენადაც მის კომპლექსში შედის არა მარტო ნიადაგის დასამუშავებელი იარაღები, არამედ ნიადაგის თვისებებიც: ნაყოფიერება, ადგილის კლიმატური პირობები, სახნავი ადგილის ზედაპირის ფორმა, ნიადაგის ტენიანობა, ნაკვეთების მდებარეობა, დაქანება, თოხნის დრო, პურეულის ჯიშები და სხვა“<sup>6</sup>. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ახო რომ მოეწყოს, ამისათვის საჭირო იყო ტყე-ბუჩქების გაკაფვა, „კეტებითა და უროებით“ ნიადაგის „ლოდოვნებისაგან“ გასუფთავება, მინაში დარჩენილი ძირების მოსპობა და სხვა<sup>7</sup>. ასეთ-ნაირადაა გააზრებული ახოს ალება საკვლევი რეგიონის მოსახლეობაშიც.

მთხრობელთა გადმოცემით, საახოე სამუშაოები ძირითადად შემოდგომასა და ადრე გაზაფხულზე იწყებოდა. უპირატესობა რთველზე გაკაფულ ადგილს ენიჭებოდა<sup>8</sup>.

<sup>5</sup> სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV, ნიგნი I, თბ., 1965, გვ. 89.  
<sup>6</sup> გ. ჩიტაია, ახოს ალება დასავლეთ საქართველოში, შრომები ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1997, გვ. 29.  
<sup>7</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ნიგნი I. ტფ., 1930, გვ. 154.  
<sup>8</sup> რ. მალაყმაძე, დასახ. დღიურები, რვეული III, 2000, გვ. 55.



მეურნე თავდაპირველად საახოედ განკუთვნილ ადგილზე მოზრდილ ხეებს გახმობის მიზნით წინასწარ ცულით ან ნალდით ქერქს შემოაცლიდა, რასაც შეყვერვა ეწოდება. ეს წესი საქართველოს სხვა კუთხეებშიც იყო ცნობილი<sup>9</sup>. შემოყვერილი ხეები სწრაფად ხმებოდა, მათ ცულით ჭრიდნენ, ბარდ-ეკალს კი ნალდებით ჩეხდნენ. რამდენიმე ხეს ფართობის სიდიდის მიხედვით საზვიენდაც ტოვებდნენ და მასზე ჩაღას შემოახვევდნენ. ტყის ჩეხვისას პანტა ხეხილის ნერგებს ფესვიანად იღებდნენ და სხვაგან გადარგავდნენ.

სახნავ-სათესად სავარგული მიწების ათვისება ხდებოდა არა მარტო ახოს ალების გზით, არამედ კორდი მიწების ათვისებითაც. ასეთი მიწები კი შეიძლება ყოფილიყო როგორც ადრე ნამუშევარი და გამოფიტვის შედეგად დროებით მიტოვებული, ასევე სრულიად აუთვისებელიც.

კორდი მიწების პირველადი დამუშავება ხდებოდა კარგ „ნამბულზე“, ანუ ნანვიმარზე ხელით ან სახვნელით. შემდეგ კი მეორედ დაამუშავებდნენ. დათესვით კორდი მიწების პირველად დამუშავებას გათერძვა ეწოდება, რაც საქართველოს სხვა კუთხეებისათვის, კერძოდ, მესხეთ-ჯავახეთის მიწათმოქმედებისათვისაც იყო დამახასიათებელი<sup>10</sup>.

ჩვენ მიერ ველზე შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ახლათვისებულ მიწას პირველ წელიწადს

<sup>9</sup> გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 26; ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969, გვ. 101; ჯ. რუხაძე, სიმინდის კულტურა დასავლეთ საქართველოში, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და კულტურა, თბ., 1964, გვ. 65; ნ. კახიძე, აჭარის მთიანი ხეობის ძველი და ახალი სამეურნეო ყოფა და კულტურა (მაჭახლის ხეობა), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1967, გვ. 38-54; ნ. ჩიჯავაძე, ახოობა აჭარაში, აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, თბ., 1967, გვ. 53.

<sup>10</sup> ლ. ბერიაშვილი, მემინდვრეობის ხალხური წესები მესხეთში, საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები, თბ., 1964, გვ. 141.



„ხამი მინა“ ენოდება, შემდეგ წლებში კი მოდულად იქცევა<sup>11</sup>. ორივე ტერმინი ახოს სისტემასთან არის დაკავშირებული და მიუთითებს ნიადაგის ნაყოფიერებაზე. ხალხური დახასიათებით მოდული მოსავლიანობით ჩამოუვარდება ხამ მინას, მაგრამ იგი „მინის გაცვეთამდე“ მაინც მუშავდებოდა. პირველი წლიდან მოყოლებული მინის გამოფიტვამდე შუალედ პერიოდს ლიგანის ხეობის სოფლებში (ქვემო მარადიდი, მირვეთი) კურუმი ენოდებოდა<sup>12</sup>. გამოფიტვის შემდეგ მინას ასვენებდნენ და სათიბ-საძოვრად აქცევდნენ.

ტყის გაკაფვის შედეგად ახოს ათვისებას მიმართავდნენ არა მარტო სახნავ-სათესი ნაკვეთისათვის, არამედ სათიბებისა და საძოვრებისათვისაც, რასაც მესაქონლეობის განვითარების ინტერესები მოითხოვდა. მეტად საინტერესოა ლიგანის ხეობის საზღვარგარეთული ნაწილის სოფლებში (დევსქელის ხეობა) დღემდე დაცული ჩვეულება ახოთობის სახელწოდებით. მთხრობელთა გადმოცემით, ახოთობა ენოდება სუბალპური თუ ალპური ზონის ქალებიდან/სათიბებიდან საქონლის საზამთროდ საკვების მოტანასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებას. თივას მარიამობის თვეში თიბავდნენ და შემოდგომით ან ზამთარში შინ მიჰქონდათ<sup>13</sup>. ახოთობის ჩვეულება გავრცელებული იყო იმერხევის მოსახლეობის სამეურნეო ყოფაშიც.<sup>14</sup>

ამგვარად, საკვლევი რეგიონის მოსახლეობა იძულებული იყო ახოს ალების გზით შეევსო სახნავ-სათესად და სხვა მიზნით გამოსაყენებელი მიწების სიმცირე, ურომლისოდაც შეუძლებელი იყო მინათმოქმედება-მემინდვრეობის გონივრული წარმართვა. ახოს ალების სახით ლიგანის ხეობასა და მთელ საქართველოში შემონახული

<sup>11</sup> ამ ტერმინების შესახებ იხილეთ ნ. კახიძე. დასახელებული დისერტაცია, გვ. 46-47.

<sup>12</sup> ტერმინ „კურუმის“ ეტიმოლოგიური ახსნა ვერ მოხერხდა, რაც თავისთავად საინტერესო ფაქტია. ჩვენთვის ხელმისაწვდომი მონაცემების მიხედვით იგი მხოლოდ ფშავში გვხვდება. თუმცა მას აქ სხვა მნიშვნელობა აქვს და ჯგუფ-ჯგუფად მდგარ ხეებს ენოდება (ალ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984, გვ. 317).

<sup>13</sup> რ. მალაყმაძე, დასახ. დღიურები, რვეული III, გვ. 60.

<sup>14</sup> შ. ფუტყარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 230, 389.

გვაქვს მრავალდარგოვანი და რთული მინათმოქმედებისათვის დაშა-  
ხასიათებელი ერთ-ერთი უძველესი პროცესი, რომელიც ხალხური  
აგროტექნიკური ცოდნის მაღალ დონეზე მიუთითებს. ახობას, რომე-  
ლსაც საქართველოში უძველესი და უმდიდრესი ტრადიციები  
გააჩნია<sup>15</sup>, მიმართავდნენ არა მარტო სახნავ-სათესი ფართობების,  
არამედ მესაქონლეობისათვის სათიბ-საძოვრების მისაღებადაც.

ლიგანის ხეობაში გავრცელებული ახოს ალების სისტემა და  
მასთან დაკავშირებული ნეს-ჩვეულებები ანალოგებს პოულობს  
როგორც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს<sup>16</sup>, ასევე სხვა  
ქვეყნების საახოე მეურნეობასთან<sup>17</sup>.

**სახნავ-სათესი ნაკვეთები.** ლიგანის ხეობაში მემინდვრობის  
ინტენსიური წარმოებისათვის გამოსაყენებელი სახნავ-სათესი  
ნაკვეთები (ბაღჩები) უმთავრესად სოფლის ფარგლებშია მოქცეული  
და საოჯახო მეურნეობის ძირითად ეკონომიკურ საფუძველს  
წარმოადგენს. მას მოსდევს სოფლის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს  
გარეთ მდებარე საყანე თუ სხვა დანიშნულების სავარგულები.

ბაღჩა, ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, სპარსული სიტყვაა,  
რომელიც ბალის კნინობით ფორმას წარმოადგენს და პატარა ბაღს  
ნიშნავს. ბაღი და ბაღჩა XII საუკუნის ქართულ მწერლობაში  
ჩვეულებრივი სიტყვა ყოფილა. მეცნიერს მათი შემოხიზნვის ხანად  
X-XI სს. მიაჩნდა<sup>18</sup>. დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული მონა-  
ცემების მიხედვით ბაღჩა — ბოსტანს ეწოდება<sup>19</sup>. ჩვენი ეთნოგ-

<sup>15</sup> გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, გვ. 98.

<sup>16</sup> გ. ჩიტაია, ქსნის ხეობის 1938 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ან-  
გარიში, ენიშკის მოამბე, IV. ნაკვ. III, თბ., 1939; გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ სა-  
ქართველოს სამინათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960; ჯ. რუხაძე,  
ხალხური აგროკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1967 და სხვა.

<sup>17</sup> ნ. ბრეგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

<sup>18</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ნიგნი II, ქართველი  
ერის ისტორია, ტ. V, თბ., 1986, გვ. 116.

<sup>19</sup> ს. ჟღენტი, გურული კილო, თბ., 1936, გვ. 212.



რაფიული ცნობებით, ლიგანის ხეობაში ბალჩა ისეთივე მნიშვნელობით იხმარება, როგორც მაჭახლის ხეობაში<sup>20</sup> და აღნიშნავს საკარმიდამო კომპლექსში მოქცეულ ძირითად სახნავ-სათეს მინის ნაკვეთს. ანალოგიური სახის მინები ლიგანის ხეობის ზოგიერთ სოფლებში (კაპარჯეთი, ოზმალი, შუახევი) ნაფუზარის (ნაფუძარის) სახელითაც არის ცნობილი. ეს უკანასკნელი ტოპონიმიკამაც შემოგვინახა. ტოპონიმები ნაფუზარის სახელწოდებით გვხვდება სოფლებში კაპარჯეთსა და შუახევში. ნაფუძარი ამავე მნიშვნელობას ატარებს აჭარაში<sup>21</sup>.

ვიდრე უშუალოდ ბალჩის დახასიათებასა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს შევხებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიგანის ხეობის საზღვარგარეთული ნანილის (დეესქელი, მურლულის ხეობის სოფლები) მოსახლეობის ლექსიკაში სიტყვა „ბალჩა“ არ გვხვდება და ამ მნიშვნელობით აქ ვენახი იხმარება. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, ვენახი ვაზებით დარგულ ბაღს აღნიშნავს<sup>22</sup>. თუმცა ჯავახეთში, გ. ჩიტაიას მიერ ჩანერილი მასალებით, მას ვაზის გარეშე არსებულ „ხეხილის ბაღებსაც“ უწოდებდნენ<sup>23</sup>. თუ რამ გამოიწვია ლიგანის ხეობის საზღვარგარეთული ნანილის მოსახლეობის სამეურნეო ყოფაში „ბალჩის“ „ვენახად“ შეცვლა, ამაზე პასუხი ძნელდება. მთხრობელებიც ამის შესახებ ვერაფერს გვეუბნებიან. თუმცა, ერთი რამ ცხადია, როგორც „ბალჩა“, ასევე „ვენახიც“ ძველი სამეურნეო ტერმინებია. ოსმალთა ბატონობამდე მალღარი ვენახი ასეთ ნაკვეთებზე იყო გაშენებული. შემდგომ კი მკვეთრად შემცირდა ვაზის მოვლა-მოყვანის მასშტაბები და მან ეკონომიკური მნიშვნელობა დაკარგა. სწორედ ამიერიდან ვენახის ნაკვეთები სახნავ-

<sup>20</sup> ნ. კახიძე, მაჭახლის ხეობა, ბათუმი, 1974, გვ. 42.  
<sup>21</sup> ნ. ჩიჯავაძე, სამინათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში, თბ., 1971, გვ. 9.  
<sup>22</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.  
<sup>23</sup> გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული მასალები ტერასული მინათმოქმედებისათვის ჯავახეთში, შრომები ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1997, გვ. 35.

სათესებად და ბალ-ბოსტნებად უნდა ქცეულიყო. სახელწოდება კი მას თავდაპირველი შეუნარჩუნდა<sup>24</sup>.

ჩვენ მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, რომ ლიგანის ხეობაში არსებული ბაღები, მაღალხარისხოვანი სახნავ-სათესი ნაკვეთებია, რომლებიც საკარმიდამო კომპლექსის ორგანულ ნაწილს შეადგენს. იგი აერთიანებდა როგორც მარცვლეული კულტურისათვის განკუთვნილ ნაკვეთებს, ასევე ბალ-ბოსტნებს. აქ ხშირად პატარა ზომის ბაღებს ბოსტანსაც უწოდებენ. ასეთ ნაკვეთებზე თავდაპირველად ითესებოდა პური ან ქერი, შემდგომ კი ლობიო, ლახანა (მხალი), აყირო (კვახი), კიტრი, კარტოფილი, რომელსაც აქაურები მინიხაპას ეძახიან<sup>25</sup>.

ნიადაგებს განასხვავებდნენ რელიეფის, მდებარეობის მიხედვით. ერთმანეთისაგან გამოყოფდნენ აგრეთვე „მზიან და ჩრდილიან“ ადგილებს. ამათგან უპირატესობა მოსავლიანობის მიხედვით პირველს ენიჭებოდა.

**ყანები.** ყანა, როგორც ივ. ჯავახიშვილი არკვევს, მარტივი ფორმაა „საყანურისა, რომელიც სათესველის მნიშვნელობით იხმარება. იგი აქვე იმონმებს გ. მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ ტერმინს „სათესავი ყანა“, რაც იმავე ყანის შესატყვისია. აქედან გამომდინარე, მკვლევარი ყანას მოსახნავად განკუთვნილსა და სახნავ-სათეს მინას უწოდებს. მისივე ცნობით, სახნავ-სათესი ნიადაგის აღმნიშვნელად ძველ ქართულ მწერლობაში როგორც ნათარგმნში, ისე ორიგინალურში „ყანობირიც“ გვხვდება. მაგრამ XII ს. და შემდგომ პერიოდში ეს უკანასკნელი იკარგება და მარტო „ყანა“ რჩება<sup>26</sup>. ტერმინი „ყანა“ ასეთივე მნიშვნელობითაა შემონახული ლიგანის ხეობის სამეურნეო ყოფაში და სახნავ-სათეს ადგილზე მიუთითებს. ამ სახელწოდებით „ყანა“ დადასტურებულია

<sup>24</sup> რ. მალაყმაძე, დასახ. დღიურები, რვეული II, გვ. 15.

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი I, ტფ., 1930, გვ. 138, 150, 151.

დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში (რატომღაც ლეჩხუმი), აგრეთვე ხევსურეთში<sup>27</sup>.

ლიგანის ხეობისათვის დამახასიათებელი მთური მინათმოქმედებიდან გამომდინარე და აქ არსებული მცირე მინიანობის გამო ყანების უმრავლესობა გაფანტულია და სიდიდითაც არ გამოირჩევა. ასეთ პირობებში მეურნე იძულებული იყო ხელოვნურად ტყის გაკაფვითა და ამოძირკვით (ახოს გატეხვით) საყანურად გადაექცია მინის ყოველი ნაჭერი. ამიტომაც, ხეობაში ყანები სხვადასხვა ჯგუფად იყოფოდა. ადგილობრივი მოსახლეობა მათ განასხვავებდა საცხოვრებელი სახლისადმი მიმართების თვალსაზრისით. ამის მიხედვით არჩევდნენ სახლის ზემოთ მდებარე სახლწინა, ანუ ერდო ყანებს. ამ სახის ყანები ხშირად გამოყენებული იყო ხეხილის მოსაშენებლადაც. ყანებს განასხვავებდნენ აგრეთვე რელიეფის მიხედვით (კაპანი ყანა, მინდორ ყანა, ვაკე ყანა, დუბე ყანა), ასევე არჩევდნენ ნაყოფიერების (მსუქანი ყანა, ფოთური ყანა, ქლე ყანა), მზიანობის (მზიანი ყანები, ჩირდილაი ყანები, ნამზევი ყანები), შეზიარება-შეამხანეგების (ზიარი ყანები, ოთხზიარი ყანები) ნიშნით.

ყანები როგორც სოფლის საზღვრებში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც არსებობდა. ასეთი ყანები გარეყანებად იწოდება. გარეყანები ჰქონდათ კირნათლებს ოლავეში, ქვემო მარადიდლებს სიმონეთის ვაკეზე, ნიგალელებს დევსქელში და სხვა. ამგვარ ყანებში ძირითადად მარცვლეულ კულტურებს თესავდნენ. აქაც ტრადიციულად მინის დასვენების წესს მიმართავდნენ. გარეყანებს ნაკელით ვერ ანოყიერებდნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, მიმართავდნენ ასეთ ყანებში წერილფება საქონლის გამოზამთრებას, რაც თავისთავად ხელს უწყობდა განოყიერებას.

გარეყანები სოფლიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა. ამიტომაც მოსახლეობა აქ აგებდა დამხმარე სამეურნეო დანიშნულების პატარა ზომის ნალია-სასიმინდეებს,

<sup>27</sup> ნ. ბრეგაძე, ხალხური აგროტექნიკის ზოგიერთი საკითხი, მაცნე 5, 1965, გვ. 166; გ. ჯალაბაძე, მინათმოქმედება ფშავ-ხევსურეთში, თბ., 1963, გვ. 56.



სადაც მოსავალს გაზაფხულის დამდეგამდე ინახავდნენ. მარტში მარცვლეული ოჯახში გადაჰქონდათ. ამ სახის ნალია სასიძინდეებს ზოგჯერ ლამის გასათევად და ნვიმიან ამინდებში მწყემსები თავ-შესაფრადაც იყენებდნენ.

ყანების რიცხვში შედიოდა ისეთებიც, რომლებიც, როგორც ითქვა, შეზიარება-შეამხანაგების წესით მუშავდებოდა: ერთი მხრივ, ოჯახის განაყოფ და ერთი გვარის ნევრებს, მეორე მხრივ, მეზობელ ოჯახებსა და სხვა გვარებს შორის. შეზიარება-შეამხანაგების დროს ყანის დამუშავება, მოსავლის აღება ერთად ხდებოდა. საზიარო იყო თესლიც. მოსავალსაც თანასწორად ინანილებდნენ.

შეზიარება-შეამხანაგებაზე მიუთითებს ლიგანის ხეობაში დამონმებული ტოპონიმები ოთხზიარი ყანა (სათესი, სოფელი ქვემო მარადიდი. ქუთურეთის უბანი), სამზიარი (სათიბი. სოფ. დევსქელი, ქვემოხანის უბანი), ორზიარყანა (სათესი, მურლულის ხეობა, სოფელი ბაშქოი, ფოროსეთის უბანი) და სხვა.

საზიაროდ დასამუშავებელი ყანების გვერდით არსებობდა უშურიოშური ყანები, რომლებიც საიჯარო წესით მუშავდებოდა. ამგვარი ყანების კატეგორია მეზობელ მაჭახლის ხეობაშიც არსებობდა<sup>28</sup>. ჩვეულებრივ, ასეთი ყანებიდან მოწეული მოსავალის მეათედი<sup>29</sup> პატრონს უნდა წაეღო. დანარჩენი დამმუშავებელს რჩებოდა, მაგრამ წინასწარი შეთანხმების საფუძველზე ამგვარი განანილების წესი შეიძლებოდა შეცვლილიყო.

ლიგანის ხეობაში მოიჯარეს ოშური მიწების სარგებლობისათვის რჩებოდა მოსავლის ნახევარი ან მესამედი. ასევე დადასტურდა საიჯარო ურთიერთობის ისეთი მომენტები, როდესაც მიწის მეპატრონეს მხოლოდ მარცვლეულის მოსავალი მიჰქონდა. ჩალა, ქუნჩალი (სიმიდის ტაროს განარჩევი მასა), ოშურ მიწაზე არსებული თივა დამმუშავებელს რჩებოდა. განსაზღვრული იყო ოშური ყანებით

<sup>28</sup> ნ. კახიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

<sup>29</sup> უშურიოშური „აშარას“ სახენაცვალი ფორმაა და სიტყვასიტყვით მეათედს ნიშნავს, იხ. თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი, 1985, გვ. 229.





სარგებლობის ხანგრძლივობაც. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ამ სახის ნაკვეთების ვადა კურუმით განისაზღვრებოდა. კურუმი, როგორც ითქვა, ეწოდებოდა ახლად ათვისებულ ყანას დამუშავების პირველი წლიდან მინის გამოფიტვამდე არსებულ პერიოდში. სხვა მონაცემებით ოშური მინები დამუშავებულს შვიდი წლის ვადით ეძლეოდა. შემდეგ კი ასვენებდნენ. ოშური ყანების დამუშავების პერიოდში მოიჯარეს მეპატრონის გარეშე არ ჰქონდა უფლება ნაკვეთზე ხილის, ვენახის გაშენებისა, რაც მინის დაპატრონების მცდელობად ითვლებოდა. ნინაალმდეგ შემთხვევაში მეპატრონე იძულებული იყო გაეუქმებინა საიჯარო პირობები. ადგილი ჰქონდა ნაკვეთების შესყიდვის ფაქტებსაც.

**ნიადაგების ხალხური დახასიათება.** საქართველოში, როგორც უძველეს სამინათმოქმედო ქვეყანაში, ხალხური ნიადაგმცოდნეობის შესაბამისი მაღალი დონეც არსებობდა. ამაზე მიუთითებს ნიადაგების უხვი ხალხური ტერმინოლოგია, რაც ძველ ქართულ წერილობით წყაროებშიც ამოიკითხება<sup>30</sup>. ხალხური ნიადაგმცოდნეობის შესწავლას არაერთი ეთნოგრაფიული გამოკლევაც მიეძღვნა<sup>31</sup>.

ნიადაგების მდიდარი ცოდნა-ჩვევები გამოვლინდა ლიგანის ხეობაშიც. აქაც ნიადაგებს სხვადასხვა ნიშნით განარჩევენ. ფერის მიხედვით ძირითადად არჩევენ შავ და ნითელ ნიადაგებს. ნაყოფიერება-მოსავლიანობის მხრივ შავ მინა ნიადაგები ყველაზე ნაყოფიერად ითვლებოდა და მას „მსუქან მინასაც“ უწოდებდნენ. ასეთი ნიადაგები ტოპონიმებადაც დამკვიდრდა. მაგალითად, შავი ყანა (საძოვარი. სოფელი ქვემო მარადიდი. ლომანაკეთის უბანი). ნითელი მინა ნიადაგები შავ მინებთან შედარებით უფრო ძნელად დასამუშავებლად და ნაკლებ ნაყოფიერად ითვლება. ასეთ მინებს ხშირად

<sup>30</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი II, თხზულებანი, ტ. V, თბ., 1986, გვ. 130.

<sup>31</sup> ჯ. რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1967, გვ. 10-18; ნ. ბრეგაძე, მთის მინათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969, გვ. 44; ნ. კახიძე, მაჭახლის ხეობის სამეურნეო ყოფა ტოპონიმის შუქზე, მაცნე, 1, თბ., 1966, გვ. 105-116 და სხვა.

ნაკელით ანოყიერებდნენ და ძირითადად სიმინდისა და სხვა მარცვ-  
ლუული კულტურების მოსაყვანად იყენებენ. ლიგანელები ნიადაგებს  
განასხვავებენ შედგენილობითაც: ქვიანი, წყლიანი, თიხნარი. ფხვიერი  
მინების აღსანიშნავად იხმარება ცარა ანუ ქანცარი, აგრეთვე თირი და  
სილა მინა. ამათგან ცარა მინა მოსახნავად ადვილი იყო, მაგრამ  
დაბალი მოსავლიანობით ხასიათდება.

ადგილობრივი მოსახლეობა კარგ მინების კატეგორიაში  
განიხილავს თირიანს, ქვიშარევსა და სილიან მინებს, რომლებიც  
გვალვასაც ადვილად იტანს და შედარებით იოლი დასამუშავებელიც  
არის, ასეთ მინებზე მარცვლუული და ბოსტან-ბაღჩეულიც კარგად  
ხარობს.

წყლიანი და თიხნარი მინების აღსანიშნავი ტერმინებია ჭონჭყო,  
ჭორტო, ტალახიანი მინა, სოდომო მინა, თიხნარი მინა, ჭალიმი მინა.  
ჭონჭყო (ჭორტო) მინები მუდმივი ტენიანობით ხასიათდება. ჭალიმი  
თიხნარი მინის აღმნიშვნელია. ჭალიმი მინები ხალხური დახასია-  
თებით ორი ფერისაა: ნითელი და მწვანე. ამ სახის მინები სახნავ-  
სათესად გამოუსადეგარია და მას სპეციალურ თიხა მინებთან ერთად  
ჭურჭლის დასამზადებლად იყენებდნენ<sup>32</sup>.

ნაყოფიერება-მოსავლიანობის აღმნიშვნელი ნიადაგები იყოფა  
მცირე ნაყოფიერ და ნაყოფიერ მინებად. პირველს განეკუთვნება:  
ივანა მინა, ხოზანაი მინა, გოხი მინა, ფოტური მინა, ნირი მინა, კოხი  
მინა, ენერი მინა, მეორეს – ხამი მინა, მოდული მინა, დვიბე/დუბე მინა,  
გული მინა, დობირო და ა. შ. ხალხური ახსნით გული მინა  
მოსავლიანია, სადაც უმთავრესად სიმინდი ითესებოდა. ნოყიერ  
ნიადაგების რიცხვში შედის აგრეთვე ჰასი (ხასი), ანუ ხარისხიანი  
მინები<sup>33</sup>. ასევე საინტერესო ჩანს ტერმინი დობირო, რომელიც  
საკმაოდ გავრცელებული ტერმინი ყოფილა საქართველოში და უფრო  
ფართო გამოყენებაც ჰქონდა. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ზოგან

<sup>32</sup> რ. მალაყმაძე, დასახ. დღიურები, რვეული II, გვ. 25.

<sup>33</sup> Г. Гамхарашвили, Сельско-хозяйственный обзор Батумской области. ГС. 1914.  
№12, с. 30.



ეს სახელი გეოგრაფიულ სახელადაც დამკვიდრდა<sup>34</sup>. საკუთრივ ლიგანის ხეობაში დობიროს სახელწოდებით მრავლად გვხვდება სამეურნეო ნაკვეთები. ხალხური დახასიათებით „დობირო“ ნოყიერი მიწებია და მოსავლიანობითაც გამოირჩევა. გამოიყენება ყოველგვარი მარცვლეული კულტურების მოსაყვანად. ამგვარ ნიადაგის შემცველ მიწებს ხშირად ბაღების გასაშენებლად იყენებენ. დობირო, როგორც ნიადაგის აღმნიშვნელი ტერმინი საქართველოს სხვა კუთხეებშიც გვხვდება. ივ. ჯავახიშვილმა საგანგებოდ გამოიკვლია ეს ტერმინი. იგი აღნიშნავს, რომ დობირო-დობერა გურიასა და სამეგრელოში ვაზის გასაშენებელ ნიადაგად იყო მიჩნეული. მისივე აზრით, დობირო მაღლარი ვაზის სახელ დობილოსაგან უნდა იყოს წარმომობილი, რომელიც იმერეთში XIX საუკუნეშიც დასტურდება<sup>35</sup>. ამ მონაცემებით ირკვევა, რომ დობირო თავდაპირველად მაღლარი ვაზის სახელი იყო, შემდგომში კი სავენახე მიწის აღმნიშვნელად იქცა. ანალოგიურ ვითარებასთან უნდა გვეკონდეს საქმე ლიგანის ხეობაში, სადაც საკმაოდ მაღალ დონეზე იყო განვითარებული მაღლარი მევენახეობა.

მცენარეული საფარის მიხედვით ნიადაგებს ეწოდება ნაბლნარი, თხილნარი, თხმელნარი, ეკალნარი, ანწლიანი და სხვა. ხალხური დახასიათებით ასეთი მიწებიც მოსავლიანია, რადგან ისინი მდიდარია ნეშომპალათი და არ საჭიროებს განოყიერებას.

ექსპოზიციის მიხედვით ლიგანის ხეობაში ნიადაგები შემდეგ ჯგუფებად იყოფა: ნაადრევი, ანუ მზიანი მიწები და ნაგვიანევი, ანუ ჩრდილი მიწები, რომელთაც სხვა სახელწოდებებიც მოეპოვებათ: სამზეო (ამზევი, ზისპირი/ზიზანზური) მიწები, ჩრდილი/ჩიდილი<sup>36</sup> მიწები. დევსქელის ხეობაში ძალიან ცხელ ადგილს, სადაც მზე დიდხანს ანათებს, „ციციხი მინა“ ეწოდება. ამგვარად, ადგილობრივი

<sup>34</sup> ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა, ნიგნი I, ბათუმი, 1958, გვ. 47, 49, 50, 131.

<sup>35</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 143, 323.

<sup>36</sup> „ჩრდილ“ და „გუნე“ ტერმინების შესახებ იხილეთ ს. ჯიქია, სამცხე-საათაბაგოს ტოპონიმთა და ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი, თსუ შრომები, ტ. X, 1950, გვ. 192.

მოსახლეობა სამეურნეო თვალსაზრისით ნიადაგებს განასხვავებს მზიანი და ჩრდილიანი ნიშნების მიხედვით, რაც საერთოდ დამახასიათებელი მოვლენაა მთური ტიპის მინათმოქმედებისათვის<sup>37</sup>. ამგვარ ნიადაგებს არა მარტო ნაყოფიერების, არამედ დასახლების თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მათგან განსხვავებული იყო ჩრდილიანი, ანუ ნაგვიანევი მინები, რომლებსაც მზის სხივები შედარებით ნაკლები დროის განმავლობაში ანათებდა. ამიტომაც, ასეთ ნიადაგებში პირველ რიგში ნითელი ფერის სიმინდს თესავდნენ, რომელიც შედარებით ადრე მნიფდებოდა.

ნიადაგის ზოგი სახელწოდება უკავშირდება რელიეფურ მდებარეობას (ფერდი, კაპანი/კაპანათი) და ხეობისათვის მკვეთრად გამოხატულ ზონალობას (დაბლობის, მინდორის, ბარისა და ვაკე ადგილების ნიადაგები, ზეგანი, ზეითიები, ზომო/ზომო ყანები, მალა იერები და სხვა).

ამრიგად, საკვლევი ხეობის მაგალითზეც კარგად ჩანს ხალხური ნიადაგმცოდნეობის მაღალი დონე, რომლის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი იყო სამინათმოქმედო კულტურების შეთანწყობა-განვითარება და შესაბამისად მოსვლიანობის შედარებით მაღალი დონის მიღწევა.

**ნიადაგების განოყიერება.** ლიგანის ხეობაში არსებული სახნავ-სათესი ფართობების სიმცირე შეუძლებელს ხდიდა ყოველი ნაკვეთის გარკვეული ვადით დასვენებას. ასეთ პირობებში ადგილობრივი მოსახლეობა იძულებული იყო მიემართა ნიადაგების ხელოვნური განოყიერებისათვის, რაც დამახასიათებელი იყო საერთოდ მთური მინათმოქმედებისათვის.

მინის გასანოყიერებლად გამოიყენებოდა, როგორც მსხვილფეხა, ასევე წვრილფეხა საქონლის პატივი. შინაური ფრინველის სკინტი, ანუ სკორე და ნაცარი. იშვიათად, მაგრამ მაინც იხმარებოდა და დღესაც სარგებლობაშია ეზო-კარმიდამოს ტერიტორიაზე დაგროვებული

<sup>37</sup> გ. ჩიტაია, მთური მინათმოქმედება, შრომები, ტ. 1, თბ., 1997, გვ. 46.

ნაგავი. ასეთი ტიპის სასუქებს ძირითადად ბოსტნეული კულტურების რისთვის იყენებდნენ.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ნაკელის უკმარისობისა და გარეყანების სიშორის გამო უმთავრესად ანოყიერებდნენ სახლთან ახლოს მდებარე ნაკვეთებს (ბაღებს, ვენახს). ასეთი სახნავი ნაკვეთები ყოველწლიურად საჭიროებდა განოყიერებას, რადგან აქ ერთდროულად რამდენიმე სახის სამინათმოქმედო კულტურებს თესავდნენ, რაც ხელს უწყობდა ნიადაგის შედარებით ადრე გამოფიტვას. გარეყანების ნაკელით განოყიერება წარმოებდა მათი წვრილფეხა საქონლის სადგომებად გადაქცევის გზით, რასაც მოსავლის აღების შემდეგ მიმართავდნენ. ნაკელის დაგროვება სპეციალურად მოლობილ საჩხებებშიც ხდებოდა, სადაც ამ მიზნით საქონელს აყენებდნენ.

ზამთრის დადგომამდე წვრილფეხა საქონელი ბარად ჩამოჰყავდათ, ხოლო ნაკელს ერთ ადგილზე მოაგროვებდნენ და გაზაფხულისათვის ინახავდნენ. მოლობილ ადგილებში საქონლის დაყენებით ნიადაგის განოყიერება ცნობილია სვანეთშიც<sup>38</sup>.

ხეობის მოსახლეობა ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად გამოშუშავებული ცოდნის საფუძველზე არჩევდა ორი სახის ნაკელს: დაჩორვილს (დაობილი, სველი) და გადამწვარს. უპირატესობას გადამწვარ ნაკელს ანიჭებდნენ. ასეთი ნაკელის მისაღებად ერთ ადგილზე მოგროვებულ ნაკელს ზემოდან საგანგებოდ ეწერს, ფუჩიჩს ან ანნლს გადააფარებდნენ. შემდეგ ადრიან გაზაფხულზე „თოხით შეთხრიდნენ“ და მერულით (ფინალით) რამოდენიმეჯერ გადააბრუნებდნენ<sup>39</sup>.

ეთნოგრაფიული მონაცემებით საქონლის ნაკელთან შედარებით უფრო მაღალხარისხოვნად ითვლებოდა წვრილფეხა საქონლის ნაკელი, რომელიც ნიადაგს უკეთესად ანოყიერებდა და მაღალ მოსავალსაც განაპირობებდა. მურღულის ხეობის სოფლებში დადასტურდა შარდისა და ნაკელის შეზავებით მიღებული სასუქით ქელით ნიადაგის

<sup>38</sup> მ. გეგეშიძე, სარწყავი მინათმოქმედება საქართველოში, თბ., 1961, გვ. 51.

<sup>39</sup> რ. მალაყმაძე, დასახ. დღიურები, რვეული IV, გვ. 30-31.



განოციერება. მეურნეთა დახასიათებით თხის გამხმარი ნაკელი უკეთესად „იხსნება, იშლება და მიწასაც უხდება“. შარდნარევი ნაკელით მიწის განოციერების ფაქტები საქართველოს სხვა კუთხეებშიც მოწმდება.

სახნავ-სათეს ნაკვეთებში ნაკელი გაჰქონდათ ადრიან გაზაფხულზე, ხენა-თესვის დაწყებამდე, აგრეთვე მეორადი მოხვნის წინ, ზოგ სოფლებში კი ზამთრობით.

ლიგანის ხეობაში მთიანი აჭარის მსგავსად, ნაკელი ორგვარი წესით გაჰქონდათ – მშრალი და წყალნარევი სახით. მშრალი სახით ნაკელის გასატანად იყენებდნენ „ხარების არაბას“ – მარხილს (დევესქელისა და მურლულის ხეობები), ხიზეკს-ციგას (სოფელი კირნათი, ქვემო მარადიდი, მირვეთი), რომელზეც სანაკელედ დადგმული იყო ოვალური ფორმის თხილის ტკენჩებით მოქსოვილი ზარი-ძარი. მინდვრად ნაკელი ცხენზე აკიდებული გოდრებითაც („ცხენის გოდრები“) გადაჰქონდათ: ამგვარი სახის გოდრების ფსკერი იხსნებოდა და ნაკელიც ცხენის ზურგიდან მოუხსნელად ნიადაგზე დაიცლებოდა. ნაკელს უზიდებოდნენ ზურგითაც, რისთვისაც გამოიყენებოდა ასევე „ნეხვის გოდრები“. დღეისათვის ნაკელის გასატანად ქარხნული წარმოების „ხელის არაბასა“ და თუნუქის ჯარას იყენებენ. მინდვრად ნაკელი ძირითადად მამაკაცს გაჰქონდა. ასეა დღესაც, თუმცა ჩხალისა და ბელღევანის ხეობებში მინდვრად ნაკელის გადატანაში ქალების მონაწილეობაც დაფიქსირდა.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია მინდვრად ნაკელის ზამთარში გატანის უპირატესობა. კერძოდ, თოვლის დნობის დროს ნაკელის წვეს ნიადაგი კარგად შეინოვდა და მეტი ეფექტის მომცემი იყო. ანალოგიური წესი არსებობდა საქართველოს სხვა კუთხეებშიც<sup>40</sup>.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მინდვრად ნაკელის გატანის მეორე ხერხი ე. წ. „სალმა წყლით“,<sup>41</sup> ანუ ნაკელ-წყლით ნიადაგის

<sup>40</sup> Г. Гамхарашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 22; ნ. ბრეგაძე, მთის მინათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969, გვ. 124.

<sup>41</sup> შ. ფუტყარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 304.

განოციერება. მაგრამ იგი შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაკვეთის მდებარეობა იძლეოდა ამის შესაძლებლობას. ეს მოსახერხებელი იყო მხოლოდ ფერდობ ადგილზე. ამასთან, ასეთი ნაკვეთები ახორსა და წყალთან ახლოს უნდა ყოფილიყო.

ნაკელწყლით ნიადაგის განოციერება ყოველწლიური პროცესი იყო, რადგანაც იგი ნიადაგს მხოლოდ ერთი წლით უნარჩუნებდა სიმსუქნეს. ნაკელწყლით სათესი ფართობის განოციერება მთური პირობების შენაძენია, რომლიც გავრცელებული იყო აჭარაში, სადაც მას მონეხვნულვა ეწოდება,<sup>42</sup> აგრეთვე სვანეთსა და ხევსურეთში, მთიან ქართლსა და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისათვის<sup>43</sup>.

ლიგანის ხეობის მემინდერეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მორწყვის გზითაც ნიადაგის განოციერებას, რისთვისაც მთის მწვერვალებიდან და ფერდობებიდან მომდინარე ლელე-ნაკადულებს<sup>44</sup>, აგრეთვე წყაროს წყლებს იყენებენ. წყაროს წყლებისა და ნაკადულების მნიშვნელოვანი როლი სამეურნეო ცხოვრებაში იქიდანაც ჩანს, რომ წყალი და აქედან გამომდინარე მორწყვაც დიდ ზეგავლენას ახდენდა მთური დასახლების ფორმების ჩამოყალიბებაზე<sup>45</sup>.

ხეობის დაბლობ ადგილებში განოციერების ერთ-ერთ თავისებურ ფორმას წარმოადგენდა აგრეთვე სახნავე-სათესი ნაკვეთების მდინარე ჭოროხის შლამით განოციერება. შლამით განოციერებულ ადგილებში ორ მოსავალსაც ღებულობდნენ. ასეთ ნაკვეთებზე თავდაპირველად ოთხმწკრივა ქერი ითესებოდა. თუკი ხვნა-თესვამდე ქერი დამნიფებას ვერ მოასწრებდა, მაშინ ქერის მწვანე მასას იღებდნენ, რომელიც საქონლის საუკეთესო საკვებად ითვლებოდა.

<sup>42</sup> ნ. ჩიჯავაძე, სამინათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში, თბ., 1971, გვ. 132.

<sup>43</sup> მ. გეგეშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

<sup>44</sup> Г. Гамхарашвили, Об Артевских масличных садах, РС. 1915, №8-9, с. 31.

<sup>45</sup> აღ. რობაქიძე, დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში, ბსკიმ. ტ. I, ბათუმი, 1957, გვ. 19-29.

მორწყვის წესით ნიადაგის განოციერება საქართველოს სხვა კუთხეებშიც დასტურდება<sup>46</sup>. ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა რიონისა და კოლხეთის სხვა მდინარეთა ნალექს ნიადაგის გასანოციერებლად უძველესი დროიდან იყენებდა<sup>47</sup>.

მდინარე ჭოროხის შლამით ნაყოფიერდებოდა სანაპიროზე მდებარე სოფლები (ხება, კირნათი, ქვემო მარადიდი, მირვეთი).

ამრიგად, სახნავ-სათესი ნაკვეთების გასანოციერებლად იყენებდნენ როგორც ნაკელს მშრალად, ასევე წყალში გახსნილი სახით. ნიადაგების განოციერება ხდებოდა აგრეთვე შლამით. ადგილობრივი მოსახლეობა კარგად ერკვეოდა ნიადაგების ცოდნასა და მისთვის საჭირო სასუქების შერჩევა-გამოყენებაში.

**ნიადაგის დაცვის ხალხური საშუალებანი.** ლიგანის ხეობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ნიადაგის დაცვას ეროზიისაგან, რისთვისაც სხვადასხვა რაციონალურ ხერხს მიმართავდნენ. ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას ნიადაგის დატერასება წარმოადგენდა. აქ ტერასების ყველა სახეობაა გავრცელებული: როგორც ხითა და ქვით შემოსილი, ისე შეუმოსავი ტერასები.

ხით შემოსილი ტერასები ცნობილია შემდეგი სახელწოდებებით: სანკალა (სოფლები: ქვემო მარადიდი, მირვეთი, კირნათი, ქლასკური), ონკალაშა (ჩხალისა და ბელღევანის ხეობები) და კადონი (დევესქელის ხეობა)<sup>48</sup>.

ხით შემოსილი ტერასების გამართვას ჩვეულებრივ კაპან, ანუ ფერდობ სახნავ-სათეს ადგილებში მისდევდნენ, სადაც ნიადაგის ეროზია სისტემატურ ხასიათს ატარებდა.

ქვისკედლიანი ტერასები ლიგანის ხეობაში ცნობილია სექვების, თუმბის, ყორეს, მესონის სახელწოდებებით. ამ ტერამინებით ტერასები უმთავრესად გვხვდება ართვინის მახლობელ სოფლებში, მურღულის ხეობაში, ზემო და ქვემო მარადიდში, მირვეთში, სადაც ქვით

<sup>46</sup> მ. გეგეშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

<sup>47</sup> გ. ჩიტაია, თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში), შრომები, ტ. II, 2000, გვ. 257.

<sup>48</sup> რ. მალაყმაძე, დასახ. დღიურები, რვეული II, გვ. 67.





შემოსილი ტერასები უფრო ტრადიციული ჩანს. მათი ნაშთები გვიჩვენებს გიერთი სოფლის საკარმიდამო ნაკვეთებზე დღემდე შემორჩენილი ტერასები ნაშენია დულაბის გარეშე.

ლიგანის ხეობაში და განსაკუთრებით ართვინის მიმდებარე სოფლებში ტერასების მოწყობა ოდითგანვე მებაღეობისა და მორწყვის<sup>49</sup> ინტერესებს უკავშირდებოდა. ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილი შავშეთ-კლარჯეთის მაგალითზე აღნიშნავდა: „ასეთ რთულ გეოგრაფიულ პირობებში ადამიანს ან უნდა ისეთ სამეურნეო დარგებზე, როგორც მემტილეობაა, ხელი აეღო, ანდა რაიმე ეღონა, რომ ბუნებრივი პირობების წყალობით შექმნილი დაბრკოლება გადაეღახა და დაეძლია, რასაც ქართველმა კაცმა მიაღწია დაქანებულ ფერდობებზე ხელოვნური ნიადაგის შექმნით, ქვაყორისაგან პატარ-პატარა მანძილის ამოშენებითა და მისი ბაქან-ბაქანად შიგ ჩაყრით. ბალ-ვენახებისათვის ამნაირად ხარისხებრ მოვაკებული ადგილი კეთდებოდა, რომელსაც შემდეგ ხეხილისა და ვაზის ძირგამდგარი ფესვები ამაგრებდა ხოლმე“<sup>50</sup>.

ანალოგიური ვითარება გვაქვს ლიგანის ხეობაში, სადაც ადგილობრივმა მოსახლეობამ მეურნეობის განვითარების ინტერესებისათვის ნარმატებით მოახერხა არსებული დაბრკოლების გადალახვა. ტერასის კედლებს ქვიშნარევი მინით ავსებდნენ<sup>51</sup>. ამგვარი ტერასებით ცნობილი იყო სოფლები: მამანმინდა, სვეტიბარი, თოღომი, ნრია, ორჯოხი და სხვა<sup>52</sup>.

ტერასების მოწყობის საუკეთესო მაგალითს იძლევა სამცხე-ჯავახეთი, სადაც ამ ტიპის ტერასები დარიჯის/დარეჯისა და სექვის

<sup>49</sup> С. Н. Тимофеев, Очерк виноградарства в Багумском и Артвинском округах, ССВВНК. Тифл., 1896, с.182; X. Н. Норкин, Артвин и его окрестности, РС. 1912, №5, с.209.

<sup>50</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ნიგნი II, თბზულებანი, ტ. V, თბ., 1986, გვ.147.

<sup>51</sup> С. Н. Тимофеев, დასახ. ნაშრომი, გვ.182.

<sup>52</sup> Г. Гамхарашвили, Об Артвинских масличных садах, РС. 1915, №8-9, с. 32.



სახელითა ცნობილი<sup>53</sup>. იგი დამონმებულია აგრეთვე აჭარაშიც (სოფლები: ქახათი, ხაბელაშვილები, აქუცა)<sup>54</sup>.

ლიგანის ხეობის, ისე როგორც მეზობელი აჭარისა და სხვა კუთხეთა ყოფისათვის დამახასიათებელი იყო აგრეთვე შუემოსავი ტერასები. ამგვარ ტერასებს აქ კოდმე, ან დარე, ზოგჯერ კი ხენდეკი ეწოდებოდა. ამ ტერმინს გამოუსადეგარი, გამოუყენებელი მინის აღმნიშვნელადაც ხმარობენ.

აქვე უნდა შევნიშნოთ ერთი საყურადღებო გარემოება: ლიგანის ხეობის ქვემო წელის სოფლების ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო ლექსიკაში ფერდობი ადგილის დასაფხებურებული ზედაპირის აღსანიშნავად დასტურდება ძველი ქართული ტერმინი „ოროკი“. სულხან-საბა ორბელიანთან ოროკი „ოროკოს“ ფორმით გვხვდება და განმარტებულია როგორც „მინა ბაქან-ბაქანად მოვაკებული“<sup>55</sup>. ამავე მნიშვნელობით ეს ტერმინი ცოცხალ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ლიგანის ხეობის გარდა მაჭახლის ხეობის სამეურნეო ყოფამაც შემოგვინახა და გეოგრაფიულ სახელადაც დამკვიდრდა<sup>56</sup>. სხვაგან ოროკი, როგორც ტერასის აღმნიშვნელი ტერმინი, არ გვხვდება. თუმცა ივ. ჯავახიშვილი ე. ნაკაშიძის მიერ მოწოდებული ცნობის საფუძველზე აღნიშნავდა, რომ ტერმინი ოროკი გურიაში იყო შემონახული, მაგრამ იგი მშრალი, თიხნარი ნიადაგის აღმნიშვნელ ტერმინადაა ქცეული<sup>57</sup>. ამგვარად, განაგრძობს ავტორი, თუ ამ ცნობაში ოროკის მნიშვნელობა სრულად არის აღბეჭდილი, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ დროთა განმავლობაში ინტენსიური კულტურების თანდათან დაქვეითებისა და გაქრობის წყალობით, ოროკის მნიშვნელობა გურიაში სრულებით შეცვლილია<sup>58</sup>. ამასთან ერთად,

<sup>53</sup> მ. გეგეშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 84, 93.  
<sup>54</sup> ნ. ჩიჯავაძე, ტერასული მიწათმოქმედება საქართველოში, ბათუმი, 1976, გვ. 41.  
<sup>55</sup> სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV, ნიგნი I, თბ., 1965, გვ. 608.  
<sup>56</sup> ნ. კახიძე, მაჭახლის ხეობა, ბათუმი, 1974, გვ. 43-44.  
<sup>57</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 177.  
<sup>58</sup> იქვე.



ოროკი ქართულ კილო თქმათა სიტყვის კონაში განმარტებულია: როგორც „ნარიყალი ნიადაგი, სახნავ-სათესი მიწა“<sup>59</sup>.

ამრიგად, ლიგანისა და მაჭახლის ხეობებში ხელოვნური თუ ბუნებრივი ტერასის აღმნიშვნელმა ტერმინმა ოროკის სახით დღემდე შეინარჩუნა ტრადიციული მნიშვნელობა.

ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, რომ ტერასების მშენებლობისას ყურადღება ექცეოდა მზის ექსპოზიციას, მიკროკლიმატურ თავისებურებებს, ადგილობრივი მოსახლეობა ყოველთვის ცდილობდა ტერასები ისეთ ადგილას მოეწყო, სადაც მზე უკეთ ანათებდა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მზისპირ ადგილებში მოსავალი უხვი და ნაყოფიერი მოდიოდა. ეს გარემოება მოსახლეობას ხანგრძლივი შრომა-დაკვირვებების შედეგად გამომუშავებული ცოდნის საფუძველზე კარგად ჰქონდა შემუშავებული. ამას ადასტურებს დღემდე ზოგიერთ სოფელში შემორჩენილი ოროკების არსებობა. ამდაგვარი შეუმოსავი ოროკების საუკეთესო ნიმუშებია შემორჩენილი შემდეგ სოფლებში: კირნათში (კობალეთის უბანი), ქვედა მარადიდში (ძაბლავეთის უბანი).

ამრიგად, ლიგანის ხეობის მთაგორიანობისა და სავარგული მიწების სიმცირისა და ტოპოგრაფიული თავისებურებების გამო ადგილობრივი მოსახლეობა დიდ ყურადღებას ანიჭებდა ნიადაგის რაციონალურ გამოყენებას. ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის მთავარ საშუალებას აქ მინის დატერასება წარმოადგენდა, რაც მინის სიმცირის პირობებში შედარებით უხვ და ნაყოფიერ მოსავალს უზრუნველყოფდა. ამ ნიშნებითაც საკვლევი რეგიონის მინათმოქმედება მთური ტიპის მინათმოქმედების რიგში ექცევა.

**სამინათმოქმედო იარაღები.** ლიგანის ხეობის მდიდარმა სამეურნეო ყოფამ ნაირგვარი სამინათმოქმედო იარაღები შემოგვინახა. მათი თითოეული სახეობა შეგუებული იყო როგორც რელიეფის, ისე ნიადაგის თავისებურებებს, სათეს კულტურებს. მრავლადაა წარმოდგენილი სამინათმოქმედო იარაღების ტერმინოლოგიაც.

<sup>59</sup> ალ. ლლონტი, დასახ. ლექსიკონი, გვ. 428.



ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით, რომ გამოვხატოთ ამ იარაღებისა და მათი აღმნიშვნელი ტერმინების სიუხვე, იმ ინტენსიურ მუშაობის გამომხატველი და მაუნყებელია, რომელიც ამ დარგში საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა<sup>60</sup>.

საკვლევი რეგიონი ნაწილია ისტორიული ჭოროხის აუზისა, რომლის ტერიტორიაზე ნაპოვნია ბრინჯაოსა და რკინის სამეურნეო-სამინათმოქმედო იარაღები ცულების, თოხებისა და სხვათა სახით<sup>61</sup>.

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით საკვლევ ხეობაში ახოობასთან დაკავშირებული იარაღებიდან დადასტურდა სოლა ცული (მურლულისა და ხატილას ხეობა), ლაზბალთა, ანუ ლაზური ცული (მურლულის, ჩხალისა და ბელღევანის ხეობები), ოთურაი ცული, პანაი ნაჯახი, რუსული ცული (კირნათი, ქვემო მარადიდი, მირვეთი) და ა. შ.

ლიგანის ხეობაში გავრცელებულ სამეურნეო-სამინათმოქმედო იარაღების სიძველეზე მიუთითებს თურქი არქეოლოგის კ. ბიტელის ცნობა, რომელიც ბრინჯაოს ცულებს, თოხებსა და სხვა ნივთებს შეეხება. ეს იარაღები შემთხვევით უპოვნიათ ართვინის სოფელ ბალიქლის ტყეში, ერთ-ერთ მალაროში. ამ სოფლის მცხოვრებთა გადმოცემით, მსგავსი იარაღები სხვაგანაც ბევრი ყოფილა<sup>62</sup>. ცულები ნალდებთან ერთად ძირითადი საკაფავი იარაღებია. აღიარებულია აზრი, რომ ნალდი უმთავრესად ჭოროხის აუზის მეტალურგიული ცენტრიდან გამოსული ნაწარმია, რომელიც აქედან ვრცელდებოდა საქართველოს სხვა რეგიონებში<sup>63</sup>.

<sup>60</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ნიგნი I, ტფ., 1930, გვ. 215.

<sup>61</sup> ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 205, 217; ა. კახიძე, შ. მამულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 53-63; ი. დავითაძე, კოლხური ცული კირნათიდან, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, თბ., 1983, გვ. 48.

<sup>62</sup> კ. ბიტელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

<sup>63</sup> ა. კახიძე, ნ. კახიძე, კოლხური კულტურის ისტორიიდან (ნალდი), ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, ტ. I, ბათუმი, 2000, გვ. 20.



ახო მინებისა და საერთოდ ნიადაგის დასამუშავებელი იარაღებიდან ყურადღებას იპყრობს სხვადასხვა ფორმისა და ფუნქციონალური დანიშნულების თოხები. თოხი ერთ-ერთი აუცილებელი სამინათმოქმედო იარაღია, ურომლისოდაც წარმოუდგენელი იყო ამ დარგის გონივრული წარმართვა. ისტორიულადაც ცნობილია, რომ თოხი მისი ნაირსახეობით, კოლხური ტიპის ძირითადი სამინათმოქმედო იარაღია, რომელმაც დასავლეთ საქართველოში სათავე დაუდო თოხზე დამყარებულ მინათმოქმედებას<sup>64</sup>.

ეთნოგრაფიული მასალებით თოხების შემდეგი სახეობა დადგინდა: წვერა თოხი, ჩაფა თოხი, საფხეკი (საჩერკნავი), სამარგელი თოხი. გარკვეულია მათი ფუნქციებიც. წვერა თოხით უმთავრესად ხამი, ახლად ათვისებული, ქვიანი მინები მუშავდებოდა. მისი უპირატესობა ისიც არის, რომ იგი ერთდროულად კუნძების, ჯირკების, სხვადასხვა წარჩენის ამოსაძირკვავადაც გამოიყენება.

ჩაფა თოხი, ანუ ჩაფა ყაზმა ვინრო, გრძელი სქელპირიანია. იგი უპირატესად წვერა თოხის გვერდით ახოსა და ნასვენი მინის დასამუშავებლად იხმარება. მისგან განსხვავდება თოხის ის სახეობა, რომელიც ცნობილია „ქაანი თოხის“, ანუ სიმინდის სათოხნი თოხის სახელწოდებით. სახელწოდებებიც: საფხეკი, საფაჭავი, საჩერკნი, სამარგელა თოხი აქედანაა მიღებული. იგი მხოლოდ ნათესების, პირველ რიგში, სიმინდის სათოხნელად, ანუ საფხეკად, საფაჭავად, ანუ სამარგლავად იხმარება. ამდენად, აღნიშნული თოხები ამ სამეურნეო პროცესს უკავშირდება.

თოხის გარკვეულ სახეობას ქმნის „კირკა“, ანუ წერაქვის მაგვარი თოხი, რომელსაც ძირითადად ახლად ათვისებული, ანუ ახო მინების პირველადი დამუშავებისათვის იყენებდნენ. კირკა კომბინირებული იარაღია, მისი ერთი ბოლო თოხის ფუნქციას ასრულებს, მეორე წვეტიანი ბოლო ქვა-ღორღის ამოსაყრელად იხმარება. კირკის მსგავსი

<sup>64</sup> გ. ჩიტაია, თოხის კულტურა დასავლეთ საქართველოში, შრომები, ტ. II, 2000, გვ. 256.



იარაღები გავრცელებულია საქართველოს ტყიან რაიონებში, რომელიც უპირატესად საახოე მეურნეობაში გამოიყენება<sup>65</sup>.

ივ. ჯავახიშვილი საქართველოს ეკონომიკური ისტორიის გაშუქებისას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა სახვნელ იარაღებს. იგი წერდა, რომ სასოფლო-სამეურნეო იარაღთაგან უმთავრესი მნიშვნელობა სახნავ იარაღს ჰქონდა, რომელსაც უძველესი დროიდან მოყოლებული მინისმოქმედთა მრავალი თაობის დიდი დროც, ენერგიაცა და შემოქმედებაც შეეღია. მკვლევარი საქართველოს სახვნელი იარაღების სიმდიდრითა და სახესხვაობის მრავალფეროვნებით ამ იარაღების ცოცხალ მუზეუმად თვლიდა<sup>66</sup>.

რამდენიმე სახის სახვნელი იარაღი ლიგანის ხეობაშიც დადასტურდა. ესენია: სახნვეელი (მურლულის ხეობა), კავური, არუნა (დევესქელის ხეობა), ჯილღა (სოფლები: ქლასკური, ზემო და ქვემო მარადიდი, კირნათი, მირვეთი). ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო კონსტრუქციული აღნაგობით, არამედ ფუნქციონალური თვალსაზრისითაც. ამათგან ყველაზე უძველეს ტიპად მივიჩნევთ დევესქელის ხეობის სოფლებში შუახვესა და ბაგინში გავრცელებულ სახვნელს, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა კავურს უწოდებს. იგი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: კავი (მხარი), საკბილე<sup>67</sup> (ქუსლი), სახნელი (სახნისი), ხელნა, მაჭი (სახელური), მაჭის თავი, უღელი, ტაბიკები, აპავრი (ტაბიკის თოკი), ჭიპორტალი და სხვა. ყველა მათგანის ძირითადი ნაწილი – მხარი, ანუ ადგილობრივი ტერმინოლოგიით კავი, გამძლე ნაბლის ხისაგან მზადდება, დანარჩენი ნაწილები ხურმის, ბლის, თუთის, ვაშლის ხისაგან. ადგილზე მზადდებოდა სახნისები, რომლებიც ორგვარია: ყურიანი და უყური.

<sup>65</sup> გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1990, გვ. 86.

<sup>66</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 155, 169.

<sup>67</sup> შდრ: კბილაი-სახვნელი იარაღის ქუსლი; გ. ჩიტაია, საქართველოსა და კავკასიის სამეურნეო იარაღების ისტორიისათვის, შრომები, ტ. I, თბ., 1997, გვ. 64.



უკანასკნელი სახნისი ძველ სახეობადაა მიჩნეული<sup>68</sup>. ცაცხვის ხისაგან მზადდებოდა სახელურიანი უღელი, რომელსაც ტაბიკებად უკეთდებოდა პანტა ვაშლის, ბლის ან ტყემლის ხე. პანტა ხის ტაბიკებს სიმაგრესთან ერთად გათვალვის საწინააღმდეგო დანიშნულებაც გააჩნდა. ეს წესი საქართველოს სხვა მხარეებშიც არის შემონახული<sup>69</sup>. აპაერი, ანუ აპევრი, კანაფისა და ცაცხვის ქერქისაგან მზადდებოდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი საინტერესო ფაქტი. მურღულის ხეობის სოფ. კორდეთში დაფიქსირდა ხარის ტაბიკების შესაკრავი საკმაოდ განსხვავებული სახე. მას ადგილობრივი მოსახლეობა თავკაპს უწოდებს, რაც ნიშნავს იმავე ხარის თავის შესაკრავს. ამ შემთხვევაში თოკების ნაცვლად გამოყენებულია ხე. თავკაპის თავი უღელზე მაგრდება ისე, რომ მეორე მხარე ქვემოთქენ, ტაბიკების წვეროებისაკენაა მიმართული. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით უღელის უღემენტის ამგვარ სახეობას საქართველოს სხვა კუთხეებში ანალოგი არ მოეპოვება. სოფელ კორდეთში დადასტურებული უღელი თავისი ორიგინალური თავკაპით განსაკუთრებულ სახეობას ქმნის, რაც არა მარტო ქოროხის მხარის, არამედ საერთოდ, საქართველოს სხვა კუთხეებშიც არ დასტურდება. უღლისა და კავის (მხარის) შესაერთებლად გამოიყენებოდა ჭიპორტალა და თოკი. ჭიპორტალა მზადდებოდა თხილის, ცხემლისა და წყავის ნკნელების დაგრეხით. ჭიპორტალა ორ მრგვალ წრედ იგრიხებოდა. ერთი ასეთი წრე გამოზბული იყო უღელზე, მეორე კი კავზე მაგრდებოდა გამძლე ხის, ანუ ხის სოლის საშუალებით. უკანასკნელ წლებში ხის სოლის ნაცვლად რკინაც დამკვიდრდა. მათი დანიშნულება იყო ხვნის რეგულირება, რომელიც სოლის მონაცვლეობით ხორციელდებოდა. ამგვარად, ჭიპორტალა, ხვნის დროს იმავე ფუნქციას ასრულებდა,

<sup>68</sup> ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, თბ., 1953, გვ. 159.

<sup>69</sup> ანალოგიური მიზნით უღლის ტაბიკებს ქვაბლიანის ხეობაში მუხის, ურძანის ან კონახურის ხისაგან ამზადებდნენ (გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 64). აჭარაში კი ვაშლის, ტყემლის, ზღმარტლისა და ასკილის ხისაგან (ნ. კახიძე, დასახ. სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 100; ჯ. ნოლაიდელი, ეთნოგრაფიული ნარკვევები აჭარელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბ., 1935, გვ. 7).

რასაც ჯამბარა ქსნური მთის გუთნისათვის<sup>70</sup>, ღვლექი რაჭული სახენელისათვის<sup>71</sup>.

კავური უნდა მივაკუთვნოთ დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ კავის ტიპის სახენელებს. ამას გვაფიქრებინებს როგორც ამ ორი ტიპის სახენელი იარაღების კონსტრუქციული მსგავსება, ასევე მათი სახელწოდებები (კავური-კავი). კავური (კავი) თავისი კონსტრუქციითა და ფუნქციონალური თავისებურებით ახლოს დგას ლიგანის ხეობის სამეურნეო ყოფაში არსებულ მეორე სახის სახენელ იარაღთან, რომელიც ჯილღის სახელითაა ცნობილი. თუმცა მათ შორის აგებულების მხრივ განსხვავებაც შეინიშნება<sup>72</sup>. ჯილღას კავურთან შედარებით ის თავისებურება აქვს, რომ მას მხარსა და ქუსლს შორის დამატებითი ნაწილი – ხმალა უკეთდება. იგი სახენელ იარაღს უფრო მეტ სიმტკიცეს მატებს.

ჯილღის ანალოგიურია სახენელი იარაღი საკუთრივ სახენეელის სახელწოდებით. იგი მურღულის ხეობასა და მის მიმდებარე სოფლების ეთნოგრაფიულ ყოფაში ძირითადი სახენელია, რომელიც უკეთაა შეგუებული იქაურ ნიადაგობრივ და რელიეფურ პირობებს.

სახენელი/სახენეელი ზოგად სახელად ამოიკითხება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში. იგი გვხვდება როგორც დაბადების ქართულ თარგმანში<sup>73</sup>, ასევე სულხან-საბა ორბელიანთან. აქედან გამომდინარე ვარაუდობენ, რომ სანამდე მოხდებოდა სახენელი იარაღების გარკვეულ სახეობებად კლასიფიკაცია და მათი შესატყვისი სხვადასხვა სახელი გაჩნდებოდა, „სახენელი“ საერთოდ სახენელი იარაღის სახელი უნდა ყოფილიყო, რომელიც შემდგომში

<sup>70</sup> გ. ჩიტაია, ქსნური მთის გუთანი, შრომები, ტ. 1, თბ., 1997, გვ. 73.

<sup>71</sup> გ. ჩიტაია, რაჭული სახენელი, შრომები, ტ. 1, თბ., 1997, გვ. 90.

<sup>72</sup> ჯილღა საკმაოდ გავრცელებული იარაღია საქართველოში. ამის შესახებ დანერჩილებით იხილეთ: ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 183-184; გ. ჩიტაია, მესხური ჯილღა, შრომები, ტ. 1, თბ., 1997, გვ. 63; ნ. ჩიჯავაძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სახენელი იარაღები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, 4. თბ., 1976, გვ. 51.

<sup>73</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 155.





თავკაპიანი უღელი. სოფელი კორდეთი. მურლულის ხეობა. 2000.



კანჯა (ხის ფარცხი). სოფელი კორდეთი. მურლულის ხეობა. 2000.



სიმინდის თესვა. სოფელი აგარა. ბორჯღის რაიონი, 1999.



კალოობა. მურღულის ხეობა  
(თურქული ჟურნალიდან).



ცალკეული ტიპების აღსანიშნავად საკმარისი არ აღმოჩნდა და იგი ზოგად ტერმინად იქცა<sup>74</sup>. მიუხედავად ამისა, ამა თუ იმ რეგიონში „სახენელი“, როგორც სახნავი იარაღის სახელწოდება, დღემდე შემორჩა. ასე მაგალითად, ხევსურეთსა და რაჭაშიც „სახენელი“ სახნავი იარაღის აღსანიშნავად იხმარებოდა<sup>75</sup>.

ამგვარად, სახნველის სახით ლიგანის ხეობის სამინათმოქმედო ყოფაში შემონახული გვაქვს სახენელი იარაღის ძველი ქართული სახელწოდება. ამ ფაქტსაც ქართული სახენელი იარაღების ისტორიის შესწავლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ლიგანის ხეობაში სახენელ იარაღთაგან საკმაოდ გავრცელებულია არუნა, რომელიც ჩვენ მიერ დევსქელში იქნა ფიქსირებული. არუნა კავურთან შედარებით საკმაოდ განსხვავებული იარაღია. კერძოდ, მის მხარს წარმოადგენს სწორად გათლილი ხე, მაგრამ იგი ქუსლში კი არ არის ჩასმული, როგორც ეს კავურსა და ჯილღამია, არამედ ქუსლს ზემოდან ეყრდნობა და ბოლო ნაწილით ხელნას უერთდება. თუმცა, ჯილღის მსგავსად ხმალა ქუსლსა და მხარშია გაყრილი. არუნას ამდაგვარი აგებულება სახენელი იარაღის გაუმჯობესების გზით უნდა იყოს მიღებული. ლიგანის ხეობაში არუნას იყენებდნენ დაქანებული ფერდობების მოსახნავად. იგი მინას ღრმად ხნავს და ბელტსაც აბრუნებს. საკვლევ რეგიონში დადასტურებული არუნა საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებული არუნა/არონაი/არვანას სახესხვაობად უნდა მივიჩნიოთ. იგი მესხურ ჯილღასთანაც პოულობს ანალოგს. გ. ჩიტაიამ არუნას ყურებიანი ქუსლის მიხედვით განსაზღვრა ამ იარაღის წარმოშობის ხასიათი და იგი სპონტანურ მოვლენად მიიჩნია<sup>76</sup>.

სახენელ იარაღებთან დაკავშირებით ჩვენ მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალის ანალიზით ირკვევა, რომ ამ იარაღების სახით ჩვენამდე მოაღწია სახენელი იარაღების მეტად საინტერესო და

<sup>74</sup> ნ. ჩიჯავაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

<sup>75</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

<sup>76</sup> გ. ჩიტაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 68-69.



საყურადღებო ტიპებმა, რომლებიც მდიდარი ტერმინოლოგიითა და კონსტრუქციული აღნაგობით მსგავსებას ავლენენ საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებულ სახვნელ იარაღებთან.

სხვა სამინათმოქმედო იარაღებიდან ცნობილია ფარცხი და ფოცხი. დაფარცხვა, ანუ ადგილობრივი ტერმინოლოგიით „დათა-ფენა“, (თურქულია) გულისხმობდა მოხნული მიწის გაფხვიერებას, ბელტების დაფშენას, თესლის მიწით დაფარვას და სხვა.

ლიგანის ხეობაში გავრცელებული ყოფილა ორი სახის ფარცხი. ერთი ხის კბილებიანი, რომელსაც კანჯა ეწოდება და მეორე თხილისა და შქერის ხის წკნელით მოხნული, რომელიც თურქული სახელწოდებით – „თაფანით“ აღინიშნება.

დასაფარცხი ნაკვეთის ვაკე-ფერდობიანობის მიხედვით ფარცხები იყო დიდი და პატარა. პირველი ვაკე ადგილების დასაფარცხავადაა განკუთვნილი, პატარები – ფერდობი ნაკვეთის, ფარცხში გამწვევ ძალად ხარებს იყენებდნენ. კბილებიანი ფარცხი ჭოროხის მხარის სხვა ხეობებშიც, აგრეთვე აჭარაშიც იყო გავრცელებული. საქართველოს ფარგლებს გარეთ კბილებიანი ფარცხი ყაბარდოს ხალხთა სამეურნეო ყოფაშიც დასტურდება<sup>77</sup>.

თავთავიანი მარცვლეული კულტურების სალენად კვერი, ხოლო საცეხავად – საძიგველი (იგივე საცეხველი) გამოიყენებოდა.

ქართველი მეურნის ერთ-ერთი უძველესი კულტურული მონაპოვარია კვერი. იგი ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში. ამაზე მიუთითებენ როგორც შესაბამისი არქეოლოგიური, ისე ეთნოგრაფიული მონაცემები<sup>78</sup>.

<sup>77</sup> მ. ქანთარია, სამინათმოქმედო იარაღები ყაბარდოში, საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები, თბ., 1964, გვ. 300.


<sup>78</sup> გ. ჩიტაია, შუმერული კვერი, შრომები, ტ. 1, თბ., 1997, გვ.152; გ. გასიტაშვილი, სახვნელი და სალენი იარაღების დამზადების ხალხური წესები აღმოსავლეთ საქართველოში. საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები, თბ., 1964, გვ. 112; ნ. ბრევაძე, რაჭა-ლეჩხუმის სამინათმოქმედო იარაღები, საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები, თბ., 1964, გვ.175 და სხვა.




ჯილდით ხვნა, სოფელი კირნათი, 2000.



ნადი სიმინდის თესვის პროცესში, სოფელი კირნათი, 2000.



ფეხის საცეხველი (საძიგველი). სოფელი მირვეთი. 1998.



სიმინდის გასახმობი ფურნე. სოფელი კორდეთი. მურღულის ხეობა. 2006.



ლიგანის ხეობაში გავრცელებული კევრისა და პურის ლენვის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული რუსი მოგზაურის პ. იურჩენკოს ჩანაწერებში. მისი ცნობით, საკევრედ იყენებდნენ კაკლისა და ნაბლის ხეს<sup>79</sup>.

ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს კევრის ერთ სახეობას მივაკვლიეთ მურლულის ხეობის სოფელ კორდეთში. იგი ნაზიმ იაუზ-ვარშანიძის (მემიშოლლის) ოჯახის საკუთრებაა. ყველაზე რთული იყო კევრში ქვების ჩალაგება და დამაგრება, რასაც ქვების „დასხმა“ ეწოდება. განსხვავებით საქართველოს სხვა კუთხეებისა, სადაც ამ პროცესს მოკობვა ეწოდებოდა<sup>80</sup>.

ამრიგად, განხილული მონაცემებით ცხადი ხდება, რომ ლიგანის ხეობის სამეურნეო ყოფამ დღემდე შემოგვინახა მრავალფეროვანი სამინათმოქმედო იარაღები, რომელებიც მთელ რიგ მსგავსება-განსხვავებას ავლენს საქართველოს სხვა კუთხეთა შესაბამის იარაღებთან. იარაღების მრავალფეროვნება განპირობებული იყო რელიეფისა და ნიადაგების თავისებურებებით.

**მარცვლეული კულტურები.** ლიგანის ხეობის სამეურნეო ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანას.

ვახუშტი ბატონიშვილის დახასიათებით, ლიგანის ხეობაში „მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებდა“, მაგრამ მინის სიმცირეც საგრძნობი ყოფილა, რაც იწვევდა მეურნეობის ამა თუ იმ დარგის შევიწროებას<sup>81</sup>.

დღეისათვის მარცვლეული კულტურებიდან ხეობაში მხოლოდ რამდენიმე სახეობა შემორჩა.

<sup>79</sup> П. Юрченко, Заметки о поездке по ушелям рек Чорох су до Артвина и Мургулис-су до Нижней Куры в Батумской области, „Кавказ“, 1881, №200.

<sup>80</sup> გ. ვასილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 112; ლ. ბერიაშვილი, მემინდერეობის ხალხური წესები მესხეთში, საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები, თბ., 1964, გვ. 175-176.

<sup>81</sup> ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 133.

თავთავიანი მარცვლეული კულტურებიდან ითესებოდა ხორბალი, ქერი და ჭვავი, რომლებიც აქ XIX საუკუნის მეორე ნახევარში სიმინდის მონოკულტურად დამკვიდრების შემდეგ თანდათანობით გამოიდევენა ყოფიდან. თუმცა აქა-იქ უმნიშვნელო რაოდენობით დღესაც ითესება ხორბალი და ქერი.

ეთნოგრაფიული მასალებით დავაფიქსირეთ როგორც ფხიანი, ისე უფხო ხორბლის რამდენიმე ადგილობრივი სახეობა: „დიკა პური“, „დოლი“, „ხასი პური“, „ინკლიზი პური“, „ზირაათი“, „პუტნა პური“ და სხვა. აქედან უძველესად „დიკას პური“ მიიჩნევა, იგი ფართოდ იყო გავრცელებული მთელ საქართველოში, რაც წერილობითი წყაროებითაც დასტურდება<sup>82</sup>.

დიკა, რომელიც გაზაფხულის ჯიშს მიეკუთვნება, რამდენიმე სახეობისა იყო. ადგილობრივი მოსახლეობა მას ასხვავებდა ერთმანეთისაგან ფერის, ხარისხისა და სხვა ნიშნების მიხედვით. თითოეულს საკუთარი სახელითაც მოიხსენიებენ: თეთრი დიკა, ყარაყირიშილის დიკა, ფხიანი დიკა, რომლებიც გამოირჩევა ფხითა და მარცვლის სიდიდით.

დოლის პური საშემოდგომო ხორბალია, რომელიც უძველეს ხორბლეულთა ჯგუფს განეკუთვნება. ამაზე მეტყველებს შავშეთის სოფელ „დოლის ყანის“ სახელი. ეს სოფელი გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც მოიხსენიება“<sup>83</sup>.

საშემოდგომო ხორბლეულს ეკუთვნის ხასი პური, რომელიც, როგორც ეთნოგრაფმა ნ. კახიძემ მაჭახლის ხეობის მაგალითზე გაარკვია, ხორბლის უძველეს ენდემურ ჯიშს მახას უნდა გულისხმობდეს<sup>84</sup>. ხასი პურის მოყვანას უმთავრესად მურღულის

<sup>82</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ნიგნი I, ტფ., 1930, გვ. 328; ნ. ჩიჯავაძე, სამინათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში, თბ., 1971, გვ. 33-34; ნ. ბრეგვაძე, მთის მინათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969, გვ. 31-32 და სხვა.

<sup>83</sup> ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 332.

<sup>84</sup> ნ. კახიძე, დასახ. სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 141-142.





ხეობის მოსახლეობა მისდევდა. ამაზე მიუთითებს ამ მხარეში დადასტურებული ყანის სახელწოდებაც – ნახასევი.

პურის ლენვის პერიოდის აღმნიშვნელად შემორჩენილია ძველი ქართული სახელწოდება კალოობა. იგი ფართოდ აისახა ტოპონიმიკაშიც. კალო ეს იყო სუფთა და სწორი ადგილი, რომელიც პურის ნაკვეთებთან ან სახლთან ახლოს იმართებოდა.

განსაკუთრებით საინტერესო იყო კალოობის წინ შესრულებული წეს-ჩვეულება, რომლის მიხედვითაც ოჯახის უფროსი მამაკაცი გამწვევ ძალას წყალში დაღობილ პურის ნატეხს მიართმევდა და ხმამაღლა დაილოცებოდა: „გამჩენელმა ღმერთმა მომავალშიც ბევრი პურის ლენვა მოგვასწროს“. ლოცვის დამთავრებისას უფროსი „ამინს“ იტყოდა და იქ მყოფნიც ამ სიტყვას იმეორებდნენ. ლენვის დაწყების წინ სხვადსხვაგვარი რელიგიური რიტუალების შესრულება საქართველოს სხვა კუთხეებშიც არსებობდა<sup>85</sup>. პურის გასალენად კევრს იყენებდნენ, გამწვევ ძალად წყვილი ხარი ან ცხენი იყო შებმული.

მურღულის ხეობაში დაფიქსირდა კალოობის მეტად თავისებური წესი, რომელიც ჩვეულებრივი ლენვის პროცესისაგან განსხვავდებოდა. კერძოდ, კალოს შუაში ხის მაგარ ბოძს ჩაასობდნენ, ისე რომ მას დირეგის ირგვლივ თავისუფლად ემოძრავა. ონჭივარს ერთ მხარეს რკინის ჯაჭვით ან თოკით დამაგრებული ჰქონდა კევრი, ხოლო ძელის წინ, მეორე მხარეს ორი კაცი იდგა, რომლებიც დირეგის ირგვლივ კევრს ატრიალებდნენ. ონჭივარში ზოგჯერ ამ მიზნით ხარმარხილსაც უბამდნენ. ჩვენი აზრით, ლენვის ეს წესი შედარებით ძველი უნდა იყოს, ვიდრე ზემოთ აღწერილი.

ლიგანის ხეობაში ხორბალთან ერთად ერთ-ერთი მთავარი მარცვლელული კულტურა იყო ქერი. დამონმდა როგორც საშემოდგომო, ისე საგაზაფხულო ოთხმწკრივა ქერი კევერ არფას სახელწოდებით. არფა ქერი ართვინის სანახებში მოჰყავდათ<sup>86</sup>.

<sup>85</sup> გ. ჯალაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

<sup>86</sup> Г. Гамхарашвили, Сельско-хозяйственный обзор Батумской области, РС. 1914, №12, с. 19-20.

სხვა თავთავიანი მარცვლეული კულტურების მსგავსად ქერიც სიმინდის ყანებში ითესებოდა. განსხვავებული იყო მისი თესვის დრო. დევსქელის ხეობაში მას სიმინდის ალების შემდეგ ნასიმინდარზე თესავდნენ, მურღულის ხეობაში კი გაზაფხულზე, ხებას, კირნათის, ზემო და ქვემო მარადიდის მოსახლეობა სიმინდის მეორადი თოხნის დროს. ამგვარად, ნელინადის განმავლობაში ორ მოსავალს ღებულობდნენ – ქერსა და სიმინდს. იქ სადაც საშუალება იყო, ქერის ნათესები ირწყვებოდა.

ლიგანის ხეობის მემინდვრეობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სიმინდს. XIX საუკუნის მოგზაურ-მკვლევართა ცნობების მიხედვით, სიმინდს აქ უკვე გაბატონებული ადგილი ეჭირა.

სიმინდის ჯიშებიდან მოჰყავდათ: ჯორიელა, არმაშელა, ფარეხელა, ყირმიზაი, ბათომურაი, კანხულა/კავხურა/თქუშაი, ბანდურაი, ბურსელა, ჭრელაი, მარადიდული, ჩხალური, თეთრი ალთუნაი, ყვითელი ალთუნაი და სხვა. ადგილობრივი მოსახლეობა კარგად იცნობს თითოეული მათგანის განმასხვავებელ თავისებურებებს. ამის მიხედვით, სიმინდი იყოფა მთის, ბარის, ნაადრევ და ნაგვიანევ ჯიშებად. გამოჩენილი ადგილი ეჭირა შვიდკვირას. ადგილობრივი მოსახლეობის დახასიათებით იგი შედარებით ადრე — შვიდ კვირაზე მწიფდება. ასევე აღსანიშნავია ყვითელი ალთუნაი, რომელიც თითქმის ხეობის ყველა სოფელში ითესებოდა. ამ მხრივ გამოირჩეოდა მურღულის ხეობის სოფლები ბაშქოი, ოზმალი და გეველი.<sup>87</sup> იგი ხანმოკლე ვეგეტაციური პერიოდით ხასიათდება. ამიტომაც მას ნაადრევ ჯიშად მიიჩნევენ. ნაგვიანევ ჯიშად ითვლება თეთრი ალთუნაი, არმაშელაი, ზისპირაი, ზიზანზური. ამიტომაც მას უმეტესად მზისპირ ადგილებში თესავდნენ. შესაძლებელია ზისპირისა და ზიზანზურის სახელწოდებებიც აქედან მომდინარეობდეს. სიმინდის ზოგიერთი ჯიშიც შემოტანილი ჩანს, რაზეც თვით სახელებიც მიუთითებს: ბათუმურაი, ჩხალური, მარადიდული. ამათგან მოსავლიანობით გამოირჩევა მარადიდული. იგი ძირითადად

<sup>87</sup> S. Koday, Murğul Gayi havzasinin coğrafyası, Erzurum, 2000, გვ. 154.



მურღულის ხეობასა და ბორჩხის რაიონების სოფლებში მოჰყავდათ. გადმოცემით, მარადიდული პირველად ამ სოფელში დაუთესიათ. საიდანც შემდეგ სხვაგანაც გავრცელდა მარადიდულის სახელწოდებით. ეს ჯიში ადგილობრივი, ბუნებრივი ჰიბრიდაციის გზით მიღებულ ჯიშად უნდა მივიჩნიოთ. იგი გამოირჩევა საშუალო სიმაღლით, მსხვილი მარცვლებითა და მოთეთრო ფერით. ასევე ითქმის ჩხალურ სიმინდზეც, რომელიც თავდპირველად ჩხალის ხეობაში უნდა მოეყვანათ.

ლიგანის ხეობაში ძველთაგანვე ითესებოდა ღომი, ქვავი, ფეტვი, ბრინჯი, რომელთა მოყვანას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ხეობის მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებაში. მათი ფართო გავრცელება ტოპონიმური მონაცემებითაც (ნალომვარი, ნაფეტვარი, ნაქვავარი) თვალსაჩინო ხდება.

ამრიგად, ლიგანის ხეობის მემინდვრობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სხვადასხვა სახეობის მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანას. ეს განპირობებული იყო, თავის მხრივ, ხეობის ბუნებრივ-კლიმატური თავისებურებებით. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან აქაც თანდათანობით იზღუდება ნინანდელი, ტრადიციული მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანის მასშტაბები და გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს სიმინდის კულტურა. მონოკულტურად გადაქცევის შემდეგ ჩნდება სიმინდის სხვადასხვა პიბრიდული ჯიშებიც, რაც ხალხური სელექციის შედეგია.

**მემინდვრობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები.** ლიგანის ხეობის მოსახლეობამ დღემდე შემოინახა მემინდვრობასა და საერთოდ, სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები. ასეთებია: კანოხი|კანუხი, ბახურა, ლაზარობა, ქაშატობა, გარგნობა და სხვა, რომლებიც საქართველოს სხვა კუთხეებშიც იყო გავრცელებული.

კანოხი/კანუხი პირველი კვალის, ანუ პირველი თესლის გატანასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებაა. იგი ლიგანის ხეობის სოფლებში ძველი სტილით თებერვლის პირველი კვირის სამშაბათს ან ხუთშაბათს სრულდებოდა. „პირველი თესლის გატანა“ შეიძლებოდა

როგორც თოხით, ასევე ხარ-სახვნელით. ოჯახის უფროსი მამაკაცი ნინასნარ გამზადებულ ყოველნაირ თესლს, მწარეულის გარდა, სპილენძის თეფშით ან ქვაბით გაიტანდა ნაკვეთზე. თესლში ათავსებდა კვერცხსა და რკინის ნაჭერს ან ლურსმანს. ამ დღეს სახლიდან თესლის ვინმეზე გაცემას დიდად ერიდებიან. ნინაალმდეგ შემთხვევაში თესლი უნდა მიეცათ „ხელუკულმა“ ზურგზე დადებული ხელით. ამასთან, თესლიდან რამდენიმე მარცვალს „უკან ამოიღებდნენ“, რომ „ხელი არ გაჰყოლოდა“. ანალოგიური წესები დაცულია საქართველოს სხვა კუთხეებშიც<sup>88</sup>.

როგორც ჩანს, კანოხი თავისი ტრადიციით ძველი მაგიური წეს-ჩვეულებაა, რომელიც გარკვეული ცვლილებებით დღემდე შემორჩა. თუმცა თვით ტერმინის „კანოხი“/„კანუხი“-ს მნიშვნელობის გარკვევა არ მოხერხდა.

სხვა წეს-ჩვეულებიდან აღსანიშნავია სახნავად პირველად გაყვანილი ხარების რქების ნითლად შეღებვაც, რაც გათვალისწინიანაა აღიქმებოდა.

მემინდვრეობასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებიდან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბახურის/ბახურას სახელწოდებით არსებულ რიტუალს, რომელიც მიმართული იყო ნათესებისა და მოსავლიანობის დასაცავად. გადმოცემით, ბახური ჩურუგაის, ანუ ივლისის თვის ერთ რომელიმე დღეს აღინიშნებოდა. მაგრამ ეს დღე შემდეგ აღრეულა და კონკრეტულად როდის იყო, უცნობი დარჩა. სოფელ კირნათის მოსახლეობა ბახურს 28 ივლისს, ხოლო მურღულის ხეობის სოფელ ბაშქოში 8 აგვისტოს აღნიშნავდნენ. ამ დღეს ნათესებში გავლა არ შეიძლებოდა, რადგან რწმენით სიმინდს „ქარი დააგებდა და მოსავალი არ იქნებოდა“. ამასთან ერთად, იკრძალებოდა წყალში ბანაობა, „კაცი

<sup>88</sup> ჯ. რუხაძე, სიმინდის კულტურა დასავლეთ საქართველოში, ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა, თბ., 1964, გვ. 69; ნ. ბრეგაძე, მემინდვრეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები რაჭა-ლეჩხუმში, მაცნე, 2, 1964, გვ. 127; ნ. კახიძე, დასახ. სადღისერტაციო ნაშრომი, გვ. 189.



ამჭრელდებოა”<sup>89</sup> ბახურის ნეს-ჩვეულებებთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი გარემოება. ამ ნეს-ჩვეულებაში ფიგურირებს სპილენძის ჭურჭელი, რომელსაც განსაკუთრებული მაგიური ძალა ენიჭებოდა. ნათესებში გავლა იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ ბახურის წინააღმდეგ სპილენძის ნაჭერს წყალში ჩადებდნენ. თუ ამ ნესს დაიცავდნენ, მაშინ ნათესში გამვლელს კანი არ აუჭრელდებოდა. ანალოგიური ნეს-ჩვეულება გავრცელებული იყო მაჭახლის ხეობაში<sup>90</sup>, ლაზეთში<sup>91</sup> და სხვაგან.

ლიგანის ხეობის მემინდვრეობაში უხვი მოსავლის მისაღებად აუცილებელი იყო ნათესების წყლით მორწყვა, მაგრამ ეს ყველგან შეუძლებელი იყო. ხშირი გვალვა დამლუპველ გავლენას ახდენდა ნათესებსა და მოსავლიანობაზე. ამიტომაც, მოსახლეობა გამოსავალს ამინდის მაგიურ მართვაში ხედავდა. კირნათის, მარადიდის, მირვეთის სოფლების მოსახლეობა წვიმის გამოსაწვევად ბაყაყს კლავდა და სხვა ადგილას გადაისვრიდა. ამ მიზნით იცოდნენ აგრეთვე გველის მოკვლა და ლობეზე ჩამოკიდება.

ლიგანის ხეობის ეთნოგრაფიულ ყოფაში დაფიქსირდა აგრეთვე წვიმის საწინააღმდეგო საწესჩვეულებო რიტუალი, რომელიც ქაშატობის სახელითაა ცნობილი.

საინტერესოა ხენა-თესვისა და საერთოდ მინის სამუშაოთა დამთავრებასთან დაკავშირებული ერთი ნეს-ჩვეულება. თოხით თესვისა და თოხნის დროს ნაკვეთზე მუშაობა უნდა დაემთავრებინა „დედმამიანს“, ანუ ისეთს, ვისაც ორივე მშობელი ჰყავდა, ხოლო დანარჩენი მომუშავენი ამ დროს ახლომახლო უნდა ჩამომჯდარიყვნენ. ჩვენი აზრით, ეს ნეს-ჩვეულება ეროტიკული ხასიათის რიტუალი უნდა იყოს, რომელსაც წინათ, შესაძლებელია, უფრო სრულყოფილი სახე ჰქონდა. ეს ნეს-ჩვეულებაც შვილიერება-

<sup>89</sup> საყურადღებოა, რომ ამდაგვარი ნესით „ამჭრელდებული“ პიროვნებებიც დაგვისახელეს. იხ. ჩვენი: ლიგანის ხეობაში მივლინების დღიურები, რვეული IV, 2000, გვ. 30.

<sup>90</sup> ნ. კახიძე, დასახ. სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 55.

<sup>91</sup> მ. ვანილიში, ა. თანდილავა, ლაზეთი, თბ., 1964, გვ. 139-140.



გამრავლებასა და ბარაქიანობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. განხილული მასალა თავისი შინაარსით მსგავსებას ავლენს აჭარის<sup>92</sup> ეთნოგრაფიულ ყოფაში დამონშებულ ნეს-ჩვეულებასთან. გუთნისდედა ხენა-თესვის დაწყებისას, პირველი კვალის გატანის შემდეგ გაიხდიდა შარვალს და ახლად გაყვანილ ხნულში ჩანვებოდა. ხენის დამთავრებისას კი მინაზე ჯდებოდა.<sup>92</sup>

მემინდვრობასთან დაკავშირებულ ნეს-ჩვეულებებში დიდი ყურადღება ექცეოდა მთვარის ფაზების, წარმო და უკუნი დღეების გათვალისწინებას. გადმოცემით, ხენა-თესვა უნდა დაეწყოს ძველ ანუ „მაგარ მთვარეზე“. ახალ მთვარეზე დათესილი კი უგემური, მწარე იქნებოდა და დიდხანს არ შეინახებოდა. წარმო დღეებად ლიგანის ხეობაში ითვლება სამშაბათი, ხუთშაბათი და კვირა, დანარჩენი კი - უკუნ დღეებად. აქედან გამომდინარე, სამუშაოების დაწყება უმჯობესი იყო სამშაბათს, ხუთშაბათსა და კვირას, ძველ, ანუ „მაგარ მთვარეზე“. ამ პირობათა შესრულება ბარაქიანი მოსავლის საწინდარი იყო.

## § 2. მევენახეობა-მელვინეობა

მევენახეობა-მელვინეობის მხრივაც ლიგანის ხეობა ერთ-ერთი დანიარსებული რეგიონი იყო საქართველოში. ვახუშტის დახასიათებით, ლიგანი „ვენახით შემკობილ“ მხარეს წარმოადგენდა. ასევე „ვენახოვან ხილიანობით“ გამორჩეული იყო ლიგანის ხეობაში შემავალი ფორჩხის (ბორჩხის) ხეობაც<sup>93</sup>.

ლიგანის ხეობაში, ისევე როგორც მეზობელ აჭარასა და შავშეთ-კლარჯეთში, მაღლარი ვენახი იყო გაბატონებული. დ. ბაქრაძის ცნობით, აქ ყველა ჯიშის ყურძენი მოდიოდა. იგი მაღალ ხეებზე იყო

<sup>92</sup> თ. ლომთათიძე, ხენა-თესვის მაგიური ნეს-ჩვეულებები აჭარაში, ბსუ შრომები, ტ. III, ბათუმი, 1999, გვ.196.

<sup>93</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 135.

გაშვებული<sup>94</sup>. მაღლარი მევენახეობის არსებობა ლიგანის ხეობაში აქაურმა მკაცრმა კლიმატურმა პირობებმა და ნაყოფიერი მიწების სიმცირემ გამოიწვია. ვაზი მიშვებული იყო მუხის, თხმელის, ლეკის ხეებზე.

წერილობითი წყაროებით დასტურდება, რომ ლიგანის ხეობის ნანილში, კერძოდ, ართვინის მიდამოებში, მინის სიმცირისა და რელიეფის მთაგორიანობის გამო ფერდობებზე ხელოვნური ტერასებიც ეწყობოდა და აქ ვაზის საუცხოო ბალები იყო გაშენებული<sup>95</sup>. ისინი ირწყვებოდა<sup>96</sup>.

ლიგანის ხეობაში მევენახეობა-მელვინეობის განვითარებაზე წერილობით წყაროებთან ერთად მიუთითებენ დღემდე შემორჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლთა ნაშთები: ქვის საწნახლები, მინაში უხვად ჩაფლული სხვადასხვა ზომისა და მოცულობის ჭურები (ქვევრები), აგრეთვე მაღლარი ვაზის ძველი ჯიშები, მოსახლეობაში დაცული გადმოცემები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფელ კირნათში, შუშანეთის დასახლებულ უბანში, ყოფილი ეკლესიის ტერიტორიაზე არსებული ქვითკირის საწნახელი. მისი ფსკერი კირითაა ამოლესილი. წინა მხარეს, მარჯვენა კუთხეში დატანებული აქვს წვენი გასასვლელი პატარა ვინრო ხვრელი. წვენი გროვდებოდა ოვალური ფორმის კირით ამოლესილ ქვის ჭურჭელში. საწნახელის სიგრძე ორი მეტრი და ოცი სანტიმეტრია, სიგანე – ერთი მეტრი. საწნახელის ჭერი თალისებურია. სიმაღლე თალის უმაღლეს წერტილამდე ორი მეტრია.

ლიგანის ხეობის თითქმის ყველა სოფელშია მინაში ჩაფლული სხვადასხვა ფორმისა და ტევადობის ჭურები, რომლებიც გადმოცემით, ადგილზეც მზადდებოდა, მაგრამ ძირითადად ბორჩხიდან მოჰქონდათ. ბევრ მათგანში შემორჩენილი ლვინო და ჭაჭაც უნახავთ.

<sup>94</sup> დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987, გვ. 41.

<sup>95</sup> С. Н. Тимофеев, Очерк виноградарства в Батумском и Артвинском округах, ССВВНК, Тифл., 1896, 4, с. 182.

<sup>96</sup> X. Н. Норкин, Артвин и его окрестности, РС. 1912, №5, с. 261

გადმოცემით, ნაკირნათევის უბანში ოსმან დიდმანიძეს თავის საკარმიდამო ნაკვეთზე უპოვია ნითელი ღვინით სავსე ხუთასლიტრიანი ქური.

ჩვენი აზრით, ლიგანის ხეობაში, აჭარის მსგავსად, მხოლოდ ლიტვის მარნები უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ეს საერთო მოვლენა ჩანს დასავლეთ საქართველოსათვის<sup>77</sup>.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, წარსულში ლიგანის ხეობაში გაბატონებული ყოფილა ყურძნის შემდეგი ჯიშები: ჩხავერი, კოლომა, მეკრენჩხი, ლივანური, შავშური, მელისკუდა, ორჯოხული, სინგოთური, ისტამბულაი (ჩაუში), ხართვალა, ჭიჭიმერი, ჩიტაყურძენა, ჯინეში, ბუტკო, ათმემე ანუ ცხენის-ძუძუ, თეთრაი, საფერაეი, დედაბერაი, უსახელო<sup>78</sup> და სხვა. ამათგან ზოგიერთი დღესაც შემორჩენილია. უკანასკნელ პერიოდში სოფლებში – კირნათში, ქვემო მარადიდში, მირვეთში გავრცელდა შემოტანილი ვაზის ჯიში – იზაბელა, ანუ ადესა, კაჭიჭი, ჭეიშვილი, ალიკოტე და სხვა. ისინი გამოირჩევიან კარგი მოსავლიანობითა და გამძლეობით, რის გამოც შედარებით უპირატესობა მოიპოვეს. ამან ხელი შეუწყო ვაზის ადგილობრივი ჯიშების გადაშენებას<sup>79</sup>.

ვაზის ჯიშთა ასეთი სიმრავლე, ყოველ სოფელში მინაში უხვად ჩამარხული სხვადასხვა ტევადობის ჭურები, საწნახელები იმაზე მიგვანიშნებენ, რომ წარსულში (ოსმალთა ბატონობამდე) მევენახეობა და მეღვინეობა ლიგანის ხეობის მოსახლეობის ერთ-ერთ უმთავრეს საქმიანობას შეადგენდა.

ლიგანის ხეობასა და საერთოდ ოსმალთა ბატონობის ქვეშ მოქცეულ საქართველოს ნაწილში მევენახეობა-მეღვინეობის განვითა-

<sup>77</sup> მ. გვეგშიძე, მეღვინეობის ხის იარაღ-ჭურჭელი დასავლეთ საქართველოდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XIX. თბ., 1956, გვ. 143; ნ. თოფურია, ქართული მარანი, მსე VII, 1955, გვ. 131.

<sup>78</sup> რ. მალაყმაძე, ლიგანის ხეობაში მივლინების დღიურები, რვეული V, 2000, გვ. 21; შდრ: С. Н. Тимофеев, დასახ. ნაშრომი, გვ. 179, 180, 181; X. Н. Норкин, დასახ. ნაშრომი, გვ. 261.

<sup>79</sup> მ. რამიშვილი, გურიის, სამეგრელოსა და აჭარის ვაზის ჯიშები, თბ., 1948, გვ. 1.



რებას უდიდესი დაბრკოლება შეექმნა, რაც მეტწილად გამონვეული იყო ღვინის დაყენებისა და მოხმარების ჯერ თანდათანობით შეზღუდვით, შემდეგ კი აკრძალვით. პირველ რიგში საღვინე ჯიშები გადაშენდა. ვენახად გაშენებული ადგილები გავერანდა, ნავენახარად იქცა და გეოგრაფიულ სახელწოდებებად დამკვიდრდა. ამ დაბრკოლების მიუხედავად მევენახეობა-მეღვინეობა სრულიად როდი მოისპო. ჯ. პალგრევის „ანგარიშებში“, რომლებიც XIX საუკუნის 70-იან წლებს განეკუთვნება, გვაუწყებენ, რომ ლიგანის ხეობაში ოსმალთა ბატონობის დროსაც მზადდებოდა ღვინო და არაყი, მაგრამ იქაური ღვინო მდარე და ძნელად შესანახი ყოფილა<sup>100</sup>. გ. ყაზბეგს მოგზაურობისას (1874) საუცხოო ვაზის ბალები უნახავს სოფლებში ცრიას/წრიასა და ორჯოხს<sup>101</sup>. ამავე ცნობებს ადასტურებს ზ. ჭიჭინაძეც. XIX ს. 90-იან წლებში იგი წერდა: „ლიგანის ყურძენი აქ ძლიერ განთქმულია, მაგრამ დღეს აქეთ მარტო ართვინის ახლო-მახლო მრავლობს და მოდის ისე, როგორც ძველად ყოფილა. ღვინოსაც აყენებენ“<sup>102</sup>. ცოტათი ადრე, XIX საუკუნის 70-იანი წლების მონაცემებითაც, აქაური ქრისტიანები ღვინოს ქართული წესით წურავდნენ და ქვევრებში ინახავდნენ<sup>103</sup>.

ლიგანის ხეობაში მევენახეობისათვის დიდი ზარალი მიუყენებია აგრეთვე ვაზის სხვადასხვა სახის სოკოვანი დაავადებების გავრცელებას. ამის შესახებ საყურადღებო ცნობაა დაცული გაზეთ „ივერიაში“. ართვინის სკოლის მასწავლებელი წერდა: „ჩვენს ვენახებს კიდევ ერთი უბედურება ეწვია: ახალი უბედურება პატარა ჭიებია, უამისოდაც დაზარალებული არიან ჩვენი ვენახები ნაცარას, მილდიუსისა და სხვა სენებისაგან.“<sup>104</sup> დაავადების წინააღმდეგ

<sup>100</sup> ვ. ჯ. პალგრევი, აზიის თურქეთისა და ბათუმის ოლქის აღწერის მასალები, თარგმანი რ. სურმანიძისა, 1972, აჭარის საზ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა ფონდი, 588, გვ. 48.

<sup>101</sup> გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995, გვ. 107.

<sup>102</sup> ზ. ჭიჭინაძე, მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1913, გვ. 149; გაზ. „ივერია“, 1893, 168, გვ. 3.

<sup>103</sup> დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

<sup>104</sup> გაზ. „ივერია“, 1889, 616, გვ. 2.



ბრძოლის რაიმე ხერხები მოსახლეობისათვის ცნობილი არ იყო. ყოველივე ამის შედეგად მრავალი ადგილობრივი ჯიშის ვაზი გადაშენებულა.

ყურძნის მოსავლის ნაწილი ღვინოსთან ერთად ტრადიციულად გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის პროდუქტების დასამზადებლად. კერძოდ, ყურძნის წვენისაგან მზადდებოდა ბექმეზი, ჩურჩხელა, ფაფა (ფელამუში). არსებობდა სპეციალური ჯიშის ყურძენი, რომელსაც ჩირად ინახავდნენ. მას ლიგანის ხეობაში აკიდოს ეძახიან.

ყურძნის მცირე ნაწილი ადგილზე იყიდებოდა, ნაწილი ფოთში, ახალციხესა და არდაგანში გაჰქონდათ გასაყიდად, აგრეთვე ცვლიდნენ ხორბალზე, ქვამარილზე<sup>105</sup>. აქაურ ყურძენს დიდი მოთხოვნილება ჰქონდა არტანუჯის სომხურ მოსახლეობაშიც, რომლისგანაც ღვინო კეთდებოდა<sup>106</sup>. სავაჭრო დანიშნულება ჰქონდა ჩურჩხელას, რომელიც დიდი რაოდენობით მზადდებოდა. თბილისში აქაურ ჩურჩხელას ახალციხურს ეძახდნენ. როგორც ჩანს, იგი თბილისში ახალციხის გზით შეჰქონდათ, რის გამოც მან ეს სახელი შეიძინა<sup>107</sup>.

ამრიგად, ლიგანის ხეობაში მევენახეობა-მელვინეობა უძველესი დროიდან სოფლის მეურნეობის დანიშნულებულ დარგს წარმოადგენდა. ხეობის სამეურნეო პირობების გამო აქ ძირითადად გავრცელებული იყო მაღლარი ვაზის ჯიშები. ოსმალთა ხანგრძლივმა ბატონობამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მევენახეობა-მელვინეობას. თუმცა იგი მთლიანად არ ჩამკვდარა და დღესაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხეობის მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრებაში. ოღონდ მან საღვინე მნიშვნელობა დაკარგა.

<sup>105</sup> დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

<sup>106</sup> გაზ. „დროება“, 1879, 248.

<sup>107</sup> გაზ. „დროება“, 1879, 257.

### § 3. მეხილეობა



ჩვენს ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით ლიგანის ხეობა მეხილეობის მხრივაც ძველთაგანვე დიდად განთქმული მხარე იყო. ვახუშტის დახასიათებით, ლიგანის ხეობაში მოჰყავდათ ნარინჯი, ლიმონი, თურინჯი, ზეთისხილი, ბრონეული, ლელვი. განვითარებული ყოფილა მევენახეობა და მეხილეობა.<sup>108</sup> აქაური ხეხილის ნაყოფიერებას განცვიფრებაში მოუყვანია გ. ყაზბეგი, რომელმაც აქ 1874 წელს იმოგზაურა. იგი წერდა: „მცენარეული ცოტაა, მაგრამ იმ ადგილას, სადაც ქვებს შორის ხელისგულისოდენა მინაა, ნახავთ ყურძენს, ბრონეულს, ნუშს, ხურმას, ზეთისხილს, ლელვს და სხვა ჯიშის ხეებს. ნაყოფიერება განსაკვიფრებელია, ჩვენ აქ პირველად დავრწმუნდით, რომ ლიგანის გახმაურებული დიდება დამსახურებულია“<sup>109</sup>. ამასვე აღნიშნავდა რუსი მოგზაური და სამხედრო მოხელე პ. იურჩენკო. მისი ცნობით, ადგილობრივი მოსახლეობა მისდევდა მებალეობას, ყველა ოჯახს ჰქონდა კარგად მოვლილი ბალები, სადაც ხარობდა თეთრი და შავი თუთა, ქლიავი, ხურმა, მსხალი, ვაშლი და სხვა<sup>110</sup>.

მეხილეობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ქ. ართვინის მიმდებარე სოფლები: ნაჭვია, ირსა, წრია, თოღგომი, ლომამენი, სადაც საუკეთესო ხარისხის ზეთისხილი, ლელვი, ბრონეული, მსხალი, კომში, მოდიოდა<sup>111</sup>. ხილით მდიდარი იყო ბორჩხის რაიონის სოფლები<sup>112</sup>. მურღულის ხეობის სოფლებშიც ხილი, განსაკუთრებით მსხალი და ვაშლი ერთობ უხვად ყოფილა. ამაზე ყურადღებას ამახვილებდა ნ. ლევაშოვი. იგი წერდა, რომ ადგილობრივი

<sup>108</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 135.

<sup>109</sup> გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995, გვ. 100.

<sup>110</sup> П. Юрченко, Заметки о поездке по ущельям рек Чорох-су до Артвина и Мургули-су до Нижней Куры в Батумской области, გაზ. „Кавказ“, 1881, №216, 222.

<sup>111</sup> თან მურიე, ბათუმი და ქოროხის აუზი, ბათუმი, 1962, გვ. 45; 261; Е. Г. Вейденбаум, Кавказские этюд, Тифл., 1901, с. 129, 133, 137.

<sup>112</sup> От Батума до Артвина, გაზ. „Кавказ“, 1884, №228.



მოსახლეობის მთავარი საქმიანობა მეზღალოებაა. სახელდობრ, ვაშლის მოყვანა. მთელი მურღულის ხეობის სოფლები ვაშლის ბაღებშია ჩაფლული. ერთი სოფლიდან მეორე სოფელში გადასასვლელი გზის ორივე მხარეს ვაშლის ბაღებია გაშენებული. აქ ყოველ წელს ვაშლის კარგ მოსავალს იღებენ. იგი კარგი ხარისხისაა, საკმარისად გემრიელია და დიდხანს ინახება.<sup>113</sup>

ჩვენ მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ლიგანის ხეობაში ხეხილის მრავალი ჯიში დადასტურდა. ვაშლისა: ვანულაი, ჭახევაშლი, ბათუმურაი, მაჭახლურაი, დემირელაი, ვირიტყყავაი, შექერაი ვაშლი, პანტა ვაშლი, შაფრანაი, თეთრი შაფრანაი, ფოლიო ვაშლი, ნითელი ვაშლი, დილიმა ვაშლი, ლაბადა ვაშლი, ლაბაშტა, ბეჟანაი, გოლდემი ვაშლი, ტუჩა ვაშლი, ბოტაი ვაშლი, ხოტორა, კვიჭილაი, შერმა, სამაისო, ხაჭუნა, ბუჯურელაი და სხვა. მსხლისა: სხალსასელაი/სასელაი, შაქარაი-მსხალშაქარაი, ყალმუსხაფი/ყარმმუსხაფი, სანთელაი მსხალი, ქირეზ არმუთი (იენისის მსხალი), ხეჭეჭურა, მარკოვი, თაფლაი/თაფლა მსხალი/მსხალ თაფლაი, კაცითაფაი, პლაკე მსხალი, ხართლო, ისტამბულაი, ეკლესური, მაკაინაი მსხალი, გონივრულაი, მსხალწვენაი, ქვასხალაი, ჭანურაი, ბულდუჯაი მსხალი და სხვა; ტყემლისა: ნითელი, თეთრი, შავი, ჯანივრულაი ტყემალი; ქლიავის: კატინვერაი, ნაკურაკი, ტყუბაი, თეთრი, შავი, ჭიანჭური, დედოფალაი, ოტურაი, დამასხი, ალიბუხარი; ლელვის: თეთრი ლელვი, ტაბანაი, შავი ლელვი, ფათლიჯანა, ზამბარაი, ლოფინჯირი, წინკაი ლელვი, ისტამბულაი, ბაბრა ლელვი, დევიტაბანი, თეთრი ზეთაი, სპილოსტერფა; თხილის: თხელყაბულიანი/თხელხეჭეპოიანი, გირესუნაი თხილი, ყარაყარი-შული, ბერძნული თხილი, წვიტაი თხილი, პანტა, გრძელაი.

ჯიშების სახელწოდებები მიღებულია ნაყოფის შედგენილობის, ფორმის, ფერისა და სხვა ნიშნების მიხედვით. ასევე ყურადღებას იქცევს ხილის ის სახეობები, რომლებიც იმ ადგილების სახელს

<sup>113</sup> Н. Н. Левашов, Заметка о пограничной линии и зоне на расстоянии от берега Чёрного моря до г. Артвина, ИКОИРГО, Т. VI, №2, 1880, с. 218.

ატარებს, საიდანაც ისინი ლიგანის ხეობაში გავრცელდა (ისტამ-ბულაი, ბათუმური, მურლულაი, ბუჯურელა, მაჭახლულაი) და სხვა.

ლიგანის ხეობის მეხილეობაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ზეთისხილს. გავრცელებული იყო მისი შემდეგი ჯიშები: ბუტკო, ოტურა, გურვალა, სათიზეითუნი. ამთგან უპირატესობა პირველს ენიჭებოდა, რომელიც მდიდარი იყო ზეთის შემცველობით<sup>114</sup>.

ზეთისხილი ხარობდა თიხა-კირნარევე ნიადაგებში. ნაყოფიერი მიწის უკმარისობა ადგილობრივ მოსახლეობას აიძულებდა მიწის ნაწილი ნარგავებისათვის გამოეყენებინა. ამისათვის ხშირად მიმართავდნენ ქვის ტერასების მშენებლობას.

XIX საუკუნის მონაცემებით ლიგანის ხეობაში ყოველწლიურად 30 ტონა ზეთისხილი იკრიფებოდა. მოკრეფილ ნაყოფს ალბობდნენ, ამარილებდნენ და ტიკებში ინახავდნენ<sup>115</sup>.

ლიგანის ხეობის ზეთისხილი უმთავრესად საექსპორტო საგანი იყო. იგი თბილისსა და ახალციხეში გაჰქონდათ გასაყიდად<sup>116</sup>. ფრანგები კი მისგან კარგი ხარისხის ზეთს ამზადებდნენ და აგზავნიდნენ გასაყიდად<sup>117</sup>. თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დამზადებული ზეთი დაბალი ხარისხისა და მწარე გემოსი იყო<sup>118</sup>.

ადგილობრივი მოსახლეობა ხილს იყენებდა სხვადასხვა პროდუქტის დასამზადებლად. ტყემლისაგან ამზადებდნენ ყორავოს (კონახური), ნონოქას. ტყემლით, ქლიავით, ვაშლით, მსხლით, შინდით – ფესტილს, ანუ ტყლაპს. მათ დიდი გამოყენება ჰქონდათ სამკურნალო თვალსაზრისითაც. ტყემლის ყორავოს მაღალი ტემპერატურისა და ყელის ტკივილის დროს იყენებდნენ. სახსრების, ნეკნების ტკივილისას საუკეთესო იყო ფესტილის, ანუ ტყლაპის საფენები და სხვა.

<sup>114</sup> X. Н. Норкин, დასახ. ნაშრომი, გვ. 260.

<sup>115</sup> E. Г. Вейденбаум, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

<sup>116</sup> დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987, გვ. 25.

<sup>117</sup> ართვინის მეზალეობის შესახებ, „მეურნე“, 1888, 38, გვ. 4.

<sup>118</sup> H. Норкин, დასახ. ნაშრომი, გვ. 259.



ხილისაგან, უმთავრესად ჟოლოს, მსხლის, ვაშლის, ქლიავის, ხურმის მნიფე ნაყოფისაგან ამზადებდნენ ბექმეზს, რომელსაც ინახავდნენ დერგებში, ხის კასრებში, ტიკჭორებში. ბექმეზისაგან ლეჩერსა და შარბათსაც აკეთებდნენ. ბექმეზს კაკალთან და მჭადთან ერთად მიირთმევდნენ.

შინაური ხილის გვერდით დიდი გამოყენება ჰქონდა ტყის ხილის ნაყოფს: მოცვს, მაცვალს, ნყავს, ნაბლს, მოცვის ნაყოფთან ერთად მის ფოთოლსაც იყენებდნენ. ფოთლისაგან ჩაის, ხოლო ნაყოფისაგან ღვინოსაც ამზადებდნენ. საუკეთესოდ ითვლებოდა მაცვლისაგან დამზადებული ღვინოც. ჩაი ცაცხვის ყვავილისგანაც მზადდებოდა, რომელსაც სამკურნალო დანიშნულებაც ჰქონდა.

#### § 4. მესაქონლეობა

ლიგანის ხეობის სამეურნეო ცხოვრებაში წარსულში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი მესაქონლეობას ეჭირა. ასეა დღესაც. დარგის განვითარება განპირობებულია ხეობის ხელსაყრელი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით, პირველ რიგში, მდიდარი ალპური საძოვრების არსებობით.

მინათმოქმედება და მესაქონლეობა ურთიერთკავშირის საფუძველზე ვითარდებოდა. მეურნეობის ამ დარგების ამდაგვარი სიმბიოზური, ანუ შერწყმული ხასიათი კანონზომიერი მოვლენაა საქართველოს მთიანი ზონის ცხოვრებაში<sup>119</sup>.

მესაქონლეობა განსაკუთრებით დაწინაურებული იყო მურლულის, დევსქელისა და ნაწილობრივ ბორჩხის რაიონის სოფლებში. აქ

<sup>119</sup> გ. ჩიტაია, დასახლების ტიპი მთიულეთში, შრომები, ტ. 1, თბ., 1997, გვ. 171; ვ. შამილაძე, მსხვილფეხა მესაქონლეობა ზემო აჭარაში, საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები, თბ., 1964, გვ. 238-239; ალ. რობაქიძე, დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში, ბსკი შრომები, 1, ბათუმი, 1957, გვ. 18-19; ნ. ბრეგაძე, სამეურნეო ყოფის შესწავლის ძირითადი შედეგები ქართულ საბჭოთა ეთნოგრაფიაში, მაცნე, თბ., 1986, 3. გვ. 168.



საკმაოდ ბევრი ჰყოლიათ მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი მცირე რაოდენობით მისდევდნენ სახედარის, ჯორისა და ცხენის მოშენებას<sup>120</sup>.

ლიგანის ხეობის ჭოროხისპირა სოფლებში (მირვეთი, ქვემო და ზემო მარადიდი, ბორჩხა და სხვა) მესაქონლეობას ნაკლებად მისდევენ შესაბამისი საკვები ბაზის სიმცირის გამო. გ. ყაზბეგი ბორჩხის მაგალითზე წერდა: „გარეგნულად ბორჩხა სოფელს არა ჰგავს. აქ 82-მდე კობტად აშენებული სახლია, რომელთაც არავითარი სამეურნეო მინაშენი არა აქვთ. რქოსანი პირუტყვი და ცხენი აქ სულ არ არის. ყველა მცხოვრები ნავმშენებლობას, მენავეობასა და თიხის ჭურჭლის დამზადებას მისდევს“.<sup>121</sup>

ლიგანის ხეობაში ძირითადად გავრცელებული იყო პატარა ტანის ადგილობრივი ჯიშის მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი<sup>122</sup>, რომელიც კარგად იყო შეგუებული ადგილობრივ გარემო პირობებს. დიდ მნიშვნელობას აქცევდნენ როგორც მენველი, ასევე გამწევი პირუტყვის (ხარის) ჯიშთანობას. ეთნოგრაფიული მონაცემებით, საუკეთესო ხარისხის მენველ საქონლად ითვლებოდა ცხრაკბილიანი ძროხა. ამასთან ერთად, ჯიშთან ძროხას ცურნე (ცური) დიდი და წინ წამოწეული უნდა ჰქონდეს. მის ჯიშთანობა-უჯიშობას არა მარტო გარეგნული ნიშან-თვისებებით, არამედ „რძიანობის“ მიხედვით არჩევდნენ. ასევე კარგ გამწევ ძალად მიჩნეულია ჯაგა, ანუ სქელ და გრძელკისრიანი პირუტყვი. როგორც ვხედავთ, ადგილობრივი მოსახლეობა ფლობდა გარკვეულ წესებს, რის საფუძველზეც ასხვავებდა საქონლის ჯიშთანობასა და ვარგისიანობას. ეს ფაქტორები თავისებურ ზეგავლენას ახდენდა რძის პროდუქტების წარმოებასა და გამწევი ძალის შრომისუნარიანობაზე.

<sup>120</sup> პ. უმიკაშვილი, ოსმალის საქართველო, გაზ. „ივერია“, 1877, 21, გვ. 8.

<sup>121</sup> გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995, გვ. 116.

<sup>122</sup> Н. Е. Солнышкин, Артвин и Артвинский округ, Тифл., 1912, с.41.



ლიგანის ხეობაში ხარს მუშა ძალის გარდა გართობა-სანახაობებშიც იყენებდნენ, რომელიც „ბულების ჭედობის“ სახელწოდებითაც ცნობილი<sup>123</sup>.

წვრილფეხა საქონლის მოშენება შეზღუდული იყო, რაც გამოწვეულია მკაცრი კლიმატური პირობებით და შესაბამისი საკვები ბაზის სიმცირით. ა. ფრენკელის მონაცემებით, წვრილფეხა საქონელი გავრცელებული იყო არჩვეთში, ომანაში, თხილაზურში, ოზმალსა და სხვა სოფლებში<sup>124</sup>. საოჯახო ყოფაში დიდი გამოყენება ჰქონდა ცხვრის მატყლს. ცხვარს წელიწადში ორჯერ (გაზაფხულზე და ზაფხულში) კრეჭდნენ, ამისთვის გამოიყენებოდა სპეციალური საპარსი მკრატელი, რომელსაც „ყირხლული“, ხოლო ერთი ცხვრის განაკრეჭ მატყლს კი კანძი<sup>125</sup> ეწოდებოდა.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით სათიბ-საძოვრები თითქმის ყველა სოფელს გააჩნდა, მაგრამ ამ მხრივ მაინც დევსქელისა და მურლულის ხეობები გამოირჩეოდა. დევსქელის ხეობის სამი სოფელი – დევსქელი, შუახვევი, ბაგინი კალოვანში, ახალტყეში, ახოში, ბერისხვეში, სათიბისხვეში, ოხვათ, ჩიტაურში, გაღმობანში განლაგებულ სათიბ-საძოვრებით სარგებლობდა, რომლებიც ბალახის (სამყურაი, კატარაი, ხასიმოლი, იონჯა და სხვა) ყუათიანობით გამოირჩეოდა. საუკეთესო საკვებად ითვლებოდა იონჯა, რომელსაც წელიწადში სამჯერ იღებდნენ.

თივის მოსავალს ისევ სათიბებში არსებულ სამეურნეო ნაგებობებში ინახავდნენ, რომელსაც ქორი ეწოდებოდა. ზამთარში ან შემოდგომაზე მარხილით შინ მიჰქონდათ. იქ, სადაც მარხილი არ მიუდგებოდა, გვარმად<sup>126</sup> შეკრულ თივას ზურგით ეზიდებოდნენ. ამისათვის იყენებდნენ სპეციალურ მოწყობილობას – საძნეს. ამ მხრივ

<sup>123</sup> ამის შესახებ დანვრილებით იხილეთ წინამდებარე ნაშრომის შესაბამე თავში.

<sup>124</sup> А. Френкель, Очерки Чырук-су и Батума, Тифл., 1879, с.119.

<sup>125</sup> ასეა განმარტებული კანძი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში (სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV, წიგნი I, თბ., 1965, გვ. 355).

<sup>126</sup> შდრ: „გვარალა-გორგალი, თავსახვევი, ჩალის კონის შესაკრავი, თივის თოკი“. ალ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984, გვ.151.



საინტერესოა ლიგანის ხეობაში გავრცელებული ჩვეულება ახოთობა. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ახოთობა ენოდებოდა იაილების სიახლოვეს არსებული ქალებიდან (სათიბებიდან) თივის მოტანასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებას.

ზამთარში მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის საკვებად გამოიყენებოდა აგრეთვე ნეკერი, წყავი, ძმერხლი, სურო და პანკი. ყველაზე ყუათიანად ძმერხლი ითვლებოდა. ის ოჯახები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფდნენ ზამთრობით საქონლისათვის საჭირო საკვების დაგროვებასა და საქონლის გამოზამთრებას, შემოდგომის მინურულს ცდილობდნენ გარკვეული ნაწილი გაეყიდათ. XX საუკუნის დამდეგამდე პირუტყვი იყიდებოდა ართვინისა და ბათუმის ბაზარზე<sup>127</sup>. გაყიდვის წინ პირუტყვს კუდის წვერს ან ბალანს შეაჭრიან და ახორში დაჰკიდებენ – მათი რწმენით საქონელს „ხელი არ გადაჰყვებოდა“.

მაისის ბოლოს საქონელს საზაფხულო იალალებზე გარეკავდნენ. დიდი მნიშვნელობა ექცეოდა მთაში წამსვლელთა შერჩევას. ამ მხრივ უპირატესობა ოჯახში ასაკით უფროს ქალს ენიჭებოდა, რომელმაც კარგად იცოდა საქონლის მოვლა-პატრონობის საქმე და რძის პროდუქტების დამზადება. მემთევრე ქალს მემორთი-სამორთი ენოდება.

დეესქელის მოსახლეობა კარჩხლის მთის ალპური საძოვრებით სარგებლობდა, სადაც მთა-საძოვრები სოფლების მიხედვით იყო დანაწილებული. სოფელ ტრაპენის, ებრიკას მთა იყო – თეთრინყალი; დევსქელის, ბაგინის, შუახევის კი – ჯამიკარი; ქლასკურის, ხებას – პატინაი/პანა მთა. მურლულის ხეობის მოსახლეობა დადიოდა ეგრისუს, შორავლისა და მალარას მთებზე. კირნათის თემის მოსახლეობის ნაწილი დღეს ადიგენის რაიონის ჯაზიგოლის ალპური საძოვრებით სარგებლობს. შექმლებული პირები არდაგანის საძოვრებსაც იყენებდნენ.

ისეთი ოჯახები ან სოფლები, რომელთაც პირუტყვი ცოტა ჰყავდათ, საზაფხულო საძოვრებით, ანუ მთით არ სარგებლობდა.

<sup>127</sup> Н. Е. Солнышвин, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.



ისინი ადგილობრივი მნიშვნელობის საძოვრებით კმაყოფილდებოდნენ. სოფლიდან მოშორებით მხოლოდ ხარები გადაჰყავდათ. სოფელი ხარების რაოდენობის შესაბამისად ორ ან სამ მწყემსს შეარჩევდა. მათ ხარების საძოვრებზე გარეკვა ევალებოდათ.

ხარების სადგომი ადგილი, რომელსაც იათალი ეწოდება, ნყალთან ახლოს უნდა ყოფილიყო. ყველა სოფელს, ხშირად თემსაც თავისი იათალი ჰქონდა. მაგალითად, მურულულის ხეობის სოფელ ოზმალის მოსახლეობა ხარებს გული ყანის იათალზე აბინავებდა. ზაფხულობით მთის საძოვრებზე ხარების სხვა საქონლისაგან გამოცალკევების წესი საქართველოს სხვა მთიანი ზოლის კუთხეებისათვისაც იყო დამახასიათებელი.<sup>128</sup>

საქონლის აბარება/გაბარების წესს საზაფხულო საიალაო პერიოდში მიმართავდნენ. ისეთ პირებს, ვისაც საქონელს მიაბარებდნენ, ნაბარიები ეწოდებოდათ.

ლიგანის ხეობის მოსახლეობისათვის დამახასიათებელი იყო ყიშლური მეურნეობაც.<sup>129</sup> ყიშლა თითქმის ყველა სოფელს გააჩნდა. სოფელ დევსქელის მოსახლეობა თელნარის, ქლასკურელები შავი გოლის ყიშლებით სარგებლობდა.

ამრიგად, განხილული ეთნოგრაფიული მასალები ცხადყოფს, რომ მესაქონლეობა მინათმოქმედებასთან ერთად წარმოადგენდა მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად დარგს. ორივე დარგი აქაც სიმბიოზური ფორმით ვითარდებოდა. უპირატესობა მსხვილფეხა მესაქონლეობას ენიჭება. მენველ საქონელთან ერთად დიდი ყურადღება ეთმობოდა გამწვევი ძალის – ხარის მოშენებას.

<sup>128</sup> ვ. შამილაძე, მსხვილფეხა მესაქონლეობა სვანეთში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, IV, თბ., 1976, გვ. 41; მისივე, მესაქონლეობა რაჭა-ლეჩხუმში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, III, თბ., 1975, გვ. 38; მ. მაკალათია, მასალები მსხვილფეხა მესაქონლეობისათვის ხევსურეთში, საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები, 1964, გვ. 56.


<sup>129</sup> ყიშლურ მეურნეობაზე დანვრილებით იხ. ვ. შამილაძე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბ., 1969, გვ. 91-97.

ფურჩის გოდორი. სოფელი  
ქლასკური. 2001.



ებრიკის იაილები. დევსქელის ხეობა. 2001.

პურის საცხობი ფურნე.  
კორდეთი. მურღულის ხეობა.  
2000.



ხელნისქვილი (ხელის ნისქვილი). სოფელი ბუჯური.  
მურღულის ხეობა. 2000.

## § 5. მეფუტკრეობა

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ლიგანის ხეობაში მეფუტკრეობით გამოირჩეოდა დევსქელის, მურღულისა და ბელღევანის ხეობათა სოფლები. ხალხური დახასიათებით, „ფუტკარი კარგად მუშაობდა“ სოფლებში ქლასკურში, კირნათში, ქვემო მარადიდში, რასაც ხელს უწყობდა მეფუტკრეობის განვითარებისათვის საჭირო ბუნებრივ-კლიმატური პირობები, უხვი თაფლოვანი მცენარეების არსებობა.

ლიგანის ხეობაში გავრცელებული იყო მეფუტკრეობის ის ფორმები, რომლებსაც საქართველოს სხვა კუთხეები იცნობდა: ტყიური, ნახევრად შინაური და შინაური მეფუტკრეობა.<sup>130</sup>

ტყიური მეფუტკრეობა წარმოდგენილია ხეფუტკარის სახით. ადგილობრივი მოსახლეობის დახასიათებით, იგი შინაურთან შედარებით უკეთესად მუშაობდა და კარგ თაფლსაც იძლეოდა. ამიტომაც ცდილობდნენ მის მოშინაურებას. ხეფუტკარა განსაკუთრებით ბლომად ბუდობდა წიფლის, თელის ყორღიან, ანუ ფულუროიან ხეებზე. საინტერესოა მისი მიკვლევისა და შინაურ საფუტკრეში მიყვანის ხალხური წესები. ხეფუტკარას მიგნება ზამთარში ხდება ფუტკრის „კვალის“ მიხედვით, რაც ტყიური ფუტკრის მიკვლევის ყველაზე გავრცელებული ხერხია. ეს წესი საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ეთნოგრაფიულ ყოფაშია გავრცელებული, სადაც მეფუტკრეობას მისდევენ.<sup>131</sup> ტყიური ფუტკრის მიკვლევა და შინ მიყვანა თებერვლის თვეში ხდებოდა, როდესაც კარგ ამინდებში ფუტკარი გარეთ გამოდიოდა. თოვლზე რჩებოდა „ყვითელი ფერის კვალი“, რომლის მიხედვითაც მეფუტკრე პოულობდა ხეფუტკარას. ხეზე, სადაც ხეფუტკარა ბუდობდა, დაპატრონების მიზნით სახელ-

<sup>130</sup> ალ. რობაქიძე, მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 69.

<sup>131</sup> იქვე, გვ. 70; მისივე, მეფუტკრეობა სვანეთში, მსე, VII, თბ., 1955, გვ. 86-88; ნ. კახიძე, აჭარის მთიანი ხეობის ძველი და ახალი სამეურნეო ყოფა და კულტურა „მაჭაბლის ხეობა“, სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1967, გვ. 323.

გვარს, ან რაიმე ნიშანს ამოკვეთავდნენ. ასეთი ნიშანდადებული „ფუტკრიანი ხის“ დაპატრონება სხვას არ შეეძლო. ხეფუტკარას ან ადგილზე ხილავდნენ, ანუ მისგან თაფლს გამოიღებდნენ, თუ ხილვა მოუხერხებელი იყო, მაშინ ხეს ჭრიდნენ, „ფუტკრის ბუდიან“ ადგილს გამოხერხავდნენ და შინაურ საფუტკრეში მიჰქონდათ. ეს კი ზამთრობით ხდებოდა.

ხეობის მეფუტკრეობაში ადრე ფართოდ გავრცელებული წესი იყო სკების გამოქვაბულიან კლდეებზე ან ხეებზე შემონახვა, რაც ცნობილია ნახევრად ტყიური მეფუტკრეობის სახელწოდებით. მეფუტკრეობის ამ ფორმას ხეობის თითქმის ყველა სოფელში მისდევდნენ<sup>132</sup>. მურღულის ხეობაში დადასტურებულია მონწილე კოკოზების კლდეებში განლაგება.

სკებს უმთავრესად ნიფლის დიდ მალალ ხეებზე წინასწარ მოწყობილ „ბოგებზე“ შედგამდნენ, ამ ხეებზე დათვი ვერ ადიოდა, რომელიც ფუტკრის საშინელი მტერი იყო. თუმცა, ისეთ ადგილებში, სადაც დათვის საშიშროება არ იყო, სკებს ნაბლის, თხმელის, ნაძვის ხეებზე შემოაწყობდნენ. სკების ხეებზე ასატანად გამოიყენებოდა ჭაპანი და ხეზი<sup>133</sup>.

ლიგანის ხეობაში, ისე როგორც საერთოდ საქართველოში, მეფუტკრეობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა შინაური მეფუტკრეობა, რომელიც ხელოვნურ სკასა და საგანგებოდ განწყობილ საფუტკრეს გულისხმობს<sup>134</sup>.

ველზე მუშაობის დროს საკვლევ ხეობაში დადასტურდა სკის სამი სახეობა – ყავრანი, ჯერა და ჩარჩოიანი სკა. ყავრანი ერთი მთლიანი ხისაგან არის გამოყვანილი და კასრისებური ფორმა აქვს. ჯერა — სკა

<sup>132</sup> Н. Н. Левашов, Заметка о пограничной линии и зоне на расстоянии от берега Чёрного моря до г. Артивина. ИКОИРГО, Т. VI, №2, 1880, с. 221.

<sup>133</sup> შდრ. „ხეზი წერილი ბანარი გრძელი“, სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV, წიგნი II, თბ., 1966, გვ. 418.

<sup>134</sup> აღ. რობაქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.



ჩარჩოიანი სკა ფუტკრის ნაყარის (ნამრავლის) გამოსვლისას. სოფელი ბუჯური, მურღულის ხეობა. 2000.



მეფუტკრე ქაზიმ გუნეში (ქამილოდლი-კობალაძე) ჩარჩოიან სკებთან. სოფელი ოზმალი. მურღულის ხეობა. 2000.



ფუტკრის მოყრის პროცესი. სოფელი ბუჯური. მურღულის ხეობა. 2000.



ქლასკურის იაილები. დევსქელის ხეობა. 2001.



ყველის გუდა. სოფელი კირნათი. 1998.





ორნანილადა. ასეთი სკა გეჯას სახელწოდებით საყოველთაოდ იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოში<sup>135</sup>.

ლიგანის ხეობაში მოგვიანებით ფეხი მოიკიდა ჩარჩოიანმა სკებმა, რომლებიც ყავრანთან და ჯარა სკებთან შედარებით უპირატესობით ხასიათდება.

შინაური საფუტკრეები დევსქელისა და მურღულის ხეობაში „ფეთექ ხანის“ სახელითაა ცნობილი.

საფუტკრეები მუდმივ და განსაკუთრებულ მზრუნველობას მოითხოვდა. ზამთარში სითბოს შენარჩუნების მიზნით სკებს ჩალით შემოსავდნენ. ნასვრეტებიან ადგილებს ნაცრისა და ნაკელის შერევით შემზადებული მასით შელესავდნენ. მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა საფუტკრეების დაცვას ავი თვალისაგან, რისთვისაც საფუტკრეების მისასვლელ მხარეზე ნითელ ნაჭერს, ეკლის გორგალს, ძაფზე ან მავთულზე ასხმულ კვერცხის ხეჭეპოს დაჰკიდებდნენ. ამ მიზნით საფუტკრეებზე კიდევ დათვის, ძროხის, ვირის, ცხენის თავის „ხაპერს“ (თავის ქალას) ჩამოჰკიდებდნენ.

თაფლის დანურვის ორი სხვადასხვა ნესი დაფიქსირდა: „უცეცხლოდ“, ანუ ცეცხლზე გათბობის გარეშე დანურვა და „ცეცხლზე დანურვა“. ამგვარი ნესები საერთო მოვლენაა საქართველოს მეფუტკრეობაში<sup>136</sup>. უპირატესობა უცეცხლოდ დანურულ თაფლს ენიჭება, რომელსაც სამკურნალო დანიშნულებითაც იყენებდნენ.

თაფლსა და სანთელს ადგილობრივი მოხმარების გარდა სავაჭრო მნიშვნელობაც ჰქონდა. ჯ. პალგრევის ცნობით, ლიგანის ხეობა თაფლითა და სანთლით ამარაგებდა ყოფილი ბათუმის ოლქის მოსახლეობას<sup>137</sup>. ნანილი ბათუმში, ნანილიც ადგილობრივ ბაზრებზე

<sup>135</sup> ალ. რობაქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

<sup>136</sup> იქვე, გვ. 100.

<sup>137</sup> ვ. ჯ. პალგრევი, აზიის, თურქეთისა და ბათუმის ოლქის აღწერის მასალები, თარგმანი რ. სურმანიძისა, 1972, აჭარის სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა ფონდი, 588, გვ. 16, 48.



### § 6. ხელოსნობა და შინამრეწველობა

**მჭედლობა.** ლიგანის ხეობა ხელოსნობითაც დანიანაურებული რეგიონი იყო. ისტორიულად აქ ხელოსნობისა და შინამრეწველობის თითქმის ყველა უმთავრესი დარგი იყო განვითარებული: მჭედლობა, ხისა და ქვის დამუშავება, კერამიკული ნარმოება, ფეიქრობა. მისდევდნენ აგრეთვე კირის გამოწვას, საპნის დამზადებას და სხვ.

ხეობა ქოროხის აუზის იმ არეალში ექცევა, სადაც საფუძველი ჩაეყარა სპილენძ-ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიას<sup>139</sup>, რომლის ტრადიციებზეც შემდგომ სამჭედლო ხელოსნობა განვითარდა<sup>140</sup>.

სამჭედლო სახელოსნოები, რომლებსაც დემირჩხანა ეწოდება, ცალკე ნაგებობას წარმოადგენდა. მურლულის ხეობაში საუკეთესო მჭედლებად ცნობილი იყვნენ ყადიოღლებისა და დემირჩოღლების საგვარეულოები, სოფელ კირნათში კახაბერიძეები, გაბიტაძეები და დიდმანიძეები.

მჭედლობის თვალსაზრისით საინტერესოა დემირჩოღლის გვარის ეტიმოლოგია. იგი ნაწარმოებია თურქული სიტყვიდან „დემირ“ (ნიშნავს რკინას) „ჩი“ სუფიქსისა და „ოღლის“ (იგივე შვილი) დართვით. სიტყვა-სიტყვით დემირჩოღლი ითარგმნება, როგორც მჭედლიშვილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელოსნობის ცალკეულ

<sup>138</sup> დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987, გვ. 25.

<sup>139</sup> ი. გრძელიშვილი, დ. ხახუტაიშვილი, რკინის ნარმოების უძველესი კერა ქოროხის ქვემო დინებაში და არქეოლოგიური დაზვერვები გონიო-აფსაროსში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, I. თბ., 1964, გვ. 59.


<sup>140</sup> ნ. კახიძე, ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თავი I, თბ., 2000.



სამჭედლო, სოფელი დევსქელი, 2001.



ძველი სპილენძის სადნობი ქარხანა, სოფელი ზედა ძანსული, მურღულუის ხეობა, 2000.



სპილენძის სადნობი ქარხანა. სოფელი ქვედა ძანსული.  
მურლულის ხეობა. 2000.



აილ ქესერი (ფეხეწო). სოფელ  
ხემა. 2001.



დარგებთან (მჭედლობა, ხარატობა, დურგლობა, ფეიქრობა და სხვა) დაკავშირებული გვარ-სახელის წარმოქმნა საყოველთაო მოვლენა ჩანს<sup>141</sup>.

ლიგანის ხეობაში მზადდებოდა მრავალფეროვანი საოჯახო, სამინათმოქმედო და სამშენებლო იარაღ-ხელსაწყოები. XIX საუკუნის მეორე ნახევრის მონაცემებით, ქ. ართვინში ბევრი კარგი სახელოსნო ყოფილა, სადაც ისეთივე იარაღი მზადდებოდა, როგორიც აჭარაში<sup>142</sup>. ჩვენ მიერ შეკრებილი საველე-ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით სოფელ კატაფხიაში ადგილობრივი ოსტატების მიერ მზადდებოდა საჩიტე, ანუ ფილინთა თოფები. სახელმოხვეჭილი ოსტატი ყოფილა ასლან (ასლან უსტა) ოზთურქი. იგი თოფსა და მის დასამზადებელ საჭირო იარაღ-ხელსაწყოებს თვითონვე აკეთებდა. ამგვარი თოფებისა და სხვა სამეურნეო იარაღების კეთება გაუგრძელებიათ მაჭახლის ხეობიდან მუშაჯირად გადასულ ნაგერვაძეებსა და აბაშიძეებს. მათი მემკვიდრეები შემდეგ საცხოვრებლად ქალაქებში – ბურსასა და ინეგოლში გადასახლებულან.

**ქვისა და ხის დამუშავება.** ჭოროხის მხარე და მათ შორის ლიგანის ხეობა რომ ქვითხურობით დანიშნურებული იყო, ამაზე ნათლად მეტყველებენ მატერიალური კულტურის ისეთი ქვის ძეგლები, როგორიცაა: ციხეები, ქვის თალიანი ხიდები, საცეხველები, საწინახლები და სხვა. ქვითხურობიდან დღეს წისქვილის ქვების დამზადება შემორჩა.

წისქვილის ქვების დამზადებით სოფლები ქართლა და ტანზოთი გამოირჩევა. აქაური ქვა ადვილად მუშავდებოდა და შედარებით

<sup>141</sup> ნ. კახიძე, ხელოსნობა აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, XVII, თბ., 1990, გვ. 23; მისივე, მჭედლობა აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, IV, თბ., 1976, გვ. 74; ხელოსნობასთან დაკავშირებული გვარ-სახელები აჭარაში, საისტორიო მაცნე, 10, 2001, ბათუმი, გვ. 82-85; По следам этнографической экспедиции, Советская Аджария, № 210, 1988.

<sup>142</sup> ვ. ჯ. პალგრევი, აზიის თურქეთისა და ბათუმის ოლქის აღწერის მასალები, თარგმანი რ. სურმანიძისა, 1972. აჭარის სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა ფონდი, 588, გვ. 48.



გამძლე იყო. აქ დამზადებული ნისქვილის ქვებით მარაგდებოდა ქოროხის მხარის სხვა სოფლები, აგრეთვე დღევანდელი აჭარის ზღვისპირა<sup>143</sup> და მთის სოფლები.

ხის დამუშავება ხელოსნობის საყოველთაოდ გავრცელებული დარგი იყო. პ. უმიკაშვილი ამის შესახებ წერდა: ხუროობა და სახლის შენება კარგად იციან<sup>144</sup>. ამას განაპირობებდა ხე-ტყის ძვირფასი სამშენებლო ჯიშების არსებობაც.

ლიგანელი ხელოსნები ხის ხარატული ნაკეთობის, ანუ სამხვეწლო საქმიანობითაც გამოირჩეოდნენ. საამისოდ არსებობდა წყლის, ხელისა და ფეხის დეზგრები, ანუ დაზგები. უკანასკნელ პერიოდში გავრცელდა ელექტროენერგიაზე მომუშავე დაზგებიც, რომლებმაც ხმარებიდან გამოდევნეს ძველი სახის დაზგები.

წყლის დაზგები ხე-ტყით მდიდარ ადგილებში, სოფლის პატარა მდინარეებზე ეწყობოდა, სადაც იხვენებოდა სხვადასხვა დანიშნულების ჯამ-ჭურჭელი (გობები, ხელგობები, ჯამები, სუფრები, ანუ მრგვალი სასადილო მაგიდები, ნალის ორგოები და ა. შ.). ამ საქმეში ძალზე დაოსტატებული იყვნენ სოფელ ქლასკურის, ხებას, კირნათის, ქვემო მარადიდის მხვენელები.

ხარატული ნესით დამზადებულ ჯამ-ჭურჭლიდან საინტერესოა სუფრები<sup>145</sup>. ველზე მუშაობის დროს დამონმდა არშიანი და უარშიო სუფრების არსებობა, რომელთაც ყოფაში დღესაც დიდი გამოყენება აქვთ. არშიან სუფრას უმთავრესად სასადილოდ იყენებდნენ, უარშიოს კი პურის ცომის გამოსაყვანად.

ხელისა და ფეხის დაზგებზე უმთავრესად მზადდებოდა აკვნის, ხერტლის, საქსოვი დაზგის-საფეიქროს ნაწილები.

<sup>143</sup> Д. Бакрадзе, Кинтришский участок, საქართველოს ისტორიოგრაფია, IV, თბ., 1975, გვ. 158; В. Я. Лисовский, Чорохский край, Тифл., 1887, с. 97.

<sup>144</sup> პ. უმიკაშვილი, ოსმალის საქართველო, გაზ. „ივერია“, 1877, 2, გვ. 9.

<sup>145</sup> ამ ტერმინის შესატყვისად აჭარაში გვხვდება „ფეშხუმი“ (ჯ. ნოლაიძე, ფეშხუმი, ლიტერატურული აჭარა, ბათუმი, 1963, 2; ნ. კახიძე, ხელოსნობა აჭარაში, გვ. 53, 55).

აკენის დამზადებით დახელოვნებული იყვნენ სოფელ ქვემო მარადისა და კირნათის ოსტატები. ეს ძველისძველი ტრადიცია ამჟამადაც გრძელდება.

სამხვენლო საქმიანობიდან აღსანიშნავია აგრეთვე კოვზების კეთება. ისინი „შიმშერის“ (ბზის), ურთხმელის, შქერის, თხმელის ხისაგან მზადდება. ხის კოვზებს დღესაც დიდი გამოყენება აქვს. ნაწარმი ბათუმის ბაზარზეც იყიდება.

ხის დამუშავებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ნულ ნაკეთობებს: გიდელი, ორხაპო, გორძლო, ფარცხი, სკამი და სხვა. ამათგან ყველაზე მეტი გამოყენება გოდორს ჰქონდა და აქვს დღესაც იგი სხვადასხვა სახისაა – საზურგე (ადამიანის ზურგზე საკიდებელი) და ცხენის გოდრები. კონსტრუქციული თვალსაზრისით ზურგის გოდორი ორი სახისაა – კონუსისებური, ორფეხიანი და ბრტყელძირიანი, რომელსაც „დაჯედაი“ გოდორი ეწოდება (სოფ. გვარა, კირნათი). ნული ნაკეთობის დასამზადებლად იყენებდნენ თხილის, ნაბლის, სუროს ტყეჩებს. განსაკუთრებული გულმოდგინებით საფქვილე გოდრებს ამზადებდნენ. ნული ნაკეთობა (კალათები, ჩანთები) მზადდებოდა აგრეთვე ხის ქერქისაგან.

ლიგანის ხეობა განსაკუთრებით განთქმული იყო ხის სამდინარო ნავეების დამზადებით (ამის შესახებ ვრცლად იხილეთ § 7).

**კერამიკული ნაკეთობა.** XIX საუკუნის მეორე ნახევრის წერილობითი ცნობებისა და ჩვენ მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ლიგანის ხეობა კერამიკული ნარმოების უმთავრეს კერას წარმოადგენდა ჭოროხის აუზში. ამ მხრივ უფრო ბორჩხა გამოირჩეოდა. გ. ყაზბეგის ცნობით, ბორჩხის მოსახლეობის უმთავრეს საქმიანობას ნავმშენებლობასთან ერთად თიხის ჭურჭლის დამზადება წარმოადგენდა<sup>146</sup>. ივ. ჯაიანი, რომელიც XIX საუკუნის 90-იან წლებში ბორჩხაში მსახურობდა, წერდა: „ბორჩხის მცხოვრებთ აქვთ კიდევ ერთი საშუალება სარჩოს მოპოვებისა. ესენი აკეთებენ

<sup>146</sup> გ. ყაზბეგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995, გვ. 116.

თიხის დოქებს და სხვა ჭურჭელს.<sup>147</sup> ნ. ლევაშოვის ცნობით, XIX საუკუნის ბოლოს ბორჩხაში მეთუნეობის 10 სახელოსნო მოქმედებდა, სადაც მზადდებოდა ქვევრები, დოქები, ქოთნები, ჯამეები, ღარიანი კრამიტი, აგური<sup>148</sup>, აგრეთვე წყლის მილები, სადღვებლები და ა. შ.

დიდი მოთხოვნილება იყო ბორჩხის ღარიან კრამიტსა და აგურზე. კრამიტი პირველ მსოფლიო ომამდე აქედან გასაყიდად გაჰქონდათ ბათუმში, მაჭახლის ხეობაში, ქობულეთში, ხოფაში, არხავში<sup>149</sup>.

საუკეთესოდ ითვლებოდა ბორჩხაში დამზადებული აგური, რომელსაც საფრანგეთიდან (მარსელიდან) შემოტანილ მარსელის აგურთან შედარებით უპირატესობას ანიჭებდნენ<sup>150</sup>.

წერილობით წყაროების გვერდით კერამიკული წარმოების დანიშნულებასა და ყოფაში მის მრავალმხრივ გამოყენებაზე მიუთითებენ ხეობაში არსებული აგურით ნაშენი და კრამიტით გადახურული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, წყალგაყვანილობის მილები, მიწაში დაფლული სხვადასხვა მოცულობის ქვევრები, რომლებიც თითქმის ყველა სოფელში გვხვდება და ა. შ.

დღეისათვის ლიგანის ხეობაში მხოლოდ აგურის დამზადება შემორჩა. აგურის ქარხანა მოქმედებს მურღულის ხეობის სოფელ ერეგუნაში.

**რთვა-ქსოვა.** ხალხური ხელოსნობის ეს დარგიც ფართოდ იყო გავრცელებული ხეობის ყველა სოფელში და იგი ძირითადად ქალის საქმიანობას უკავშირდება. რთვა-ქსოვა მხოლოდ ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ვითარდებოდა (მატყლი, სელი, კანაფი, ბამბა, აბრეშუმი). დ. ბაქრაძის დახასიათებით, ლივანაში მოჰყავდათ საუკეთესო სელი, რომელიც ლივანური სელის სახელწოდებით იყო ცნობილი და აბრეშუმში, რომელიც ხარისხით სჯობდა ბათუმურ

<sup>147</sup> ივ. ჯაიანი, წერილები შავშეთიდან, თბ., 1991, გვ. 46.

<sup>148</sup> Н. Н. Левашов, Заметка о пограничной линии и зоне на расстоянии от берега Чёрного моря до г. Артвина, ИКОИРГО, Т. VI, №2, 1880, с. 241.

<sup>149</sup> N. Kahidze, Borçkada seramik Üretimi, Gvneburu. Istanbul, 2000, 38, გვ. 27.

<sup>150</sup> მარსელის აგურის შესახებ იხილეთ: В. Лашариус, Статистическое описание лесов Батумской области, ТКОСХ, Т. VI. № 5-6, 1886.



აბრეშუმს<sup>151</sup>. ჯ. პალგრევის ცნობითაც, სელისა და აბრეშუმის ქსოვილები დიდი რაოდენობის მზადდებოდა ქ. ლივანაში (ართვინი), ბორჩხაში, მარადიდში. ბორჩხაში გამოყვანილი აბრეშუმის პარკი ევროპაში იგზავნებოდა<sup>152</sup>.

სელისა და კანაფის ნართისაგან, რომელსაც კედი ეწოდებოდა, ქსოვდნენ მამაკაცისა და ქალის ჩასაცმელებს, ტილოს, ჯვლებს (ტომრებს), თოკებსა და სხვა ნაწარმს; აბრეშუმისა და მატყლისაგან კი — ნინდებს, თორებს, „ჩათხს“ (ქალის თავსაბურავს), ჯეჯიმებს, ფეშტემალს (ქალის წინასაფარი), ჩოხა-შალს და სხვა. ნინდები და ხელთათმანები თხის მატყლისგანაც მზადდებოდა. ამგვარ ნაწარმს თხისურა ეწოდებოდა.

ეთნოგრაფიული მივლინების დროს დადასტურდა რთვა-ქსოვისათვის განკუთვნილი მრავალფეროვანი იარაღ-ინვენტარი. მატყლის გასაჩეჩად იხმარებოდა საჩეჩელი, ძაფის დასართავად და დასაძახად ხერტალი და ჭახრაკი, ლანდის ამოსახვევად ოგოდო, აბრეშუმისათვის სანასლელა, საქსოვად-საფექრო. მატყლის ქსოვილის, ანუ შალის მოსათელავად იყენებდნენ ჰორიზონტალური ტიპის კბილებიან ხის სათელავს. შალის თელვას მამაკაცები მისდევდნენ, თუმცა ამ საქმიანობაში ქალებიც იღებდნენ მონაწილეობას.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი საყურადღებო გარემოება: ლივანის ხეობის საზღვარგარეთული ნაწილის სოფლებში რთვა-ქსოვის გვერდით დღემდე მისდევენ ქარგვის ტრადიციას. ქარგვა, ისე როგორც რთვა-ქსოვა,<sup>153</sup> გასათხოვარ ქალს აუცილებლად უნდა სცოდნოდა. ამიტომაც ამ ხელსაქმეს გოგონებს ბავშვობიდანვე ასწავლიდნენ. ქალის მზითევშიც უპირველესი ადგილი მათი ხელით ნაქარგ და ნაქსოვ ნაწარმს ეჭირა. საყოველთაოდ გავრცელებული წესის თანახმად, ახლად დაბადებულ ბავშვს ხელში ხერტალს, ნემსს, ძაფს მისცემდნენ. მათი რწმენით ბავშვს ხელსაქმე ადრევე შეუყვარ-

<sup>151</sup> დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987, გვ. 57.

<sup>152</sup> ვ. ჯ. პალგრევი, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

<sup>153</sup> ლივანის ხეობაში ხელით ქარგვასა და ქსოვას ხელსაქმეს ეძახიან.



დებოდა. ამდაგვარი ნეს-ჩვეულება დამახასიათებელი იყო აჭარაში, გურიასა და სამეგრელოში<sup>154</sup>.

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილული ეთნოგრაფიული მასალებით ცხადი ხდება, რომ ლიგანის ხეობა იმ რეგიონთაგანია, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ხელოსნობისა და შინამრეწველობის ჩასახვა-განვითარებაში.

### **§ 7. ნავმშენებლობა და ნაოსნობა ლიგანის ხეობაში**

ლიგანის ხეობა წარმოადგენდა ერთ-ერთ ძირითად სამდინარო-სანაოსნო ცენტრს დასავლეთ საქართველოში. ნაოსნობა ხორციელდებოდა მდინარე ჭოროხის მეშვეობით. ჭოროხი იყო ისტორიული ტაო-კლარჯეთის შავისზღვისპირეთთან დამაკავშირებელი უმოკლესი სამდინარო გზა.


მდინარე ჭოროხი ნაოსნობისათვის თითქმის წელიწადის ყველა დროს გამოიყენებოდა, გარდა გაზაფხულისა და მაის-ივნისის თვისა, როცა თოვლის დნობის გამო დინების სიჩქარე და წყლის დონე მატულობდა და ნაოსნობაც წყდებოდა<sup>155</sup>. ამ დროისათვის ჭოროხის სიღრმე 15-20 ფუტს აღემატებოდა, ხოლო საშუალო სიგანე 10-12 საყენს<sup>156</sup>.

ნავმშენებლობა და ნაოსნობა ლიგანის ხეობის მთელი რიგი სოფლების, მათ შორის ბორჩხის მოსახლეობის შემოსავლის მთავარ წყაროს შეადგენდა.

<sup>154</sup> ნ. კახიძე, ხელოსნობა აჭარაში, გვ. 109; ვ. ვარშალომიძე, ხალხური დეკორატიული ქსოვილები და ნაქარგები აჭარაში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, XIII, თბ., 1986, გვ. 37.

<sup>155</sup> დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987, გვ. 36.


<sup>156</sup> ჯან მურიე, ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათუმი, 1962, გვ. 14.




მდინარე ქოროხის სანაპირო, ართვინი 1877-1878  
(აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებიდან).



ბრტყელძირიანი ნავი მდინარე ქოროხზე. 1959 (ფოტო ნ. ჩიჯავაძისა).



ფეთექ ხანა (შინაური საფუტკრე), სოფელი ქვედა მარადიდი, 2001.



ნავმისადგომი დაბა ბორჩხაში მდინარე ქოროხის სანაპიროზე, 1877-1878.

ხეობაში ნავმშენებლობის სამი ცენტრი არსებობდა: ბორჩხა, მარადიდი და ხემა<sup>157</sup>, ამათგან განსაკუთრებით მაინც ქვედა მარადიდი გამოირჩეოდა, სადაც ეთნოგრაფიული მონაცემებით საუკეთესო ნაევების მშენებელ-ოსტატებად ცნობილი იყვნენ ჩერქეზიშვილების, დიდმანიძეების, ლომიძეებისა და კარალიძეების საგვარეულოები. ჩერქეზიშვილების გვარში განთქმულ ნავმშენებლებად ითვლებოდნენ იზეთ (იზეთ უსტა) ჩერქეზიშვილი, დიდმანიძეებიდან ყედიმ (ყედიმ უსტა) და ძმები ოსმან და მემედ დიდმანიძეები, ლომიძეებიდან ალი (ალი უსტა) და ჰუსეინ (ხუსეინ უსტა) ლომიძეები.

ეთნოგრაფიული მონაცემებით მარადიდელ ხელოსანთა ხელეჩოსა და ცულის ხმაური მეზობელ სოფელშიც ისმოდა. ამ ცნობების მიხედვით XIX საუკუნის ბოლოსათვის მარადიდიში 14 ნავსაშენი სახელოსნო ყოფილა<sup>158</sup>. იმ სახელოსნოში, რომელიც ჭოროხის პირას ქვედა მარადიდის მეჩეთთან მდებარეობდა, ერთი თვის განმავლობაში რამდენიმე ნავი კეთდებოდა. აქვე იყო განლაგებული საჩაიები და ყავებანები, სადაც სხვადასხვა მხრიდან ნავის საყიდლად ჩამოსული პირები იკრიბებოდნენ.

მდინარე ჭოროხის თავისებურების გამო ნაევები გრძელი და ბრტყელძირიანი კეთდებოდა, რომელსაც წინა და უკანა ნანილი ანეული – ნამახვილებული ჰქონდა. ნავი წყალში 30-35 სმ. სიღრმეში ჯდებოდა<sup>159</sup>. მზა მასლისაგან ერთი ნავის გაკეთებას ერთი ხელოსნის შრომით ერთი თვე ჭირდებოდა. ნავი სანაოსნოდ ვარგოდა 5-7 წლის განმავლობაში<sup>160</sup>. მარადიდელი ხელოსნები ნავის სამშენებლო მასალას ყიდულობდნენ ყარაშარვარისა და ბელღევანის სახაზინო ტყეებში. იგი მოჰქონდათ აგრეთვე სიმონეთიდან, ახალსოფლიდან (ძუნის ტყე) და ჭარნალიდან. მდინარე ჭოროხამდე მასალა ხარ-კამეჩით

<sup>157</sup> გაზ. „Кавказ“. 1881, № 32.

<sup>158</sup> თ. ჩიქოვანი, ქ. ნიკოლაშვილი, ჭოროხზე ნაოსნობის ისტორიიდან, აჭარის სახ. მუზეუმის შრომები, ტ. III, ბათუმი, 1958, გვ. 71.

<sup>159</sup> Заметка о Батуми, ИКОИРГО, Т. II, №3. Тифл., 1873, с. 106.

<sup>160</sup> П. В. Церетели, Очерк торгово-промышленного развития г. Батума, Батуми и его окрестности, 1906, с. 362.

გადაჰქონდათ, აქედან კი ნავეებით.<sup>161</sup> სამშენებლოდ ძირითადად ნაბლისა და თხმელის, აგრეთვე მუხისა და თუთის ხეებს იყენებდნენ.

ჟან მურიე ჭოროხული ნავის შემდეგ აღწერას იძლევა: „წონიანი მაგრად არის შეკრული, გარდი-გარდმო დაჭედილი ძელებით და გადაკრული აქვს ნაბლის ხის ფიცრები, რომლებსაც სქლად აქვს კუბრი ნასმული. ორი ან სამი მენავე უსვამს ნიჩაბს, ხის წკნელით მიბმული ორი ნიჩაბი ხელში უჭირავს მენავეს და საჭის მაგივრად ხმარობს“<sup>162</sup>.

რეიზთან ერთად ნავის ეკიპაჟს შეადგენდა უფროსი ტაიფი (მენიჩბე) და ორი რიგითი ტაიფი. ისინი ნიჩბებით ეხმარებოდნენ რეიზს ნავის მართვაში. რეიზი ითვლებოდა ნავის ხელმძღვანელად<sup>163</sup>. ეს თანამდებობა თავდაპირველად არჩევითი ყოფილა, რომელსაც ე.წ. „ამხანაგობის“ უხუცესთა წევრები ირჩევდნენ.

თუ ხეობაში ნავმშენებლობას ძირითადად ბორჩხის, ხებასა და მარადიდის ხელოსნები მისდევდნენ, მენავეებად კირნათის, ოღლა-ვისა და სხვა სოფლის მკვიდრნი ითვლებოდნენ. ხეობაში განთქმულ რეიზებად (ნავის წინამძღოლებად) ცნობილი იყვნენ ცინცაძეები და ჯიხაძეები სოფელ კირნათში, დიდმანიძეები – ქვედა მარადიდში. მენავეობა-რეიზობის საუკეთესო სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი მარადიდულ ძმებს მემედ, ხასან და იბრაჰიმ ცინცაძეებს, მემედ და ჰასან ჯიხაძეებს, ოსმან დიდმანიძეს. ნაოსნობასა და მენავეთა მთელ საქმიანობას მეთვალყურეობდა „ამხანაგობა“, რომელიც დაუნერული კანონით მოქმედებდა. ამ კანონით იკრძალებოდა კონკურენციის განევა, ნავისა და სამგზავრო ფასის დაკლება-მომატება და სხვა. მიუხედავად ამისა, ჭოროხელ მენავეთა შორის ადგილი ჰქონდა სოციალური უთანასწორობის წარმოშობას, ფენებად დაყოფას. თუკი ადრე ეკიპაჟის ყველა წევრი სამუშაოს შესრულებისათვის თანაბარ

<sup>161</sup> ალ. დავითაძე, ქართული ხალხური ტრანსპორტის ისტორიიდან, ბათუმი, 1983, გვ. 63.

<sup>162</sup> ჟან მურიე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

<sup>163</sup> რ. მალაყმაძე, ნავმშენებლობა და ნაოსნობა ლიგანის ხეობაში, კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, თბ., 2001, გვ. 103.



ნაოსნობა მდინარე ჭოროხზე. სოფელი ქვედა მარადიდი (აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებიდან).



ნაემშენებელი ხ. ჩერქეზიშვილი. სოფელი ქვედა მარადიდი (აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებიდან).



ცეკვა „ათაბარი“. ქალაქი ბორჯბა. 1999.



ცეკვა „შავშეთბარი“. ქალაქი ართვინი. 2001 (თურქული ჟურნალიდან).



ჯამაგირს იღებდა, ახლა ნავის წინამძღოლებმა მეტი გასამრჯელოს მითვისება დაიწყეს. ისინი ხშირად ნავის მეპატრონეებადაც გამოდიოდნენ, რაც იწვევდა უკმაყოფილებას რიგით მენავეებს შორის. რეიზების მიმართ არსებული უთანხმოება მენავეთა გაფიცვაში გადაზრდილა, რასაც მოჰყვა ხელისუფლების მიერ სპეციალური მეთვალყურის დანიშნვა, რის გამოც მენავეები იძულებულნი იყვნენ მისთვის ერთი რეისის შესრულებისათვის ერთი მანეთი გადაეხადათ<sup>164</sup>.

უხუცესთა გადმოცემით, მენავეთა მორიგ გაფიცვას ადგილი ჰქონდა 1905-1907 წლებში, რომლის მთავარი მიზეზი ყოფილა მენავეთა შორის ტვირთზიდვის რიგის დარღვევა, გადმოცემით, გაფიცვაში პოლიციაც ჩარეულა და არსებული უთანხმოებანი მოუწესრიგებია.

როგორც ჩანს, ასეთ უთანხმოებათა ზრდისა და სოციალური უთანასწორობის წარმოშობის პერიოდში, ქოროხელ მენავეთა შორის არსებულ ურთიერთობათა მოთხოვნილებებს ველარ აკმაყოფილებს ე. წ. „ამხანაგობა“ და ხშირად ნამოჭრილ სადავო საკითხებს ხელისუფლების დახმარებით წყვეტდნენ.

ქოროხული ბრტყელძირიანი ნავი განსხვავდებოდა სიდიდისა და ტვირთამწეობის მიხედვით. მგზავრთა გადასაყვანი ნავეების სიგრძე 2-5 საყენს აღწევდა<sup>165</sup>. არსებობდა ისეთი ნავეებიც, რომელთა სიგრძე 50 ფუტამდე, ხოლო შუა ნაწილის განი 4-5 ფუტს აღემატებოდა<sup>166</sup>. ნავის სიგრძე 6-7 საყენი იყო, მას 2 არშინი სიღრმე და სიგანე ჰქონდა<sup>167</sup>.

ნავის ღირებულება განისაზღვრებოდა მისი სიდიდითა და ტვირთამწეობით. ჟან მურიეს ცნობით, იგი 100-150 მანეთი ღირდა<sup>168</sup>. XIX საუკუნის 70-იანი წლებისათვის მისი ფასი 1500 ყურუმს

<sup>164</sup> თ. ჩიქოვანი, ქ. ნიკოლაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

<sup>165</sup> Е. Г. Вейденбаум, Кавказские этноды, Тифл., 1901, с. 139.

<sup>166</sup> დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

<sup>167</sup> ჟან მურიე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

<sup>168</sup> იქვე.



შეადგენდა<sup>169</sup>. 80-იანი წლებისათვის ნავი ღირდა 120-150 მანეთი, ნავის ფასის ზრდა ამ შემთხვევაში გამოწვეული უნდა ბათუმის ოლქის რუსეთთან შეერთებით<sup>170</sup>, ხოლო XX საუკუნის დამდეგისათვის მისი ფასი დაეცა და იგი 80-100 მანეთამდე მერყობდა<sup>171</sup>. ამის მიზეზი კი იყო ახალი სატრანსპორტო, სახმელეთო გზების გაყვანა-ამოქმედება, რამაც ნაოსნობა შეასუსტა და დასცა მისი ფასი.

ნაოსნობა ლიგანის ხეობაში კარგ ამინდებში ართინის ხიდიდან ბათუმამდე შეუფერხებლად გრძელდებოდა. ლელვის დროს კი ნაგებ სოფელ კაპანდითან ჩერდებოდნენ, ნავს მცირეწყლიანობის დროს ართინიდან ბათუმამდე მანძილის დაფარვაში 8-10, ხან 15 საათი სჭირდებოდა. წყალუხვობის პერიოდში კი, როდესაც ნავი უფრო სწრაფად დაცურავდა, 5-6 საათი<sup>172</sup>.

მდინარის საპირისპიროდ კარგ ამინდში ნავი მანძილს ბათუმიდან ართინამდე 2-3 დღეში ფარავდა. სხვა შემთხვევაში კი 4-5 დღე სჭირდებოდა,<sup>173</sup> ზამთრის პერიოდსა და უამინდობაში კი 6-7, ხშირად 8 დღე.

ნავით მგზავრების გადაყვანისა და ტვირთის გადატანის ღირებულება ყოველთვის თანაბარი არ იყო. განსხვავება დამოკიდებული იყო ნაოსნობის მარშრუტსა და ტვირთის რაოდენობაზე. მდინარის საპირისპიროდ მოძრაობა უფრო რთული იყო და ძვირი ღირდა, ვიდრე მდინარის მიმართულებით. XIX საუკუნის 70-იან წლებისათვის მგზავრობის საფასური ბათუმიდან ართინამდე 4-5 მანეთი ღირდა<sup>174</sup>.

<sup>169</sup> დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

<sup>170</sup> რ. უზუნაძე, სამდინარო ნაოსნობა და მისი როლი ბათუმის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, ბათუმი, 1987, გვ. 82; მისივე, ნაოსნობა ბათუმის ოლქში, ბათუმი, 2001, გვ. 210.

<sup>171</sup> П. В. Церетели, დასახ. ნაშრომი, გვ. 362.

<sup>172</sup> გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 114; Е. Г. Вейденбаум, დასახ. ნაშრომი, გვ. 140.

<sup>173</sup> გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

<sup>174</sup> ს. ბაერელი, ნავით მგზავრობა ქუროხზე, გაზ. „ივერია“. 1879, გვ. 29.

მენავე ერთ ბათმან ტვირთზე 5 კაპიკს ლებულობდა, მდინარის საპირისპიროდ თითო ფუთი ტვირთის გადატანაში 5-6 შაურს ახდევინებდნენ<sup>175</sup>.

დროდადრო იცვლებოდა მგზავრობის ფასი. ბათუმის საქართველოსთან დაბრუნებისა და ქალაქის მთავარ სავაჭრო-სამრეწველო და საზღვაო ცენტრად გადაქცევის შემდეგ, ნაოსნობის როლი და მნიშვნელობა მდინარე ჭოროხზე საგრძნობლად იზრდებოდა. სწორედ ამ პროცესმა გამოიწვია მგზავრობის საფასურის მომატება. არსებული ცნობების მიხედვით 80-იან წლებში ართვინიდან ბორჩხამდე ნავით მგზავრობა 10-15 მანეთამდე მერყეობდა<sup>176</sup>, ხოლო ართვინიდან ბათუმამდე 25-30 მანეთი ღირდა<sup>177</sup>. საპირისპიროდ კი უფრო მეტი. 1899 წელს ბათუმ-ართვინ-არდაგან-ყარსის მიმართულებით გზის ამოქმედების შემდეგ ნავით მგზავრობის საფასური მცირდება. ბათუმიდან ართვინამდე ღირდა 1 მანეთი, ხოლო საპირისპიროდ 5 მანეთი<sup>178</sup>.

ლიგანის ხეობის სანაოსნო გზაზე ოთხი გასაჩერებელი ადგილი — ნავმისადგომი არსებობდა (ართვინი, ბორჩხა, ხება, მარადიდი). აქვე იყო სასტუმროები, გასართობი ადგილები, საჩაიები და ყავახანები, რომელთა მეპატრონეები ადგილობრივი მცხოვრებლები იყვნენ. ასეთებად ქვედა მარადილში ალი და ყედიმ დიდმანიძეები დაგვი-სახელეს.

მარადილში ნავმისადგომის არსებობაზე მიუთითებს ტოპონიმი სკელე, სადაც ნავებს აბამდნენ.

XIX საუკუნის 40-იან წლებში ჭოროხზე 80-მდე ნავი დაცურავდა.<sup>179</sup> დ. ბაქრაძის მონაცემებით, 200 ნავი<sup>180</sup>, რომელთაც 300-მდე

<sup>175</sup> გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 115; თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი, 1985, გვ. 316.

<sup>176</sup> E. Г. Вейденгаум, დასახ. ნაშრომი, გვ. 139.

<sup>177</sup> თან მურიე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

<sup>178</sup> Н. В. Церетели, დასახ. ნაშრომი, გვ. 362.

<sup>179</sup> გ. ყაზბეგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 154.

<sup>180</sup> დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.



მენავე ემსახურებოდა<sup>181</sup>. როგორც წყაროებიდან ჩანს, მათი რიცხვი თანდათან იზრდება, რაც, როგორც ითქვა, გამოწვეული უნდა ყოფილიყო ბათუმის დედასაქართველოსთან დაბრუნებით და ქალაქის მსხვილ სამრეწველო-სავაჭრო ცენტრად გადაქცევით, რამაც ნაოსნობის ინტენსიური ზრდა გამოიწვია.

მდინარე ჭოროხზე ნაოსნობამ უდიდეს როლი შეასრულა ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და შავიზღვისპირეთის ძველი პროვინციების დაკავშირების, მათ შორის ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის განვითარებაში. სახელდობრ, ეს იყო ერთ-ერთი მთავარი სანაოსნო გზა, რომლის საშუალებითაც ყარსის, არტაანის, შავშეთ-იმერხევისა და ართვინის სოფლებიდან ჩამოჰქონდათ გასაყიდად ადგილობრივი წარმოების სამრეწველო და სოფლის მეურნეობის ნაწარმი, რაც დიდი მონონებით სარგებლობდა უცხოურ ბაზარზე.

ნაოსნობას მდინარე ჭოროხზე უძველესი დროიდან ჩაეყარა საფუძველი, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინტენსიური ზრდა-განვითარებით ხასიათდებოდა. მაგრამ იქმნებოდა ისეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, რის შემდეგაც ნაოსნობა მცირდებოდა და წყდებოდა. მასზე ზეგაეღენა იქონია ოსმალთა გაბატონებამ ჭოროხის აუზსა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. საერთოდ შეინიშნება, რომ ამ პერიოდში მენავეები უდიდეს როლს ასრულებდნენ ართვინისა და ჭოროხისპირა მხარეებში ქართული ენის აღდგენა-შენარჩუნებისა და გავრცელების საქმეში<sup>182</sup>.

XX საუკუნის დასაწყისში კი ახალი კეთილმოწყობილი გზების ამოქმედებამ, შემდეგ პირველი მსოფლიო ომის შედეგად წარმოქმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ, ხელი შეუწყო სატივრთოსამგზავრო ნაოსნობის შემცირებას და შეაფერხა შიდა სამეურნეო ნაოსნობის განვითარება.

<sup>181</sup> ჟან მურიე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

<sup>182</sup> ზ. ჭიჭინაძე, მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1913, გვ. 302.



ლიგანის ხეობაში ნაოსნობა ართვინიდან ქვედა მარადიდამდე საბოლოოდ შეწყდა 1921 წელს, როდესაც ხეობის ზემო ნაწილი თურქეთის სახელმწიფო საზღვრებში მოექცა, ხოლო საზღვარი ზედა და ქვედა მარადიდს შორის დანესდა. საქართველოს საზღვრებში ჭოროხზე სამდინარო ნაოსნობა საავტომობილო გზამ შეცვალა.

ამრიგად, ლიგანის ხეობაში ნავმშენებლობა და ნაოსნობა მოსახლეობის ერთ-ერთ უმთავრეს საქმიანობას შეადგენდა, რომელმაც განსაკუთრებული როლი ითამაშა საკვლევ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, ჭოროხის მხარის ზღვისპირეთთან და სხვა კუთხეებთან ურთიერთობაში. ნავმშენებლობა და მენავეობა ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლის დამატებით წყაროს ქმნიდა.

## მატერიალური კულტურა

## § 1. მატერიალური კულტურის ძეგლები

ლიგანის ხეობა უძველესი დროიდან იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურულად დაწინაურებული რეგიონი. ამის დასტურია დღემდე მოღწეული მატერიალური კულტურის ძეგლები (ციხეები, ეკლესია-მონასტრები, ქვის თალიანი ხიდები, ღვინის საწმენაკები, საცხებელები და ა.შ.), რომლებიც ქართული მატერიალური კულტურის უნიკალური ძეგლებია. მნახველი მას დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, ციხესიმაგრეები. მათგან განსაკუთრებით გამოირჩევა გვარას ციხე, რომელიც მდებარეობს მდინარეების მაჭახლისა და ჭოროხის შესართავთან გვარასა და კორნათის სოფლებს შორის. ციხე გაშენებულია მეტად მოხერხებულ და სტრატეგიულ ადგილას, საიდანაც ხელისგულივით იშლება მაჭახლისა და ლიგანის ხეობის ხედები. ციხე ორივე ხეობის შემოსასვლელებს იცავდა.

ციხის ფართობი 150 კვადრატული მეტრია<sup>1</sup>. ნაშენებია კლდოვან და რიყის ქვებით. აქა-იქ გადარჩენილი კედლების სიმაღლე 3-6 მეტრია. ქვათა ნყობა არათარაზულია. ჩრდილოეთ მხარეს, კუთხეში, ქვაზე ამოკვეთილია ჯვარი.<sup>2</sup>

ციხის სამხრეთ კედელთან გვხვდება ჭისმაგვარი ოვალური ფორმის ნაგებობა, რომელსაც ი. სიხარულიძის ვარაუდით, სადილეგო ფუნქცია უნდა ჰქონოდა<sup>3</sup>. ჩვენი აზრით, იგი უფრო ნვიმის ნულის

<sup>1</sup> ი. სიხარულიძე, აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები, ბათუმი, 1962, გვ. 22.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა, ნივნი I, ბათუმი, 1958, გვ. 183.

შესაგროვებლად უნდა ყოფილიყო გამოყენებული, რადგან პატარა ხერხლით უკავშირდებოდა ქვევრს, სადაც წყალი გროვდებოდა.

1999 წელს არქეოლოგიური ექსპედიციის დროს ციხის ტერიტორია გაიწმინდა და მის ზოგიერთ მონაკვეთზე ჩატარდა დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრები, რის შედეგად ნაპოვნ იქნა სხვადასხვა ზომის კერამიკული ნაკეთობანი.

მოზრდილი ციხეები არსებობდა აგრეთვე ქალაქ ართვინთან, მურღულსა და ბორჩხასთან. მათ სათვალთვალო არეალში იყო მოქცეული ხეობაში გამავალი სავაჭრო-საქარავენო გზები, რომლებიც ლივანის ხეობას ჭოროხის მხარის მეზობელ პროვინციებთან აკავშირებდა.

ქალაქ ართვინის ციხე ციცაბო კლდის თავზეა აგებული. დ. ბაქრაძე ამ ციხის შესახებ წერდა: „ართვინის გარეუბანში კორძულის ბოლოში ფრიალო კლდის თავზე ძველი ციხე დგას. ათი წლის წინათ იგი მთელი ყოფილა, ახლა კი დარღვეულია“.<sup>4</sup> ე. ვეიდენბაუმის ცნობით, ციხე ართვინის ხიდის ქვემოთ მდებარეობდა.<sup>5</sup> ციხეს ადგილობრივი მოსახლეობა ლივანის ყალეს, ანუ ლივანის ციხეს ეძახის. ლივანა ქალაქ ართვინის ადრინდელი სახელწოდება იყო. ამავე სახელწოდებით მოიხსენიება ციხე თურქულ წერილობით წყაროებში<sup>6</sup>.

ლივანის ციხე, სხვა ციხეებთან შედარებით, უკეთაა შენახული, რომელიც ქალაქთან ერთად განუმეორებელ სილამაზეს ქმნის. ციხე ზემოდან გადაჰყურებს მდ. ჭოროხს, იგი წარსულში საკმაოდ მოზრდილ ტერიტორიას აკონტროლებდა. სამწუხაროდ, ართვინის ციხე დღემდე მეცნიერულად შეუსწავლელი დარჩა.

თურქ ავტორთა ცნობების მიხედვით, ართვინის ციხე X საუკუნის ძეგლია<sup>7</sup>. აქვე არსებობდა პატარა ეკლესია და ნეიმის წყლის

<sup>4</sup> დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987, გვ. 41.

<sup>5</sup> E. Г. Вейденбаум, Кавказские этюды, Тифл., 1901, с. 138.

<sup>6</sup> Artvin, Ankara, 2000, გვ. 130. F. Torun, Artvin, Izmit, 1998, გვ. 61.

<sup>7</sup> Artvin, იქვე.

შესაგროვებელი აუზი. ოსმალთა მოძალების პერიოდში მნიშვნელოვნად დაზიანებულა. თუმცა მომდევნო ხანებშიც მას დაუკარგავს მნიშვნელობა. იგი განუახლებიათ XVI საუკუნეში. გაზეთ „ივერიის“ ცნობით, ირკვევა, რომ ოსმალები ამ ციხიდან ყრიდნენ სიკვდილმისჯილებს მდინარე ჭოროხში<sup>8</sup>, რაც ჩვენ მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული გადმოცემებითაც დასტურდება. ართვინის ციხის ნაგებობათა ანსამბლის არქიტექტურული სტილი რთულ რელიეფთან მჭიდროდაა შერწყმული. მისი გეგმის კომპოზიციას გალავნისა და კოშკის განლაგება განსაზღვრავს. ციხე დიდი ზომისაა და დაშენებულია ფრიალო კლდის თხემზე, რაც მას მიუვალს ხდის. ციხეს ქალაქის მხრიდან მხოლოდ ერთადერთი მისასვლელი აქვს საცალფეხო ბილიკით. საკმაოდ კარგადაა შემონახული ციხის კოშკი რამდენიმე სათოფურით.

საფორტიფიკაციო ნაგებობათა სიმრავლით გამოირჩევა მურ-ლლი. აქ ყოველ მთაზეა აღმართული სათვალთავლო კოშკები. ამ სასიმაგრო სისტემებიდან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გოგნარის ციხეს, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა თამარის ციხესაც უწოდებს. იგი გაშენებულია მურღულის წყლის მარცხენა სანაპიროზე, ფრიალო კლდეზე, რომელსაც გააჩნია ერთადერთი საცალფეხო მისადგომი. ციხე აგებულია სტრატეგიული თვალსაზრისით მეტად მოხერხებულ ადგილას. გადმოსცქერის მურღულის დასახლებასა და სოფელ ქვედა ძანსულს. მას, უპირველესად, სათვალთვალო ფუნქცია უნდა შეესრულებინა. ციხე დაზიანებული სახითაა მოღწეული. დროთა ვითარების გამო მისი კედლები მონგრეული და ჩაქცეულია. ამ ნანგრევებიდან კარგად ჩანს სამშენებლო ტექნიკისა და ხუროთმოძღვრების მაღალი დონე. სამწუხაროდ, რაიმე წერილობითი ცნობები არც ამ ძეგლის შესახებ შემონახულა.


ისტორიისა და კულტურის ძეგლებიდან ლიგანის ხეობაში თვალსაჩინო ადგილი უკავია საეკლესიო ნაგებობებს. არ არსებობს ისეთი სოფელი, სადაც სხვადასხვა პერიოდის ეკლესიის ნაშთები არ

<sup>8</sup> გაზ. „ივერია“, 1899, 148.







ეკლესიის ნაშთი. ვაჭაროვლის ვაკე. მდინარეების ქოროხისა და ქლასკურის შესართავთან. 2001.



ლივანის, ანუ ართვინის ციხე. 1999.



ქვედა ქლასკურის ქვის თალიანი ხიდი. 2000.



ქვის თალიანი ხიდი მდინარე  
ოთინგოს წყალზე. დევსქელის  
ხეობა. 2000.

ჭურები. სოფელი კირნათი.  
ნაკირნათევის უბანი. 1999.



პეტრულის ეკლესია. სოფელი პეტრული. დევსქელის ხეობა. 2001.



გვარას ციხის შიდა ხედი, სოფელი კირნათი, ნაკირნათევის უბანი, 1999.



ქვაზე ამოკვეთილი ჯვარი. გვარას ციხე, სოფელი კირნათი, ნაკირნათევის უბანი, 1999.

იყოს შემონახული. ზოგიერთ სოფელში კი რამდენიმეცაა. სამწუხაროდ, ხეობაში დღემდე ეკლესია-მონასტრების უმრავლესობა სრული სახით არ არის მოღწეული. ნაწილი ოსმალთა ბატონობის პერიოდში დაინგრა და სრულიად გაქრა. მათი არსებობა ტოპონიმიკურმა და ეთნოგრაფიულმა მონაცემებმა შემოგვინახა.

დღეისათვის შედარებით სრულყოფილი სახითაა მოღწეული პეტრულის ეკლესია, რომელიც მდებარეობს დევსქელის ხეობაში სოფელ პეტრულის ტერიტორიაზე. სათანადო მონაცემები პეტრულის ეკლესიის აგების შესახებ არ მოგვეპოვება, მაგრამ ყოველი მისი დეტალი, არქიტექტურული სტილი იმაზე მიგვითითებს, რომ იგი ტაოკლარჯეთში მიმდინარე სამონასტრო მშენებლობის გამოძახილია. ოსმალებს ამ ეკლესიის დანგრევაც დაუპირებიათ, მაგრამ სასწაულებრივად გადარჩენილა. მხარის საქართველოსთან დაბრუნების შემდეგ ამ ეკლესიისადმი დიდ ყურადღებას იჩენდა აქაური მკვიდრი, მეტად გავლენიანი და ქართული ორიენტაციის პიროვნება ახმედ ხალვაში<sup>9</sup>. მისი ინიციატივითა და სახსრებით პეტრულის ეკლესიისათვის ღობე შემოუვლებიათ და მცველიც მიუჩენიათ, რომელსაც ჯამაგირსაც უხდიდნენ. პეტრულის ეკლესია მოინახულა ზ. ჭიჭინაძემ. მისი ცნობით, ეკლესიის სიგრძე ხუთი საფენია, სიგანე ორ საფენზე მეტი<sup>10</sup>. ეკლესიას წინა მხარეს მიშენებული აქვს საკმაოდ ფართო და განიერი შესასვლელი (სიგრძე 3,7 მეტრია, სიმაღლე 3 მეტრი). ეკლესიის კედელები თავის დროზე კარგად მოხატული ყოფილა. დღეისათვის ფრესკები ძლიერ დაზიანებულია. აქა-იქ შეიმჩნევა წმინდანთა გამოსახულებანი. კედლებზე შემორჩენილია ბერძნული და ასომთავრული წარწერები, რომელთა ამოკითხვაც შეუძლებელია. ეკლესია თანაბრადაა განათებული გუმბათზე გამოყვანილი თაღოვანი სარკმლებით. ეკლესია დღეს ტყითაა გარშემორტყმული.

<sup>9</sup> ზ. ჭიჭინაძე, მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1913, გვ. 144; ივ. ჯაიანი, წერილები შავშეთიდან, თბ., 1991, გვ. 36.

<sup>10</sup> ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 145.

მოზრდილი ეკლესიები ყოფილა აგრეთვე ბაგინში, ნიგიაში, კორდეთში, თხილაზურში, შუშანეთში და სხვაგან. მათი არსებობა წერილობით წყაროებთან ერთად ტოპონიმიკური მონაცემებითაც დასტურდება. ლიგანის ხეობის სხვა მიწისზედა ძეგლებიდან აღსანიშნავია ქვისთალიანი ხიდები. ისინი ძირითადად განლაგებულია ხატილას, მურლულის, ჩხალის, ბელლევანის, დევსქელის, ქლასკურის, ჭოროხის მდინარეებზე და მათზე გამავალ სამიმოსვლო-საქარავენო გზებზე<sup>11</sup>. ამგვარი ხიდებითაა მოფენილი აჭარისწყლისა<sup>12</sup> და მაჭახლის ხეობები.<sup>13</sup>

ლიგანის ხეობაში 18 ძველი ქვისთალიანი ხიდია ფიქსირებული. მათი ნაწილი დანგრეულია, ნაწილიც კარგადაა შემონახული. ამთგან აღსანიშნავია ბანაკნას, სანათისის, ტანახროს, მერეს (მდინარე ოთინგოს წყალი), ხატილას, გევლის, მურლულის (ყრუ ხიდი), მამანათის, დუზქოის (ჩიფთი ქოფრი), ქლასკურისა და ქვემო ქლასკურის, ბელლევანის, მირვეთის. სიდიდით გამოირჩევა ბანაკნასა და მამანათის ხიდები.<sup>14</sup> მოზრდილი ხიდი ყოფილა ქალაქ ართვინთან, რომელიც 1893 წელს აუფეთქებიათ. მის ნაცვლად ახალი რკინის ხიდი აუგიათ, რომლის ნაწილები დაუმზადებიათ პარიზში ეიფელის ქარხანაში. ძველი ხიდის დანგრევასა და ახლის აგებას ანარმოებდა კავკასიის გზათა უწყება ინჟინერ ნ. ბ. პასეკის ხელმძღვანელობით.<sup>15</sup>

<sup>11</sup> ლიგანის ხეობის ქვის თალიანი ხიდების შესახებ იხ. ნ. კვეზერელი-კობაძე, საქართველოს ძველი ხიდები, თბ., 1972, გვ. 122-128, 132-137.

<sup>12</sup> შ. მამულაძე, აჭარისწყლის მატერიალური კულტურის ძეგლები, ბათუმი, 2000, გვ. 98-100; შ. ვარშანიძე, ქვის თალიანი ხიდები ფეოდალური აჭარის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები, ბათუმი, 1975, გვ. 60-73.

<sup>13</sup> ნ. კახიძე, მაჭახლის ხეობა, ბათუმი, 1974, გვ. 14; რ. მალაყმაძე, მატერიალური კულტურის ძეგლები მაჭახლის ხეობაში, ჭოროხი, ბათუმი, 1997, 2, გვ. 152, 154; მისივე, Maçaheli Bölgesi kisa Tarihi. Gvneburu, Istanbul, 2000, 37, გვ. 21.

<sup>14</sup> ბანაკნას ხიდი ქ. ბორჩხიდან 8 კმ-ზე მდებარეობს, მისი ზომებია: სიგრძე - 11. 50, სიგანე 2.30 მეტრი (K. Köroğlu, Otingo vadisi ve köprüleri, Livane. Istanbul, 1998, 11-12. გვ. 12).

<sup>15</sup> ნ. კვეზერელი-კობაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 135.

სამი ქვისთალიანი ხიდი არსებობდა აგრეთვე მდინარე დევსქელის წყალზე. ისინიც დროთა ვითარების გამო დანგრეულა. დღეისათვის ერთ-ერთი მათგანის ნაშთებია შემორჩენილი. გადმოცემით მას ქართული ნარნერებიც ჰქონია. ამ ხიდებს მოსახლეობა თამარის სახელს ეძახის. დღემდე არ მოღწეულა მარადიდის ხიდი, რომელიც მდინარე ჭოროხზე იყო აგებული.

ქვისთალიანი ხიდების მშენებლობის ტექნიკა, ხუროთმოძღვრული სტილი ერთნაირია. აგებულია თლილი და რიყის ქვებით. ისინი ძირითადად განკუთვნილი იყო ქვეითი და ცხენოსანი მგზავრებისათვის.

ქვისთალიანი ხიდების ასეთი სიმრავლე განაპირობა ხეობის სავაჭრო-ეკონომიკურმა და სტრატეგიულმა მნიშვნელობამ. ხიდები ერთმანეთთან აკავშირებდა როგორც შიდა, ისე გარე სამყაროსთან დამაკავშირებელ გზებს.<sup>16</sup> სოფელ მირვეთთან დღემდე შემორჩენილია ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე გამავალი სავაჭრო-საქარავენი გზის ნაშთები.

ისტორიული ლიგანის ხეობაში მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებიც მოიპოვება, მაგრამ ჩამოთვლილი ძეგლებიდანაც ნათლად ჩანს ხეობის მდიდარი კულტურულ-ისტორიული წარსული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლიგანის ხეობის საზღვარგარეთული ნაწილისა და საერთოდ, ჭოროხის აუზის ბევრი ძეგლი დღემდე შეუსწავლელია. მათი შესწავლა საშური და აუცილებელი საქმეა, რაც მხოლოდ ჩვენი და თურქეთში მცხოვრები დაინტერესებული შესაბამისი სპეციალისტების ერთობლივი ძალისხმევით შეიძლება განხორციელდეს.

ამგვარად, ლიგანის ხეობა ფეოდალურ ხანაში, ვიდრე ოსმალთა ბატონობამდე, ჭოროხის მხარის და საერთოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ დაწინაურებულ რეგიონს წარმოადგენდა არა მარტო სავაჭრო-ეკონომიკური, არამედ კულტურული განვითარების

<sup>16</sup> შ. ვარშანიძე, გზები და საგზაო ნაგებობანი ძველ აჭარაში, ბათუმი, 1974, გვ. 37.

თვალსაზრისით. ამის დასტურია იქ არსებული საფორტიფიკაციო ნაგებობანი (ციხესიმაგრეები), ეკლესია-მონასტრები, ქვისთალიანა ხიდები, რომელთაც, ამავე დროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და არქიტექტურის შესწავლაში.

## § 2. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი

ლიგანის ხეობაში ტიპური საცხოვრებელი ნაგებობანი ძირითადად ორი სახისაა. პირველი აჭარული ორსართულიანი ტიპის მსგავსია<sup>17</sup>. მეორე ლაზური ტიპის სახლებს განეკუთვნება. ისინი ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშებია.

აჭარული ტიპის სახლები ლიგანის ხეობაში ორსართულიანია. პირველ სართულზე მოთავსებულია საქონლის სადგომი – ახორთავის მხრივ იგი ორ ან სამგანყოფილებიანია, რომელთაგან ერთი მსხვილფეხა, მეორე წვრილფეხა საქონლის სადგომია, მესამე კი უფრო მცირე ზომისაა და მასში ხბოებს ინახავენ. სახლის მეორე სართული საკუთრივ საცხოვრებელს წარმოადგენს. აქვეა სამეურნეო დანიშნულების სათავსი, რომელიც რძის პროდუქტების შესანახადაა გამოყენებული. მას ქილერი, ანუ სარძიე ეწოდება. აქაური სარძიე, მსგავსად აჭარული სახლის სარძიესი, ხევსურული სენეს იდენტურია<sup>18</sup>. თუმცა არსებობს მათ შორის ფუნქციონალური განსხვავებაც. ხევსურულ სენესი ხდება რძის გადამუშავებაც.<sup>19</sup> ლიგანის ხეობაში, ისე როგორც აჭარაში, რძის პროდუქტების დამზადება ბუხრიან „მუთვალ ოდაში“, ანუ ძირითად საცხოვრებელ ოთახშიც მიმდინარეობს. სარძიეში მხოლოდ გადამუშავებულ პროდუქტს ინახავენ.

<sup>17</sup> აჭარაში არსებულ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობაზე (იხ. ი. ადამია, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება „აჭარაში“), თბ., 1956; თ. ჩიქოვანი, ზემოაჭარული სახლი, ბსკიმ, 1, ბათუმი, 1960, გვ. 95-106; ჯ. მიქელაძე, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში, ბათუმი, 1982 და სხვა.

<sup>18</sup> გ. ჩიტაია, ხევსურული სახლის სენე, შრომები, ტ. 1, თბ., 1997, გვ. 204.

<sup>19</sup> იქვე.






ართვინი. ხიდი მდინარე ქოროხზე. 1877-1878.



„ყრუ ხიდი“. მურლულის ხეობა. 2000.



ფასფასი (კარის ზღურბლთან დასაფენი). სოფელი ოზმალი.  
მურღულის ხეობა. 2001.



ფასფასი (კარის ზღურბლთან დასაფენი). სოფელი ოზმალი.  
მურღულის ხეობა. 2001.

სარძიე ოთახის არსებობა მიგვანიშნებს მესაქონლეობასა და რძის პროდუქტების დიდ როლზე ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო ყოფაში.

სამეურნეო დანიშნულებით იყენებდნენ სახლის სახურავის ქვეშ არსებულ თავანს, სადაც ინახავდნენ სხვადასხვა პროდუქტს: თხილს, კვახს, ლობიოს, ვაშლს, მსხალს და ა.შ. სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა აგრეთვე სახლის კარაპანს, რომელიც სამეურნეო იარაღებისა და შეშის შესანახად გამოიყენებოდა.

საცხოვრებელი სახლის მეორე სართულს შუაზე ყოფს გამჭოლი დერეფანი, რომლის ორივე მხარესაც განლაგებულია ოთახები. მათგან გამოიყოფა მუთვალ ოთახი, იანოდა, ანუ სასტუმრო ოდა. მუთვალ ოდა მინურიატაკიანი იყო და ფართობითაც ყველაზე დიდი. იგი წარმოადგენდა საოჯახო ცხოვრების ცენტრს, რომელსაც გააჩნდა ბუხარი და მის ორივე მხარეს კედელში დატანებული სათავსები. მარცხენა სათავსი ჰემამად, ანუ აბანოდაა გამოყენებული. მარცხენა დოლაბი საოჯახო ნივთების შესანახია. ყოველ ოთახში ორივე მხარეს გამართულია სექვეები, რომლებიც დასაჯდომდაც იყო განკუთვნილი და სანოლადაც. მუთვალ ოდას ხშირად სახლსაც უწოდებენ.

აქაურ საცხოვრებელ სახლს ძირითადად ორი შესასვლელი ჰქონდა, ერთი სტუმრისთვის იყო განკუთვნილი (აქედან შედიოდა სტუმარი სასტუმრო ოთახში), მეორე – ოჯახის ნევრებისათვის. სახლს წინა მხარეს ჰქონდა აივანი, რომლის ერთ კუთხეში მოთავსებული იყო საპირფარეშო, აგრეთვე აბდესხანა,<sup>20</sup> სადაც ლოცვის წინ და ყოველდღიურად ხელ-პირს იბანდნენ.

დიდი ოჯახის გაყოფისას ხშირად მიმართავდნენ საცხოვრებელი სახლის ორ ნაწილად გაყოფას. სახლის ერთი ნაწილი, რომელსაც აქ ცალპირა სახლი ეწოდებოდა, ოჯახიდან გასულ ძმას ეკუთვნოდა. თავდაპირველად სახლში მამასთან ერთად უმცროსი, ანუ „მონალევაი ძმა“ რჩებოდა. ცალპირა სახლი აჭარაშიც გვხვდება.<sup>21</sup>

<sup>20</sup> შდრ: „აბდესხანა- პირსაბანი, აივანი, აბდესის ასალები ადგილი“, შ. ნიჭარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ბათუმი, 1971, გვ. 79.

<sup>21</sup> ჯ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.

ლაზური ტიპის საცხოვრებელი სახლები უმთავრესად გავრცელებულია ჩხალში, ბელღევანში, მურლულში და ხეობის სოფლებში. ლაზური სახლი ძირითადად ორსართულიანია ორ და ოთხფერდიანი გადახურვით. სახლის სახურავად გამოიყენებოდა ბორჩხაში დამზადებული ღარიანი კრამიტი.

რიყის ქვისაგან ნაგები სახლები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ძველი დროიდან ყოფილა გავრცელებული.<sup>22</sup> ი. ადამია ასეთ სახლებს „ტოლმიან“, ანუ „დოლაბიან“ სახლებს უწოდებს.<sup>23</sup> ლიგანის ხეობაში ისეთი სახლებიც გვხვდება, რომლის კედლები ნაშენია აგურისაგან. ამ ტიპის საცხოვრებელი სახლის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იქ იმდენი ოჯახი ცხოვრობს, რამდენი ბუხარცაა. ერთ სახლში ხშირად ორი ძმის ნამრაველი ცხოვრობს, რომელთაც თანაბრად აქვთ განაწილებული საცხოვრებელი სახლის ფართობი. იმ განსხვავებით, რომ ზოგჯერ პირველი სართულიც საცხოვრებლადაა გამოყენებული.

დღეისათვის ლიგანის ხეობის სოფლებში ინტენსიურად მიმდინარეობს ე. წ. „ქალაქური“ ორ-სამსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

ლიგანის ხეობაში ხალხური ხუროთმოძღვრების თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ალპურ საძოვრებზე აშენებული ნაგებობანი. ჩვენ მიერ დევსქელის მთის საძოვრებზე დაფიქსირდა ძირითადად ორსართულიანი, ერთ ჭერქვეშ მოქცეული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი ზედშედგმული, ანუ ორსართულიანი ჯარგვალის სახით. ზედა სართულზე მოთავსებულია საკუთრივ საცხოვრებელი ოთახი და სარძიე, სადაც, როგორც ითქვა, ხდებოდა რძის პროდუქტების გადამუშავება და შენახვა. აქაური ჯარგვალური ნაგებობანი მსგავსია აჭარის ალპურ ზონაში გავრცელებული ჯარგვალური სახლებისა<sup>24</sup>.

<sup>22</sup> ჯ. მიქელაძე, ლაზური საცხოვრებელი სახლი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, თბ., 1988. გვ. 44.

<sup>23</sup> ი. ადამია, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

<sup>24</sup> ჯ. მიქელაძე, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში, ბათუმი, 1982, გვ. 65.



ლაზური საცხოვრებელი სახლი, სოფელი სანათისი, დევსქელის ხეობა, 2001.



ნალია (სასიმინდე). სოფელი ზემო ქურა, მურღულის ხეობა, 2001.



ქართული  
მემორიალ

ფრესკა პეტრულის ეკლესიიდან. 2001.



სანნახელი. შუშანეთის ეკლესია. სოფელი კირნათი. 2001.

ცალკე სამეურნეო ნაგებობებს მიეკუთვნება: მერეგი, ანუ საბძე-  
ლი, ბელელი, საქათმე, ქორი, საჩეხი და სხვა. ისინი ძირითადად საქარ-  
მიდამო კომპლექსში ერთიანდება, გარდა ქორისა, რომელიც  
სათიბებსა და გარეყანებში შენდებოდა და თივის შესანახს  
ნარმოადგენდა.

ამრიგად, ლიგანის ხეობაში არსებული საცხოვრებელი და  
სამეურნეო ნაგებობანი ქართულ ხალხურ ნაგებობათა ლოკალური  
ვარიანტის ორიგინალურ სახეობებს განეკუთვნება.

### § 3. დასახლების ფორმები

ლიგანის ხეობა ძირითადად ბელღევანის, ჩხალის, მურღულის,  
დევსქელის ხეობებისაგან შედგება. ქალაქები და სოფლები უმთავ-  
რესადა გაშენებულია ხეობების გასწვრივ ბუნებრივი თუ ხელოვნური  
გზით ნარმოქმნილ ტერასებზე და ჯგუფურად გაფანტული დასახლე-  
ბისაგან შედგება, რაც გამოწვეულია ხეობის ტოპოგრაფიული  
თავისებურებებით. განსახლების ეს თავისებურება განსაკუთრებით  
კარგად ჩანს ქ. ართვინის მაგალითზე. იგი მდ. ჭოროხის მარცხენა  
სანაპიროზე მთის ფერდობზეა შეფენილი და ამფითეატრული  
დასახლების ტიპს ქმნის<sup>25</sup>. ამგვარი დასახლება აჭარაშიც გვხვდება.  
მას სერულს უწოდებენ<sup>26</sup>.

მთის კალთებზე ტერასისებურად განლაგებული სოფლების ტი-  
პურ სურათს იძლევა: დევსქელის ხეობაში შუახევი, ბაგინი, სანათისი,  
საკუთრივ დევსქელი, მურღულის ხეობაში – ისკები, კაპარჭეთი,  
კორდეთი, ოზმალი, აგრეთვე ქლასკური, ხება და სხვა.

სოფლები შედგება მეპლეებისაგან, ანუ უბნებისაგან. უბნის სახე-  
ლწოდება ტოპონიმებადაც ქცეულა. ამ რიგის ტოპონიმებია ზე-  
დუბანი, ქვემობანი და სხვა.

<sup>25</sup> От батума до Артина, „Кавказ“, 1884, №228.

<sup>26</sup> ვლ. მგელაძე, ზემოაჭარული სოფელი ძველად, ბათუმი, 1973, გვ. 17.



ლიგანის ხეობაში, ისე როგორც აჭარაში, სოფლებსა და უბნებში არსებობდა ერთი ცენტრალური ადგილი. ამგვარ ცენტრებს წარმოადგენდა სამლოცველო ადგილები - მეჩეთები. ასეთ ტრიტორიას ჯამიკარი ეწოდება, რომელიც სოფლის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილია.


ლიგანის ხეობაში უბნების ნაწილი ძველია, ნაწილი ახალი. ისინი წარმოქმნილია მოსახლეობის მატებისა და განსახლების ნიადაგზე. მაგალითად ქ. ართვინში თავდაპირველად დასახლებული იყო კოლორტო, ჰაიპეტი და კორძული, ხოლო „იენი მაჰლე“<sup>27</sup> ახალი დასახლებული პუნქტია, რაზეც მისი სახელწოდებაც მიუთითებს. სოფელ დევსქელში თავიდანვე დასახლებული ყოფილა ქვემო ბანი, გაღმობანი, ზედუბანი, უკან მერე. სხვა ორი უბანი - ხაბაზოლდი მაჰლე და ოხვათი შედარებით გვიან წარმოქმნილი დასახლებებია. ასევეა მურლულის ხეობის სოფელ ზედა ძანსულის „იეთმიშ იქი ევლერის“<sup>28</sup> უბანი. აქ განლაგებულია სპილენძის სადნობი ქარხანა, რასაც მოჰყვა ქარხნის მუშათა დასახლების გაჩენა. სპეციალურად აიგო მრავალსართულიანი ბინები ქარხნის მუშებისათვის. ამ პროცესს უარყოფითი შედეგებიც მოჰყვა. დაცარიელდა მრავალი დასახლებული პუნქტი. ასე მაგალითად, სოფელ ზედა ძანსულის აგარის უბანში დღეისათვის მხოლოდ ძველი ნასახლარების ნაკვალევია შემორჩენილი. სოფლებში მოსახლეობის რაოდენობა საშუალო სიდიდისაა. მურლულის ხეობის სოფლებში - დურჩაში, ჯვანში, კაპარჭეთში, ქურაში, გურბინში, ერეგუნაში - კომლთა რაოდენობა 20-70 ერთეულამდე მერყეობს. მაგრამ არის ისეთი სოფლები, სადაც კომლთა რიცხვი 120-მდე აღწევს.

ლიგანის ხეობის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა არაერთგვაროვანია. აქ ქართველებთან ერთად სახლობენ სომხები, ბერძნები, ქურთები, თურქები და სხვა. ისინი ქალაქური ტიპის

<sup>27</sup> „იენი მაჰლე“ თურქულია, ქართულად ახალ უბანს ნიშნავს.

<sup>28</sup> „იეთმიშ იქი ევლერი“ თურქულია. ქართულად 72 ნიშნავს.







ართვინის საერთო ხედი. 1877-1878.



ართვინის საერთო ხედი. 1998.



ქალაქი ბორჯხა. საერთო ხედი. 1998.



ქალაქი ბორჯხა. საერთო ხედი. 1998.

(ართვინი, მურლული, ბორჩხა, ზედა ძანსული) დასახლებულ პუნქტებში ცხოვრობენ. სოფლად უმთავრესად ქართველები ცხოვრობენ.

ლიგანის ხეობის სოფლები ძირითადად მონოგენურია. ეს მოვლენა საკვლევი რეგიონის ტოპონიმიკაშიც აისახა. დასახლებული პუნქტების სახელწოდებები გვარ-სახელებთანაა დაკავშირებული. ამგვარი ადგილები ხეობაში მრავლად გვხვდება: შუშანეთი, თოდრიეთი, ხაბაზოლი მაჰლე და სხვა. ეს უკანასკნელი დევსქელის ხეობის უბანს წარმოადგენს. იგი ფიქციური მონოგენური დასახლებაა. ჩვენ მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით აქ აჭარიდან გადასული ხაბაზების საგვარეულო ცხოვრობს. ეს სახელიც ადგილს აქედან მიუღია, თუმცა, ხშირად ამგვარად წარმოქმნილ ზოგიერთ სოფელსა თუ უბანში იმ გვარის არც ერთი წარმომადგენელი დღეს არ ცხოვრობს. ამ რიგს მიეკუთვნება კობალეთი, ნინწკალაშვილები, კომახიძე და სხვა. ეს მოსახლეობის ადგილმონაცვლეობით აიხსნებოდა.

#### § 4. ტანსაცმელი და ჩაცმულობა

უცხო რეჟიმის ხანგრძლივი ბატონობის მიუხედავად ლიგანის ხეობის მოსახლეობამ შეინარჩუნა ტანსაცმლისა და ჩაცმულობის ტრადიციული სახეები. ეს ფაქტი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ აქ მოგზაურ-მკვლევრებს. თუმცა ისინი უცხო ჩაცმულობის ელემენტებზეც მიუთითებდნენ. ა. ფრენკელი წერდა: „თურქეთის ქართველობის ჩაცმულობას წარმოადგენს ეროვნული კოსტიუმი. თავზე იხვევდნენ ჩალმას. მოლა ატარებს თეთრი ფერის ჩალმას, მისი მოსწავლეები მწვანე ფერისას.“<sup>29</sup>

<sup>29</sup> А. Френкель, Очерки Чурук-су и Батума, Тифл., 1879, с. 19.



მამაკაცის სამოსი კოხტა და მოქნილი იყო. ამასთან ერთად, იგას  
ბუნებრივ-კლიმატურ პირობებსაც კარგად იყო შეგუებული.

მამაკაცის ეროვნული ტანსაცმლის ძირითად ელემენტებს  
წარმოადგენდა ზუბუნი, ჩოხა-შალი, თავსაბურავი-ბაშლული, ანუ  
ყაბალახი, ფეხსამოსი, სხვადასხვა სახის წინდები, ჩარუხი, ანუ  
ქალამანი და სხვა. მამაკაცის ჩაცმულობის აუცილებელ ატრიბუტს  
წარმოადგენდა აგრეთვე იელეგი (ჭილეტი). მას იცვამდნენ ქალებიც.  
იელეგის გამოყენების ინტენსივობა ჩოხასთან ერთად ხალხურ  
ლექსებშიც აისახა, რომელსაც გასათხოვარი გოგონები წარმო-  
თქვამდნენ:

*„ჩოხა გეიხადე, ჩოხა, ეპლოჯან, ეპლოჯან,  
იელეგი მოგიხდება,  
შენი ერთი დანახვა, ეპლოჯან, ეპლოჯან,  
ჯენნეთი გიმიხდება...“*

ამასვე ადასტურებს დღემდე შემორჩენილი ლექსის ნაწყვეტი,  
რომელსაც მამაკაცებიც მღეროდნენ:

*„რას მიყურებ იელეგ ზეო,  
მე კი გნახავ ლელე ზეო,  
რას მიყურებ ჩოხა ზეო  
მე კი გნახავ „ძროხა ზეო...“*

ქალის ჩაცმულობის კომპლექსში შედიოდა: პერანგი, კაბა, ხირხა,  
თორი, ანუ სარტყელი, ფეშტემალი, ანუ წინსაფარი, ფეხზე იცვამდნენ  
მატყლისაგან ნაქსოვ ჭრელ წინდებს. იგი ორი სახისა იყო. კოჭებამდე  
ჩასაცმელი პაიჭები, ანუ უყელო წინდა და ნვივზე ჩასაცმელი  
ძანკლები||ზანკლები, ანუ წინდის ყელი. თავსაბურავად ლეჩაქსა და  
იაზმას იყენებდნენ, აგრეთვე „ფეჩეს“, ანუ სახეზე ჩამოსაფარებელს  
და სხვა.

<sup>30</sup> რ. მალაყმაძე, ლიგანის ხეობაში მივლინების დღიურები, რვეული III, 2000, გვ. 80; შდრ: ი. სამსონია, მამაკაცის კოსტუმი საციხურიდან, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, I, თბ., 1973, გვ. 78.

ტანსაცმლის ზოგიერთი ელემენტი (იაზმა, ანუ ლეჩაქი, ლეჩაქი, ფეშტემალი) საკვლევი ხეობის ეთნოგრაფიულ ყოფაში დღემდე შემორჩენილი. ზოგიერთი მათგანი (თორი, ფეჩე, ჩარჩაბი, ანუ ჩადრი) საერთოდ გაქრა ყოფიდან.

ხალხურ ჩაცმულობის კომპლექსში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დღემდე უჭირავს საზაფხულო ხის ქოშებს, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ნანილებს უწოდებს. იგი მზადდება ნაბლის ხისაგან, მას იცვამდნენ როგორც ქალები, ისე მამაკაცები.

სოფლისა და ქალაქის მოსახლეობა, განსაკუთრებით მამაკაცები, დღეს ევროპული ყაიდის ტანსაცმელით იმოსება.

## § 5. საკვები პროდუქტების დამზადება და ხალხური სამზარეულო

ლიგანის ხეობაში ქართულმა ეროვნულმა კულინარიამაც დღემდე შემოინახა თავი. თუმცა ზოგიერთი კერძი საერთოდ გაქრა კვების რაციონიდან და მისი ადგილი ახალმა დაიკავა.

აქაური ხალხური სამზარეულო ძირითადად ხორცის (მინაური საქონელი, ფრინველი, ნადირი), რძის, მცენარეულის, თევზეული პროდუქტებისაგან დამზადებული კერძებისაგან შედგებოდა.

ხორცსა და თევზს იყენებდნენ როგორც შემწვარი, ისე მოხარშული, დამარილებული და შებოლილი სახით. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობად საზამთროდ შენახული ყაურმა და აპოხტი.<sup>31</sup> თევზეულიდან იყენებდნენ მურნას, ნვერას, ელავას, ქაშაყს. საუკეთესოდ ითვლებოდა კალმახი.

დიდი მრავალფეროვნებით რძის პროდუქტები გამოირჩეოდა: კარაქი, ყველი, მანონი, დო, ნადული, ყურუთი და სხვა. კარაქი მზადდებოდა ნალებითა და მანვნით. ადულებულ რძეს ხის გობებზე

<sup>31</sup> აპოხტი – დამარილებული გამხმარი ქათმის ხორცი.

ასხამდნენ. გაცოცხლების შემდეგ რძე „ნალებს მოიგდებდა“. მას ხის კოვზით მოხდიდნენ და რამდენიმე დღით ხისავე კაპინებში ან თიხის დერგულაებში (დერგებში) ინახავდნენ. ამგვარად დაგროვებულ ნალებს კარაქის მისაღებად დღვებდნენ ხის ან თიხისაგან დამზადებულ სადღვებ ჭურჭელში, რომელსაც ვარელა ეწოდება. „მორეკილ კარაქს“ ცივ წყალში საგულდაგულოდ რეცხავდნენ, დაამარილებდნენ და ხის კაპინებში ინახავდნენ. ნალებიდან კარაქს უმთავრესად მთაში ამზადებდნენ, ხოლო მანვნიდან – ბარში. ამასთან, ნალებიდან მიღებული კარაქი ხარისხით სჯობდა მანვნისაგან დამზადებულს. კარაქის მიღების მსგავსი ხერხები ცნობილია საქართველოს სხვა კუთხეებშიც.<sup>32</sup>

დღემდე დიდი მონონებით სარგებლობს კარაქის მორეკვის შედეგად დარჩენილი დო, რომელსაც წყალში გახსნიან და საუკეთესო სასმელად იყენებენ.

ნადულით და სიმინდის ქაქიას, ანუ ფქვილის ნარევისაგან აკეთებენ ყურუთს. ნაერთს ყავარზე აწყობენ და მზის ჩრდილში ახმობენ.

ლიგანის ხეობის მოსახლეობა დღესაც მრავალნაირი დასახელების ყველს ამზადებს. დამზადების პროცესითა და შედგენილობის მიხედვით ცნობილია ხმელი ყველი, დამპალი ყველი, ჩლეჩილი, ანუ დაპნნილი ყველი, თავმოხდილი ყველი, თავმოუხდილი ყველი, მინჯი და სხვა.

ყველის დამზადების ხალხური ნესები ლიგანის ხეობაში თითქმის ისეთივეა, რაც აჭარაში.<sup>33</sup>

<sup>32</sup> ი. სამსონია, ხალხური სამზარეულო აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, XII, თბ., 1986, გვ. 80.

<sup>33</sup> ვ. შაშილაძე, მსხვილფეხა მესაქონლეობა ზემო აჭარაში, საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები, თბ., 1964, გვ. 253-254; ნ. კახიძე, მესაქონლეობა მაჭახლის ხეობაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფა და კულტურა, I, თბ., 1973, 27; ვლ. მგელაძე, ღორჯომის ხეობის სამეურნეო ყოფის ზოგიერთი საკითხი, აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, თბ., 1965, გვ. 160.

ფართო გამოყენება ჰქონდა მანონს. მას სამკურნალო მიზნითაც იყენებდნენ ბავშვებისა და ხანდაზმულებისათვის.<sup>34</sup>

დიდი მონონებით სარგებლობდა რძის პროდუქტებისაგან დამზადებული სხვა კერძებიც: კაიმალი, ძიშორვა, რძიფია, ბორანი, ქალაჯო, დოშორვა, სუთლი, ანუ რძის ფაფა ბრინჯით, ნაღების ხშიადი (ნაღებში მოზელებილი სიმინდის ან პურის ფქვილი. აცხობდნენ კეცში), სინორი, ჩირბული (კარაქის, კვერცხისა და ყორაოსაგან), ჭიმური (ცხელი მჭადისა და კარაქის ანაზელი).

სარიტუალო დანიშნულების კერძებად ითვლებოდა აშურა და კორკოტი.

ადგილობრივი მოსახლეობის კვების რაციონში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს მცენარეული კერძები. ამათგან აღსანიშნავია თეთრი ლობიოს წვნიანი, ამოლესილი შავი ლობიო, ლობიო მჭადი. ფხალეული კერძებიდან აღსანიშნავია საკუთრივ ფხალი, ფხალლობიო, დვალურა ფხალი, ჯინჭრის ფხალი და სხვა.

ამრიგად, ლიგანის ხეობაში ეროვნული კულინარია ძირითადად წარმოდგენილი იყო ხორცეული, მცენარეული და რძის კერძებისაგან.

<sup>34</sup> ი. სამსონია, ხანდაზმულთა კვების სტრუქტურა აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, XV, თბ., 1988, გვ. 71.

## § 1. ხალხური დღესასწაულები

ლიგანის ხეობაში გავრცელებული დღესასწაულებიდან აღსანიშნავია კავკასიური, შუამთობა და მემხლიანობა.

შუამთობა ალბურ მეურნეობასთან, კერძოდ, მესაქონლეობასთან დაკავშირებული ყოველწლიური ხალხური დღესასწაულია. ამ სახის დღესასწაული ტრადიციულად აღინიშნებოდა აჭარაში, სამცხესა და შავშეთ-იმერხევეში.<sup>1</sup> იგი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელ ხალხურ დღესასწაულებს განეკუთვნება, რაც კიდევ უფრო ზრდის მისი მეცნიერული შესწავლის მნიშვნელობას.

ჩვენ მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით შუამთობის დღესასწაულს ლიგანის ხეობაში შემავალი სოფლების (მურღული, დევსქელი, ქლასკური) მოსახლეობა დღესაც ატარებს.

შუამთობა უმთავრესად მარიობის, ანუ მარიამობის (აგვისტო) თვის დასაწყისში იმართება და სახელწოდება მარიამობაც ამიტომ შეერქვა. ხოლო შავშეთ-იმერხევეში მას მარიამობაშის სახელით მოიხსენიებენ<sup>2</sup>. შუამთობა მერმინდელი სახელია, რადგან დღესასწაულის ჩატარება მთაში (ალბურ საძოვრებზე) ყოფნის შუა პერიოდს ემთხვევა.

შუამთობა ადრე ერთ კვირას გრძელდებოდა. ამჟამად იგი აგვისტოს დასაწყისში ტარდება, როდესაც სოფლად თიბვის გარდა, ყველა

<sup>1</sup> ზ. თანდილავა, შუამთობის ტრადიციები და ფოლკლორი, ტრადიცია და თანამედროვეობა, თბ., 1980, ნ. კახიძე, ეთნოგრაფია და ფოლკლორი ძველი და ახალი ტრადიციების შესწავლის სამსახურში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, VI, თბ., 1978, გვ. 3-15; ზ. თანდილავა, ნ. კახიძე, ხალხური დღესასწაული შუამთობა, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1986, 148, გვ. 2; შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993, გვ. 57, 124, 212; თ. ფუტყარაძე, ნ. ვარშანიძე, შუბანი, ბათუმი, 2001, გვ. 105-106.

<sup>2</sup> შ. ფუტყარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 227, 290.



სახის სამუშაო დამთავრებულია და მოსახლეობასაც დასვენებისა და გართობა-მოღბენის საშუალება ეძლევა.

შუამთობაზე წასვლის დღეს, და რიცხვს სოფლის თავკაცები ადგენდნენ, რის შემდეგაც სოფლის მთელი მოსახლეობა, გარდა ღრმად მოხუცებისა, უმოკლესი გზებით, მხიარული განწყობილებითა და მუსიკის თანხლებით საზაფხულო იალაღებისაკენ მიემგზავრებოდა.

წინასწარ იყო რეგულირებული დღესასწაულის რეპერტუარი. პირველ დღეს ხდებოდა მემთევრეთა და ბარიდან ასულთა შეხვედრა, ანუ მოკითხვა-სტუმრიანობა. საინტერესოა შუამთობის დღესასწაულზე დამკვიდრებული წესი საპატარძლოს ან ახალმოყვანილი რძლის მიპატიჟება-გადაპატიჟებისა ნათესავებს შორის. შუამთობაზე ხდებოდა სარძლოს გამორჩევა და დანიშვნა.

შუამთობის მონაწილენი ცეკვა-სიმღერებით მოივლიდნენ სერებს. შემდეგ ერთი სოფლის მემთევრეები სტუმრებთან ერთად იალღებთან ახლოს მინდორზე იყრიდნენ თავს, სადაც იმართებოდა ხალხური გართობა-თამაშობანი. სრულდებოდა სხვადასხვა სახის ცეკვა: დუხხორუმი, ყოლსამა, ქურთბარი, ხორუმი, ათაბარი, ჯილველო. ცეკვებში მონაწილეობდნენ როგორც მამაკაცები, ასევე ქალები. შუამთობაზე მუსიკალური საკრავებიდან გამოიყენებოდა აკორდეონი, ქამანჩა, ჭიბონი, დოლი. უპირატესობა აკორდეონს ენიჭებოდა. დამკვრელებს ხშირად სხვა სოფლიდან იწვევდნენ და გარკვეულ გასამრჯელოსაც უხდიდნენ. მხიარულება გვიან ღამემდე გრძელდებოდა. იმართებოდა შეჯიბრი დოლში, ჭიდაობაში. ყველაზე პოპულარობით „ბუღების ჭედობა“ გამოირჩეოდა, რასაც უძველესი ტრადიცია აქვს. ამ წეს-ჩვეულებას თითქოს კავშირი უნდა ჰქონდეს კურულთან, რომელიც სამეგრელოში აღინიშნებოდა<sup>3</sup>.

<sup>3</sup> ვ. შამილაძე, კორიდას ადრეული ფორმების ისტორიისათვის საქართველოში ეთნოგრაფიული მონაცემების შუქზე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები, თბ., 1973, გვ. 44-46.



გართობა-სანახაობით მხარესთან ერთად შუამთობას უძველესი რელიგიურ-რიტუალური მხარეებიც გააჩნდა.<sup>4</sup> კერძოდ, დღესასწაულის რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა იმ არქაულ ფორმებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია წყლის რელიგიურ-მაგიურ ნარმოდგენებთან. ალპური საძოვრები საერთოდ მდიდარია მდინარეებით, წყაროს წყლებითა და ტბებით. ამ მხრივ გამოირჩევა დევსქელის ხეობის საზაფხულო საძოვრები.

დღესასწაულის მონაწილენი შუამთობის მეორე დღეს კოლექტიურად მიემართებოდნენ წყლებისა და ტბების მოსანახულებლად. სოფელ დევსქელის, ბაგინის, შუახევის, ებრიკას, ქლასკურის მოსახლეობა ამ მიზნით დადიოდა ვარსკვლავა გოლსა და თეთრ წყალზე და სხვადასხვა წესს ასრულებდა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გადმოცემა წყლის ხარის შესახებ, რომელიც ვარსკვლავა გოლში ბინადრობდა. გადმოცემის მიხედვით, ხარი ხშირად წყლიდან ამოდიოდა, შინაურ ბულებს ეჭიდავებოდა, ძროხებს ანაყოფიერებდა და ისევ ტბაში ბრუნდებოდა. ვარსკვლავა გოლსა და თეთრ წყალს, როგორც ჩანს, წარსულში სამკურნალო თვისებებიც მიენერებოდა. ხალხი მათ შვილიერების ფუნქციას ანიჭებდა. განსაკუთრებით უშვილო ქალები ბანაობდნენ. საინტერესოა სხვა წეს-ჩვეულებებიც. შუამთობის მონაწილე ქალები, ზოგჯერ მამაკაცები და ბავშვები, ამ წესს ახლაც მიმართავენ. ისინი დგებიან წყალში, წყალს იპკურებენ სახეზე, თავზე, ისველებენ ტანსაცმელს, ერთმანეთს ასველებენ წყლით და ა. შ. სველი ტანსაცმლის გამოცვლა ან განურვა არ შეიძლებოდა. აღნიშნული ჩვეულება, რომელიც თეთრ წყალზე სრულდებოდა, სხეულის მაგიური განწმენდის ფუნქციასთან ერთად უნდა ატარებდეს წყლის კულტის იმ ელემენტებს, რომლის მიხედვითაც წყალს შვილიერების, ბარაქიანობისა და ანაყოფიერების მომნიჭებელი ძალა აქვს.

<sup>4</sup> ზ. თანდილავა, დასახ. ნაშრომი, გვ.9.



წყლის მაგიური ძალის რწმენა მსოფლიოს მრავალ ხალხშია ცნობილი და ნაყოფიერების სიმბოლოდაა მიჩნეული. წყლის კულტის ამსახველი მასალა ფიქსირებულია თითქმის მთელ საქართველოში.<sup>5</sup>

შუამთობა ქართული კალენდარული ციკლის დღესასწაულია, რომლის წარმოქმნას ხელი შეუწყო მესაქონლეობისა და მინათ-მოქმედების განვითარების ინტერესებმა. ისლამის ზეგავლენის მიუხედავად, ლიგანის ხეობისა და საერთოდ, მთელი ქოროხის ხეობის მოსახლეობაში შუამთობამ ძირითადად შეინარჩუნა თავდაპირველი არსი და მნიშვნელობა.

ლიგანის ხეობაში ყოველწლიურ ხალხურ დღესასწაულებს შორის პოპულარობით სარგებლობს კავკასორი, რომელიც განსაკუთრებული ხალხმრავლობით გამოირჩევა. დღესასწაულის სახელწოდება მომდინარეობს ადგილის სახელიდან კავკასორი, რომელიც ართვინიდან 8 კმ. მოშორებით მდებარეობს. დღესასწაულში მონაწილეობს თითქმის მთელი ართვინის ვილაიეთის მოსახლეობა.<sup>6</sup>

კავკასორი ყოველწლიურად ივნისის ბოლო კვირას იმართება და 3-4 დღეს გრძელდება. 1982 წლამდე ამ დღესასწაულის მთავარ სანახაობით მხარეს „ბულა გურეში“, ანუ „ბულების ჭედობა“ წარმოადგენდა. შემდგომ დღესასწაული უფრო მასშტაბური გახდა და ასეთ-ნაირად ტარდება იგი დღესაც. ართვინის ვილაიეთის ხელისუფალთა თაოსნობით დღესასწაულს დაემატა სხვადასხვა სპორტულ-სანახაობრივი ღონისძიებანი. აქვე იმართება ცალკეული სოფლის ხელმარჯვე ოსტატთა ნამუშევრების (ხელოსნური ნაკეთობების) გამოფენა-გაყიდვა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ამ მხრივ ქალთა ხელსაქმის (ქსოვილები, ნაქარგები) ნიმუშები. დღესასწაულის რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხალხურ ცეკვებსა და სიმღერებს. განსაკუთრებულ ელფერს აძლევს საქართველოდან

<sup>5</sup> ჯ. რუხაძე, ბუნების ძალათა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში, თბ., 1999, გვ. 155-166; ზ. თანდილავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 45-48.

<sup>6</sup> Artvin, Ankara, 2000, გვ.123; K. Köroğlu, Kafkasore Yolculuk, Livane, Istanbul, 5,1997, გვ. 4-9; მისივე, Kafkasör Festivali 25-26-27-28 Haziranda, Livane. Istanbul, 15-16, 1998, გვ. 32.

სტუმრად მიწვეული ქორეოგრაფიული და მუსიკალური ანსამბლების მონაწილეობა.

კავკასორის ერთ-ერთ მთავარ მომენტს ბულების შეჯიბრი წარმოადგენს, რასაც წინ უძღვის გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება. მისი მომავალი ყოველი მონაწილე წინასწარ საგანგებოდ ზრდიდა ბულა-ხარს.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ბულების წინასწარი შეჯიბრი კავკასორამდე ყველა ხეობასა თუ სოფელში ტარდებოდა, რისთვისაც გამოყოფილი იყო სპეციალური ადგილი. გამარჯვებული 10 ბულა კავკასორის ფესტივალზე იგზავნებოდა. მურღულის ხეობაში „ხარების ჭედობა“ მაისის პირველ კვირას იმართებოდა თხოვნას მოედანზე.

პირველად ბულების ფიზიკურ აგებულებას არკვევდნენ, შემდეგ ზომა-წონას ადგენდნენ, ნომრავდნენ და ჯგუფებად ყოფდნენ, ასევე წინასწარ ადგენდნენ თუ რომელი ხარები უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. ბულის პატრონი ბულას წელზე წითელი ფერის ქსოვილის ნაჭერს შემოარტყამდა, რასაც, მთხრობელთა გადმოცემით, ავი თვალისაგან დაცვის ფუნქციაც ეკისრებოდა.

ბულების გაზომვასა და ჭედობას ხელმძღვანელობდა სპეციალური პირი, რომელსაც ოლჩი ეწოდებოდა<sup>7</sup>. პატრონები ბულებთან ერთად გადიოდნენ მოედანზე და თვალყურს ადევნებდნენ ჭიდაობის პროცესს. საჭიროებისას ხარს კიდევაც აღიზიანებდნენ. შეჯიბრს თან ახლდა მაცურებლის მხიარული შეძახილები.

გამარჯვებული ბულები კავკასორის დღესასწაულზე მიჰყავდათ, სადაც ანალოგიური წესით მიმდინარეობდა შეჯიბრი. კავკასორზე პირველობის მოპოვების შემდეგ ბულას „ბაშ ბულის“, ანუ მთავარი ბულის სპეციალური ქაშრით აჯილდოებდნენ, პატრონს კი ფულადი პრემიით. ბოლო დროს ართვინის ვილაიეთში სახელი გაითქვა მურღულის ხეობის სოფელ ოზმალის მცხოვრების, ოსმან ჩევიგის

<sup>7</sup> ოლჩი თურქულია, მიღებულია სიტყვიდან „ოლჩი“, რაც ნიშნავს ზომას, გაზომვას, საზომავს (Турецко-русский словарь, М., 1977).



კაკეასორის დღესასწაული. 2001.



"ბულების ჭედობა" კაკეასორის დღესასწაულზე. 2001.



„ბულების ჭედობა“ კავკასორის დღესასწაულზე, 2001.



კავკასორის დღესასწაულზე გამარჯვებული ბულა  
(თურქული ჟურნალიდან)

(შეფიკაროლლუ) მიერ გამოზრდილმა ბულა-ხარმა, რომელიც ხუთი წლის მანძილზე პირველობდა და ბამ-ბულის ქამარს ინარჩუნებდა.

აღნიშნული წეს-ჩვეულების ჩატარების დრო (მურღულის ხეობაში მაისის პირველი კვირა, დევსქელის ხეობაში – აპრილის პირველი კვირა) ემთხვევა სოფლად საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებას. ამდენად, იგი გაზაფხულის დღესასწაულად უნდა მივიჩნიოთ. მისი დაკავშირება კავკასორის სახალხო ზეიმთან გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს.

ჩვენ მიერ ლიგანის ხეობაში დადასტურებული ხარების შეჯიბრი ანალოგს პოულობს აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამონ-მებულ „ბულების ჭედობის“ წესთან, რომელიც აპრილის პირველ კვირას იმართებოდა<sup>8</sup>. ხარების ბრძოლა საგაზაფხულო დღესასწაულის – უფლიშერის პირველ დღეს იმართებოდა სვანეთშიც, იმ განსხვავებით, რომ შეჯიბრი მათი მსხვერპლად შენირვის წინ ტარდებოდა<sup>9</sup>.

ამათგან არსებითად განსხვავდება სამეგრელოში არსებული კურულის წეს-ჩვეულება, სამეცნიერო ლიტერატურაში სავსებით სწორადაა აღნიშნული, რომ კურული ბულების ჭედობის მომდევნო ეტაპს წარმოადგენდა და კორიდას უძველეს ფორმას განეკუთვნება<sup>10</sup>.

ამრიგად, ლიგანის ხეობაში დღემდე დამონმებულ ბულების ჭედობის სახით საქმე გვაქვს უძველეს გართობა-სანახაობით მოვლენასთან, რომელიც თავისი ხასიათითა და შინაარსით საგაზაფხულო ციკლის ხალხური დღესასწაულების შემადგენელი ნაწილია.

ხალხურ დღესასწაულებს განეკუთვნება მემხლიანობა. მისი ელემენტები დღემდეა შემორჩენილი ლიგანში შემავალი დევსქელის ხეობის მოსახლეობის ეთნოგრაფიულ ყოფაში.

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ მემხლიანობის ხალხური სადღესასწაულო ტრადიციები შემონახულია ზემო აჭარაშიც. ამის

<sup>8</sup> ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 47; ს. ჭანტურიძეილი, „კურული“ ქართველ ტომებში, ეთნოლოგია, თბ., 1993, გვ. 212.

<sup>10</sup> ვ. შამილაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 49.



შესახებ არაერთ ავტორს გამოუთქვამს აზრი. იგი დღემდე შუამთობის ხალხურ დღესასწაულთანაა გაიგივებული<sup>11</sup>. ჩვენ მიერ ლიგანის ხეობაში შეკრებილი მასალები ახალი მონაცემებით ამდიდრებს და გარკვეული სიცხადე შეაქვს მემხლიანობის დღესასწაულის რაობის, მისი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის გარკვევაში.

დევესქელში ჩანერილი მასალებით ირკვევა, რომ მემხლიანობა შუამთობისაგან განსხვავებული და მისგან დამოუკიდებელი დღესასწაულია. იგი ალპურ მეურნეობასთან დაკავშირებული ქართული ხალხური კალენდარული დღესასწაულია, რომელშიც უმთავრესად ქალები მონაწილეობდნენ. მემხლიანობაზე ნასვლა კოლექტიურ ხასიათს ატარებდა. ზაფხულში, იენისის შუა რიცხვებში, ქალები მამაკაცების მცირე ჯგუფის თანხლებით ადიოდნენ მთებში, ალპურ საზაფხულო საძოვრებზე, სადაც მაისის თვიდან შემთვერები იმყოფებოდნენ და იქ რამდენიმე დღეს რჩებოდნენ. მთაში იმართებოდა საყოველთაო მხიარულება.


მემხლიანთა მთავარი საქმიანობა იყო ალპური საძოვრების ზონაში გარეული მხალეულის (თიფხალა, დვალურა, ჭარბადელო), აგრეთვე მთის ყვავილის შეგროვება. საუკეთესო მხალეული იზრდებოდა დევსქელის მთის საძოვრებზე. დვალურა ტომრებით იაილებში მიჰქონდათ, მზეზე ახმობდნენ და ზამთრისათვის ინახავდნენ. მისგან საუკეთესო კერძები მზადდებოდა, ხოლო ყვავილისაგან ჩაი გამოჰყავდათ. როგორც დვალურას კერძებს, ასევე მთის ყვავილის ჩაის სამკურნალო თვისებებსაც მიაწერდნენ.

მემხლიანობის გავრცელების არე მხოლოდ ლიგანის ხეობით არ შემოიფარგლება. მისი ტრადიციები შავშეთ-იმერხევისა და მაჭახლის ხეობის იმ სოფლების ყოფაშიც დასტურდება, რომლებიც თურქეთის საზღვრებშია მოქცეული<sup>12</sup>. ამ მონაცემებით მემხლიანობაც შუამთობის მსგავსად შეიძლება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს

<sup>11</sup> შ. მეგრელიძე, მენხლიანობა, ჭოროხი, ბათუმი, 1971, 1, გვ. 79-85; ნ. კახიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

<sup>12</sup> შ. ფუტყარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 199, 269, 339.





კავკასორის დღესასწაულზე გამარჯვებული ბულის („ბაშბოლის“) ქამარი. სოფელი ოზმალი. მურღულის ხეობა. 2000.



ჭიდაობა კავკასორის დღესასწაულზე. 2001 (თურქული ჟურნალიდან).



მთხრობელები, მარჯვნიდან: აჰმედ კოსე (გუნდაროლლი-გუნდარიძე),  
ნური გულბინი (გენჯალოლლი-მალაყმაძე), ალი იაფუზი (ჰაჯიოლლი-  
თევთიძე), ნეჯათ გულბინი (გენჯალოლლი-მალაყმაძე). ქალაქი ბორჩხა,  
2000.



მთხრობელი შუქრიე შუშანიძე.  
სოფელი კირნათი. 1999.

მხარეთა ყოფისათვის დამახასიათებელ დღესასწაულად მივიჩნით, რამდენადაც ამ სახელწოდებით სხვაგან დღესასწაული არ ტარდება.

მემხლიანობის სადღესასწაულო ტრადიცია საზოგადოებრივი ცხოვრების იმ პერიოდს შეიძლება დაუკავშიროთ, რომელიც ცნობილია შემგროვებლური მეურნეობის სახელწოდებით. საკვების მოპოვება ამ პერიოდში კოლექტიურ ხასიათს ატარებდა, რომელსაც, შესაძლოა, თავდაპირველად რელიგიური რიტუალების შესრულებაც თან ახლდა. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა მემხლიანობის პერიოდში წმინდა ადგილების მონახულებაც, რასაც თან სდევდა განკურნებისა და შვილიერების ვედრება. განსაკუთრებით საინტერესოა უშვილო ქალების სვლა დევსქელის მთის საძოვრებიდან „გოგო მეზერის“, ანუ წმინდანის საფლავის მოსანახულებლად. აქ მყოფი ქალები რამდენიმე საათით იძინებდნენ და სიზმრის ავკარგიანობის მიხედვით მსჯელობდნენ მომავალზე. ადგილობრივი მოსახლეობა „გოგო მეზერის“ მონახულებას შვილიერების ფუნქციას მიაწერს.

დღეისათვის მემხლიანობის ჩატარების ტრადიცია ლიგანის ხეობაში დავინყებას მიეცა. იგი მხოლოდ უზუცესთა გადმოცემებშია შემონახული. მისი ზოგიერთი ელემენტი, რომელსაც რიტუალური ხასიათი ჰქონდა, შუამთობის ტრადიციულ დღესასწაულს დაუკავშირდა.

ამდენად, მემხლიანობა განცალკევებული ქართული დღესასწაულია, რომელიც შუამთობაზე ადრე ტარდებოდა.

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ლიგანის ხეობის სულიერ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ისეთ ხალხურ დღესასწაულებს როგორცაა: შუამთობა, კავკასორი და მემხლიანობა. ისინი გართობა-სანახაობის გარდა, წმინდა რელიგიურ ხასიათის ელემენტებსაც შეიცავდა.

## § 2. ხალხური გართობა-თამაშობანი



ლიგანის ხეობაში გავრცელებულ თეატრალურ სანახაობათა შორის, რომელთა ნაწილი დღემდე შემორჩა, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქურთობას, ანუ ფატმას. მასში არქაული, წინაქრისტიანული ხანის რელიგიურ-რიტუალური მხარეებიც ამოიკითხება.

სანახაობის ორმაგი სახელწოდება („ქურთობა“ და „ფატმა“) მის მონაწილეთა შემადგენლობით აიხსნება. ფატმა დედოფალს განასახიერებს, ქურთობის ქვეშ კი მისი ძმები – ქურთები მოიაზრებიან.

ჩვენ მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ქურთობა, ანუ ფატმა იმართებოდა შუამთობის დღესასწაულის დროს, ქორწილებში, აგრეთვე ნადის პროცესში. იგი დღითაც ტარდებოდა და ღამითაც. ორივე შემთხვევაში მისი მთავარი მოქმედი პირი იყო დედოფალი (გასათხოვარი ქალი) ფატმა. მის როლს ქალურად ჩაცმული მამაკაცი განასახიერებდა. სანახაობის დროს ფატმა ცალკე ოთახში მიჰყავდათ და ქალურად მორთავდნენ, თავზე წითელი ფერის თავსაბურავს დაახურავდნენ ისე, რომ სახე მთლიანად დაფარული ჰქონოდა, რადგან სხვას არ გამოეცნო. ფატმა გასათხოვარი ქალივით იქცეოდა. სოფლის ახალგაზრდობა ფატმას სახლიდან გამოიყვანდა და სახედარზე შესვამდა. მის ირგვლივ მყოფი მაყურებელი წრეს შეკრავდა და აკორდეონის ხმაზე ფერხულს ცეკვავდა ფატმასადმი მიძღვნილი მისამღერით<sup>13</sup>.

ფატმა, რომელიც ქვრივს განასახიერებდა, სხვა კუთხიდან მოჰყავდათ. თეატრალური სანახაობის მონაწილენი თავის წრიდან კიდევ ორ კაცს ამოირჩევდნენ. ერთ-ერთი მათგანი ფატმასთან

<sup>13</sup> მისამღერის ტექსტი ასეთია:

„გელინოო, გელინოო, ჰაიდე მოდი გელინოო,  
გელინოო, გელინოო, ძირჩამოი გელინოო,  
გელინოო, გელინოო, შინ წამოგვყევ გელინოო,  
გელინოო, გელინოო, მაზლი ძმათ დეიკავე, გელინოო,  
გელინოო, გელინოო, მული დათ დეიკავე, გელინოო,  
გელინოო, გელინოო, დედამთილი, მამამთილი, გელინოო,  
მშობელივით დეიკავე...“

მიდიოდა და მას ცოლობას სთხოვდა. ფატმაც დათანხმდება და ენყობა ქორწილი. სიძეს დედოფალი შინ მიყავდა.

განსაკუთრებით საინტერესოა სანახაობის მეორე ვარიანტი, რომელიც უმთავრესად ღამით სრულდება. იგი როგორც მონანილე პირთა რაოდენობით, ასევე იმპროვიზაციული მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ქურთობის ამ ვარიანტის ინსცენირებაში მონანილეობს თვით ფატმა, ექვსი ქურთი (ფატმას ძმები), სიძე, სასულიერო პირი (ხოჯა), მუხტარი, დოხტორი, ანუ ექიმი და სხვა. ძირითადი მოქმედი პირები არიან ფატმა და ქურთები, რომლებიც სხარტი, მკვირცხლი, ენამახელი და სათანადო მსახიობური ნიჭით დაჯილდოებული უნდა ყოფილიყვნენ. ხშირად ასეთ პირებს საგანგებოდაც იწვევდნენ. ამჟამად დევსქელის ხეობაში ფატმას როლის საუკეთესო შემსრულებლად ითვლება სელჩუკ ათასოი (როინოლლი-როინიშვილი).

ახალგაზრდა მამაკაცს, რომელსაც ფატმას შეარქმევდნენ, გასათხოვარი ქალივით მორთავდნენ და მკერდსაც ქალივით უმშვენებდნენ. მასთან მყოფი ექვსი ქურთი სახეს ნახშირით იმურავდა, ტანზე ძველმანებით, თხის, ცხერის ტყავით იმოსებოდა. თავზე ძველი ქუდები ეხურათ. ყოველ მათგანს ხელში ხის ხმლები ან ჯოხები ეჭირათ. ხის ხმლებით შეიარაღებულ ქურთებს უცხო მამაკაცებისაგან ფატმას დაცვა ევალებოდათ. სხვა მონანილენი ჩვეულებრივ ტანისამოსში გადაცმულები არიან. ფატმა თანხმლები ქურთებით მოედანზე გამოდის და მოულოდნელად იქ შეკრებილ ხალხში გაერევა. ამის შემდეგ იწყება საყოველთაო ცეკვა-თამაში, რომელიც თავაშვებულ ორგიაში გადადის. მას თან ახლავს სიცილი და მხიარულება. ფატმასა და ქურთების მთელი მსვლელობა სქესობრივ-ეროტიკული მოძრაობის გამომხატველია. ფატმა მამაკაცებთან ერთად აკორდეონის მუსიკის ფონზე ცეკვავს, ეარშიყება და ალიზიანებს მონანილეებს. ყველა ცდილობს ფატმასთან მიახლოებას, გადახვევას, კოცნას. ქურთები მათ ხის ხმლებით იგერიებენ. ამ დროს ფატმა ერთ მამაკაცს ამოარჩევს, მას ნელზე შეახტება და სიბნელეში გაუჩინარდება. მაცურებლები ამის დანახვაზე ახმაურდებიან და იწყებენ შეძახილებს: „ფატმა მეიტაცეს“, „ფატმა მეიტაცეს“. ფატმას დაედე-



ვნებიან. ინყება საყოველთაო ჟრიაშული და სიცილი. ხმლებით შეიარაღებული ქურთები ფატმას იპოვნინან და უკანვე აბრუნებენ. გამტაცებლებს კი ხმლებით სცემენ. ისევ ინყება მხიარულება. ბოლოს სასიძო ფატმას იქვე მოედანზე ნააქცევს. აღშფოთებული ქურთები მამაკაცს თითქოს წინააღმდეგობას უწევენ, მაგრამ ბოლოს თავს მიანებებენ და იძულებულნი არიან მდგომარეობას შეეგონ. ამის შემდეგ ისინი ფატმას სხვა მამაკაცებისაგან იცავენ. სასიძო ფატმასთან თავაშეებულ ეროტიკულ ურთიერთობაშია, მას ეხვევა და კოცნის. ფატმა თითქოს არ ნებდება და ყვირის. იგი ცუდად ხდება, თითქოს მუცელიც ასტიკვდება და ეწყება მშობიარობა. დასახმარებლად მოჰყავთ ექიმი, რომელიც ავადმყოფს წყალს აპკურებს, სახეს დაუსრისავს და თითქოს ნემს გაუკეთებს. ამის შედეგად ფატმა მომჯობინდება. ახლა სიძე ფატმას შერთვაზე უარს აცხადებს. იგი იმ შემთხვევაში თანხმდება თუ ვაჟი ეყოლება. ექიმი ავადმყოფს გულმოდგინედ გასინჯავს. მუცელზე ყურის მიდებით დააკვირდება და სიძეს პირობას აძლევს, რომ ფატმას ბიჭი ეყოლება. გახარებული სიძე ექიმს მახაროჯს ჰპირდება და ფატმას ევედრება, რომ ცოლობაზე დათანხმდეს. საქმრო საცოლეს სანაცვლოდ მრავალ საჩუქარს, საქონელს, მამულებს, სახლს ჰპირდება. ფატმა ცოლობაზე თანხმდება. ბოლოს იმართება აღდის-ახტის პროცედურა, ანუ ჯვრისწერა და ქორწილი. მოჰყავთ მუხტარი და ხოჯა, რომლებიც გააფორმებენ ქორწინებას. გახარებული სიძე და ფატმა ერთმანეთს გადაეხვევიან. ინყება საყოველთაო მხიარულება, თოფის სროლა და ცეკვა-თამაში.

დასახელებული სანახაობიდან ნათლად ჩანს, რომ ქურთობა და ფატმა ხალხური თეატრალური წარმოდგენების ერთ-ერთ უძველეს ფორმას განეკუთვნება, რომელიც სათავეს წარმართულ სარწმუნოებიდან უნდა იღებდეს და უშუალო კავშირშია ნაყოფიერება-შვილიერების კულტთან. ამ გართობა-სანახაობამ დღეს ძირითადად დაკარგა თავდაპირველი არსი და მნიშვნელობა. იგი ხალხური დღესასწაულების შემადგენელ ნაწილად იქცა. შესაძლებელია, ადრე იგი ცალკე დღესასწაულების სახით ტარდებოდა.



ქურთობისა და ფატმას სახელწოდებით დადასტურებული სანახაობანი ახლოს დგას აჭარაში საყოველთაოდ გავრცელებულ ფატმას/ფადიკოს ციკვა-თამაშობასთან, რომელიც ქართული ხალხური დრამის საუკეთესო ნიმუშად არის მიჩნეული<sup>14</sup>. ჯერ ერთი, ფატმას, ისე როგორც ფადიკოს როლს ახალგაზრდა მამაკაცი ასრულებს. მათი მორთულობა თითქმის ერთნაირია. ასევე ანალოგიურია მსვლელობისას შესრულებული სექსუალური ხასიათის მოქმედებებიც. თვით ფადიკოს სახელწოდებაც ფატე/ფატმადან მომდინარე ჩანს<sup>15</sup>. გარდა ამისა, ქურთობა და ფატმა მსგავსებას ავლენენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შვილიერება-ნაყოფიერებისა და ბუნების აღორძინებისადმი მიძღვნილ „საქმისაის“, „მელია ტულეფიას“, „მურყვამობის“, „ბერიკა-ყვენობის“ ხალხურ სანახაობებთან.<sup>16</sup> არ გამოვრიცხავთ, რომ ქურთობა-ფატმას რიტუალური გართობა-სანახაობაში იმ გართობა-სანახაობის ელემენტებიც დავინახოთ, რომელიც აჭარაში ცნობილია ზირკობიას სახელწოდებით<sup>17</sup>.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ საუკუნეთა განმავლობაში უცხო რეჟიმის პირობებში მოქცეული საკვლევე რეგიონის ქართველ მოსახლეობაში აღნიშნული თეატრალური სანახაობანი დღემდე ქართულ ენაზე სრულდება. მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ტერმინი შეიცვალა თურქულით. გართობა-სანახაობათა

<sup>14</sup> ჯ. ნოლაიდელი, აჭარული ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიის მასალები, თბ., 1967, გვ. 70-72; მისივე, ეთნოგრაფიული ნარკვევები აჭარელთა ყოფაცხოვრებიდან, თბ., 1935, გვ. 29-33; ნარკვევები და ჩანაწერები, ნიგნი I, ბათუმი, 1971, გვ. 140-142; ალ. მსხალაძე, აჭარის საოჯახო სანესწევულებო პოეზია, ბათუმი, 1969, გვ. 93-98; ზ. თანდილავა, შუამთობის ტრადიციები და ფოლკლორი, თბ., 1980, გვ. 27-35.

<sup>15</sup> ალ. მსხალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 96; ზ. თანდილავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

<sup>16</sup> აღნიშნული გართობა-სანახაობების შესახებ იხილეთ: ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1979, გვ. 102-103; ს. მაკალათია, ფალოსის კულტი საქართველოში, ეთნოლოგიის ქრესტომათია, თბ., 1997, გვ. 538-545; ჯ. რუხაძე, ბუნების ძალათა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში, თბ., 1999 და სხვა.

<sup>17</sup> ზირკობიას შესახებ იხილეთ: ზ. თანდილავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 39; თ. ფუტკარაძე, ნ. ვარშანიძე, შუბანი, ბათუმი, 2001, გვ. 107.



ქართულ ენაზე ჩატარებამ გარკვეული როლი ითამაშა ელიგანის ხეობაში ქართული ენის, წეს-ჩვეულებების დაცვასა და შენარჩუნებაში. მეორე მხრივ, ეს ფაქტი თავისთავად მოუთითებს ქურობისა და ფატმას გართობა-სანახაობის წმინდა ქართულ ბუნებაზე.



## ლიგანის ხეობაში გავრცელებული გვარ-სახელები

ლიგანის ხეობა, როგორც ითქვა, ნერილობით წყაროებში უძველესი პერიოდიდან იხსენიება. ასევე ძველი ისტორია აქვს აქ გავრცელებულ გვარ-სახელებსაც. მათი ერთი ნაწილი მოხსენიებულია XII-XVII საუკუნეების ისეთ ნერილობით ძეგლში, როგორიცაა „ტბეთის სულთა მატიანე“,<sup>1</sup> რომელიც საერთოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ძველი გვარ-სახელების (მასთან ერთად ადგილთა სახელების) შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.

მატიანის მიხედვით ირკვევა, რომ ლიგანის ხეობის გვარ-სახელები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ სხვა კუთხეებში გავრცელებული გვარ-სახელების მსგავსად ნაწარმოებია ანთ, ენთ, ურ, ულ და ძე სუფიქსებით.

„ანთ“ სუფიქსიანი გვარი ბედიანთ გვხვდება მატიანის XV საუკუნის ფენაში, მატიანეში ვკითხულობთ: „სულსა ბედიანთ ნიკოლოზისა და დედასა მარინასა შეუწდვენ ღმერთმან“<sup>2</sup>. მატიანის სხვა ადგილას ეს გვარი „ძე“ სუფიქსით იხსენიება: „სულსა ბედიანასძისა ესაისა, სულსა მისისა მეულღესა მარიაშა შეუწდვენ ღმერთმან.“<sup>3</sup> მატიანისეული ეს გვარი ლიგანის ხეობის დღევანდელ სოფელ მარადიდში (ქუთურეთის უბანი) მცხოვრები ბედიანაძეთა გვარის წინაპარი უნდა იყოს, რომელიც ოსმალთა ბატონობის დროს ბენდელიოლლად იწოდებოდა.

ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურებულია გვარების ეპონიმიური და ადგილთა გვარსახელური წარმომავლობა<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ტბეთის სულთა მატიანე, შენიშვნები და კომენტარები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1977.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 102.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 76.

<sup>4</sup> ზ. ქუმბურიძე, რა გქვია შენ, თბ., 1992, გვ. 59.

ასეთს განეკუთვნება ლიგანის ხეობაში დღეს მცხოვრები და მატჩიანეში მოხსენიებული შუშანიძე.

შუშანიძე მატჩიანეში შუშანასძის ფორმითაა შესული და XV-XVI საუკუნეების ფენას განეკუთვნება. მატჩიანეში ეს გვარი ასე იხსენიება: „სულსა შუშანასძისა მიქაელს და მისისა მეუღლეს რუსუდანს შეუნდვენ“<sup>5</sup>. ამდენად, შუშანიძის გვარის ადგილობრივი წარმოშობა საეჭვო არ უნდა იყოს. შუშანეთი დღეს სოფელ კირნათის ერთ-ერთი უბნის სახელწოდებაა. შესაძლებელია, მატჩიანის დროისათვის შუშანეთი ცალკე სოფელი ყოფილიყო.

ჩვენი აზრით, გვარი შუშანიძე ქალის სახელისაგან – შუშანასაგან უნდა იყოს მიღებული. ცნობილია, რომ გვარ-სახელთა ისტორია მრავლად იცნობს ქალის სახელიდან მომდინარე გვარებს (თამარაშვილი, ნათელაშვილი, მარგალიტაძე და სხვა).

მატჩიანეში ერთი და იგივე გვარი ხშირად რამდენიმე სახენაცვალი დაბოლოებით გვევლინება. ასეთია ფოთელიძე, რომელიც ფოთელურისა და ფოთელისძის ფორმით იკითხება: „სულსა ოვსიეთ მარიამისასა და სოლომონისა და მისისა დედისა ფოთელურისა შეუნდვენ ღმერთმან“, „სულსა ნიკოლოზის ძისა გიორგისა და მისისა მეუღლისა ფოთელისძისა შეუნდვენ ღმერთმან.“<sup>6</sup> ფოთელიძე მამაკაცის აღმნიშვნელი გვარია და იგი მატჩიანის XV-XVI საუკუნეების ფენას განეკუთვნება. ფოთელიძეთა მატჩიანისეული სახელებია: გიორგი, მახარებელი, კირასა. ფოთელიძეთა ერთი განაყოფი ოსმალთა ბატონობის დროს ფეიზოლლად მოინათლა. მათი სამი კომლი კირნათში ცხოვრობს, მეორე ჯგუფს ომეროლლები შეადგენენ, რომელთა ხუთი კომლი ცხოვრობს შუშანეთში, სამი ნაკირნათევში. ამ გვარის ერთი კომლი სოფელ მარადიდში (ძაბლავეთის უბანი) სახლობს. მაგრამ, გადმოცემით აქ ისინი კირნათიდან გადასულან. გვარ-სახელებისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში ფოთელიძე სხვაგან

<sup>5</sup> ტბეთის სულთა მატჩიანე, გვ. 122, 123.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 122, 138.

არსად დასტურდება. ეს ფაქტიც გვაფარაუდებინებს, რომ ისინი სოფელ კირნათის მკვიდრნი უნდა იყვნენ<sup>7</sup>.

მატიანეში იკითხება გვარი რასტაგანისძე. ამ გვარის შთამომავალი უნდა იყოს სოფელ გვარაში მცხოვრები ლასტაკანიძე. მატიანეში ვკითხულობთ: „სულსა რასტაგანისძისა დემეტრეს და მისისა მარიამისა შეუნდვენ ღმერთმან.“<sup>8</sup>

ამავე რიგისაა მატიანის XIV-XV სს. ფენაში დასახელებული გვარები ლეკუაშისძე და ლაკუაშისძე. მატიანეში წერია: „სულსა ლეკუაშისძისა კოზიმანისა შეუნდვენ ღმერთმან,“<sup>9</sup> ამ გვარის ჩამომავლები ნაკაშიძეები 1945 წლამდე სოფ. კირნათის ოლღაურის უბანში ცხოვრობდნენ. შემდეგ, როგორც საზღვართან ახლოს მცხოვრებნი, მაშინდელი ბათუმის (ახლა ხელვაჩაურის) რაიონის სხვა სოფლებში ჩაასახლეს.

მატიანის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მკვიდრი უნდა იყოს კახაბერისძის გვარი, რომელიც მატიანის მიხედვით XII-XIII საუკუნეების შემწირველები ჩანან. მატიანეში ვკითხულობთ: „სულსა კახაბერისძისა იოვანესა შეუნდვენ ღმერთმან.“<sup>10</sup> კახაბერიძეები ძირითადად სოფელ კირნათში (კობალეთის უბანი) ცხოვრობენ. არ გამოვრიცხავთ, რომ მატიანისეული კახაბერიძეც ლიგანის მკვიდრი იყოს მსგავსად მატიანისეული ფოთელიძისა, შუშანიძისა და რასტაკანისძისა. ამასთან დაკავშირებით სწორი არ უნდა იყოს გადმოცემა, რომლის მიხედვით კახაბერიძე დღევანდელ კირნათში მოსული გვარია, მაგრამ საიდან და როდის ცნობილი არ არის. თუკი კახაბერიძეების სხვა მხრიდან მოსვლის საკითხი მაინც დადგება, შეიძლება ისინი რაჭის საერისთავოს კახაბერიძეებს დაფუკავშიროთ. მაგრამ ამგვარი დასაბუთებისათვის საფუძველი არ მოგვეპოვება.

<sup>7</sup> R. Malakmadze, *Livane bülqesindaki Gurcu Adi ve soyadları*, Çveneburi, Istanbul, 2000, 38, გვ. 35.

<sup>8</sup> ტბეთის სულთა მატიანე, გვ. 102, 122.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 78, 87.

<sup>10</sup> იქვე, 92.

ლიგანის ხეობის მკვიდრი გვარებიდან საყურადღებოა ამ სუფიქსით დაბოლოებული გვარი ქერტაში: „სულსა ქერტაშისა გიორგისასა და მისისა შვილის ივანესასა და მისის მეუღლესა მარიამისასა შეუნდვენ ღმერთმან.“<sup>11</sup> ქერტაში რომ აქაური ძირძველი გვარია, ამის საბუთად მიაჩნიათ ლიგანის ხეობის სოფელ ხებას ერთ-ერთი დასახლებული უბნის სახელწოდება ქერტაში, რომელიც ერთ თურქულ დოკუმენტში იწოდებოდა როგორც კარატაში<sup>12</sup>. იგი ამ ფორმით ხუთვერსიან რუკაზეც არის აღნიშნული<sup>13</sup>.

საინტერესოა ჭანიძის გვარის წარმომავლობა. ამ გვარის ერთი კომლი დღეს ლიგანის ხეობის სოფელ მირვეთში ცხოვრობს. ჭანიძე მატიაწეშიც იხსენიება და იგი სოფელ ჯოჭოს მცხოვრებია: „სულსა ჯოჭოელ ჭანიძისა შეუნდვენ ღმერთმან.“<sup>14</sup> გადმოცემით, მირვეთელი ჭანიძე აქაური მკვიდრია, რომელიც ჯოჭოში მცხოვრებ ჭანიძესთან ნათესაობს. მატიაწისეულ ჭანიძის ადგილსამყოფელს თუ მიეცემთ უპირატესობას, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ მირვეთელი ჭანიძე ჯოჭოელი ჭანიძის განაყოფია, რომელიც სხვადასხვა მიზეზით გადასახლდა მირვეთში და იქ დაიდო ბინა.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე მატიაწისეული გვარი ბრევეთ. თუ ამ გვარს - ეთ მანარმოებლიან უძველეს გვარად მივიჩნევთ (მატიაწეში წერია: „ბრევეთ ქალი მარიამ“), მაშინ უეჭველია ამ გვარის დაკავშირება ქვემო მარადიდის ერთ-ერთ უბნის სახელწოდებასთან, რომელსაც ბრევეთი ჰქვია. მატიაწისეული ვინმე ბრევეთ აქაური (ბრევეთელი) შემწირველი ყოფილა.

გადმოცემით, კირნათში მცხოვრები ამჟამინდელი გორგოშაძეებიც სოფელ ხინწკანადან გადმოსახლებულან. ეს სოფელი მდებარეობს ლიგანის ხეობის საზღვარგარეთულ ნაწილში, სოფელ ოღლაურის მახლობლად. ამ გვარის წარმომადგენლები სოფელ ქართლამიც

<sup>11</sup> ტბეთის სულთა მატიაწე, გვ. 110.

<sup>12</sup> ნ. კახიძე, ტბეთის სულთა მატიაწე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიის წყარო, ხელნაწერი. 1996, გვ. 13.

<sup>13</sup> ი. სიხარულიძე, ნიგალი, ბათუმი, 1985, გვ. 70.

<sup>14</sup> ტბეთის სულთა მატიაწე, გვ. 124.

ცხოვრობენ. გორგოშაძეები ლიგანის ხეობის მკვიდრი გვარი უნდა იყოს. მატჩიანისეული გორგოშაძეებიც აქაური შემწირველები ჩანან ისინი იხსენიებიან მატჩიანის XV-XVI საუკუნეების ფენებში<sup>15</sup>.

ლიგანის ხეობაში ცხოვრობენ აგრეთვე ნითელაძეები. მათ ნითელაეთ ფორმით იცნობს ტბეთის სულთა მატჩიანეც, როგორც XII-XV საუკუნეების შემწირველებს: „სულსა ნითელაეთ გიორგისასა და მისისა მეუღლესა მიროელისასა, შეუნდვენ ღმერთმან“<sup>16</sup>. ამ გვარიდან გამოსულებად უნდა მივიჩნიოთ იმერხევის სოფელ ნითელეთში მცხოვრები ნითელაძე. გადმოცემით, სოფელ ნითელეთიდან არიან გადმოსახლებული კირნათში მცხოვრები ნითელაძეები, რომლებიც დღეს ცხრამეტ კომლს ითვლის.

ლიგანის ხეობის ძველი გვარების რიგში უნდა მოვიხსენიოთ ვინმე კირნათელი თათანასძე. მატჩიანეში ეს გვარი ასე ფიგურირებს: „სულსა კილნათელისა თათანისძისა მიქაელს, მისისა მეუღლესა მარიამს შეუნდვენ ღმერთმან“<sup>17</sup>. ამ გვარის წარმომადგენელი დღეს არც ლიგანის ხეობაში და არც სხვაგან არ დასტურდება. ანალოგიური ვითარება უნდა გვექონდეს კობალეთის, ჯინჭარაულის, ფანჩვეთის, წინკალაშვილების დასახლებული უბნების მაგალითზე, სადაც არც ერთი ის გვარი არ ცხოვრობს, რომელთა მიხედვითაც აღნიშნულმა სოფლებმა მიიღეს სახელწოდება.

ჩვენ მიერ გვართა სადაურობა-წარმომავლობაზე შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებით სხვა ფაქტებიც დგინდება. ლიგანის მხარეში შემავალი დევსქელის ხეობაში მცხოვრები თავდგირიძეებისა და ხაბაზების წინაპრები ქედისა და ქობულეთის რაიონებიდან გადასულები არიან. ასევე, ქედის რაიონიდან ჩასახლებულან ბოლქვაძეები მურღულის ხეობის სოფ. ტრაპენში. გადმოცემით, კახეთიდან მოსულან სოფ. ჯვანაში მცხოვრები ოქრუაშვილები,

<sup>15</sup> ტბეთის სულთა მატჩიანე, გვ. 134.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 60.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 18.

დეესქელის ხეობაში – როინიშვილები და სხვა. შუახევის რაიონიდან ჩასულები ჩანან მურღულის ხეობის სოფლებში დურჩასა და ოზმალი მიქელაძეების, ზოსიძეების გვარები. დეესქელის ხეობაში – ცეცხლაძეები და სხვა. მაჭახლის ხეობიდან გადასულთა ხარჯზე დასახლებულა ლიგანის ხეობის სოფელ ქლასკურის ერთ-ერთი უბანი ნინკალაშვილები და სოფელი აგარა.

ეთნოგრაფიული და მატრიანისეული მონაცემების შეჯერებით ირკვევა, რომ ლიგანის ხეობაში მოსულებად ითვლებიან შემდეგი გვარები: მორთულაძე, მალაყმაძე, ბასილაძე, კახიძე, ფუტყარაძე, ნასყიდაძე, სიხარულიძე, გოგიბერიძე, მუთიძე, ასანიძე და სხვა. მთხრობელთა გადმოცემით, მათი ნაწილი მუშაჯირთა შთამომავალია, ნაწილი ზედსიძეაა მოსული, ნაწილიც სხვა მიზეზით ჩამოსახლებულა. ჩამოთვლილი გვარების უმეტესობა მატრიანის სხვადასხვა ფენაშიც იხსენიება სადაურობის მითითების გარეშე.

საინტერესოა ნულუკიძისა და კვირიტიძის გვართა წარმომავლობა, რომლებიც წარჩინებულთა წრის წარმომადგენლებად ითვლებიან. მათი სადაურობის შესახებ სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ერთნი თვლიან, რომ ისინი ტრაპიზონში გადახვენილ სოლომონ მეფის თანხმლები იყვნენ. მეფის გარდაცვალების შემდეგ ისინი უკან გამობრუნებულან, მაგრამ, როგორც რუსეთის ორიენტაციის მონინალმდეგების და სოლომონ მეფის კარზე დანიწაურებულები, იმერეთში ველარ დაბრუნდებოდნენ, რის გამოც თავდაპირველად მაჭახლის-პირში დასახლებულან. სხვათა გადმოცემით, ერთ-ერთ ნულუკიძეს იმერეთში დანაშაული ჩაუდენია, გადმოხვენილა და თავშესაფარი აქ უნახავს. ადრე ნულუკიძეებად იწოდებოდნენ სოფელ სინდიეთში მცხოვრები კვირიტიძეებიც. მაჭახლის ხეობის საპოლიციო უბნის უფროსი, აკაკი ნერეთლის უფროსი ძმა დავით ნერეთელი 1878 წლის გაზეთ „დროებაში“ მოიხსენიებს სული ბეგ კვირიტიძე-ნულუკიძეს (იმდროინდელ გაზეთებში იგი სული ბეგ მაჭახლეადაც იხსენიება), რომელიც სხვა გავლენიან პირებთან ერთად გულწრფელ ერთგულებას ეფიცებოდა ოსმალთა ბატონობისაგან აჭარის გასათავისუფლებლად ჩამოსულ გენერალ კ. კომაროვის არმიას. სული ბეგ



|     | ქართული გვარები | ოსმალური გაფორმება | თურქული სახელწოდება | საცხოვრებელი ადგილი (სოფელი, ქალაქი) |
|-----|-----------------|--------------------|---------------------|--------------------------------------|
| 1.  | ასანიძე         | ასანოღლი           | იელქენჯი            | ხუბა                                 |
| 2.  | ბედინაძე        | -----              | იავეზ               | ბორჩხა                               |
| 3.  | გორაძე          | ბეგინოღლი          | ქესკინ              | ბორჩხა                               |
| 4.  | გორგოშაძე       | -----              | ოზმან               | ზემო მარადიდი                        |
| 5.  | გოგიბერიძე      | სალიხოღლი          | სალიხოღლი           | ჯვანა                                |
| 6.  | გუნდაძე         | -----              | დალკოღლი            | პეტრული                              |
| 7.  | ვასაძე          | თორდოღლი           | იაუზ                | კორდეთი                              |
| 8.  | ვარშანიძე       | მემიშოღლი          | აიღინ               | ბორჩხა                               |
| 9.  | ზაქარაძე        | თოილოღლი           | თოიალ               | ტრაპენი                              |
| 10. | ზოსიძე          | შეიხოღლი           | თაიმ                | ოზმალი                               |
| 11. | თავედგირიძე     | სალიოღლი           | ილმაზთურქ           | დეესქელი                             |
| 12. | თევთიძე         | ჰაჯიოღლი           | იავეზ               | ბორჩხა                               |
| 13. | თიკანაძე        | ბაირამოღლი         | ბარამა              | ართეინი                              |
| 14. | კახიძე          | სელიმოღლი          | ილდიზ               | ბორჩხა                               |
| 15. | კობორიძე        | -----              | გუნემ               | ბუჯური                               |
| 16. | კობალაძე        | ქამილოღლი          | აიღინ               | ხუბა                                 |
| 17. | კუპრაძე         | ქეშიმოღლი          | ჯესურ               | აგარა                                |
| 18. | მალაყმაძე       | გენჯალოღლი         | გულბინ              | ბორჩხა                               |
| 19. | მელიქაძე        | მელექოღლი          | თურან               | ქვემო ქურა                           |
| 20. | მიქელაძე        | ჰაჯიოღლი           | ერგუნ               | დურჩა                                |
| 21. | მუთიძე          | პეზიხოღლი          | კარადენიზ           | ართეინი                              |
| 22. | ნაგერვაძე       | დურსუნოღლი         | გუნერ               | ბორჩხა                               |
| 23. | ნაკაიძე         | ნავდაროღლი         | გუნემ               | მამანათი                             |
| 24. | ნანულაძე        | ყასიმოღლი          | ოქდემირ             | გურბინი                              |
| 25. | ნასყიდაძე       | შერიფოღლი          | შიმშერ              | ზემო ქურა                            |
| 26. | როინიშვილი      | როინოღლი           | ათასოი              | დეესქელი                             |
| 27. | ოქრუაშვილი      | ადილოღლი           | აიღინ               | ჯვანა                                |





|     |             |                     |            |           |
|-----|-------------|---------------------|------------|-----------|
| 28. | ოქრუაშვილი  | ალთუნოღლი           | ალთუნ      | ართვინი   |
| 29. | ფალიოშვილი  | თანთანოღლი          | ბაშქოი     | ბაშქოი    |
| 30. | ფუტყარაძე   | ბალჯოღლები          | ბალჯი      | თხილაზური |
| 31. | ფუტყარაძე   | თემელოღლი           | ოზკეთ      | ისკები    |
| 32. | ქავთარაძე   | ქავთაროღლი          | ოპრან      | ისკები    |
| 33. | ქავთარაძე   | ისმაილოღლი          | ოზაიღინ    | ბორჩხა    |
| 34. | ქოქოლაძე    | ბურსალოღლი          | ბურსალ     | ბორჩა     |
| 35. | შუშაძე      | პაჭიჭოღლი           | არსლან     | ბორჩხა    |
| 36. | ჩოლოყოშვილი | ჩოლაქოღლი           | მერქეზოღლი | ბორჩხა    |
| 37. | ჩხაიძე      | ოსმანოღლი           | გალიფ      | გველი     |
| 38. | ცეცხლაძე    | რეჯეზოღლი           | აიღინ      | დეესქელი  |
| 39. | ციმნარიძე   | ბეჭირბაიახტარიშვილი | შიმშეკ     | ბორჩხა    |
| 40. | ძნელაძე     | ბაიახტაროღლი        | ქუჩუკ      | სანათისი  |
| 41  | ხაბაზი      | ხაბაზოღლი           | ოზთურქ     | დეესქელი  |

1. ლიგანის ხეობა ყოველთვის აქტიურ როლს თამაშობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და ჭოროხის აუზის სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამიტომაც უძველესი დროიდან იპყრობდა იგი ქართველ და უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა ყურადღებას. ლიგანი კლარჯეთის ნაწილად და ცალკედაც იხსენიებოდა. მურვან ყრუს ლაშქრობის დროს იგი ამაოხრებელი თარემის ასპარეზს წარმოადგენდა. გვიანფეოდალურ ხანაში სამცხე-საათაბაგოს შემადგენელი ნაწილია. ხეობაში ქრისტიანობის გავრცელება ანდრია პირველწოდებულის სახელს უკავშირდება.

2. ხეობა ქართულ წერილობით წყაროებში ჯერ ნიგალის, შემდეგ ლიგანის სახელწოდებით მოიხსენიება. ვახუშტისთანაც (XVIII ს.) ლიგანი გვხვდება. მოგვიანებით, თურქული წყაროების მიხედვით, ეს სახელწოდება ლივანად დამკვიდრდა. ასე იწოდება იგი თანამედროვე თურქულ ოფიციალურ დოკუმენტებშიც. ლივანა ართვინის ძველ სახელწოდებადაც მოჩანს.

3. ოსმალთა დაპყრობის შემდეგ ლივანა ცალკე სანჯაყად გამოცხადდა და ჩილდირის (ახალციხის) საფაშოში გაერთიანდა. XIX ს. აუკუნის 70-იან წწ. იგი ლაზისტანის საფაშოს მესამე საკაიმაკამო იყო და აერთიანებდა საკუთრივ ლივანასა და მაჭახლის ყაზებს, ანუ მაზრებს. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომის შედეგად ლიგანი, ისე როგორც მთელი ბათუმის ოლქი, საქართველოს დაუბრუნდა და მისი ზედა ნაწილი (ქ. ართვინი, ზედა მარადიდი, მურღული, ქლასკური, ხემა, დევსქელი და სხვა) ბათუმის ოლქში შემავალ ართვინის ოლქში მოექცა, ქვედა ნაწილი (კირნათი, კობალეთი, შუშანეთი, ოღლაური, ქვედა მარადიდი და სხვა) კი - ბათუმის ოლქში.

4. ლიგანის ხეობის ცხოვრებაზე მძიმე გავლენა იქონია 1918-1921 წწ. პოლიტიკურმა პროცესებმა. ყარსის ხელშეკრულების თანახმად, თურქებმა ხელახლა მოახერხეს ლიგანის ხეობის ზემო ნაწილის ხელში ჩაგდება. ქვედა ნაწილი საქართველოს საზღვრებში დარჩა და

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ბათუმის (ახლა ხელვაჩაურის) რაიონს მიეკუთვნა.

5. საქართველოს საზღვრებში დარჩენილი სოფლები საბჭოური ცხოვრების წესს ეზიარა, ხოლო ზემო ნანილის სოფლები, ისე როგორც ჭოროხის მხარის სხვა კუთხეები და ლაზეთი (სარფის ნანილის გარდა), დღემდე თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. მიუხედავად ამისა, აქაურმა ქართველმა მოსახლეობამ ძირითადად შეინარჩუნა ქართული სალაპარაკო ენა, ზნე-ჩვეულებები, ქართული ცნობიერება. ლივანის ხეობა რჩება სამთამადნო წარმოების მთავარ კერად.

6. მეურნეობის ძირითად დარგებს წარმოადგენდა მინათმოქმედება და მესაქონლეობა, რომლებიც სიმბიოზური ფორმით ვითარდებოდა. მემინდვრეობაში ადრე წამყვანი ადგილი ეჭირა ფეტვის, ქერის, ჭვავის, ღომის, ხორბლის მოყვანას. XIX ს. მეორე ნახევრიდან გაბატონებული ჩანს სიმინდის კულტურა, რომელიც უკეთესად შეეგუა იქაურ კლიმატურ პირობებს.

სახნავ-სათესი მიწების ათვისება ხდებოდა როგორც ახოს ალებით, ასევე კორდი მიწების ხარჯზე. სავარგული მიწების უმეტესობა ფერდობებზეა განლაგებული, რაც მხარის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით აიხსნება. ამიტომაც, მიწების დიდი ნაწილი მხოლოდ პრიმიტიული (თოხით) მინათმოქმედების ხასიათს ატარებდა და კოლხური მთური ტიპისათვის დამახასიათებელ ნიშნებს შეიცავდა.

ხეობაში ხალხური ნიადაგმცოდნეობის მაღალი დონე დასტურდება. მოსახლეობა ნიადაგებს განასხვავებს მოსავლიანობის, ფერის, შედგენილობის, მცენარეული საფარისა და სხვა ნიშნების მიხედვით. სავარგული მიწები, რომლებიც სახლთან ახლოს მდებარეობდა, საქონლის ნაკელით ნოყიერდებოდა. მიწების ნაწილი კი ირწყვებოდა. განოყიერების მიზნით მდინარის შლამსაც იყენებდნენ.

დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ნიადაგის დაცვას ეროზიისაგან ხელოვნური ტერასების მოწყობის გზით. გავრცელებული იყო ხითა და ქვით შემოსილი ტერასები.



მდიდარი და მრავალფეროვანი იყო აგრეთვე სამინათმოქმედო იარაღები, რაც განპირობებული იყო ხეობის ბუნებრივ-სამეურნეო თავისებურებებით, ნიადაგის აღნაგობით. განსაკუთრებულ ადგილს იჭერს სხვადასხვა ფორმის თოხები, სახენელი და სალენი იარაღები. სახენელი იარაღების სახელწოდებებია საკუთრივ სახენელი, კაეური, არუნა, ჯილა, ხოლო სალენი და საცეხვი იარაღებიდან - კევრი, საძიგველი (საცეხველი). ეს იარაღები თავისი ფუნქციონალური და კონსტრუქციული თავისებურებებით მთელ რიგ მსგავსება-განსხვავებას ავლენს საქართველოს სხვა კუთხეთა შესაბამის სამინათმოქმედო იარაღებთან.

საუკუნეთა განმავლობაში ხეობის მოსახლეობამ გამოიმუშავა მემინდვრობასთან დაკავშირებული სხვადასხვა წეს-ჩვეულებები, მათში ასახულია პირველი თესლის გაღება (კანული), ბახურა, ქაშატობა, გარგნობა და სხვა, რომელთა შესრულება მიზნად ისახავდა ნათესების მოსავლიანობის დაცვასა და ბარაქიანობას.

7. ლიგანის ხეობის მოსახლეობის სამეურნეო ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მევენახეობა-მელეინეობას. ამაზე წერილობით წყაროებთან ერთად მიუთითებს დღემდე შემორჩენილი მალღარი ვაზის ძველისძველი ჯიშები, მინაში ჩაფლული სხვადასხვა ტევადობის ჭურები, მარან-სანახლები. ხეობაში ღია ტიპის მარნები უნდა არსებულიყო. ოსმალთა ბატონობის პერიოდში მევენახეობა-მელეინეობამ დაცემა განიცადა, გადაშენდა ვაზის საღვინე ჯიშები. ჯერ შეიზღუდა, ხოლო შემდეგ თანდათანობით აიკრძალა ღვინის დაყენება და მოხმარება. მიუხედავად ამისა, მევენახეობამ მაინც შეინარჩუნა თავისი სახე. ყურძნის წვენისაგან სხვადასხვა პროდუქტი მზადდებოდა.

8. უძველესი დროიდან სოფლის მეურნეობის დანიანურებულ დარგს წარმოადგენდა მეხილეობა. ლიგანის ხეობაში თითქმის ყოველნაირი ხეხილი ხარობდა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა მურღულისა და დევსქელის ხეობების სოფლები. ხეხილის ნაყოფს სამეურნეო ყოფაში მრავალმხრივი გამოყენება ჰქონდა. ვაშლისა და თუთისაგან მზადდებოდა საუკეთესო ბექმეზი, რომელსაც



ყოველდღიურ კერძებს შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეჭირა. ხეობა ზეთისხილის მოყვანითაც გამოირჩეოდა. იგი გასაყიდადაც გაჰქონდათ.

9. მეურნეობის მეორე ძირითად დარგს წარმოადგენდა მესაქონლეობა. უმთავრესად მისდევდნენ პატარა ადგილობრივი ჯიშის მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის მოშენებას. დიდი ყურადღება ექცეოდა გამწვევ ძალას. წვრილფეხა (თხა, ცხვარი) საქონლის მოშენება დამხმარე მნიშვნელობას იძენდა.

10. ხეობაში ხელსაყრელი სამეურნეო გეოგრაფიული პირობები არსებობდა მეფუტკრეობის განვითარებისათვის. საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, აქაც მეფუტკრეობის სამი ფორმა არსებობდა: ტყიური მეფუტკრეობა, ნახევრად შინაური და შინაური მეფუტკრეობა. მეფუტკრეობის პროდუქტებს მრავალფეროვანი გამოყენება ჰქონდა. მისი ნაწილი სამკურნალო დანიშნულებითაც გამოიყენებოდა. თაფლი და სანთელი სავაჭრო საგანსაც შეადგენდა.

11. ლიგანის ხეობაში ისტორიულად ხელოსნობის თითქმის ყველა დარგი იყო განვითარებული. ეს დარგებია: ქვისა და ხის დამუშავება, მჭედლობა, კერამიკული ნაწარმის დამზადება, ფეიქრობა. მისდევდნენ ცეცხლსასროლი და ცივი საბრძოლო იარაღების დამზადებას, კირის გამოწვას.

12. მოსახლეობის ერთ-ერთ უმთავრეს საქმიანობასა და შემოსავლის წყაროს შეადგენდა ნავმშენებლობა და ნაოსნობა. ნავმშენებლობის ძირითადი ცენტრები არსებობდა ქვედა მარადიდში, ბორჩხაში, ხებაში. აქ მხოლოდ გრძელი, ბრტყელძირიანი ნავეები მზადდებოდა, რომლებიც ძირითად სამდინარო ტრანსპორტს წარმოადგენდა. ნავეები გამოყენებული იყო როგორც ტვირთის საზიდავეად, ასევე სამგზავროდ. მთავარ ნავსაშენ კერას მთელ ჭოროხის ხეობაში ლიგანის ხეობა ითვლებოდა.

13. ფეოდალურ ხანაში, ოსმალთა ბატონობამდე, ლიგანის ხეობა ჭოროხის ხეობისა და საერთოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურულად დანიშნულებული რეგიონი იყო. ამის დასტურია მრავლად არსებული საფორტიფიკაციო ნაგებობანი (ციხე-



სიმაგრეები, ქვის თალიანი ხიდები და სხვა), რომლებიც ყურადღებას იქცევს ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და არქიტექტურის შესწავლის თვალსაზრისითაც.

14. ხეობაში გავრცელებული ტიპური საცხოვრებელი ნაგებობანი ძირითადად ორსართულიანია ოთხფერდა სახურავით. სახურავად ძველ საცხოვრებელ სახლებზე ლარიანი კრამიტია გამოყენებული. მისი პირველი სართული საქონლის სადგომს წარმოადგენდა, მეორე – საკუთრივ საცხოვრებელს, რომელიც ცალკე სასტუმრო ოთახსაც მიითვლიდა. სახლები ხისა და აგურისაგან შენდებოდა. ართვინში, ბორჩხასა და მარადიდში ლაზური ტიპის საცხოვრებელი ნაგებობანიც გვხვდება. თანამედროვე სახლები ართვინსა და ბორჩხაში ქვისა და აგურისაგან შენდება.

15. ხეობის მთაგორიანობისა და ტოპოგრაფიული თავისებურების გამო დასახლებული პუნქტები გაშენებულია ხეობების გასწვრივ ბუნებრივი თუ ხელოვნური გზით წარმოქმნილ ტერასებზე და ჯგუფურადაა გაფანტული. სოფლები შედგება მეჭლებისაგან, ანუ უბნებისაგან, რომლებიც დასახლებულ პუნქტებს წარმოადგენენ და სოფლის შიგნით სხვადასხვა სიმაღლეზეა გაშენებული. ცენტრალური ადგილებისათვის დამახასიათებელია ქალაქური დასახლებანი მოკლე და ვიწრო ქუჩებით (ქ. ართვინი, მურლული, ისკები, ბორჩხა), რომლებიც გამოირჩევიან დასახლების მაღალი სიმჭიდროვით. ხოლო მრავალსართულიანი სახლები შეჯგუფულადაა გაფანტული.

16. უცხოური ცხოვრების წესის მიუხედავად, ლიგანის ხეობის ქართველმა მოსახლეობამ ძირითადად შეინარჩუნა ტანსაცმლისა და ჩაცმულობის ტრადიციული სახეები. მამაკაცის ტანსაცმლის კომპლექსში შედიოდა ზუბუნი, ჩოხა-შალი, ბაშლული, ანუ ყაბალახი, იელელი-იელეგი, ანუ ყილეტი. მას იცვამდნენ ქალებიც. მამაკაცის ჩაცმულობა ბუნებრივ-გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებთან კარგად იყო შეგუებული. ქართველი ქალის ტანსაცმლის ძირითად ელემენტს წარმოადგენდა პერანგი, ფორკა ანუ კაბა, ხირხა, თორი, ანუ სარტყელი, ფეშტემალი, ანუ წინსაფარი. თავსაკრავად იყენებდნენ დოლბანდს, ლეჩაქსა და იაზმას (მანდილი).



17. ხეობაში ძირითადად ასევე დღემდე შემოინახა თავი ქართულმა ეროვნულმა კულინარიამ. მხოლოდ ზოგიერთი მათგანი მიეცა დავინყებას. მათი ადგილი კი უცხოურმა კერძებმა დაიკავა. ხალხური სამზარეულო უმთავრესად ხორცის, რძისა და მცენარეული პროდუქტებისაგან დამზადებულ კერძებს შეიცავს.

18. ხალხურ დღესასწაულებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შუამთობას, კავკასორსა და მემხლიანობას. შუამთობა ძირითადად მესაქონლეობასთან დაკავშირებული დღესასწაულია და ალპური საძოვრების ზონაში ტარდება. მემხლიანობა შემგროვებლურ მეურნეობას უკავშირდება და მიზნად ისახავდა მოსახლეობის ორგანიზებულად სვლას მთაში საკვები მცენარეულის შეგროვების მიზნით. კავკასორი, რომელიც კავკასორის მთაზე დღესაც იმართება, ბულა ხარების შეჯიბრს ეძღვნება. მასში მთელი ართვინის ვილაიეთის მოსახლეობა მონაწილეობს. სამივე დღესასწაულს მრავალმხრივი გართობა-სანახაობითი მხარეები გააჩნია. შუამთობა და მემხლიანობა რელიგიურ რიტუალებსაც შეიცავდა.

19. ხალხურ გართობა-სანახაობებს შორის საყურადღებოა ქურთობა და ფატმა, რომლებიც ძირითადად ერთი შინაარსის მატარებელია. ისინი ქართული ხალხური თეატრალური წარმოდგენების ერთ-ერთ არქაულ ფორმას განეკუთვნება და შეილიერებანაყოფიერების კულტანაა დაკავშირებული.

20. ლიგანის ხეობა საინტერესო სურათს იძლევა გვარ-სახელების შესწავლის თვალსაზრისით, სიძველითა და სიმრავლით. გვარ-სახელთა ერთი ნაწილი დღესაც ისე ინოდება, როგორც XII-XVII საუკუნეებში იყო (კახაბერიძე, ლასტაკანიძე, შუშანიძე, გორგოშაძე, ბედინაძე, ფოთელიძე და სხვა). ძირითად, ადგილობრივ გვარებთან ერთად ხეობაში სხვადასხვა დროს სხვადასხვა კუთხიდან (აჭარა, ლაზეთი) შემოხიზნული გვარებიც გვხვდება.

ართვინის ვილაიეთის მოსახლეობა და ფართობი ცალკეული რაიონების მიხედვით

| = | რაიონი           | მოსახლეობა |         |          | ფართობი     |
|---|------------------|------------|---------|----------|-------------|
|   |                  | ქალაქში    | სოფელში | მთლიანად | კვ. კმ      |
| 1 | ართვინი          | 20306      | 12877   | 33183    | 1052 კვ. კმ |
| 2 | არტანუჯი         | 5052       | 12730   | 17782    | 969 კვ. კმ  |
| 3 | არხაეი           | 10048      | 8303    | 18351    | 314 კვ. კმ  |
| 4 | ბორჩხა           | 6102       | 24227   | 30329    | 762 კვ. კმ  |
| 5 | ხოფა             | 11507      | 19355   | 30862    | 289 კვ. კმ  |
| 6 | მურლული          | 4278       | 7673    | 11951    | 406 კვ. კმ  |
| 7 | შავეთი           | 4850       | 28465   | 33315    | 317 კვ. კმ  |
| 8 | იუსუფელი         | 3954       | 33106   | 37060    | 327 კვ. კმ  |
|   | საერთო რაოდენობა | 66097      | 14736   | 212833   | 4436 კვ. კმ |

ართვინის ვილაიეთში შემავალი ლიგანის ხეობის რაიონების მოსახლეობა 1980-1990 წლებში

| = | წლები | რაიონები | მოსახლეობა | მთლიანად |
|---|-------|----------|------------|----------|
| 1 | 1980  | ართვინი  | 29964      | 73565    |
|   |       | ბორჩხა   | 43601      |          |
| 2 | 1985  | ართვინი  | 32422      | 77864    |
|   |       | ბორჩხა   | 45442      |          |
| 3 | 1990  | ართვინი  | 33183      | 75463    |
|   |       | ბორჩხა   | 30329      |          |
|   |       | მურლული  | 11951      |          |





**შენიშვნა:** თურქული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით 1987 წლამდე მურლულის ხეობა ბორჩხის რაიონში შედიოდა. შემდეგ იგი გამოეყო ბორჩხას და დამოუკიდებელი რაიონის სტატუსი მიიღო.

**მურლულის რაიონის მოსახლეობა ქალაქ მურლულისა და სოფლების მიხედვით 1997 წელს**

|    | ქალაქისა და სოფლის სახელწოდება |           | მოსახლეობის რაოდენობა (სულადობა) | მთლიანად |
|----|--------------------------------|-----------|----------------------------------|----------|
|    | ქართული                        | თურქული   |                                  |          |
| 1  | ქ. მურლული                     | Murğuli   | 4766                             | 9378     |
| 2  | ბუჯური                         | Akantaş   | 276                              |          |
| 3  | ადურჩა-დურჩა                   | ArdiGli   | 91                               |          |
| 4  | ისკები                         | Damar     | 2972                             |          |
| 5  | ერეგუნა                        | Erenköy   | 229                              |          |
| 6  | კაბარჯეთი                      | Kabaca    | 113                              |          |
| 7  | კევრი                          | Korucular | 296                              |          |
| 8  | ქურა                           | Küre      | 272                              |          |
| 9  | ოზმალი                         | özmal     | 231                              |          |
| 10 | გურბინი-ბაგა                   | Petek     | 132                              |          |

## შემოკლებანი



ბსკი – ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.  
ენიმკის მოამბე – ენის ისტორიისა და მატერიალური კულტურის  
ინსტიტუტის მოამბე.

მსე – მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის.

თსუ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ЗКОИРГО – Записки Кавказского Отдела Императорского  
Русского Географического Общества.

ИГАИМК – Известия Государственной Академии Истории  
Материальной Культуры.

ИКОИРГО – Известия Кавказского Отдела Императорского  
Русского Географического Общества.

ССВВНК – Сборник сведений по винограду и виноделию  
на Кавказе.

ТКОСХ – Труды Кавказского общества сельского хозяйства.

РС – Русские субтропики.


## LIGANI VALLEY

### SUMMARY

Ligani is situated on both banks of the river Chorokhi, in its lower reaches. It is part of the Chorokhi area, where copper-bronze and iron metallurgy and the early Georgian state system and culture were founded. From ancient times the region represented one of the main crossroads in the relations between European and Asian civilizations. The road running through this valley linked the separate parts of historical Tao-Klarjeti with Adjara, the Black Sea coast and other regions of the Colchian world.

Owing to historical vicissitudes, the Ligani valley today is divided into two parts. The upper part, including the villages of Upper Maradidi, Kheba, Klaskuri, towns of Borchkha, Artvin and its environs, have been within the boundaries of the Republic of Turkey since 1921, and according to the administrative-territorial division now belong to the Artvin Vilayet. The other part of the valley with the villages of Lower Maradidi, Oglauri, Kirnati, Kobaleti, Shushaneti, Gvara, Machakhlispiri, Mirveti is within Khelvachauri district, Georgia.

With the example of the Ligani valley the scientific world gets acquainted with the data expressing the style of farming life, material and spiritual culture of the foreign part of the valley, as well as the first and second names of people, the names of localities that, despite the



foreign pressure of Ottoman rule, have preserved their original (Georgian) toponyms. Many old Georgian traditions, customs, holidays, with their terminology preserving archaic elements, and several hitherto less known or thoroughly unknown monuments of Georgian material culture have been recorded there.

Ligani is not the original name of the valley. According to the written and historical data, "Ligani" is mentioned under different names: Nigali, Ligani, Divana, Livana. The former two are mentioned in Georgian sources; the latter two – in Turkish sources. Livana must have been the original name of Artvin.

The Ottoman policy of conquest particularly intensified from the beginning of the 16th century. According to historical data, the population of Murguli, Maradidi and Ligani valley, took an active part in the struggle against the invaders.

Interesting material about the invasion of the Ligani valley is preserved in the work of the Turkish historian of the 17th century Ibrahim Petchev, who describes the holy campaign of 1549 organized by Ahmed Pasha, the second vizier. Along with other areas of the Chorokhi basin, the Ligani valley was conquered during the invasion. The conquered territories, such as Tortumi, Talkhisi, Akhchakala, Livana were declared a separate *sanjaq* and were presented to one of the emirs.

According to Evliya Chelebi, among the thirteen *sanjaqs* forming the Childir Vilayet, two were in Ligani: One of them was Livana, and the other – Small Livana. It seems that rather small territorial units were declared *sanjaqs*.

The population of the valley, along with the population of other parts of Georgia, offered active resistance to the spread of Islam. Particularly the inhabitants of Murguli, Devskeli, and Maradidi distinguished themselves. They secretly implemented Christian rites up to 1840. They prayed at the ruins of Georgian churches, also in their families, woods, and caves.

Part of the Georgian population embraced Catholicism in order to avoid Islamization; in this way they tried to preserve the Georgian nationality and their old faith.

Later the conquered territories were united by the Ottomans into the Lazistan pashalik, the center of which was Batumi. The pashalik was divided into three provinces or *kaikams*, Livana being the third of them. It consisted of Machakheli and Livana districts, which, in turn, were divided into *nahies* (communes). Machakheli and Livana were called nahies and they were ruled by *mudiris*.

The Ligani valley, as well as other Georgian districts, were returned to Georgia as the result of the 1877-1878 Russo-Turkish War. Besides the Ligani valley, the whole Chorokhi valley, Adjara, and part of Lazeti were also returned to Georgia. Later they were joined to Batumi Region as Batumi and Artvin districts. After the abolishment of Batumi Region, one of its parts, with the villages, Klaskuri, Maradidi, Beglevani, Borchkha, Devskeli rural communes were referred to Batumi district, and the other part – Kartla, Khatili, Svetibari, Khodi, Dzansuli rural communes were united in Artvin district.

The Ligani valley and other districts suffered great hardships as the result of resettlement, owing to the Muhajir movement. Unfortunately,


there are no exact data on the real number of resettlers. However, it is obvious that the scale and process of resettlement were substantial.

In 1879 a great part of the population resettled in the Murguli valley. Resettlement constantly increased in the 1890s. In 1892 more than 1000 families from 46 villages of Ligani valley left their homes. The conditions of resettlers were very hard. A great number of people perished. The life conditions were also very hard. So, part of the resettlers returned.

Russian administrative organs did not care for the process of resettlement, but there were some people who resisted the process of resettling of the population. One of them was Ahmed Khalvashi, the governor of Maradidi; also Genj-Agha Bolkvadze, ruler of the village of Dampali. That is why, they had a lot of enemies.

Great attention was paid to mining and study of natural resources, particularly copper mines in the village of Dzasuli in Murguli valley. According to A. Tsuladze, "it was the subject of special attention in the whole Caucasus". Ore mining production was based here. Originally there were no copper processing mills. So, the mined raw material was transported to the village of Erge over land and the Chorokhi River, where a copper processing mill functioned. Later, metal processing mills were built near the mines in Dzansuli and Kwartskhana. According to A. Tsuladze, copper from Dzansuli was delivered to the famous Putilov works in Russia. Part of the Ligani valley population was employed in ore mining. Also comers from Adjara, Shavsheti, Lazeti worked here.

In the 1880s the cultural-educational processes started to revive too. The development of teaching to read and write in the Georgian language




became essential. A. Khalvashi , I. Jaiani, Z. Chichinadze and others took an active part in this. Z. Chichinadze walked through the Ligani valley villages and established a strong base for the Georgian educational processes. He hoped that the establishment of Georgian schools would support the cultural life in the area. The first Georgian school was opened in Maradidi in 1884 by the effort of Ahmed Khalvashi. That was the first primary school where the Russian language, together with Georgian, was taught; unfortunately this school was soon closed.

World War I seriously harmed the Ligani valley, as well as the whole Chorokhi valley. The political result was also very hard. According to the 1921 Treaty of Kars the upper part of the Ligani valley (Beglevani, Chkhali, Murguli, Devskeli, Klaskuri, Kheba, Upper Maradidi and other villages) together with Ardagan and other areas was transferred to Turkey; and the lower part (Kirnati, Lower Maradidi, Machakhlispiri, Mirveti) remained in the Georgian boundaries, and according to the modern territorial-administrative division it comes under Khelvachauri district.

Subsequently, different social-political processes developed in the parted valley. The villages, within the Georgian boundaries, took the road of Sovietization, while the upper part came under the government of the Turkish Republic. In 1924, after the new administrative divisions, the Chorokhi Vilayet was established, the center of which was Artvin. In 1956 it was called the Artvin Vilayet.

The larger part of the population have preserved the Georgian language, habits, traditions and Georgian mentality. The native



population of Chkhali and Beglevani mainly speak Laz, though their considerable part knows the Georgian language too. The Georgian language is best preserved among the inhabitants of the town of Borchkha and the villages of Devskeli, in Murguli valley, also in Klaskuri, Upper Maradidi, Kheba and other villages.


Georgians, temporarily visiting the Turkish part of the Ligani valley, their relation with the local Georgian population, also the satellite Georgian TV programmes supported the development of spoken Georgian and revival of love for their motherland, which was nearly forgotten because of historical vicissitudes.

Today the valley is still the centre of ore mining industry, and the village of Dzansuli is particularly notable. A modern mill has been functioning here since 1972, and 900 people are employed. The mill processes 280 tons of copper ore per month.

The Ligani valley is the area where farming originated in ancient times and developed in specific natural-economic conditions. Vakhushti Batonishvili was the first who paid attention to the farming system of the valley, which was greatly affected by the vertical zoning. This factor played an important role in the formation of mountainous life-style. This peculiarity mostly was noted in field farming that developed symbiotically together with cattle breeding.

Of the grain crops wheat, oat, rye were sowed, which was gradually discontinued in the second half of the 19<sup>th</sup> century after maize was established as a one-crop system. There were different varieties of wheat, such as: "dika puri", "doli puri", "doli", "khasi puri", "inklizi puri", "ziraati" and others.






The most widely grown maize varieties were: "jariela", "shvidkvira", "armashvela", "parakhela", "kirmiza", "batomura", "bandura", "bursela", "maradiduli", "chkhaluri", and others. Some of the varieties of maize were brought from foreign lands, as is evident from their names.

The old customs connected with field-crop cultivation and agriculture as a whole have been preserved to the present day. They are: kanokhi/kanukhi, bakhura, lazaroba, kashatoba, gargnoba and others. They were performed in order to protect the crops and to ensure fertile harvest.

According to the historical written sources and the remains of material culture, the Ligani valley viticulture and wine-making were successfully developed. Stone wine-presses, buried wine jars (*churi*) of different sizes, diverse varieties of vine, and others must have been widespread there. It is clear that high-stem viticulture dominated. According to ethnographic data, the following species are attested: *chkhaveri*, *kolosha*, *mekrenchkhi*, *livanuri*, *shavshuri*, *meliskuda*, *orjokhuli*, *singoturi*, *istambulai*, *kharitvala*, *chichimeri*, *chitaqurdzena*, *jineshi*, *butko*, *at-meme* or *tskhenisdzudzu*, *tetra*, *saperavi*, *dedaberai*, *usaxelo*, and others. In recent times in the villages of Kirnati, Kveda Maradidi, Mirveti the vine varieties of *isabela* (*adesa*), *kachichi*, *cheishvili*, *aligote* and others have been introduced. They are characterized by hardiness and high crop field have survived; this is the reason of their advantage. This to the extinction of the local species, though some old vines have survived.



During the period of Ottoman domination viticulture and wine-making were reduced, but not thoroughly extinguished. While wine-making and consumption were forbidden, part of the population followed Christianity and wine-making was carried on clandestinely.

Different kinds of fungus diseases caused damage to viticulture. Methods against these diseases were not known to the population.


Part of grapes were used to make different kinds of products, but part was exported to Poti, Akhaltsikhe, and Ardagani. Grapes were in great demand in Artanuji, where they were used to make wine.

Ligani was famous for fruit cultivation as well. According to the evidence of Vakhushti in the 18th century, citrus, lemon, turinji, olive, pomegranate, fig were cultivated in Ligani valley. G. Kazbegi was astonished at the fruit-fertility of this place. He wrote: "Plants are very few here, but in those places where there is very little soil among stones you can see grapes, pomegranates, almonds, persimmons, olives, figs and other varieties of fruit trees. Abundance in fruit is wonderful, I became sure that the fame of Ligani was well-deserved."

Fruit-growing was the main farming activity in all villages, especially in Artvin, nearby villages and Murguli valley. Special attention was paid to olive growing. Olive was the main product of export. It was exported to France, besides Tbilisi and Akhaltsikhe.

Traditionally fruit was used to make different kinds of products. A specific juice and main food product "bekmezi" was made from pear, apple, plum, persimmon and mulberry.

Natural-geographical conditions, rich in alpine pastures, created convenient conditions for the development of cattle-breeding, in




conjunction with farming. It was more developed in Murguli, Devskeli and partly in Borchkha district. In the Chorokhi valley (villages of Mirveti, Lower and Upper Maradidi, and Borchkha) cattle-breeding was followed less because of lack of forage reserves.

Cattle and sheep and goat of local breed are small-sized and well-adapted to the local conditions. The milch breeds as well as draft animals were given attention. In Ligani the ox had another function besides its draught function. It was used for entertainment, known as a "bull fight".

According to written sources and the materials gathered by the author, the villages of Devskeli, Murguli and Beglevani valleys were famous for bee-keeping. Wild, semi-domestic and domestic types of bee-keeping were developed here. Developed here were the processes of domestication of wild bees, making bee-hives, taking care of the bees, as well as extracting honey and the process of making other kinds of honey products.

In Ligani valley almost all types of handicrafts developed from ancient times. They were: blacksmith's work, wood and stone working, ceramics, weaving. Lime calcining, soap making were also the main activities here. The valley was also the place of bronze and copper metallurgy, forming the base for the development of the blacksmith's craft, which was popular in the following villages: Lower and Upper Kura, Devskeli and others. Along with farming tools fire-arms and cold-arms were made in the valley.

Stone and wood working, stone carving were promoted, as attested by the churches and monasteries, castles, bridges with stone arches,




millstone etc. The villages Kartla and Tanzoti are famous for millstone making. In the past the Chorokhi area, the sea coast and mountain villages were provided with millstones made here. The craftsmen from Ligani were famous for wood turning and carpentry. The high level of carpentry was conditioned by the abundance of best wood material. Masters from Lower Maradidi and Kirnati were distinguished for making cradles. This activity is still being followed. The ethnographic materials gathered by the author and the written sources of the 19<sup>th</sup> century show that Ligani valley was famous for crockery making. The village of Borchkha was one of the places in south-western Georgia where different items of pottery were made (pitchers, pots, jugs, bowls, saucers, bricks, water-tubes, tubs, fluted tiles etc.). The items were exported to Chorokhi area, Adjaristsqali and Machakhela valley, as well as to Batumi, Kobuleti and other districts.

Fluted tiles and bricks were in great demand. Local tiles were given preference to tiles imported from Marseilles, France.

Knitting and weaving are also widespread in all villages of the valley to the present day; spinning and knitting developed on the basis of the local raw material. This was largely women's work. Knowing how to knit and embroider was necessary for fiancées. This was given special attention when choosing a bride.

The region was the main river navigation centre in Western Georgia. The central waterway was the Chorokhi, linking the districts of the Chorokhi region with Batumi and Black Sea coastal area.



Boat-building and river navigation were the main sources of income for a number of villages of Ligani valley, including the inhabitants of Borchkha.

There were three centres of boat-building (Borchkha, Maradidi and Kheba). Kveda Maradidi was an exception. The inhabitants of Kirnati, Oglavi and other villages were considered to be the best boaters.


For the specificity of the river Chorokhi the boats here had flat and long bottoms with the front and lower parts bent and sharp. The price of a boat was determined by its size and carrying capacity.

In the second half of the 19<sup>th</sup> century 150-200 boats plied the Chorokhi. In good weather boating was conducted from Artvin to Batumi. It took 8-10 or 15 hours to cover this distance. But against the current boating took 2-3 days. In winter it took 6-7 or 8 days. Boats were hauled with special ropes.

Navigating on the Chorokhi river played an important role in connecting historical Tao-Klarjeti and the Black Sea coast old provinces, including the development of trade and barter between them. Thus, the Chorokhi was the main water course by which local industrial and agricultural products from Karsa, Artaani, Shavsheti-Imerkhevi and Artvin villages were transported for sale to foreign markets as well.

The building of automobile roads at the beginning of the 20<sup>th</sup> century, and the situation obtaining after World War I led to a reduction of river navigation.

Navigation from Artvin to Maradidi was finally discontinued in 1921, when the Turkish-Georgian State border was set between Lower and Upper Maradidi.




The Ligani valley is distinguished for its great number of cultural monuments in the Chorokhi area as well as in south-west Georgia. The castles, old churches, monasteries, stone arched bridges and other monuments are proof of this. Hitherto these monuments have not been studied adequately.

